საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის დავალებით (2008 წლის 20 ნოემბრის წერილი №3/29) მდ. დურუჯის წყალშემკრებ აუზში ფორმირებული დვარცოფებისაგან ქ. ყვარლის დამცავი და სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების დასახვის მიზნით სსიპ<sup>\*)</sup> წყალთა მეურნეობის ინსტიტუტში შეიქმნა კომისია ჩემი ხელმძღვანელობით (ინსტიტუტის ბრძანება №მეცნ. 10, 2008 წლის 28 ნოემბერი). კომისიის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოში დარგის ცნობილი მეცნიერ-სპეციალისტები. კომისიამ მუშაობა დაიწყო სამი მიმართულებით: 1 – საინჟინრო ტექნიკურ-ეკოლოგიური მიმართულება; 2 – სამრეწველო ტექნოლოგიური მიმართულება და 3 – ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულება; კომისიას დაევადა კომისიას 2008 წლის 31 დეკემბრამდე წარმოდგინა მოსაზრებები აღნიშნული პრობლემის გადასაწყვეტად სათანადო ღონისძიებების ნუსხა, საპროექტო მოცემულობებითა და შესაბამისი საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვით.

კომისიის დასკვნა გაეგზავნა პრეზიდენტის ადმინისტრაციას განსახილველად. ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი მიმართულებები შესაბამისი საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვით:

**1.1. ქ. ყვარლის მოსახლეობის მდ. დურუჯის დვარცოფებისგან დამცავი კომპლექსური ღონისძიებების საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვა მიმართულებების მიხედვით**

**I. საინჟინრო-ტექნიკური და ეკოლოგიური მიმართულება**

- მდ. დურუჯის მარცხენა ნაპირზე არსებული მიწის ნაპირდამცავი კედლის რეაბილიტაცია გამჭოლი რკინაბეტონის კონსტრუქციითა და მაღალი ხარისხის მიწაყრილის მოწყობით – 1 მლნ ლარი;
- მდ. დურუჯის კალაპოტის ტრანზიტულ ნაწილში ტრამპლინის ტიპის 3 ბარაჟის მოწყობა (სამეცნიერო-სარეკონსტრუქციო საპროექტო სამუშაოები – 0.5 მლნ ლარი, ტრამპლინის ტიპის ბარაჟების აშენება – 2.5 მლნ ლარი) – 3 მლნ ლარი;
- მდ. დურუჯის სათავეებთან ფიტომელიორაციული და სატყეო-სამელიორაციო ღონისძიებების განხორციელება – 1.5 მლნ ლარი;
- ორგანიზაციულ-სამეურნეო ღონისძიებების უზრუნველყოფა – 0.5 მლნ ლარი.

<sup>\*)</sup> სსიპ – საჯარო სამართლის იურიდიული პირი.

ქ. ყვარლის მოსახლეობის მდ. ღურუჯის ღვარცოფებისგან დამცავი კომპლექსური ღონისძიებების საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვის ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 6 მლნ ლარი.

## II. სამრეწველო ტექნოლოგიური მიმართულება

- ღვარცოფული მასის გატანა (20 მლნ მ<sup>3</sup>) – 14 მლნ ლარი;
- სამშენებლო მასალის მომზადება (ცემენტის წარმოების აწყობა) – 1.3 მლნ ლარი (წლიური მოცემა – 260 000 ლარი);
- კერამიკული მასალის მომზადება (კერამიკის, ღვინის ბოთლების, კერამიკული ბუხრების, დეკორატიული აგურის, კრამიტის, თბოსაიზოლაციო მასალის წარმოება და ა.შ.) – 0.5 მლნ ლარი.

სამრეწველო ტექნოლოგიური მიმართულების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 15.8 მლნ ლარი.

## III. ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარების მიმართულება

- ინფრასტრუქტურის განვითარება (გურჯაანი-ყვარელი 24 კმ-იანი რკინიგზის გაყვანა) – 68.81 მლნ ლარი;
- მდ. ღურუჯის კალაპოტში სამშენებლო-საექსპლუატაციო 6 კმ სიგრძის, 6 მ სიგანისა და 0.24 მ სისქის საუბნო მოასფალტებული გზის გაყვანა – 250 000 ლარი;
- მდ. ღურუჯის ზემო წელში (სათავესთან), შუა წელსა და ქ. ყვარელში 3 თანამგზავრული მეტეოროლოგიური სადგურის მოწყობა – 80 000 ლარი;
- ქ. ყვარლის მოსახლეობის ღვარცოფული საშიშროებისაგან დასაცავად გამაფრთხილებელი თანამედროვე სისტემების მდინარის კალაპოტში დაყენება – 50 000 ლარი;
- მდ. ღურუჯის შესახებ სამეცნიერო-დოკუმენტური ფილმის გადაღება – 50 000 ლარი;
- მოსახლეობაში ეკოგანათლების გავრცელება (ბროშურების, პროსპექტების გამოცემა) – 100 000 ლარი.

ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის სულ საჭიროა 69.34 მლნ ლარი.

## ძირითადი ნაწილი

### 1. მდ. ღურუჯის კალაპოტის თანამედროვე მდგომარეობა და სტიქიის საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებები

მდ. ღურუჯის წყალშემკრებ აუზში ჩამდინარე აქტიური ეროზიულ-ღვარცოფული ხასიათის ხეების ეროზიული ღრანტეების მდგომარეობის შეფასებისათვის, სავსე კვლევებისა და აერო-კოსმოსური გადაღებების დეშიფრირების საფუძველზე მიღებულ იქნა დამოკიდებულება, რომლითაც იანგარიშება მთის ფერდობის ეროზიის კოეფიციენტი (E) [1, 2]:

$$E = [0,58 + 1,40 (F_1 / F_0)] \cdot (t / T)^{0,21}, \quad (1)$$

სადაც,  $F_1$  არის მდინარის წყალშემკრებ აუზში ეროზირებული ფართობი (კმ<sup>2</sup>);

$F_0$  – მდინარის მთლიანი წყალშემკრები აუზის ფართობი (კმ<sup>2</sup>);

t – საკვლევი დროის ინტერვალი (წელი);

T – მთლიანი დაკვირვების პერიოდი (ჩვენს შემთხვევაში T = 30 წელს).

(1) – დამოკიდებულების პრაქტიკაში გამოყენების ზღვრებია:

$$0,061 \leq (F_1 / F_0) \leq 0,24; \quad 0,1 \leq (t / T) \leq 1,0; \quad (2)$$

**გივი გაგარდაშვილი**

(1) დამოკიდებულების გაანგარიშებულ იქნა მდ. დურუჯის წყალშემკრებ აუზში მთის ფერდობების ეროზიის კოეფიციენტის მნიშვნელობები შესაბამისი დაზიანების ხარისხის მხედველობაში მიღებით, რომელთა რიცხოვრივი მანვენებლებიც მოცემულია ცხრილში (ცხრილი 1).

2000-2010 წწ. მდ. დურუჯის სათავეებში, ე.წ. “შავი კლდეზე” (იხ. სურ. 1), ცალკეულ ადგილებში დაფიქსირდა ღარებისა და ხრამების ქსელის ინტენსიურობა სიხშირით 15-20 მ, რაც ცნობილი ინგლისელი პროფესორის რ. მორგანის [3,5] კლასიფიკაციით შეესაბამება ეროზიის მე-7 კლასს, რომლის დროსაც ეროზიის ინტენსიურობა მეტია 500 ტ/ჰა-ზე წელიწადში.



**სურ. 1. შავი კლდე მდ. შავი დურუჯის სათავეებში**

რაც შეეხება 1 ცხრილში დამყარებულ კავშირს მთის ფერდობის ეროზიის კლასსა და ეროზიის კოეფიციენტს შორის, იგი შეფასებულია პროფესორ რ. მორგანის შკალის მიხედვით [5, 8].

**ცხრილი 1**

**მდ. დურუჯის წყალშემკრებ აუზში მთის ფერდობის ეროზიის კოეფიციენტისა და ეროზიის კლასის მნიშვნელობები [8, 9]**

№	მდინარის დასახელება	ეროზიის კოეფიციენტის მნიშვნელობები				ეროზიის კლასი (2010 წ.)	ეროზიის ინტენსიურობა წელიწადში (ტ / ჰა)
		1980 წ.	1990 წ.	2000 წ.	2010 წ.		
1	ნახეჩის ხევი	0,077	0,080	0,195	0,207	მეორე	2-5
2	სამალის ხევი	0,050	0,061	0,072	0,171	მეორე	2-5
3	სალესავეის ხევი	0,30	0,45	0,68	0,75	მესამე	5-10
4	უთხოვარის ხევი	0,84	0,92	0,98	1,00	მეოთხე	10-50
5	მშრალი გორის ხევი	0,76	0,94	1,00	1,05	მეოთხე	10-50
6	სავეფხო გორის წყალი	0,82	0,96	1,11	1,15	მეოთხე	10-50
7	წიფელ გორის წყალი	0,83	0,99	1,21	1,23	მეხუთე	50-100
8	დურუჯის სათავეები (შავი კლდე)	1,00	1,45	1,95	2,01	მეექვსე	100-500



1949 წელს ქ. ყვარლის დასაცავად აგებული 7,5 კმ სიგრძისა და 7 მ სიმაღლის კედელი ფაქტობრივად ამორტიზებულია და ქალაქს რიგ მონაკვეთებში მხოლოდ მიწაყრილის ზეინულია იცავს.

პიკეტზე (პკ) 33 – 38 – დამცავი კედლის ამ 500 მეტრიან უბანზე 2004 და 2006 წლებში აგებულ იქნა 4 მ სიმაღლის გაბიონი, რომელიც ამჟამად მთლიანად დეარცოფული გამონატანითაა ამოვსებული და გაზაფხულის წყალდიდობების შემთხვევაში კატასტროფა გარდაუვალი იქნება. ამდენად, საჭიროა სასწრაფოდ გატარდეს დროებითი ღონისძიება და აიგოს ორი მეტრის სიმაღლის გაბიონი 2250 მ<sup>3</sup> მოცულობით (სურ. 2).



სურ. 2. მდ. დურუჯის კალაპოტი პიკეტზე (პკ) 33-38.  
(2012 წლის 14 მაისი)

პკ 57–66 – დამცავი კედლის ამ მონაკვეთზე 1998 წელს ნაწილობრივ შეკეთებულ იქნა მდინარის მიერ დანგრეული მონაკვეთი. კედლის ტანში მთელ სიგრძეზე ამოსულია დიდი ზომის სხვადასხვა ჯიშის ხე-მცენარეები, რის გამოც კედელი მასიურად დანგრეული და გადაქცეულია. ამასთან, იგი მრავალ ადგილას წყლის ნაკადის მიერ გამორეცხილია და მოსალოდნელია მისი მთლიანად ჩამოქცევა. ამ 900-მეტრიან მონაკვეთზე აღდგენითი სამუშაოებია ჩასატარებელი, წინააღმდეგ შემთხვევაში გაზაფხულის ციკლური მცირე სიმძლავრის წყალდიდობაც კი საშიში იქნება [4, 10, 11, 12, 13] (სურ. 3).



სურ. 3. მდ. დურუჯის კალაპოტი პიკეტზე 66  
(2012 წლის 14 მაისი)

პკ 57-73 – დამცავი კედლის ამ მონაკვეთზე ამოსულია დიდი ზომის ხეები და კედლის ქვედა ნაწილი მრავალ ადგილას წყლისაგან საგანგაშო ზომებით გამორეცხილია. საჭიროა კედლის გაწმენდა ნარგავებისაგან და გამორეცხილი ადგილების აღდგენა (სურ. 4).



სურ. 4. მდ. დურუჯის კალაპოტი პკ 57 - 73.  
(2012 წლის 14 მაისი)

პკ 57 - 75 – ეს არის მდ. დურუჯის ღვარცოფული ნაკადების დარტყმის მთავარი მიმართულება. 2006 წელს საგზაო დეპარტამენტმა ამ მონაკვეთის 160 მ-ზე მოაწყო სამი მეტრის სიმაღლის გაბიონის დამცავი დამბა მომავალი დაშენების პერსპექტივით. მისი ორი მეტრით ამაღლებისა და 200 მეტრამდე გასაგრძელებლად საჭიროა დამატებით მოეწყოს 1590 მ<sup>3</sup> მოცულობის გაბიონი (სურ. 5)



სურ. 5. მდ. დურუჯის კალაპოტი პკ 75.  
(2012 წლის 14 მაისი)



სურ. 6. მდ. დურუჯის კალაპოტში მუშაობისას. მარჯვნიდან, თ. ნაზრიშვილი, გ. გაგარდაშვილი და ლ. წულუკიძე (2012 წლის 14 მაისი)

ქ. ყვარლის და ქ. თელავის შემაერთებელ გზაზე, მდ. დურუჯის ხიდთან კალაპოტი ნატანისაგან მთლიანად შევსებულია. ნაპირსამაგრი ფილები ზოგან გადავსებულია, ზოგან კი წადებულია წყალდიდობებისას. გადაუდებლად საჭიროა ხიდის ჩრდილოეთით 500 მ-ზე და სამხრეთით 200 მ-ზე კალაპოტის გაწმენდა დაახლოებით 70 ათ. მ<sup>3</sup> მოცულობის ნატანისაგან [6].

**ქალაქ ყვარლის მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის  
მიზნით მდინარე ღურუჯის კალაპოტში 2012 წლის მაისის თვეში  
ბანხორციელებული სავალე კვლევის შედეგები**

მდ. ღურუჯის მდ. ალაზანთან შესართავიდან 2 კმ-ის მანძილზე ზევით კალაპოტი მთლიანად გადავსებულია და წყალი გადაედინება სავარგულებსა და მეცხოველეობის ფერმების მიმდებარე ტერიტორიაზე [7, 10].

მდინარემ უკვე მიიტაცა 80 ჰა-ზე მეტი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ტერიტორია და საშიშროებაა დაიკარგოს ასეულობით ჰექტარი სავარგული. მდინარის კალაპოტის ნაწილობრივ აღსადგენად საჭიროა 2 კმ სიგრძეზე დაახლოებით 120 ათ. მ<sup>3</sup> ნატანის გატანა [13].

ზემოაღნიშნული პრობლემები მოითხოვს ოპერატიულად გადაჭრას. ისინი სისტემატურად წარმოიშობა შემდგომში სხვა მონაკვეთებზეც, თუ არ დაიწყო მდინარის კალაპოტის მასიური გაწმენდა, რაც არსებულ მდგომარეობას საგრძნობლად გააუმჯობესებს და უარყოფითი ხასიათის შედეგების რაოდენობაც საგრძნობლად შემცირდება.

**2. ქ. ყვარლის მოსახლეობის მდ. ღურუჯის ღვარცოფებისა და  
დაცვის ღონისძიებათა კომპლექსური სქემა**

ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისიდან დაფიქსირებულია ქ. ყვარლის დასახლებულ პუნქტზე ღვარცოფული (ქვა-ტალახოვანი) ნაკადების დამანგრეველი ზემოქმედება. აღნიშნული პერიოდიდან დღემდე ღვარცოფული გამონატანის მოცულობა ქალაქის დასავლეთით მდებარე მდ. ღურუჯის კალაპოტსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 20 მლნ მ<sup>3</sup>-ს შეადგენს. ცალკეულ ადგილებში ღვარცოფული გამონატანის ნიშნული მდინარის კალაპოტში ქალაქის დამცავი კედლის მიღმა 20-25 მეტრით მაღლაა ვიდრე სამოსახლო ტერიტორიები [1, 2, 3]. ეს პროცესი კალაპოტში დღესაც გრძელდება (ცხრილი 2) [2, 9].

ცხრილი 2

**მდინარე ღურუჯის ღვარცოფის მიერ ტრანსპორტირებული  
ღვარცოფული მასის თანხვედრის მაჩვენებლები [2]**

№	ღვარცოფის გაელის წელი	ღვარცოფის ხარჯი $Q_{max}$ (მ <sup>3</sup> /წმ)	ღვარცოფის გაელის ხანგრძლიობა $T$ (წმ)	ღვარცოფის მოცულობა - $W$ (მ <sup>3</sup> )		ცდომილება (%)
				საველე მონაცემები	ფორმულით [1] $W = 0,138 \cdot T^{1,52} \cdot Q_{max}^{0,73}$	
1	2	3	4	5	6	7
1	1899	434,8	1380	600024	689361	12,9
2	1906	2000,0	900	1 800000	1096675	39,6
3	1947	1666,6	960	1 599936	1058926	33,8
4	1949	370,4	1620	600048	782448	23,3
5	1956	253,2	900	227880	242579	6,1
6	1957	199,2	960	191232	224600	14,8
7	1961	159,6	900	143640	173197	17,1
8	1961	210,0	660	138600	132055	4,7
9	1961	740,0	1560	1 154400	1224423	5,7
10	1961	250,0	2160	540000	909388	40,6
11	1963	172,0	960	165120	201774	18,2
12	1963	132,0	420	55440	47341	14,6



გივი გაგარდაშვილი

ცხრილი 2 (გაგრძელება)

1	2	3	4	5	6	7
13	1963	703,0	1740	1 223220	1 392487	12,2
14	1963	144,0	840	120960	144673	16,4
15	1963	73,0	420	30660	30722	0,2
16	1963	470,0	3300	1 551000	2 745691	43,5
17	1963	103,0	180	18540	10896	41,2
18	1963	1244,0	720	895680	552387	38,3
19	1963	443,0	1380	611340	698827	12,5
20	1963	288,0	300	86400	50172	41,9
21	1963	150,0	360	54000	41115	23,8
22	1963	262,0	720	188640	177167	6,1
23	1963	446,0	360	160560	91091	43,3
24	1963	205,0	900	184500	207926	11,3
25	1963	82,0	300	24600	20053	18,5
26	1963	62,0	1020	63240	105050	39,8
27	1973	200,6	900	180540	204658	11,8
28	1976	240,2	840	201768	210185	4,0
29	1977	167,6	720	120672	127863	5,6
30	1981	264,0	1200	316800	387263	18,2
31	1982	458,0	300	137400	70394	48,7
32	1983	229,0	720	164880	160585	2,6
33	1984	162,0	960	155520	193142	19,5
34	1986	282,0	720	203040	186942	7,9
35	1986	160,0	1500	240750	377177	36,2
36	1986	321,0	900	288900	288454	0,2
37	1990	114,0	1200	136800	209785	34,8
38	1992	330,2	1500	495300	640086	22,6
39	1997	221,1	1080	239868	289889	17,3
40	1999	333,3	1500	500000	644477	22,4

საგანგაშო ის არის, რომ ეროზიულ-დვარცოფული პროცესების ინტენსივობა კი არ იკლებს, არამედ მატულობს კიდევ და თუ დროულად არ იქნა მიღებული ქმედითი ღონისძიებები, არის იმის საშიშროება, რომ დასახლებული პუნქტის მოსახლეობის ნაწილი აღმოჩნდეს ამ სტიქიური მოვლენის მსხვერპლი.

შექმნილი მდგომარეობიდან გამოსვლის გზები მოითხოვს ფართომასშტაბიანი კომპლექსური ხასიათის ქვემოთ დასახლებული სამუშაოების ჩატარებას, რომლებიც უნდა ითვალისწინებდეს შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას, რისთვისაც გამოყენებულ უნდა იქნეს დვარცოფული გამონატანის შემცირების ყველა ჩვენს ხელთ არსებული უმნიშვნელო შესაძლებლობებიც კი.

## დასკვნა

### 1. ზოგადი ხასიათის დასკვნები და რეკომენდაციები

- უნდა განხორციელდეს ღონისძიებები როგორც ღვარცოფის წარმოშობის მიზეზების, ისე ღვარცოფის გავლის შედეგების წინააღმდეგ.
- საჭირო იქნება არსებული სამეცნიერო კვლევების სრულყოფა და ახლის შემუშავება შესაბამისი საპროექტო სამუშაოების სრულყოფასთან ერთად.
- მთელი ეს სამუშაოები მოითხოვს სერიოზული ფინანსური და მატერიალური სახსრების მიზანმიმართულ მობილიზაციას და ისინი მომავალშიც ორიენტირებული უნდა იყოს გადებული ხარჯების თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ ამოღებაზე მაინც;
- ზემოთ მითითებული თითოეული პოზიცია წარმოადგენს ცალკეულ მიმართულებას, რომლებიც ურთიერთკავშირში უნდა იყოს და მოითხოვს სერიოზულ შესწავლასა და დამუშავებას მათი რენტაბელობის გათვალისწინებით;
- ქალაქის დაცვის სამუშაოები საჭიროებს მოკლე, საშუალო და გრძელვადიანი დეტალური კალენდარული გეგმის შემუშავებას ცალკეულ პოზიციათა სპეციფიურობის გათვალისწინებით;
- თითოეული ზემოთ მითითებული პუნქტის სისრულეში მოყვანა მოითხოვს განსაზღვრულ დროს, პროფესიონალურ მიდგომასა და სათანადო დაფინანსებას;
- პროექტის რეალიზაცია მნიშვნელოვანი ოდენობის თანხების მოზიდვასთან იქნება დაკავშირებული, მაგრამ არა იმაზე მეტის, რასაც მოითხოვს ათი ათასობით ადამიანის სიცოცხლისა და სხვა მატერიალური ფასეულობების (ქინძმარაულის ვენახების, ისტორიული ძეგლებისა და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების) გადარჩენა;
- პროექტის დაფინანსება ეტაპობრივად და იმ ოდენობით უნდა განხორციელდეს, რასაც მოითხოვს ობიექტის უსაფრთხოება.

### 2. ქალაქ ყვარლის მოსახლეობის დაცვის ღონისძიებები

#### მოვლენის მიზეზებთან ბრძოლის მეთოდები

- ღვარცოფის წარმოშობის მთავარი კერის – შავი კლდის (სურ. 1) ეროზირებადი ზედაპირი დამუშავებულ უნდა იქნეს ცემენტის ხსნარის ან გრუნტის სხვა გამამკვრივებელი საშუალებებით, რათა შემცირდეს ღვარცოფწარმოშობის ამ კერის აქტიური ნგრევა;
- გადაუდებლად და უწყვეტად უნდა ხორციელდებოდეს მდინარის სათავეში სატყეო-სამელიორაციო სამუშაოები, რაც საგრძნობლად შეამცირებს ზედაპირულ ეროზიულ პროცესებს.
- შავი ღურუჯის კალაპოტიდან თეთრი ღურუჯის შესართავამდე და ქვევით უნდა აიგოს გამჭოლი ტიპის სხვადასხვა სიმაღლის კაშხლების კასკადი ზედა ბიეფში მყარი ღვარცოფული გამონატანის აკუმულირების მიზნით. კაშხლების ასაგებად უნდა შეირჩეს ისეთი კვეთები, რომლებიც ნაგებობების მინიმალური სიმაღლის პირობებშიც კი დააკავენ მაქსიმალური ოდენობის მყარ ჩამონადენს. ამით ღვარცოფის ჰიდროგრაფის პიკი მოიხსნება და საგრძნობლად შემცირდება მისი დამანგრეველი ზემოქმედების ძალა.
- ეროზიულ ღრანტებს და აუზის სხვა სენსიტიურ უბნებთან მისასვლელად შესაძლებელია მოეწეოს საავტომობილო და საბაგირო გზები და, თუ საჭიროება იქნა, ვიწრო-ლიანდაგიანი რკინიგზაც კი, როგორც ეს კეთდება მსოფლიოს ანალოგიურ რეგიონებში.

---

---

**მოვლენის შედეგებთან ბრძოლის მეთოდები**

- სასურველია მდინარის მარცხენა სანაპიროს გასწვრივ ზემო უბნებზე ნაპირდამცავი კედლების ამაღლება ღვარცოფის შესაძლო გადმოდინების აღკვეთის მიზნით;
- მდ. დურუჯის გამოტანის კონუსიდან რეგულარულად უნდა ხდებოდეს ღვარცოფული ჩამონადენის გატანა წინასწარ შერჩეულ ადგილებში გარემოსათვის ნაკლები ზიანის მიყენების გათვალისწინებით;
- მიზანშეწონილია მდინარის გამოტანის კონუსზე გაწმენდითი სამუშაოების წარმოება, რაც მოითხოვს სპეციალური მექანიზმების (თვითმცლელების, ექსკავატორების, ბულ-დოზერების, ლენტური ტრანსპორტიორების, და ა.შ.) გამოყენებასა და ამ სამუშაოების ოპერატიული და გრძელვადიანი სქემების დამუშავებას;
- მდინარის მყარი ჩამონატანის გატანის არსებული სქემა - მისი განთავსება მდინარის მარცხენა ნაპირის კედელთან - კონტროლოდუქტიულია, ვინაიდან ღვარცოფის ბუნებიდან გამომდინარე მას შეუძლია ადვილად გადალახოს ეს წინააღმდეგობა, რადგან იგი ხასიათდება მოძრაობის მიღებული მიმართულების შენარჩუნებითა და განსაზღვრული სიმაღლის კედლის გადალახვის უნარით;
- ნარიყის კონუსზე ღვარცოფული გამონატანის უსაფრთხო ადგილებში განთავსების მიზნით მიზანშეწონილია განხორციელდეს მდინარის ქვედა უბანზე არსებული სანაპირო კედლების ამაღლება. ამ გზით შესაძლებელია გამონატანის რაღაც ნაწილის უსაფრთხო განთავსება ამ ხელოვნურად შექმნილ სივრცეში.

**ორგანიზაციულ-სამეურნეო ხასიათის ღონისძიებები**

- ღვარცოფის მოსალოდნელი გავლის შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მოსახლეობის ოპერატიული ინფორმირება ანუ მოსალოდნელი საშიშროების დროულად მაუწყებლობის მექანიზმის შემუშავება;
- გამოყენებულ იქნეს ღვარცოფის პროგნოზირების ყველა არსებული მეთოდი, მათ შორის აკადემიკოს ც. მირცხულავას რეკომენდაცია [11], რომელიც დამყარებულია საიმედოობის თეორიის საფუძვლებზე და ღვარცოფულ კერებში დაგროვილი ღვარცოფული მასალის ოდენობის ფიქსირებაზე, მის ძვრაზე კრიტიკული მდგომარეობის შეფასების მიზნით;
- მოსახლეობაში ახსნა-განმარტებითი სამუშაოების ჩატარება ღვარცოფის მოსალოდნელი გავლის შემთხვევაში ქცევების შესახებ.

**ღვარცოფული გამონატანის შესაძლო გამოყენება სახალხო მეურნეობაში (უტილიზაცია)**

- შემუშავდეს ღონისძიებები ღვარცოფული გამონატანის უტილიზაციისათვის: ვენახისათვის სასუქის სახით გამოყენება, სამშენებლო მასალად გამოყენება, კერამიკული ნაკეთობების დამზადება, მშენებლობისათვის თბოსაიზოლაციო, აგრეთვე მოსაპირკეთებელი ფილების დამზადება რელიეფდანაწევრებული ტერიტორიების მოსაშენდაკებლად, საავტომობილო გზების მშენებლობაზე და ა.შ., რითაც ჩანაცვლდება იმპორტირებული სხვადასხვა სახის სამშენებლო მასალები, უფრო მეტიც - ჩვენი ქვეყანა შესაძლებელია გახდეს ამ სახეობის სამშენებლო მასალის ექსპორტიორიც კი.

---

## ლიტერატურა

1. **გავარდაშვილი გ.ვ.** – Разработка схем расположения противоселевых сооружений на горных реках. Труды международной конференции по теме эрозионно-селевые явления и некоторые смежные проблемы. Труды института Грузгидроэкологии. Тбилиси, 2001, с. 33 – 39.
2. **გავარდაშვილი გ.ვ.** – მდინარე დურუჯის აუზში ეროზიულ-დვარცოფული პროცესების პროგნოზირება და მათი საწინააღმდეგო ახალი საინჟინრო-ეკოლოგიური ღონისძიებები. “მეცნიერება” თბილისი, 2003, 116 გვ.
3. **გავარდაშვილი გ.ვ., Чахая Г. Г., Цулукидзе Л. Н.** – Оценка эрозионно-селевых явлений в бассейнах рек Терек, Белая Арагви и Дуруджи. В кн.: Защита народнохозяйственных объектов от воздействия селевых потоков. (Материалы Международной конференции по селям). Новочеркасск – Пятигорск, 2003, с. 22- 24.
4. **გავარდაშვილი გ.ვ., ჩახაია გ.გ.** – საქართველოს ძირითადი დვარცოფული ტიპის მდინარეთა აუზების ტიპოლოგია და მათი შეფასება. წიგნში – “წყალსამეურნეო და ჰიდრომელიორაციული ობიექტების მდგრადობა საიმედოობა და ეკოლოგიური უსაფრთხოება” საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის “ჰიდროეკოლოგიის” ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული, თბილისი 2005, გვ. 12 – 19.
5. **გავარდაშვილი გ.ვ.** – Прогнозирование эрозионных процессов в бассейне реки Дуруджи. Труды Международной конференции – Селевые потоки: катастрофы, риск, прогноз, защита. Пятигорск, 2008, с. 270-273.
6. **გავარდაშვილი გ.ვ.** - Определение максимальных расходов селевых потоков на реке Дуруджи. Труды Международной конференции – Селевые потоки: катастрофы, риск, прогноз, защита. Пятигорск, 2008, с.274-277.
7. **გავარდაშვილი გ.ვ.** – Современное экологическое состояние бассейна р. Дуруджи. //Экологические системы и приборы. Москва, 2008, с. 51-55.
8. **გავარდაშვილი გ.ვ.** - ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების მთის ლანდშაფტების უსაფრთხოების ღონისძიებები. თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2011, 237 გვ.
9. **Gavardashvili G.V., Ayyb B.M.** - The Field Investigation of Erosion and Debris Flow Processes in Catchment Basin of the Duruji River. 5th International Conference on Debris-Flow Hazards Mitigation, Mechanics, Prediction and Assessment. Padua, ITALY - 14-17 June 2011. pp. 63-71.
10. **გაგოშიძე მ.ს.** – Селевые явления и борьба с ними. Тбилиси, 1970, 385 с.
11. **Мирцхулава Ц.Е.** – Оценка частоты появления селей катастрофического характера. // Гидротехническое строительство, 1998, №5, с. 16-19.
12. **ნატიშვილი ო.გ., ტევადзе ვ.ი.** – Селевые явления. Тбилиси, «Мецნიერება», 1994, 205 с.
13. **Церетели Э.Д., Бердзенишвили Д.П., Таташидзе З.И., Челидзе Т.Д., Тавелишвили ო.გ., Херхеулидзе Г.И., ტევადзе ვ.ი.** - Особенности формирования катастрофических селей в бассейне р. Дуруджи и безопасность г. Кварели. Эрозионно-селевые явления и некоторые смежные проблемы. Труды международной конференции. Тбилиси, 2001, с. 229-235.

**ცხრილით მოცემული მრავალცვლადიანი ფუნქციის ანალიზური  
სახით ჩაწერის და ექსპერიმენტის დაბეზმვისა და ჩატარების მათემატიკური  
მოდელების მეთოდი**

ირაკლი გორჯოლაძე<sup>1</sup>, ნათია გორჯოლაძე<sup>2</sup>, ხატია გორჯოლაძე<sup>1</sup>

E-mail: *khatia\_g@yahoo.com*

1) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
მ. კოსტავას ქ. №77, ქ. თბილისი, საქართველო

2) შპს “იუ-ჯი-თი”  
ი. ჭავჭავაძის გამზ. №17ა, ქ. თბილისი, საქართველო

**შესავალი**

ვიხილავთ  $n \geq 2$  ცვლადზე დამოკიდებულ  $u(x, y, z, t, \dots, v, l, \omega, \tau)$  ცხრილით მოცემულ ფუნქციას, რომლის ცვლადების დონეებია შესაბამისად  $\alpha, \beta, \mu, \delta, \dots, \gamma, \sigma, \rho, \lambda$  (მივიღოთ, რომ  $\alpha \geq \beta \geq \mu \geq \delta \geq \dots \geq \sigma \geq \rho \geq \lambda$ ). ფიქსირებული ინდექსებია:  $c, s; d, k; p, q; \dots, a, b, m, g; u \in R^n$ .

შემოვიღოთ მრავალცვლადიანი ფუნქციის რანგის ცნება. დავიწყოთ უმარტივესი შემთხვევით:  $n=2$ . ვთქვათ,  $u(x, y)$  ფუნქცია მოცემულია 1-ლი ცხრილით. მისი ელემენტებით შევადგინოთ  $U = (u_{ij})$  მატრიცა და ვუწოდოთ მას ფუნქციის მნიშვნელობათა მატრიცა. მისი რანგი აღვნიშნოთ  $r$ -ით.

**განსაზღვრა 1.** თუ  $r < \beta$ , მაშინ  $r$ -ს ვუწოდოთ ორცვლადიანი ფუნქციის რანგი. მაგალითად,  $F = ma$  ფუნქციის რანგი არის 1, ხოლო  $\sin(x+y)$ -სა - 2.

$u(x, y, z)$  სამცვლადიან ფუნქციაში ერთ-ერთი ცვლადის დაფიქსირებით მიღებული დანარჩენ ორ ცვლადზე დამოკიდებულებების რანგები შესაბამისად აღვნიშნოთ  $r_x, r_y, r_z$ -ით.

**განსაზღვრა 2.**  $r_x, r_y$  და  $r_z$  რიცხვებს შორის უდიდესს ვუწოდოთ სამცვლადიანი ფუნქციის რანგი. ანალოგიურად განისაზღვრება ოთხ და უფრო მეტ ცვლადზე დამოკიდებული ფუნქციის რანგი.

**ცხრილი 1**

$y \backslash x$	$y_1$	$y_2$	$\cdot$	$y_j$	$\cdot$	$y_d$	$\cdot$	$y_k$	$\cdot$	$y_\beta$
$x_1$	$u_{11}$	$u_{12}$	$\cdot$	$u_{1j}$	$\cdot$	$u_{1d}$	$\cdot$	$u_{1k}$	$\cdot$	$u_{1\beta}$
$x_2$	$u_{21}$	$u_{22}$	$\cdot$	$u_{2j}$	$\cdot$	$u_{2d}$	$\cdot$	$u_{2k}$	$\cdot$	$u_{2\beta}$
$\cdot$	$\cdot$	$\cdot$	$\cdot$	$\cdot$	$\cdot$	$\cdot$	$\cdot$	$\cdot$	$\cdot$	$\cdot$
$x_i$	$u_{i1}$	$u_{i2}$	$\cdot$	$u_{ij}$	$\cdot$	$u_{id}$	$\cdot$	$u_{ik}$	$\cdot$	$u_{i\beta}$
$\cdot$	$\cdot$	$\cdot$	$\cdot$	$\cdot$	$\cdot$	$\cdot$	$\cdot$	$\cdot$	$\cdot$	$\cdot$
$x_c$	$u_{c1}$	$u_{c2}$	$\cdot$	$u_{cj}$	$\cdot$	$u_{cd}$	$\cdot$	$u_{ck}$	$\cdot$	$u_{c\beta}$
$\cdot$	$\cdot$	$\cdot$	$\cdot$	$\cdot$	$\cdot$	$\cdot$	$\cdot$	$\cdot$	$\cdot$	$\cdot$
$x_s$	$u_{s1}$	$u_{s2}$	$\cdot$	$u_{sj}$	$\cdot$	$u_{sd}$	$\cdot$	$u_{sk}$	$\cdot$	$u_{s\beta}$
$\cdot$	$\cdot$	$\cdot$	$\cdot$	$\cdot$	$\cdot$	$\cdot$	$\cdot$	$\cdot$	$\cdot$	$\cdot$
$x_\alpha$	$u_{\alpha 1}$	$u_{\alpha 2}$	$\cdot$	$u_{\alpha j}$	$\cdot$	$u_{\alpha d}$	$\cdot$	$u_{\alpha k}$	$\cdot$	$u_{\alpha \beta}$

**შენიშვნა 1.** მივიღოთ, რომ ქვემოთ განხილული ყველა ფუნქცია ელემენტარულია.

[1] ნაშრომში დავამტკიცეთ შემდეგი თეორემა: თუ  $n \geq 2$  ცვლადზე დამოკიდებული  $u(x, y, z, t, \dots, v, l, \omega, \tau)$  ფუნქციის რანგი არის 1, მაშინ მისი მათემატიკური მოდელია

$$u = f(x)\varphi(y)\eta(z)\xi(t)\cdots\zeta(v)\psi(l)w(\omega)\theta(\tau) \quad (1)$$

ხოლო ანალიზური სახის დამდგენი ფორმულა –

$$u = u_{dpq\dots abmg}(x)u_{cdp\dots abmg}(y)u_{cdq\dots abmg}(z)\cdots u_{cdpq\dots amg}(l)u_{cdpq\dots abg}(\omega) \times \\ \times u_{cdpq\dots abm}(\tau):u_{cdpq\dots abmg}^{n-1} \quad (2)$$

როცა  $n=2$ , მაშინ (1) და (2) ასეთ სახეს იღებს:

$$u(x, y) = f(x)\varphi(y), \quad (3)$$

$$u(x, y) = u_d(x)u_c(y)/u_{cd}. \quad (4)$$

როცა  $n=3$ , მაშინ

$$u(x, y, z) = f(x)\varphi(y)\eta(z), \quad (5)$$

$$u(x, y, z) = u_{dp}(x)u_{cp}(y)u_{cd}(z)/u_{cdp}^2. \quad (6)$$

(2)-ით გამოსახულ კანონზომიერებას **ნამრავლის კანონი** ვუწოდებთ.

$\det U_r$  სიმბოლოთი აღვნიშნოთ  $U$  მატრიცის ელემენტებით შედგენილი  $r$  რიგის დეტერმინანტი. ერთ-ერთი სტრიქონი (სვეტი) გამოვაკლოთ დანარჩენ სტრიქონებს (სვეტებს) და მაკლები სტრიქონი (სვეტი) შევცვალოთ ერთეულოვანი სტრიქონით (სვეტით). მიღებულ დეტერმინანტს ვუწოდებთ **სხვაობ-ერთეულოვანი დეტერმინანტი** და აღვნიშნოთ ის  $\det \bar{U}_r$ -ით.

**განსაზღვრა 3.** თუ  $u$  ფუნქციის  $U$  მნიშვნელობათა მატრიცის ელემენტებით შედგენილი  $r+1$  რიგის სხვაობ-ერთეულოვანი დეტერმინანტებიდან ერთი მაინც განსხვავებულია ნულისგან, ხოლო  $r$  რიგისა კი ყველა ნულის ტოლია და, თუ  $r < \beta$ , მაშინ  $r$ -ს ვუწოდებთ  $u$  ფუნქციის **ხაზიანი რანგი** და აღვნიშნოთ ის  $\bar{F}$ -ით.

### პირითაღი ნაწილი

[2] ნაშრომში დავამტკიცეთ შემდეგი თეორემა: თუ  $n \geq 2$  ცვლადზე დამოკიდებული  $u(x, y, z, t, \dots, v, l, \omega, \tau)$  ფუნქციის ხაზიანი რანგი არის 2, მაშინ მისი მათემატიკური მოდელია

$$u = f(x) + \varphi(y) + \eta(z) + \xi(t) + \cdots + \zeta(v) + \psi(l) + w(\omega) + \theta(\tau), \quad (7)$$

ხოლო ანალიზური სახის დამდგენი ფორმულა –

$$u = u_{dpq\dots abmg}(x) + u_{cdp\dots abmg}(y) + u_{cdq\dots abmg}(z) + \cdots + u_{cdpq\dots amg}(l) + u_{cdpq\dots abg}(\omega) + \\ + u_{cdpq\dots abm}(\tau) - (n-1)u_{cdpq\dots abmg} \quad (8)$$

როცა  $n=2$ , მაშინ (1) და (2) ასეთ სახეს იღებს:

$$u(x, y) = f(x) + \varphi(y), \quad (9)$$

$$u(x, y) = u_d(x) + u_c(y) - u_{cd}. \quad (10)$$

როცა  $n=3$ , მაშინ

$$u(x, y, z) = f(x) + \varphi(y) + \eta(z), \quad (11)$$

$$u(x, y, z) = u_{dp}(x) + u_{cp}(y) + u_{cd}(z) - u_{cdp}^2. \quad (12)$$

(8)-ით გამოსახულ კანონზომიერებას ჯამის კანონი ვუწოდებთ.

[3] ნაშრომში განვიხილეთ ცხრილით მოცემული  $u(x, y, z, t)$  ოთხცვლადიანი ფუნქციის (ცხრილი 2) ის შემთხვევა, როცა მისი რანგი 2. მივიღეთ ფუნქციის ანალიზური სახის დამღებნი ფორმულა,

$$u(x, y, z, t) = \{u_d(x, z, t)[u_c(y, z, t)u_{sk}(z, t) - u_s(y, z, t)u_{ck}(z, t)] - u_k(x, z, t)[u_c(y, z, t)u_{sd}(z, t) - u_s(y, z, t)u_{cd}(z, t)] : [u_{cd}(z, t)u_{sk}(z, t) - u_{ck}(z, t)u_{sd}(z, t)], \quad (13)$$

რომელშიც შემავალი სამცვლადიანი ფუნქციები ბმულებით გამოითვლება შემდეგი ფორმულებით:

$$u_d(x, z, t) = \{u_{dp}(x, t)[u_{cd}(z, t)u_{sdq}(t) - u_{sd}(z, t)u_{cdq}(t)] - u_{dq}(x, t)[u_{cd}(z, t)u_{sdp}(t) - u_{sd}(z, t)u_{cdp}(t)]\} : [u_{cdp}(t)u_{sdq}(t) - u_{cdq}(t)u_{sdp}(t)], \quad (14)$$

$$u_k(x, z, t) = \{u_{kp}(x, t)[u_{ck}(z, t)u_{skq}(t) - u_{sk}(z, t)u_{ckq}(t)] - u_{kq}(x, t)[u_{ck}(z, t)u_{skp}(t) - u_{sk}(z, t)u_{ckp}(t)]\} : [u_{ckp}(t)u_{skq}(t) - u_{ckq}(t)u_{skp}(t)], \quad (15)$$

$$u_c(y, z, t) = \{u_{cp}(y, t)[u_{cd}(z, t)u_{ckq}(t) - u_{ck}(z, t)u_{cdq}(t)] - u_{cq}(y, t)[u_{cd}(z, t)u_{ckp}(t) - u_{ck}(z, t)u_{cdp}(t)]\} : [u_{cdp}(t)u_{ckq}(t) - u_{cdq}(t)u_{ckp}(t)], \quad (16)$$

$$u_s(y, z, t) = \{u_{sp}(y, t)[u_{sd}(z, t)u_{skq}(t) - u_{sk}(z, t)u_{sdq}(t)] - u_{sq}(y, t)[u_{sd}(z, t)u_{skp}(t) - u_{sk}(z, t)u_{sdp}(t)]\} : [u_{sdp}(t)u_{skq}(t) - u_{sdq}(t)u_{skp}(t)], \quad (17)$$

ცხრილი 2

t	z	z <sub>l</sub>						.	z <sub>p</sub>						.	z <sub>q</sub>						.
	y x	y <sub>l</sub>	.	y <sub>d</sub>	.	y <sub>k</sub>	.	.	y <sub>d</sub>	.	y <sub>k</sub>	.	.	.	y <sub>d</sub>	.	y <sub>k</sub>	.	.			
t <sub>l</sub>	x <sub>l</sub>	u <sub>l111</sub>	.	u <sub>l1d11</sub>	.	u <sub>l1k11</sub>	.	.	u <sub>l1dp1</sub>	.	u <sub>l1kp1</sub>	.	.	.	u <sub>l1dq1</sub>	.	u <sub>l1kq1</sub>	.	.			
	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.			
	x <sub>c</sub>	u <sub>cl11</sub>	.	u <sub>cd11</sub>	.	u <sub>ck11</sub>	.	.	u <sub>cdp1</sub>	.	u <sub>ckp1</sub>	.	.	.	u <sub>cdq1</sub>	.	u <sub>ckq1</sub>	.	.			
	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.			
	x <sub>s</sub>	u <sub>sl11</sub>	.	u <sub>sd11</sub>	.	u <sub>sk11</sub>	.	.	u <sub>sdp1</sub>	.	u <sub>skp1</sub>	.	.	.	u <sub>sdq1</sub>	.	u <sub>skq1</sub>	.	.			
.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.			
t <sub>e</sub>	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.			
	x <sub>c</sub>	u <sub>cl1e</sub>	.	u <sub>cd1e</sub>	.	u <sub>ck1e</sub>	.	.	u <sub>cdpe</sub>	.	u <sub>ckpe</sub>	.	.	.	u <sub>cdqe</sub>	.	u <sub>ckqe</sub>	.	.			
	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.			
	x <sub>s</sub>	u <sub>sl1e</sub>	.	u <sub>sd1e</sub>	.	u <sub>sk1e</sub>	.	.	u <sub>sdpe</sub>	.	u <sub>skpe</sub>	.	.	.	u <sub>sdqe</sub>	.	u <sub>skqe</sub>	.	.			
	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.			

ცხრილი 2 (გაგრძელება)

$t_h$	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.		
	$x_c$	$u_{c11h}$	.	$u_{cd1h}$	.	$u_{ck1h}$	.	.	.	$u_{cdph}$	.	$u_{ckph}$	.	.	.	$u_{cdqh}$	.	$u_{ckqh}$	.	.	
	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.
	$x_s$	$u_{s11h}$	.	$u_{sd1h}$	.	$u_{sk1h}$	.	.	.	$u_{sdph}$	.	$u_{skph}$	.	.	.	$u_{sdqh}$	.	$u_{skqh}$	.	.	
	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.
.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.	.

ხოლო ორცვლადიანი ფუნქციებისთვის გვაქვს შემდეგი ფორმულები:

$$u_{dp}(x, t) = \{u_{dpe}(x)[u_{cdp}(t)u_{sdph} - u_{sdp}(t)u_{cdph}] - u_{dph}(x)[u_{cdp}(t)u_{sdpe} - u_{sdp}(t)u_{cdpe}]\} : \\ : (u_{cdpe}u_{sdph} - u_{cdph}u_{sdpe}), \quad (18)$$

$$u_{dq}(x, t) = \{u_{dpe}(x)[u_{cdq}(t)u_{sdqh} - u_{sdq}(t)u_{cdqh}] - u_{dph}(x)[u_{cdq}(t)u_{sdqe} - u_{sdq}(t)u_{cdqe}]\} : \\ : (u_{cdqe}u_{sdqh} - u_{cdqh}u_{sdqe}), \quad (19)$$

$$u_{kp}(x, t) = \{u_{kpe}(x)[u_{ckp}(t)u_{skph} - u_{skp}(t)u_{ckph}] - u_{kph}(x)[u_{ckp}(t)u_{skpe} - u_{skp}(t)u_{ckpe}]\} : \\ : (u_{ckpe}u_{skph} - u_{ckph}u_{skpe}), \quad (20)$$

$$u_{kq}(x, t) = \{u_{kpe}(x)[u_{ckq}(t)u_{skqh} - u_{skq}(t)u_{ckqh}] - u_{kph}(x)[u_{ckq}(t)u_{skqe} - u_{skq}(t)u_{ckqe}]\} : \\ : (u_{ckqe}u_{skqh} - u_{ckqh}u_{skqe}), \quad (21)$$

$$u_{cp}(y, t) = \{u_{cpe}(y)[u_{cdp}(t)u_{ckph} - u_{ckp}(t)u_{cdph}] - u_{cph}(y)[u_{cdp}(t)u_{ckpe} - u_{ckp}(t)u_{cdpe}]\} : \\ : (u_{cdpe}u_{ckph} - u_{cdph}u_{ckpe}), \quad (22)$$

$$u_{cq}(y, t) = \{u_{sqe}(y)[u_{cdp}(t)u_{ckqh} - u_{ckq}(t)u_{cdph}] - u_{cqh}(y)[u_{cdq}(t)u_{ckqe} - u_{ckq}(t)u_{cdqe}]\} : \\ : (u_{cdqe}u_{ckqh} - u_{cdqh}u_{ckqe}), \quad (23)$$

$$u_{sp}(y, t) = \{u_{spe}(y)[u_{sdp}(t)u_{skph} - u_{skp}(t)u_{sdph}] - u_{sph}(y)[u_{sdp}(t)u_{skpe} - u_{skp}(t)u_{sdpe}]\} : \\ : (u_{sdpe}u_{skph} - u_{sdph}u_{skpe}), \quad (24)$$

$$u_{sq}(y, t) = \{u_{sqe}(y)[u_{sdp}(t)u_{skqh} - u_{skq}(t)u_{sdph}] - u_{sqh}(y)[u_{sdq}(t)u_{skqe} - u_{skq}(t)u_{sdqe}]\} : \\ : (u_{cdqe}u_{ckqh} - u_{cdqh}u_{ckqe}), \quad (25)$$

$$u_{cd}(z, t) = \{u_{cde}(z)[u_{cdp}(t)u_{cdqh} - u_{cdq}(t)u_{cdph}] - u_{cph}(z)[u_{cdp}(t)u_{cdqe} - u_{cdp}(t)u_{cdpe}]\} : \\ : (u_{cdpe}u_{cdqh} - u_{cdph}u_{cdqe}), \quad (26)$$

$$u_{sd}(z, t) = \{u_{sde}(z)[u_{sdp}(t)u_{sdqh} - u_{sdq}(t)u_{sdph}] - u_{sdh}(z)[u_{sdp}(t)u_{sdqe} - u_{sdp}(t)u_{sdpe}]\} : \\ : (u_{sdpe}u_{sdqh} - u_{sdph}u_{sdqe}), \quad (27)$$

$$u_{ck}(z, t) = \{u_{cke}(z)[u_{ckp}(t)u_{ckqh} - u_{ckq}(t)u_{ckph}] - u_{ckh}(z)[u_{ckp}(t)u_{ckqe} - u_{skp}(t)u_{ckpe}]\} : \\ : (u_{ckpe}u_{ckqh} - u_{ckph}u_{ckqe}), \quad (29)$$



$$u_{sk}(z, t) = \{u_{ske}(z)[u_{skp}(t)u_{sdqh} - u_{skq}(t)u_{skph}] - u_{skh}(z)[u_{skp}(t)u_{skqe} - u_{skq}(t)u_{skpe}]\} : (u_{skpe}u_{skqh} - u_{skph}u_{skqe}). \quad (30)$$

[4] ნაშრომში განვიხილეთ ორცვლადიანი ფუნქციის შემდეგი სახის მათემატიკური მოდელები, რომელთაც ჩვენ რაციონალურ-მაჩვენებლიანი ხარისხის შემცველი მათემატიკური მოდელები ვუწოდებთ ( $\lambda = const \in \mathcal{Q}$ ):

$$u(x, y) = \left[ \sum_{v=1}^r f_v(x) \varphi_v(y) \right]^\lambda, \quad (31)$$

$$u(x, y) = \left[ \sum_{v=1}^{r-1} f_v(x) \varphi_v(y) + g(x) \right]^\lambda, \quad (32)$$

$$u(x, y) = \left[ \sum_{v=1}^{r-1} f_v(x) \varphi_v(y) + \psi(y) \right]^\lambda, \quad (33)$$

$$u(x, y) = \left[ \sum_{v=1}^r f_v(x) \varphi_v(y) + a \right]^\lambda, \quad (34)$$

$$u(x, y) = \left[ \sum_{v=1}^{r-2} f_v(x) \varphi_v(y) + g(x) + \psi(y) \right]^\lambda, \quad (35)$$

$$u(x, y) = \left\{ \prod_{v=1}^{r'-1} [f_v(x)]^{\varphi_v(y)} + a \right\}^\lambda, \quad (36)$$

$$u(x, y) = \left\{ \prod_{v=1}^{r'-1} [f_v(x)]^{\varphi_v(y)} g(x) + a \right\}^\lambda, \quad (37)$$

$$u(x, y) = \left\{ \prod_{v=1}^{r'-1} [f_v(x)]^{\varphi_v(y)} \psi(y) + a \right\}^\lambda, \quad (38)$$

$$u(x, y) = \left\{ \prod_{v=1}^{r'-2} [f_v(x)]^{\varphi_v(y)} g(x) \psi(y) + a \right\}^\lambda, \quad (39)$$

სადაც:  $a = const \in \mathcal{R}$ ,  $f_v, \varphi_v, g, \psi$  ელემენტარული ფუნქციებია, ხოლო  $r$  და  $r'$  გარკვეული მატრიცების რანგებია.

(31)-(39) მოდელებიდან ყოველი მათგანისთვის დადგენილი გვაქვს მამოწმებელი კრიტერიუმი და ერთ-ერთი სახის მოდელის მაგალითზე ჩამოყალიბებულია საძიებელი ფუნქციის ანალიზური სახით ჩაწერის მეთოდი.

[5] ნაშრომში განვიხილეთ შემდეგი სახის ე.წ. კომბინირებული მათემატიკური მოდელები:

$$u(x, y) = \left[ \sum_{v=1}^r f_v(x) \varphi_v(y) \right]^\lambda + b, \quad (40)$$

$$u(x, y) = \left[ \sum_{v=1}^{r-1} f_v(x) \varphi_v(y) + g(x) \right]^\lambda + b, \quad (41)$$

$$u(x, y) = \left[ \sum_{v=1}^{r-1} f_v(x) \varphi_v(y) + \psi(y) \right]^\lambda + b, \quad (42)$$

$$u(x, y) = \left[ \sum_{v=1}^r f_v(x) \varphi_v(y) + a \right]^\lambda + b, \quad (43)$$

$$u(x, y) = \left[ \sum_{v=1}^{r-2} f_v(x) \varphi_v(y) + g(x) + \psi(y) \right]^\lambda + b, \quad (44)$$

$$u(x, y) = \left\{ \prod_{v=1}^{r'-1} [f_v(x)]^{\varphi_v(y)} + a \right\}^\lambda + b, \quad (45)$$

$$u(x, y) = \left\{ \prod_{v=1}^{r'-1} [f_v(x)]^{\varphi_v(y)} g(x) + a \right\}^\lambda + b, \quad (46)$$

$$u(x, y) = \left\{ \prod_{v=1}^{r'-1} [f_v(x)]^{\varphi_v(y)} \psi(y) + a \right\}^\lambda + b, \quad (47)$$

$$u(x, y) = \left\{ \prod_{v=1}^{r'-2} [f_v(x)]^{\varphi_v(y)} g(x) \psi(y) + a \right\}^\lambda + b, \quad (48)$$

სადაც  $\lambda = const \in Q$ ,  $a = const \in R$ ,  $b = const \in R$ ,  $f_v, \varphi_v, g, \psi$  ელემენტარული ფუნქციებია, ხოლო  $r$  და  $r'$  გარკვეული მატრიცების რანგები.

(40)-(48) მოდელებიდან ყოველი მათგანისთვის დადგენილი გვაქვს მამოწმებელი კრიტერიუმი და ერთ-ერთი სახის მოდელის მაგალითზე ჩამოყალიბებულია საძიებელი ფუნქციის ანალიზური სახით ჩაწერის მეთოდი.

[6] და [7] ნაშრომებში განვიხილეთ შესაბამისად ორ- და სამფაქტორიანი ექსპერიმენტის დაგეგმვისა და ჩატარების მათემატიკური მოდელების მოდელი, რომელიც დაფუძნებულია მრავალცვლადიანი ფუნქციის რანგის შემოღებასა და ცხრილით მოცემული ორ- და სამცვლადიანი ფუნქციების ანალიზური სახით ჩაწერის მათემატიკური მოდელების მეთოდების გამოყენებაზე. ვიცით რა ორ და სამცვლადიანი ფუნქციების მრავალი სახის მათემატიკური მოდელების მამოწმებელი კრიტერიუმები, კლასიკური ექსპერიმენტისგან განსხვავებით, თავიდანვე ცდებს ვატარებთ ისეთი თანმიმდევრობითა და ოდენობით, რომელიც საჭიროა საძიებელი ფუნქციის უმარტივესი მოდელის დასადგენად. ცხადია, რთული მოდელების შემთხვევაში, გარკვეული მიზანშეწონილობით ვზრდით ცდების ოდენობას.

**ცხრილი 3**

x \ y	2	4	6	8	10
	1	2	3	4	5
1			10		
2	5		25		45
3			50		
4			85		
5	26	78	130	182	234
6			185		
7	50		250		450

(3) მოდელის მაგალითზე გავეცნოთ მისი შესაბამისი ფუნქციის ანალიზური სახით ჩაწერის მექანიზმს.

ვთქვათ,  $x$  და  $y$  ცვლადების მნიშვნელობები მოცემულია მე-3 ცხრილში. გვინდა დავადგინოთ  $u(x, y)$  ფუნქციის ანალიზური სახე.

დავუშვათ, ჩავატარებთ 4 ცდა და გავიგეთ  $u_{21} = 5$ ,  $u_{23} = 25$ ,  $u_{51} = 26$ ,  $u_{53} = 130$ . ადვილად მივიღებთ:

$$\begin{pmatrix} 5 & 25 \\ 26 & 130 \end{pmatrix} = \begin{pmatrix} 1 & 5 \\ 26 & 130 \end{pmatrix} = \begin{pmatrix} 1 & 0 \\ 26 & 0 \end{pmatrix} = \begin{pmatrix} 1 & 0 \\ 0 & 0 \end{pmatrix} \Rightarrow r=1.$$

შემოწმების მიზნით ჩავატარეთ კიდევ 5 ცდა და გავიგეთ:  $u_{25} = 45$ ,  $u_{55} = 234$ ,  $u_{71} = 50$ ,  $u_{73} = 250$ ,  $u_{75} = 450$ . გამოვთვალოთ შემდეგი მატრიცის რანგი:

$$\begin{pmatrix} 5 & 25 & 45 \\ 26 & 130 & 234 \\ 50 & 250 & 450 \end{pmatrix} = \begin{pmatrix} 1 & 5 & 9 \\ 26 & 130 & 234 \\ 50 & 250 & 450 \end{pmatrix} = \begin{pmatrix} 1 & 0 & 0 \\ 26 & 0 & 0 \\ 50 & 0 & 0 \end{pmatrix} = \begin{pmatrix} 1 & 0 & 0 \\ 0 & 0 & 0 \\ 0 & 0 & 0 \end{pmatrix} \Rightarrow r=1.$$

შეგვიძლია მივიღოთ, რომ საძიებელი ფუნქციის რანგი არის 1, ამიტომ მის მათემატიკურ მოდელს აქვს (3) სახე, ხოლო ანალიზური სახის დამდგენი ფორმულა მოიცემა (4) ფორმულით.

$u_d(x)$  და  $u_c(y)$  ფუნქციების გასაგებად საჭიროა ვიცოდეთ ერთი სტრიქონისა და ერთი სვეტის ყველა ელემენტი. შევარჩიოთ  $c=5$  და  $d=3$ . ჩავატარეთ დამატებით 6 ცდა და გავიგეთ:  $u_{c2} = u_{52} = 78$ ,  $u_{c4} = u_{54} = 182$ ,  $u_{1d} = u_{13} = 10$ ,  $u_{3d} = u_{33} = 50$ ,  $u_{4d} = u_{43} = 85$ ,  $u_{6d} = u_{63} = 185$ . მე-3 სვეტისა და მე-5 სტრიქონის ელემენტებით დავადგინეთ  $u_d(x) = u_3(x) = 5(x^2 + 1)$ ,  $u_5(y) = 26(y - 1)$ ,  $u_{cd} = u_{53} = 130$ . შევიტანოთ ეს გამოსახულებები (4)-ში და მივიღებთ:

$$u(x, y) = 5(x^2 + 1)26(y - 1)/130 = (x^2 + 1)(y - 1).$$

უცნობი სიდიდის ანალიზური სახით ჩასაწერად დაგვჭირდა  $4 + 5 + 6 = 15$  ცდა. კლასიკური ექსპერიმენტის მიხედვით უნდა ჩავატარებინა  $\alpha \cdot \beta = 7 \cdot 5 = 35$  ცდა.

**შენიშვნა.** ცდის შედეგად მიღებული  $u$ -ს მნიშვნელობები შემთხვევითი სიდიდეებია, ამიტომ ექსპერიმენტის მთელი პროცესი უნდა შეფასდეს ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის ცნობილი მეთოდებით.

ინფორმაციის მოწოდების მიზნით, გვინდა აღვნიშნოთ შემდეგი: რადგან საძიებელი ფუნქციის გასაგებად დიფერენციალური განტოლებების ამოხსნის ფურიეს მეთოდის საფუძველს წარმოადგენს უცნობი ფუნქციის არგუმენტების ერთცვლადიან ფუნქციათა ნამრავლის სახით წარმოდგენა, ამიტომ ამ მეთოდის გამოყენების მამოწმებელ კრიტერიუმი არის ფუნქციის რანგის ერთთან ტოლობა. იგივე ითქმის განზომილებათა ანალიზის მეთოდის გამოყენების შესახებაც.

## დასკვნა

ნაშრომის რეზიუმეში ჩამოთვლილი საკითხები მითითებულ ლიტერატურაში დაწვრილებით არის შესწავლილი: დადგენილია მათემატიკური მოდელების მამოწმებელი კრიტერიუმები და შესაბამისი ფუნქციის ანალიზური სახით ჩამწერი ფორმულები. მოყვანილია კონკრეტული მაგალითები.

### ლიტერატურა

1. გორჯოლაძე ი., გორჯოლაძე ნ. მრავალცვლადიანი ფუნქციის არგუმენტების ერთცვლადიან ფუნქციათა ნამრავლისა და ხარისხის სახის მათემატიკური მოდელების მამოწმებელი კრიტერიუმები //„მექანიკის პრობლემები“, 3(32), 2008, თბილისი, გვ. 65-68 (ინგლ).
2. გორჯოლაძე ი., გორჯოლაძე ნ. მრავალცვლადიანი ფუნქციის არგუმენტების ერთცვლადიან ფუნქციათა ჯამის სახის მათემატიკური მოდელების მამოწმებელი კრიტერიუმი //„მექანიკის პრობლემები“, 4(33), 2008, თბილისი, გვ. 52-58 (ინგლ).
3. გორჯოლაძე ი., გორჯოლაძე ნ. ცხრილით მოცემული ორრანგიანი ოთხი ცვლადის ფუნქციის ანალიზური სახის დამდგენი ფორმულები //„მექანიკის პრობლემები“, 1(34), 2009, თბილისი, გვ. 106-112 (ინგლ).
4. გორჯოლაძე ნ., გორჯოლაძე ი. ორცვლადიანი ფუნქციის რაციონალურ მაჩვენებლიანი ხარისხის შემცველი მათემატიკური მოდელები //„სტუ-ს სამეცნიერო შრომები“ 13(457), 2005, თბილისი, გვ. 9-13.
5. გორჯოლაძე ი., გორჯოლაძე ნ. ორცვლადიანი ფუნქციის კომბინირებული მათემატიკური მოდელები //„სტუ-ს სამეცნიერო შრომები“ 11(459), 2006, თბილისი, გვ. 137-141.
6. გორჯოლაძე ი., გორჯოლაძე ნ. ორფაქტორიანი ექსპერიმენტის დაგეგმვისა და ჩატარების მათემატიკური მოდელების მეთოდი //„მექანიკის პრობლემები“, 1(34), 2009, თბილისი, გვ. 48-51 (ინგლ).
7. გორჯოლაძე ი., გორჯოლაძე ნ. სამფაქტორიანი ექსპერიმენტის დაგეგმვისა და ჩატარების მათემატიკური მოდელების მეთოდი //„მეცნიერება და ტექნოლოგიები“, 11-3, 2009, თბილისი, 23-27 გვ.

## АНТРОПОГЕННЫЕ ПРИЧИНЫ НАВОДНЕНИЙ

**К.З. Дадвани**

Email: *keta.d@mail.ru*

Институт водного хозяйства Грузинского технического университета  
пр. И. Чавчавадзе, 60, г. Тбилиси, Грузия

### ВВЕДЕНИЕ

По оценкам ООН до 10% территории многих стран подвержено периодическим наводнениям и затоплениям. Для Бразилии эта территория составляет 300 тыс. км<sup>2</sup> (3,5%), России – 500 тыс. км<sup>2</sup> (3,0%), США – 280 тыс. км<sup>2</sup> (7,6%) [1].

Учитывая, что на этих территориях проживают десятки миллионов людей, расположены сотни городов и десятки тысяч населенных пунктов, сотни миллионов га сельхозугодий, ущерб от наводнений достигает колоссальных размеров. В некоторых развивающихся странах этот ущерб составляет 10-15% валового национального дохода.

Анализ статистических данных по крупнейшим наводнениям последних десятилетий (Янцзы, Терек, Кубань, Дунай, Эльба-Рейн, Ренд-Ривер, Миссисипи, Миссури, Ганг, Двина, Нева, Амазонка и др.) показывает, что наводнения происходят все более часто и не являются из ряда вон выходящими событиями. Причем наблюдается не только увеличение интенсивности и повторяемости «традиционных» наводнений, но и возникновение их там, где они раньше не происходили. Что касается ущерба от наводнений, то налицо его резкое увеличение [2,3].

Факт роста ущерба от наводнений наглядно подтверждается примером США, где за четыре десятилетия ущерб вырос почти в восемь раз [4]. Получается нечто вроде замкнутого круга, несмотря на постоянное увеличение средств, вкладываемых в строительство противопаводковых сооружений, повышения их качества и надежности, количество наводнений, их интенсивность, а главное, ущерб от них растет во все более ощутимых размерах.

### ОСНОВНАЯ ЧАСТЬ

Защитные противопаводковые мероприятия в целом делят на инженерные и неинженерные. Инженерными считают регулирование стока, его задержание или отвод при помощи искусственных сооружений.

Основной вид защиты территорий от затоплений – создание водохранилищ, где в период паводков и половодий аккумулируется максимальный сток. Созданные каскады водохранилищ позволили значительно снизить угрозу наводнений, на значительном участке выровнен сток, а уровни весеннего половодья не превышают 2-3м над средним многолетним. Правда цена, которую пришлось заплатить за обуздание стихии, оказалась слишком высокой – затоплены десятки тысяч гектаров плодородных земель.

В США на резервные противопаводковые емкости (их полный объем составляет около 300км<sup>3</sup>) приходится треть суммарного объема водохранилищ страны. Противопаводковыми водохранилищами, созданными до 1970 г., защищено от наводнений около 5,2 млн. га. Одним из ярких примеров противопаводкового гидротехнического строительства в этой стране является создание каскада из более 100 водохранилищ на р. Миссури, 32 противопаводковых водохранилища построено на р. Огайо, на р. Теннесси и ее притоках – соответственно 9 и 24 водохранилища [1].

## АНТРОПОГЕННЫЕ ПРИЧИНЫ НАВОДНЕНИЙ

Водоохранилища для борьбы с наводнениями используются во всём мире. Однако в последнее время в связи со все возрастающей ценой на землю (а, как известно, крупные водоохранилища приводят к значительным потерям земельных угодий при их наполнении) все большим вниманием к вопросам охраны окружающей среды наблюдается тенденция к сокращению крупного гидротехнического строительства и переход к созданию средних и малых противопаводковых емкостей (или же полный отказ от них).

Другая эффективная мера инженерной защиты земель от наводнений – сооружение систем обвалования русел рек и морских побережий (насыпей, валов и дамб из различных материалов - земли, камня, бетона), не позволяющих затоплять пойму и прибрежные земли при поднятии воды в реке в период паводка и половодья или при нагоне с моря. В Китае общая длина дамб составляет 170 тыс. км. Только вдоль р. Хуанхэ построено около 5 тыс. км дамб. На востоке США дамбами из валунов и бетонных блоков, а также искусственными дюнами от морских нагонных наводнений защищено морское побережье на протяжении более 400 км.

Для защиты прибрежных территорий от нагонов используют заградительные дамбы, сооружаемые поперек морских заливов или перегораживающие устья рек.

Показателен опыт Нидерландов, где борьба с нагонными наводнениями, образно говоря, - вопрос жизни и смерти. Вдоль морского побережья здесь сооружено почти 1800 км дамб, защищающих отвоєванные у моря земли, на которых выращивают самые высокие в мире урожаи пшеницы, овощных и кормовых культур, здесь же располагаются самые продуктивные пастбища Европы.

Еще одна мера защиты территорий от наводнений – отвод воды из русел рек в период паводка в водоемы-накопители в естественные понижения в рельефе. Одна из крупнейших таких систем существует в нижнем течении Миссисипи. Сами русла рек углубляются, спрямляются и расширяются для увеличения пропускной способности. Такие работы очень широко распространены на равнинных реках.

В городах осуществляют «подсыпку» территорий с целью повышения отметок местности, дренируют затопленные террасы. Ливневые паводки в городах собирают в специальные системы в ливневой канализации. Наиболее крупные и совершенные системы созданы в Лос-Анджелесе, Чикаго, Лондоне, Осаке.

Однако практика показывает, что одни инженерные мероприятия не могут, обеспечить полной защиты от наводнений. Много зависит и от психологии человека. После сооружения тех или иных защитных гидротехнических систем у людей, живущих на подверженном наводнениям территориях, возникает уверенность, что теперь-то, наконец, возможность затопления исключена. Именно в таких местах, как правило, осваивают новые земли, строят жилые здания и промышленные предприятия, прокладывают дороги. При этом забывают о возможности редкого по величине паводка (как мы видели, человек сам способствует росту его вероятности), защитные сооружения оказываются неспособными предотвратить катастрофу и ущербы от затоплений многократно увеличиваются. Люди платят дань природе за свою самоуверенность и недалекость. Естественно, что необходимо повышать надежность противопаводковых сооружений. Но часто это связано с огромными затратами, непосильными для многих государств.

Более всего способствует увеличению частоты наводнений сведение лесов, обладающей значительной водорегулирующей способностью, благодаря высокой инфильтрации лесных почв и лесной подстилки, а также задержанию осадков кронами деревьев. К тому же леса предотвращают эрозию, способствуют сохранению небольших рек и ручьев. Поверхностный сток в лесу в среднем в 15 раз меньше, чем в поле.

После рубок инфильтрационные свойства почвы, снижаются в 3,5 раза, а интенсивность его смыва повышается 15 раз. Исследования, проведенные недавно в Карпатах, показали, что лесной

полог задерживает 3.2% осадков. При сплошной рубке паводковый сток увеличивается на 130-170%. Спустя 2 года инфильтрационные свойства почв восстанавливаются, но лишь при условии незначительного нарушения почвенного покрова в результате рубок и транспортировки древесины. В тропических лесах Индии, Перу и Эквадора сплошные рубки приводят к увеличению стока на 230-250%.

В последние десятилетия вырубка лесов в Европе практически прекращена. По оценке ФАО, их общая площадь на континенте к 2000 г. была увеличена на 9% за счет искусственных посадок. В США и Канаде площадь лесов почти не изменяется, а в азиатских странах сократилась примерно 1,5 раза. Под большой угрозой находится леса тропического и экваториального поясов Африки и Южной Америки. В целом общая площадь лесов в мире будет сокращаться и к 2015 г. составит примерно 4,0 млрд. га – 82% от современной величины.

Значительно влияет на увеличение максимального стока осушение болот – естественных аккумуляторов воды. В Карелии были получены результаты, уточняющие их роль в лесной зоне. Оказалось, что в зависимости от интенсивности осушения среднегодовой сток увеличился с 8 до 22%, а максимальный сток в весеннее половодье на неосушенном водосборе почти в 2 раза меньше, чем на осушенном. На Дальнем Востоке в многоводные годы сток с осушенных земель низких заболоченных пойм и надпойменных террас с болотно-торфянистыми почвами в паводок увеличивается на 20-45% - в среднем на 1,5 – 2,5 мм с 1% осушенной площади. Такая же тенденция характерна и для осушенных нижних надпойменных террас с комплексом луговых оподзоленно-глеевых почв [5].

На увеличение максимального стока большое влияние оказывает и нерациональное ведение сельского хозяйства. К главным причинам повышения стока с обрабатываемых полей в условиях умеренного климата относится уменьшение инфильтрационных свойств почв за счет переуплотнения почвы тяжелой техникой в период обработки и глубокого ее промерзания зимой, усиление эрозии при распашке почв на склонах и почв с легким механическим составом.

Ухудшение инфильтрационных свойств поверхностного слоя – основная причина повышения вероятности наводнения в городах. Это связано с преобладанием на урбанизированных территориях водонепроницаемых покрытий и застройки. Исследования на небольших городских водосборах в США показали, что урбанизация ведет к увеличению повторяемости и величины паводков. Так, при росте площади водонепроницаемых покрытий примерно в 3 раза средние расходы паводков также увеличивались в 3 раза. Аналогичные исследования в других странах показали, что за последние десятилетия максимальные расходы в городах возросли в Канаде в 3 раза, в Японии – в 2,5, в Англии – в 1,5 раза. Установлено, что расход паводка в городе может превышать такой же по обеспеченности расход в сельской местности в 10 раз.

Рост урбанизированных территорий продолжается. Если в 1980 г. в мире они составляли 60 млн. га, то к 2000 г. города уже занимали площадь около 100 млн. га. В настоящее время в развитых в индустриальных государствах под городами находится от 8 до 15% территории. Продолжают расти земельные площади под коммуникациями.

Условия для повышения вероятности наводнений создаются также из-за перегораживания поймы насыпями при строительстве мостов и дорог, что нарушает естественное регулирование максимального стока. Наводнения могут происходить и в результате недостаточной пропускной способности подмостовых отверстий.

Из-за неправильных прогнозов паводков или нарушения правил эксплуатации водохранилищ могут затопляться их берега и участки пойм ниже гидроузла – в первом случае при недостаточной сработке водохранилища перед паводком, во время которого пропускная способность водосливов оказывается недостаточной, во втором – при экстренных пусках воды из водохранилища.

## АНТРОПОГЕННЫЕ ПРИЧИНЫ НАВОДНЕНИЙ

Таким образом, в результате антропогенного воздействия на окружающую среду наблюдается увеличение интенсивности наводнений, вызываемых природными причинами, и возникновение их там, где до хозяйственного освоения они не происходили. Ущерб растет из-за интенсивного хозяйственного использования территорий подверженных периодическим наводнениям: расширения зон рекреации; увеличившихся расходов на восстановительные выплаты пострадавшему населению. Рост абсолютных показателей ущерба определяется также улучшением системы сбора информации и совершенствованием методик расчета.

Исходя из географических и природно-климатических условий проблема наводнений и паводков, имеет важное значение для Грузии.

Вертикальное расчленение территории Грузии, покрытой густой сетью водотоков, сказывается на их характере и режиме. Только 12,8% всей площади республики лежит на высоте ниже 200м, 33,% располагается в пределах 200-1000 м и больше половины всей территории – выше 1000 м.

20. **Xia, H.P., Ao, H.X., Liu, S.Z. and He D.Q.** (1999). Application of the vetiver grass bioengineering technology for the prevention of highway slippage in southern China in: *Proc., Conf. Ground and Water Bioengineering for Erosion Control Slope Stabilization*, Manila.

**სამელიორაციო სამსკლუატაციო ორგანიზაციების  
ეშეშტური და მღბრადი ფუნქციონირების საკითხები**

**მარტინ ვართანოვი**

**E-mail: v.martin.hm@gmail.com**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი  
ი. ჭავჭავაძის პრ. 60, ქ. თბილისი, საქართველო

**შესავალი**

საქართველოს ბუნებრივ-კლიმატური პირობები მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მორწყვის, როგორც ინტენსიური სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარების, ერთ-ერთი ფაქტორის აუცილებლობას.

ამჟამად ქვეყანაში ხორციელდება მელიორაციული ფონდების რეაბილიტაციის, მისი ცალკეული მნიშვნელოვანი ელემენტების რეკონსტრუქციის და მოდერნიზაციის ფართო პროგრამა, თუმცა, საექსპლუატაციო სამუშაოების დაფინანსების ორგანიზაციის არასრულყოფილი სისტემის შედეგად მრავალი სარწყავი სისტემა, მათ შორის ბოლო წლებში რეაბილიტირებული – ინგრევა, რაც იწვევს სარწყავი წყლის დიდ დანაკარგებს და მოსარწყავი სავარგულების დაბალ პროდუქტიულობას.

**პირითაღი ნაწილი**

შექმნილი ტენდენციის გარდატეხის მიზნით აუცილებელია, პირველ რიგში, განისაზღვროს მელიორაციული ობიექტების დაფინანსების საიმედო წყაროები, რომელიც შეიძლება იყოს, ერთი მხრივ, სახელმწიფო, მეორე მხრივ, ფერმერული მეურნეობები, ამავე დროს, არ არის გამორიცხული აღნიშნული წყაროების მიერ ირიგაციის დაფინანსების ერთდროული და ერთობლივი შესაძლებლობაც.

როგორც მსოფლიო გამოცდილებამ აჩვენა, სახელმწიფო ხშირად და აქტიურად მონაწილეობს წყალმომარაგების სისტემის შექმნასა და მართვაში, ხოლო, როცა შესაძლებელია, მთლიანად ან ნაწილობრივ აფინანსებს კაშხლების, წყალგამწმენდი სადგურებისა და ირიგაციული სისტემების მშენებლობას, რაც მას საშუალებას აძლევს აქტიურად იმოქმედოს წყლის განაწილების პროცესებზე, სელექციურად ასტიმულიროს ქვეყნის ამა თუ იმ რეგიონის განვითარება და სწორედ ამგვარად გაატაროს სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა. გარდა ამისა, ამ სამუშაოების დაკრედიტება, როგორც პროექტის რეალიზაციის ტექნიკური კონტროლის, ასევე წყლის რაციონალური გამოყენების საშუალებას იძლევა, რაც შეეხება სახელმწიფო მონაწილეობას ირიგაციული სისტემების დაფინანსებაში, მისი როლი უნდა იყოს მინიმალური და შემოიფარგლოს დაკრედიტებით, ისიც მხოლოდ გამონაკლის შემთხვევაში – სეზონებს შორის პერიოდში.

მელიორაციული ობიექტების ექსპლუატაციის სფეროში მიმართული სახელმწიფო სახსრები, გარკვეულწილად ამცირებს ფერმერების მიერ გადახდილ წყლის საფასურს და ამით ქმნის წყლის გადასახადის სიიაფის ილუზიას, რაც აუცილებლად იწვევს წყლის გადახარჯვას მისგან გამომდინარე ნეგატიური ეკონომიკური და ეკოლოგიური შედეგებით.

აქედან გამომდინარე, საექსპლუატაციო სამუშაოების დაფინანსების მთავარ წყაროს წარმოადგენს ფერმერებისა და სხვა წყალმომხმარებლისაგან წყლის რეალიზაციის შედეგად მიღებული თანხები. ამ დროს წყლის საფასური იმ ორგანიზაციებს შორის

ურთიერთობის მყარი ეკონომიკური საფუძველი ხდება, რომლებიც წარმოდგენილია, ერთი მხრივ, სარწყავი სისტემების მომსახურებით და მეორე მხრივ, წყლის მომხმარებლებით – ფერმერებით, მათი ასოციაციებით და სხვ.

ურთიერთობების ამგვარი რეალიზაცია პირობებს ქმნის ირიგაციული სისტემების რენტაბელობის ამაღლების, წყლის დანაკარგების შემცირების, წყალგანაწილების სისტემაში ავტომატიზაციის თანამედროვე მეთოდების დანერგვის, ახალი მაღალეფექტიანი ჰიდრომელიორაციული ობიექტების დაპროექტების.

ამგვარად, ფასიანი წყალსარგებლობა წარმოადგენს ეკონომიკური სისტემის – „საექსპლუატაციო მელიორაციული ორგანიზაცია – წყალმომხმარებელი“ მეურნეობა მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების მძლავრ ბერკეტს, თუმცა, ფასიანი წყალსარგებლობის სრულმასშტაბიანი რეალიზაცია საჭიროებს სარწყავი წყლის ტარიფიკაციის მეცნიერულ დასაბუთებას, რომელიც ადეკვატურად ასახავს მორწყვის ბუნებრივ-კლიმატურ, ტექნოლოგიურ და ეკოლოგიურ პირობებს. მხედველობაშია მისაღები ისიც, რომ მოხმარებულ წყალზე ფასის განსაზღვრა არამარტო ეკონომიკური, არამედ სოციალურ-პოლიტიკური პრობლემაცაა. სწორედ მიღებული ტარიფიკაციის სისტემის მიხედვით ხდება მოსახლეობის შემოსავლების გადანაწილება, იცვლება სამეურნეო საქმიანობის პირობები ყოველ ცალკეულ შემთხვევაში.

სახლგარეეთული ლიტერატურის ანალიზმა უჩვენა, რომ სარწყავი წყლის საფასურის დადგენის პრობლემა მსოფლიოში აქტუალურია როგორც მეცნიერული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით. შემუშავებულია ტარიფიკაციის სხვადასხვა მოდელი, რომელთა მრავალფეროვნება შეიძლება დაიყოს ორ დიდ კატეგორიად:

- მოდელები, რომელთაც საფუძველად უდევს ფიქსირებული გადასახადი, იგი არაა დამოკიდებული აღებული წყლის მოცულობაზე და იკრიფება მოსარწყავი უბნის ფართობის, მოსარწყავი კულტურის, წელიწადის დროის ან მორწყვის რაოდენობის შესაბამისად;
- მოდელები, რომელთა საფუძველია გადასახადი, რომელიც განისაზღვრება აღებული წყლის მოცულობის მიხედვით.

ფასიანი წყალსარგებლობის გამოცდილებამ უჩვენა, რომ მეორე ჯგუფის მოდელები უფრო პროგრესული და ეკონომიკურად გამართლებულია. სწორედ ტარიფიკაციის ასეთი სისტემა წარმოშობს პირობებს, რომელიც აიძულებს ფერმერებს უფრო ეკონომიურად მიუდგნენ წყლის მოხმარებას და მოსარწყავ მიწებზე აამაღლონ სოფლის მეურნეობის რენტაბელობა.

სხვადასხვა ქვეყნის ისტორიულმა, გეოგრაფიულმა და ეკონომიკურმა პირობებმა გამოიწვია მათში სარწყავი წყლის ღირებულების განსაზღვრის სხვადასხვა მიდგომა. ასე, მაგალითად, იაპონიაში საერთოდ არ არსებობს გადასახადი სარწყავ წყალზე, საბერძნეთში წყლის გადასახადი იკრიფება მოსარწყავი მინდვრის ზომებით და იგი ფარავს მხოლოდ სარწყავი სისტემის მართვის ადმინისტრაციულ ხარჯებს; კანადაში მოსარწყავი მინდვრის ზომა წარმოადგენს წყლის საფასურის ორსაფეხურიანი გადასახადის საანგარიშო საფუძველს, რომელსაც ფერმერი იხდის ერთდროულად: პირველად იგი იხდის აკრზე გადასახადს (1 აკრი = 0,405 ჰა) და ერთგვარად მონაწილეობს სარწყავი ქსელის შექმნაზე გაწეული კაპიტალური ხარჯების დაფარვაში, შემდეგ კი ყოველწლიურად იხდის 1,5-დან 10 დოლარამდე მორწყული მიწის ყოველ აკრში – მონაწილეობს საექსპლუატაციო ხარჯების დაფარვაში. ამავე დროს, მიწოდებული წყლის მომსახურების რეალიზაციის შედეგად მიღებული მთლიანი თანხები ფარავს კაპიტალური და საექსპლუატაციო დანახარჯების მხოლოდ 14%-ს, დანარჩენი კი კომპენსირდება სამთავრობო ორგანიზაციების სუბსიდირებით; აშშ ფლობს სარწყავ წყალზე ისტორიულად ჩამოყალიბებული ფასების

ფორმირებულ პრინციპებს. ფასები მერყეობს ფართო დიაპაზონით: მაგალითად, კალიფორნიაში სარწყავი წყლის აკრ-ფუნტზე (დაახლოებით 1235 მ<sup>3</sup>) გადასახადი შეადგენს 2-დან 200 დოლარამდე და უფრო ზევით. ეს განსხვავება დამოკიდებულია ისეთ ფაქტორებზე, როგორცაა სარწყავი სისტემის ექსპლუატაციაში შესვლის წელი, ადგილობრივი ტოპოგრაფია, კუთვნილების ხასიათი და სუბსიდიების ზომები.

საფრანგეთში სარწყავი წყლის მრავალი სხვადასხვა ტარიფიკაცია არსებობს, რომელთა შორის ჭარბობს ბინომური ტარიფიკაცია, რომელიც შედგება ფიქსირებული არენდული გადასახადისაგან და მოხმარებული წყლის ყოველი კუბომეტრის საფასურისაგან.

ამჟამად, საქართველოში სარწყავი წყლის მოწოდების მომსახურებაზე დაწესებულია ერთიანი ფასი: 1 კუბომეტრის მორწყვა წლის განმავლობაში (სამჯერადი მორწყვის პირობებში) ღირს 75 ლარი. ამავე დროს ცალკეულ საექსპლუატაციო ორბანიზაციაში განხორციელდა ადგილობრივ პირობებთან ტარიფის მოქმედების ადაპტირების მცდელობა. ასე, მაგალითად, შპს „სიონი“ კა-ზე მარცვლელე კულტურების ერთჯერად საგახაფხულო მორწყვას აფასებს 25 ლარს, რეგულარულ სამჯერად მორწყვას – 1 კა-ზე 75 ლარს, საგახაფხულო და საშემოდგომო ტენდამგროვებელ მორწყვას 1 კა-ზე 20 ლარს, წყლის მოწოდების ფასი არასასოფლო-სამეურნეო საჭიროებისათვის – 1000მ<sup>3</sup> წყალზე 24 ლარია.

ქვეყანაში მიღებული ტარიფიკაციის სისტემას, მისი ადგილობრივ პირობებთან ზოგიერთი შესაბამისობის მიუხედავად, მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებებიც აქვს – ერთიანი ტარიფი იკრიფება არა მოწოდებული სარწყავი წყლის აუცილებელი მოცულობის მიხედვით, არამედ სავარგულის განსახდერული ფართობის მორწყვისთვის, იგი არ განასხვავებს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში მორწყვის პირობებს ერთმანეთისაგან, არ ითვალისწინებს მაღალსაინჟინრო, ნახევარსაინჟინრო და პრიმიტიული სარწყავი სისტემების ექსპლუატაციის ტექნოლოგიურ თავისებურებებს. ერთიანი ტარიფის გამოყენების შედეგია სარწყავი ნორმის ბრუტოს მკვეთრი მომატება (30%-ით), სარწყავი სისტემის მარგი ქმედების კოეფიციენტის 52%-მდე შემცირება, ამავე დროს, სარწყავი წყლის საფასურის ამოღების დონე 50%-საც ვერ აღწევს.

ამგვარად, საქართველოში არსებული სარწყავი წყლის ტარიფიკაციის სისტემა არ შეიძლება ჩაითვალოს წარმატებულად; ამავე დროს, წყლის სწორ ფასს დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისათვის. იგი ორიენტაციის საშუალებას აძლევს სასოფლო-სამეურნეო წყალმომხმარებელს მორწყვის რაციონალურ გამოყენებაზე პროდუქციის მაქსიმალური ნამატის მისაღებად. მიზნის მისაღწევად წყლის ფასი უნდა გამოდინარეობდეს არა მარტო მისი ფაქტობრივი თვითღირებულებიდან, არამედ უნდა გამოხატავდეს ნაციონალური ეკონომიკის ფასების მთელ კომპლექსს (სასუქები, ენერგია, ტრანსპორტი და ა. შ.); წყალზე ოპტიმალური ფასი უნდა ასახავდეს ასევე გარემო პირობებზე მორწყვის ზემოქმედების ყველა შესაძლო „მეორად შედეგებსაც“.

აღსანიშნავია, რომ სარწყავ წყალზე ერთიანი ფასის დადგენის შედეგად ეკონომიკაში გამოწვეული დარღვევები ახასიათებს საზოგადოებრივი მომსახურების ყველა იმ სფეროს, რომელთაც მომსახურებაზე ფიქსირებული ფასები აქვთ დაწესებული. ამასთან დაკავშირებით, ინტერესს იწვევს რეალური ოპტიმალური ფასის დადგენის მოთხოვნა სარწყავ წყალზე. „ეკონომიკური ოპტიმუმის“, „მაქსიმალური სოციალური განვითარების“ თეორიების შესაბამისად და სხვა თანამედროვე შეხედულებების მიხედვით, რეალური ფასის დადგენის მოთხოვნის ფორმულირება შეიძლება შემდეგი სახით:

– რეალურმა ფასმა ხელი უნდა შეუწყოს სარწყავი წყლის დეფიციტის ლიკვიდაციას და უზრუნველყოს ირიგაციის შემდგომი განვითარება მოთხოვნების ცვლილებების შესაბამისად; განხილულ შემთხვევაში – ეს არის ფასი, რომელიც ფარავს ირიგაციული

სისტემების ხარჯებს მრავალწლიანი პერსპექტივით და არა ისე, როგორც ხდება წყალზე საშუალო ფასის დადგენის დროს, ყოველწლიური დანახარჯების მიხედვით;

– რეალური ფასი უნდა ასახავდეს წყლის რეალურ ღირებულებას და მომხმარებელს აძლევდეს ორიენტაციის საშუალებას – უფრო რაციონალურად და ეკონომიურად გამოიყენოს იმ ფაქტორების კომპლექსი, რომლებიც ხელს უწყობს მაქსიმალური მოსავლის მიღებას. ეს ოპტიმუმი შესაბამისობაში იქნება საზოგადოებაში დოვლათის განაწილების კონკრეტულ პირობებთან და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში იქნება განსხვავებული;

– წყლის რეალურმა ფასმა უნდა დაარწმუნოს მომხმარებელი წყლის ეკონომიის სისწორეში, უნდა გაითვალისწინოს ყველა ის დანაკარგი, რომელიც შეიძლება გამოიწვიოს ირიგაციამ სხვა წყალმომხმარებლის პიკის პერიოდებში.

ამგვარად, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მორწყვა წარმოადგენს სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის მნიშვნელოვან ფაქტორს, თუმცა ირიგაციის ეფექტის სრულყოფილი რეალიზება შესაძლებელია სარწყავი წყლის მხოლოდ ოპტიმალური ტარიფიკაციის პირობებში, რომელიც ითვალისწინებს წყლის მიწოდების არა მარტო საშუალო წლიურ თვითღირებულებას, არამედ ქვეყნის საწარმოო რესურსების ბაზარზე მოქმედი ფასების მთელ კომპლექსს, როგორც წყლის მოხმარების რეჟიმის დარღვევასთან დაკავშირებულ ეკოლოგიურ, ასევე ნაციონალური ეკონომიკის სხვა დარგებში წარმოქმნილ დანაკარგებს.

ბუნებათსარგებლობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სუბიექტს წარმოადგენს წყალსამეურნეო სისტემები, რომლებიც ახორციელებს სარწყავი წყლის აღებას, აკუმულაციას და ტრანსპორტირებას. ამ დროს წყალთა მეურნეობის სუბიექტების ანთროპოგენური დატვირთვა რეგიონების ეკოსისტემებზე უფრო მნიშვნელოვანი ხდება. ამასთან დაკავშირებით მეცნიერულად დასაბუთებული საექსპლუატაციო ღონისძიებების სისტემა მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს სარწყავი სისტემების საიმედო მუშაობასა და მორწყვის მდგრად განვითარებას.

მელიორაციული სისტემების საექსპლუატაციო სამუშაოები სეზონური ხასიათისაა, რომელიც განპირობებულია ბუნებრივი პირობებით და სოფლის მეურნეობის მოთხოვნით. ამიტომ მელიორაციული სამუშაოების თვითღირებულების ყველა გაანგარიშება გამოითვლება წლიურ ჭრილში ანუ გაიანგარიშება საწარმოს ხარჯები წლის განმავლობაში (წლიური ხარჯები), 1 ჰა სისტემის მოსარწყავი ან დასაშრობი მიწის ფართობის საექსპლუატაციო მომსახურების თვითღირებულება წლის განმავლობაში (1 ჰა მოსარწყავი ან დასაშრობი ხარჯები), 1მ<sup>3</sup> წყლის თვითღირებულება საშუალოდ წელიწადში და ა.შ.

თვითღირებულების მნიშვნელოვანი ელემენტი წყალსამეურნეო სისტემებისთვის ძირითადი ფონდების ამორტიზაციაა. დანარჩენი დანახარჯები შედგება ხელფასის, მიმდინარე რემონტის და არხების გაწმენდის, წყლის მექანიკური მოწოდებისათვის საჭირო ენერჯის, ადმინისტრაციული მმართველობის და სხვ.

ამჟამად, წყალთა მეურნეობის ობიექტებზე საწარმოო ფონდების ამორტიზაცია არ ირიცხება, რაც გამოწვეულია იმით, რომ მელიორაციული სისტემები სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენს, რომელიც ბოლო დრომდე უზრუნველყოფდა როგორც ახალი ინფრასტრუქტურის შექმნას, ისე მის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციას.

ქვეყანაში საბაზრო ურთიერთობების წარმოქმნა და ყოველმხრივ განვითარება ამორტიზაციის დარიცხვის და შესაბამისად ამორტიზაციული ფონდის ფორმირების პრობლემას განსაკუთრებით აქტუალურს ხდის.

ამორტიზაციული ფონდის არარსებობა წყალსამეურნეო მელიორაციულ სისტემებს

პროგრესული ტექნოლოგიური პოლიტიკის არა მხოლოდ განხორციელების, არამედ აუცილებელი სარემონტო აღდგენითი სამუშაოების ჩატარების საშუალებას არ აძლევს, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს წყლის რესურსების გამოყენების ეფექტურობას და წარმოქმნის ეკონომიკური ხასიათის ზარალს.

ამორტიზაციული დანარიცხების გათვალისწინებით მელიორაციული ფონდების სრულ აღდგენაზე საექსპლუატაციო ღონისძიებების დანახარჯების სტრუქტურა საქართველოს მელიორაციული სისტემების მიხედვით მოცემულია №1 ცხრილში.

**ცხრილი 1**

**საქართველოს მელიორაციული სისტემების საექსპლუატაციო დანახარჯების  
სტრუქტურა**

№	საექსპლუატაციო სამუშაოები და დანახარჯების სახეები	დანახარჯების ხვედრითი წონა (%)
1	საწარმოო ფონდების ამორტიზაცია	40,0
2	საექსპლუატაციო პერსონალის შენახვა (ხელფასი)	15,0
3	რემონტი და შენახვა	
	– არხები, დამბები	1,8
	– ჰიდროტექნიკური ნაგებობები (კაშხალი, ხიდები, რაბი-რეგულატორი)	3,0
	– სამოქალაქო ნაგებობები	0,6
	– კავშირგაბმულობის საშუალებები	0,6
	– სატრანსპორტო საშუალებები	3,0
	– მექანიკური მოწყობილობა (მიწის მთხრელი მანქანები და სხვ.)	0,6
	– ტუმბოები	1,8
4	არხების გაწმენდა	
	– ნატანებისაგან	21,0
	– მცენარეებისაგან	0,6
5	ტყის ნარგავების მოვლა	0,2
6	დაცვით-მარეგულირებელი, ნაპირგასამაგრებელი და წყალდიდობის საწინააღმდეგო სამუშაოები	4,8
7	სხვა საექსპლუატაციო ღონისძიებები	7,0
	<b>სულ</b>	<b>100</b>

როგორც №1 ცხრილიდან ჩანს, საექსპლუატაციო ხარჯების ძირითად ელემენტებს წარმოადგენს საწარმოო ფონდების ამორტიზაცია, ხელფასი, არხების გაწმენდა, დაცვით-მარეგულირებელი და ნაპირგასამაგრებელი სამუშაოები, ჰიდროტექნიკური ნაგებობების მოვლა და რემონტი.

სარწყავ სისტემებზე საექსპლუატაციო პერსონალი (ადმინისტრაციული და სახაზო) შეადგენს 5-6 კაცს 1000 ჰა ფართობზე, ხოლო დასაშრობზე – 3-4 ადამიანს. სისტემებში მერყეობა აიხსნება ძირითადად სისტემის მართვის სირთულითა და მისი ტექნიკური მდგომარეობით. მექანიკური წყლის ამწევ სისტემებში, რომელიც ემსახურება ტუმბოებსა და სხვა მექანიზმებს, პერსონალის რაოდენობა და მისი შენახვის დანახარჯები 50-80%-ით მეტია, ვიდრე თვითღინების სისტემებში.

საექსპლუატაციო სისტემის ასეთი დაკომპლექტების დროს ყოველწლიური დანახარჯები ხელფასზე უნდა შეადგენდეს სარწყავზე არა უმცირეს 28 ლარს 1 ჰა-ზე, ხოლო დასაშრობზე 19 ლარს.

არხების ნატანისგან გაწმენდის დანახარჯები რაიონების მიხედვით იცვლება დიდი ინტერვალით, ვიდრე ყველა სხვა. ეს აიხსნება სისტემების დალამებისა და გასუფთავების

**მარტინ ვართანოვი**

მოცულობის სხვაობით. გაწმენდის ხვედრითი მოცულობები მერყეობს რამდენიმე კუბური მეტრიდან ათეულ კუბურ მეტრამდე. 1 კა მელიორირებულ ფართობზე, ზოგიერთ სისტემაზე 60 და 80-100 მ<sup>3</sup>-იც კი. ქვეყანაში დასუფთავების მოცულობები საშუალოდ შეადგენს 5-6 მ<sup>3</sup>-ს სარწყავი ფართობის 1 ჰა-ზე, რაც შეადგენს 14,6 ლარს (2010 წლის ფასებით).

ადმინისტრაციულ-სამეურნეო და სხვა დანახარჯები სისტემებზე უნდა შეადგენდეს მიახლოებით შტატების შენახვის 30%-ს.

დაცვით-მარეგულირებელი და წყალდიდობის საწინააღმდეგო სამუშაოები იმ შემთხვევაში, თუ მათ გააჩნია მნიშვნელოვანი ხვედრითი წონა (საექსპლუატაციო დანახარჯების საერთო რაოდენობის 10%-ზე მეტი), მიზანშეწონილია მათი ცალკე გაანალიზება და დანახარჯების სპეციალური ხარჯთაღრიცხვის შედგენა.

მეურნეობათაშორის სარწყავ სისტემებზე წლიური დანახარჯების საერთო ჯამი ამორტიზაციული დანარიცხების ჩათვლით, განისაზღვრება 80,0 ლარი/ჰა, ხოლო დასაშრობ სისტემებზე – 25,0 ლარი/ჰა. ამორტიზაციის გარეშე ეს სიდიდეები შეადგენს 55,7 ლარს და 16,0 ლარს.

№2 ცხრილში მოყვანილია საქართველოს სამაგალითო სარწყავ სისტემაზე წლიური დანახარჯების ზომა და შედგენილობა.

**ცხრილი 2**

**წლიური დანახარჯები მათი ელემენტების მიხედვით და სარწყავ (თვითღირების) სისტემებზე საექსპლუატაციო სამუშაოების თვითღირებულების სტრუქტურა.  
(მოსარწყავი ფართობი ნეტო 10 000 ჰა)**

№	დანახარჯების სახეები	სისტემის ყოველწლიური დანახარჯების საერთო ჯამი (ლარი)	1 ჰა-ზე ყოველწლიური დანახარჯები (ლარი)	1000მ <sup>3</sup> სარწყავი წლის თვითღირებ. (ლარი)	თვითღირებულების სტრუქტურა (%)	შენიშვნა
1	ამორტიზაციული დანარიცხები	240 000	24,0	9,6	30,12	ამორტიზაციული დანახარჯები მიღებულია სისტემის საწყისი ღირებულების 4%-დან 6,0 მლნ. ლარი
2	საექსპლუატაციო პერსონალის შენახვა (ხელფასი)	288 000	28,8	11,52	36,14	შტატი – 60 ადამიანი ერთი მოსამსახურის საშუალო წლიური ხელფასი 4800 ლარი
3	ნატანებისაგან გაწმენდის დანახარჯები	146 400	14,64	5,86	18,37	წმენდის მოცულობა 60 000 მ <sup>3</sup> 2,44 ლარი/მ <sup>3</sup>
4	მიმდინარე რემონტის დანახარჯები	36 000	3,6	1,44	4,52	სისტემის ძირითადი ფონდების საწყისი ღირებულების 0,6%
5	ადმინისტრაციულ-სამეურნეო და სხვა დანახარჯები	86 400	8,64	3,46	10,85	30% შტატის შენახვის თანხიდან
	<b>სულ</b>	<b>796 800</b>	<b>79,68</b>	<b>31,88</b>	<b>100,0</b>	



---

## დასკვნა

თვითღირებულების მნიშვნელოვანი ელემენტი წყალსამეურნეო სისტემებისთვის ძირითადი ფონდების ამორტიზაციაა. დანარჩენი დანახარჯები შედგება ხელფასის, მიმდინარე რემონტისა და არხების გაწმენდის, წყლის მექანიკური მოწოდებისათვის საჭირო ენერჯის, ადმინისტრაციული მმართველობისაგან და სხვ.

ამორტიზაციული ფონდის არარსებობა წყალსამეურნეო მეღორაციულ სისტემებს პროგრესული ტექნოლოგიური პოლიტიკის არა მხოლოდ განხორციელების, არამედ აუცილებელი სარემონტო აღდგენითი სამუშაოების ჩატარების საშუალებასაც კი არ აძლევს, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს წყლის რესურსების გამოყენების ეფექტურობასა და წარმოქმნის ეკონომიკური ხასიათის ზარალს.

მეურნეობათაშორის სარწყავ სისტემებზე წლიური დანახარჯების საერთო ჯამი ამორტიზაციული დანარიცხების ჩათვლით, განისაზღვრება 80,0 ლარი/ჰა-ით, ხოლო დასაშრობ სისტემებზე – 25,0 ლარი/ჰა-ით. ამორტიზაციის გარეშე ეს სიდიდეები შეადგენს 55,7 ლარს და 16,0 ლარს.

## ლიტერატურა

1. **Варганов М.В.** – К вопросу платного водопользования //сб. «Экономическая безопасность, устойчивость и надежность водохозяйственных и гидромелиоративных объектов». АН Грузии. Грузгидроэкология, Тбилиси. 2005. стр. 44-46.
2. **Газиев З.Г.** – Плата за оросительную воду во Франции, А/О «Водстрой, М., 1992 стр. 39.
3. **Johansson R. C. Tsur J.** – Pricing irrigation Water: a review of theory and practice II Water Policy, 14, 2002, p. 173-193.
4. **Brill E.** – Allocation and Pricing at the Water District Level II. American Journal of Agricultural Economics. 179 (3). 1997, p. 952-962

**მთის წყალსადინარის ბასწვრივ ბმული ღვარცოფის  
პირითაღი პარამეტრების შეფასება**

**ვახტანგ თევზაძე, ზემფირა ჭარბაძე, ნინო ნიბლაძე**  
E-mail: vitev@rambler.ru

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი  
ი. ჭავჭავაძის პრ. 60, ქ. თბილისი, საქართველო

**შეჯავალი**

ძლიერი დამანგრეველი ძალის ე.წ. ბმული მაღალკონცენტრირებული ღვარცოფები უპირატესად ფორმირდება მაღალმთიანი რეგიონების ეროზიულ კერებში, ან დიდი დაფერდების მქონე შიშველ ზედაპირებზე მთის მდინარეების სათავეებთან თავსხმა წვიმების შემდგომ, რასაც წინ უსწრებს ხანგრძლივი გვალვების პერიოდი. ასეთ შემთხვევაში ეროზიული კერის თითქმის მთელი ზედაპირი იფარება მტვრის სქელი ფენით და ვინაიდან იგი წყალგაუმტარი ხდება, თავსხმა წვიმების დროს ჩამოედინება ქვა-ტალახოვანი მასის სახით (წარიტაცებს რა დიდი ზომის ქვებს) [1].

ამგვარი ქვა-ტალახოვანი ნაკადი შედგება კლდოვანი ნამტვრევების, ღორღის, მცენარეული ნარჩენებისა და ტალახოვანი შემადგენელისაგან, რომელიც ფარავს ნარევის ქვიანი კომპონენტის ზედაპირს. მისი შემადგენლობაა 80-90% (წონით) მყარი მასალა და 10-20% წყალი (ბმულ მდგომარეობაში), სიმკვრივე 1.8-2.3 ტ/მ<sup>3</sup>-ია; მამოძრავებელი გარემოა მყარი ტანის მსგავსი პლასტიკური ქვა-ტალახოვანი კონგლომერატი. იგი წარმოადგენს რეოლოგიური ხასიათის სხეულს. რომლის დინამიკური მოდელი ძირითადად ეყრდნობა აკადემიკოს ო. ნათიშვილის მიერ ადრე შემოთავაზებულ დებულებებს ღვარცოფული მოვლენებისა და კერძოდ ჰიპერკონცენტრირებული ღვარცოფების საანგარიშო დამოკიდებულებების სახით [1, 2].

**პირითაღი ნაწილი**

**1. ღვარცოფების ბუნების შესახებ**

ბმული ღვარცოფის ბუნება შეიძლება აღწერილ იქნეს შვედოვ-ბინგამის ცნობილი მოდელით [2, 3]:

$$\tau = \tau_0 \pm \mu \frac{du}{dy} \quad (1.1)$$

სადაც:  $\tau$  მხები ძაბვის სიდიდეა ნაკადის სიღრმეზე;  $\tau_0$  – ნაკადის საწყისი წინაღობა ძვრაზე;  $\mu$  – სხეულის სიბლანტის დინამიკური კოეფიციენტი;  $u$  – ნაკადის სიჩქარე  $y$  სიღრმეზე.

(1.1) დამოკიდებულებიდან გამომდინარეობს, რომ ამ ტიპის სხეული მოძრაობას იწყებს შემდეგი პირობის შემთხვევაში:

$$2 > 3 \frac{\tau_0}{\rho g H_i} \quad (1.2)$$

სადაც  $\rho$  – ნაკადის სიმკვრივეა;  $g$  – სიმძიმის ძალის აჩქარება;  $H$  – ნაკადის სრული სიღრმე;  $i$  – კალაპოტის ქანობი.

ანუ როცა

$$\tau_0 < \frac{2}{3} \tau_{\text{გს}}, \quad (1.3)$$

ვინაიდან  $\tau_0 = \gamma h i$  ნაკადის ე. წ.  $h$  სიღრმის გულის არსებობის შემთხვევაში, სხეული პრაქტიკულად იწყებს მოძრაობას, ე.ი.

$$h < \frac{2}{3} H. \quad (1.4)$$

სადაც  $H$  – ნაკადის სრული სიღრმეა.

განვიხილავთ რა აღნიშნულ მოდელს, მიზანშეწონილია ინტეგრირება განვახორციელოთ საგრადიენტო შრის სივრცეში და არა ნაკადის მთელ სიღრმეზე, ვინაიდან სიჩქარე ნაკადის გულის საზღვრებში მუდმივია. მაშინ ხარჯის საანგარიშოდ გვექნება:

$$Q = \frac{BH^2}{\tau_{\text{გს.}} \tau_{\text{გს.}}} \int_{\tau_{\text{გს.}}}^{\tau_0} \frac{\tau(\tau_0 - \tau)}{\mu} d\tau,$$

ანუ  $\tau_{\text{გს.}} = \gamma H i$  და  $\tau_0 = \gamma h i$  დამოკიდებულებების მხედველობაში მიღებით ინტეგრირების შემდეგ გვექნება:

$$Q = \frac{BgiH^3}{\nu} f(\beta), \quad (1.5)$$

სადაც

$$f(\beta) = \frac{\beta}{2}(\beta^2 - 1) + \frac{1}{3}(1 - \beta^3) \quad (1.6)$$

$$\beta = \frac{h}{H} \text{ – ფარდობითი სიღრმე.}$$

მიღებული დამოკიდებულებებიდან გამომდინარეობს, რომ ბმული (სტრუქტურული) ნაკადის ეროზიული კერიდან მოძრაობა დაიწყება შემდეგი პირობით:

$$\frac{H}{3} \left( 1 - \frac{h^3}{H^3} \right) > \frac{h}{2} \left( 1 - \frac{h^2}{H^2} \right), \quad (1.7)$$

ანუ

$$h < 0,9H. \quad (1.8)$$

თუ ნიუტონური და არანიუტონური სითხეების ხარჯებს შესაბამისად აღვნიშნავთ  $Q_{\text{ნ.}}$  და  $Q_{\text{ან.}}$  სიმბოლოებით, მაშინ (1.2) და (1.5) დამოკიდებულებების შედარების შედეგად მივიღებთ:

$$Q_{\text{ან.}} = 3Q_{\text{ნ.}} f(\beta) \quad (1.9)$$

(1.9)-დან გამომდინარეობს, რომ არანიუტონური სითხის ხარჯი ( $Q_{\text{ან.}}$ ) შეიძლება გამოისახოს ნიუტონური სითხის ხარჯით. ასეთ შემთხვევაში პროპორციულობის კოეფიციენტი  $K_3 = 3f(\beta)$ , ანუ

$$Q_{\text{ან.}} = K_3 Q_{\text{ნ.}} \quad (1.10)$$

ფუნქციის  $f(\beta)$  კონკრეტული მნიშვნელობები შესაძლებელია აღებულ იქნეს ქვემოთ

მოყვანილი ცხრილიდან 1.

ცხრილი 1

$\beta = h/H$	0.0	0.1	0.2	0.3	0.4	0.5	0.6	0.7	0.8	0.9
$f(\beta)$	0.333	0.283	0.234	0.187	0.14	0.1	0.069	0.04	0.018	0.0

## 2. გზული ღვარცოფის ფორმირება ეროზიულ კერაში

ღვარცოფწარმოქმნელი კერები ჩვეულებრივად განთავსებულია ღვარცოფული ხასიათის წყალსადინრების სათავეებში. ქარის ფაქტორის ზემოქმედებით და წყლის ნაკადის გამრეცხუნარიანობის გამო (ძლიერი წვიმა, თოვლის ინტენსიური დნობა და ა.შ.) დიდი ქანობის მქონე ფერდობებზე ხორციელდება მთის ქანების პერმანენტული ნგრევა. ამგვარი წარმოშობის ღვარცოფული მასები გროვდება წყალსადინართა სათავეებში ეროზიული კერების ჩაღრმავებულ ადგილებში.

განვიხილოთ მიკროღვარცოფის მოძრაობა ერთ-ერთ რეპრეზენტალური ღვარცოფული კერიდან. მივიღოთ კერიდან „ჩამოდინებული“ ღვარცოფის „პორციის“ ხახუნის კოეფიციენტი მუდმივ სიდიდედ და მისი სიღრმე კი „ $h_{\text{გვ}}$ “-ის ტოლად, მაშინ მოცემული კონკრეტული ტალღისათვის უწყვეტობის ცნობილ განტოლებას (ცვლადი მასით მოძრაობის მიმართულებით) ექნება შემდეგი სახე:

$$q'_n = \frac{dh_{\text{გვ}}}{dt} \quad (2.1)$$

სადაც  $q'_n$  – სიგრძის და სივანის ერთეულზე ხარჯის ცვლილების ინტენსივობაა;  $h_{\text{გვ}}$  – ნაკადის სიმაღლე;  $t$  – დრო.

დავუშვათ, რომ  $q'_n = \text{const}$ . მაშინ (2.1)-ის ინტეგრირება იძლევა:

$$h_{\text{გვ}} - h_o = q'_n(t - t_0) \quad (2.2)$$

ინდექსი „0“ შეესაბამება ამოცანის საწყის პირობებს.

ცნობილია, რომ ტალღის სიჩქარე  $V_{\text{ტალ.}} = 3V$ , სადაც  $V$  ღვარცოფის „პორციის“ საშუალო სიჩქარეა თანაბარი მოძრაობის დროს, მაშინ იმის გათვალისწინებით რომ  $V = Q/w$  გვექნება:

$$V_{\text{ტალ.}} = \frac{3gih_{\text{გვ}}^2}{V_{\text{გვ}}} f(\beta) \quad (2.3)$$

$i$  – დიდი ქანობის მქონე კერების გასაშუალებელი ქანობია, სადაც უშუალოდ ფორმირდება ღვარცოფული მასის ელემენტარული „პორციები“ სიჩქარით:

$$\frac{dx}{dt} = \frac{3gih_{\text{გვ}}^2 f(\beta)}{V_{\text{გვ}}} \quad (2.4)$$

თუ გავაერთიანებთ (2.1) და (2.4)-ს მივიღებთ:

$$\frac{dh_{\text{გვ}}}{dx} = \frac{dh_{\text{გვ}}/dt}{dx/dt} = \frac{q'_n V_{\text{გვ}}}{3gih_{\text{გვ}}^2 f(\beta)}, \quad (2.5)$$

რომლის ინტეგრირების შემდეგ გვექნება:

$$\frac{(h_{\text{ღვ}}^3 - h_0^3) g i f(\beta)}{v_{\text{ღვ}}} = q'_n (x - x_0). \quad (2.6)$$

(2.6) განტოლება ახასიათებს ტალღის ზედაპირის პროფილის ტრაექტორიას  $h_{\text{ღვ}}-x$  სიბრტყეში.

### 3. ბმული ღვარცოვის ღია პრიზმატული ფორმის კალაპოტებში დამყარებული არათანაბარი მოძრაობის დიფერენციალური განტოლების ინტეგრირება

ბმული ღვარცოვის თავისუფალი ზედაპირის მრუდის საანგარიშოდ (ანუ პროგნოზირებისათვის) საჭიროა განხორციელდეს ერთგანზომილებიანი ნაკადის მოძრაობის დიფერენციალური განტოლების ინტეგრირება. განსახილველი შემთხვევისათვის, როდესაც გვაქვს პრიზმატული ფორმის კალაპოტი და ნაკადის მუდმივი ხარჯი მოძრაობის მიმართულებით ამოსავალ განტოლებად მივიღოთ შემდეგი დამოკიდებულება [2]:

$$\frac{dH}{dx} = \frac{i - \frac{Qv}{g\omega H^2 f(\beta)}}{1 - \frac{Q^2 B}{g\omega^3}}. \quad (3.1)$$

თუ ნაკადის არათანაბარი მოძრაობის რეჟიმისას ხარჯის მოდულს აღვნიშნავთ გამოსახულებით:

$$K = \frac{g\omega H^2 f(\beta)}{v}, \quad (3.2)$$

სოლო თანაბარი მოძრაობის რეჟიმის შემთხვევაში

$$K_0 = \frac{g\omega_0 H_0^2 f(\beta)}{v}, \quad (3.3)$$

მაშინ მიღებული აღნიშვნების მხედველობაში მიღებით გვექნება:

$$\frac{dH}{dx} = i \frac{1 - \frac{K}{K_0}}{1 - y \frac{K_0}{K}}, \quad (3.4)$$

სადაც

$$y = \frac{QBiH^2 f(\beta)}{\omega^2 v}, \quad (3.5)$$

„0“ ინდექსით აღნიშნული სიდიდეები განეკუთვნება ღვარცოვის თანაბარი მოძრაობის რეჟიმს. თუ მრიცხველსა და მნიშვნელს გავამრავლებთ  $\frac{K}{K_0}$ -ზე, მაშინ (3.4)-ის ნაცვლად გვექნება:

$$\frac{dH}{dx} = i \frac{\frac{K}{K_0} - 1}{\frac{K}{K_0} - y}. \quad (3.6)$$

შემოვიტანოთ აღნიშვნა:

$$\eta = \frac{K}{K_0} = \frac{\omega H^2}{\omega_0 H_0^2} \quad (3.7)$$

სწორკუთხოვანი განივი კვეთის მქონე კალაპოტისათვის გვექნება:

$$\eta = \frac{H^3}{H_0^3} \quad (3.8)$$

(3.7)-ის გათვალისწინებით გვექნება:

$$\eta_1 = \frac{K_1}{K_0},$$

$$\eta_2 = \frac{K_2}{K_0}. \quad (3.9)$$

აკადემიკოს ნ. პავლოვსკის დაშვების გათვალისწინებით ვღებულობთ

$$\frac{d\eta}{dH} = \frac{\eta_2 - \eta_1}{H_2 - H_1} = a = \text{const}, \quad (3.10)$$

და

$$dH = \frac{d\eta}{a} \quad (3.11)$$

მიღებული აღნიშვნების გათვალისწინებით (3.6) მიიღებს შემდეგ სახეს:

$$ai dx = d\eta + (1 - y) \frac{d\eta}{\eta - 1} \quad (3.12)$$

(3.12)-ის ინტეგრირებით  $1 \div 1$  კვეთიდან  $2 \div 2$  კვეთამდე და ამ კვეთებს შორის საშუალო სიდიდეების  $\bar{y} = \frac{y_1 - y_2}{2} = \text{const}$  გათვალისწინებით, კვეთებს შორის  $\ell = x_2 - x_1$  მანძილის დასადგენად მიიღება შემდეგი სახის დამოკიდებულება:

$$ai\ell = (\eta_2 - \eta_1) - (1 - \bar{y}) \ln \frac{\eta_2 - 1}{\eta_1 - 1}, \quad (3.13)$$

რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ნებისმიერი სწორი ფორმის პრიზმატული კალაპოტებისათვის ფსკერის დადებითი ( $i > 0$ ) ქანობის პირობებისათვის.

მოყვანილ დამოკიდებულებებში ინდექსი „1“ და „2“ განეკუთვნება შერჩეულ კვეთებს.

სწორკუთხოვანი ფორმის განივი კვეთის კალაპოტისათვის (3.13)-ის ნაცვლად მიიღება:

$$ai\ell = \frac{H_2^3 - H_1^3}{H_0^3} - (1 - \bar{y}) \ln \frac{H_2^3 - H_0^3}{H_1^3 - H_0^3}. \quad (3.14)$$

განსახილველი შემთხვევისათვის გვექნება:

$$\frac{dH}{dx} = - \frac{Qv}{g\omega H^2 f(\beta)} \quad (3.15)$$

$$1 - \frac{Q^2 B}{g\omega^3}$$

აბ

$$\frac{dH}{dx} = -i_{\text{კრ.}} \frac{\frac{k_{\text{კრ.}}}{k}}{1 - y_{\text{კრ.}} \frac{k_{\text{კრ.}}}{k}}. \quad (3.16)$$

მიღებული (3.16) დამოკიდებულების  $\frac{k}{k_{\text{კრ.}}}$  სიდიდეზე გამრავლებით მიიღება:

$$\frac{dH}{dx} = -\frac{i_{\text{კრ.}}}{\frac{k}{k_{\text{კრ.}}} - y_{\text{კრ.}}}.$$

მიღებული დამოკიდებულების ინტეგრირების შემდეგ გვექნება:

$$a_{\text{კრ.}} i_{\text{კრ.}} \ell = y_{\text{კრ.}} [\eta_{\text{კრ.2}} - \eta_{\text{კრ.1}}] - \frac{1}{2} [\eta_{\text{კრ.2}}^2 - \eta_{\text{კრ.1}}^2]. \quad (3.17)$$

სწორკუთხოვანი ფორმის განივი კვეთის კალაპოტისათვის ვღებულობთ:

$$a_{\text{კრ.}} i_{\text{კრ.}} \ell = y_{\text{კრ.}} \left[ \frac{H_2^3 - H_1^3}{H_{\text{კრ.}}^3} \right] - \frac{1}{2} \left[ \frac{H_2^6 - H_1^6}{H_{\text{კრ.}}^6} \right], \quad (3.18)$$

სადაც

$$\eta_{\text{კრ.2}} = \frac{k_2}{k_{\text{კრ.}}}; \quad \eta_{\text{კრ.1}} = \frac{k_1}{k_{\text{კრ.}}}; \quad a_{\text{კრ.}} = \frac{\eta_{\text{კრ.2}} - \eta_{\text{კრ.1}}}{H_2 - H_1};$$

$$y_{\text{კრ.}} = \frac{QB_{\text{კრ.}} i_{\text{კრ.}} H_{\text{კრ.}}^2 f(\beta)}{\omega_{\text{კრ.}}^2}.$$

მიღებულ დამოკიდებულებებში სიდიდეები ინდექსით „კრ.“ განეკუთვნება ნაკადის კრიტიკულ მახასიათებლებს.

ფორმულები (3.13), (3.17) იძლევა შესაძლებლობას ვიმსჯელოთ ბმული ღვარცოვული ნაკადის თავისუფალი ზედაპირის მრუდის შესახებ მისი პრიზმატული ფორმის კალაპოტში მუდმივი ხარჯითა და სტაციონარული (დამყარებული) რეჟიმით მოძრაობის შემთხვევაში.

#### 4. ბმული ღვარცოვოს არაპრიზმატული ფორმის კალაპოტებში დამყარებული არათანაბარი მოძრაობის დიფერენციალური განტოლებების ინტეგრირება

განვიხილოთ ბმული ღვარცოვული ნაკადის მოძრაობა მუდმივი სიღრმით მისი გადაადგილების მიმართულებით. მაშინ ვღებულობთ, რომ:

$$\frac{d\omega}{dx} = \frac{g\omega^3}{Q^2} \left[ \frac{Q\nu}{g\omega H^2 f(\beta)} - i \right]. \quad (4.1)$$

იმ შემთხვევაში, როდესაც კალაპოტის ქანობი  $i = 0$ , ხოლო მისი განივკვეთი სწორკუთხოვანია, ვღებულობთ

$$\frac{dB}{B^2} = \frac{v}{QHf(\beta)} dx,$$

ვღებულობტ რა მხედველობაში, რომ  $\frac{v}{QHf(\beta)} \approx \text{const}$ , მაშინ ინტეგრირების შემდგომ მიიღება:

$$B = \frac{B_1}{1 - \frac{B_1 v x}{QHf(\beta)}}, \quad (4.2)$$

სადაც:  $B_1$  – კალაპოტის სიგანეა საწყის კვეთში;  $x$  – მანძილი საწყისი კვეთიდან იმ კვეთამდე, სადაც კალაპოტის სიგანე ტოლია „ $B$ “-სი.

(4.2) დამოკიდებულება იძლევა საშუალებას განხორციელდეს კალაპოტის სიგანის რეგულირება (ნაკადის სავარაუდო განფენის საზღვრებში) ისე, რომ კალაპოტის ნულოვანი ქანობის შემთხვევაში შენარჩუნებული იქნეს ნაკადის მოძრაობის მიმართულებით მუდმივი სიღრმე.

როგორც (4.2)-დან გამომდინარეობს, კალაპოტში ნაკადის მუდმივი სიღრმის შესანარჩუნებლად ( $H = \text{const}$ ) ნაკადი მხოლოდ უნდა ფართოვდებოდეს.

## დასკვნა

სხვადასხვა დანიშნულების ღვარცოფსაწინააღმდეგო დამცავი ნაგებობებისა და კომპლექსების უსაფრთხო ფუნქციონირების მიზნით შემოთავაზებული დამოკიდებულებების გამოყენებით შესაძლებელია როგორც ბუნებრივ ისე ხელოვნურ პირობებში განხორციელებული იქნეს ბმული ღვარცოფების ანგარიში მისი სპეციფიკური თვისებების გათვალისწინებით

## ლიტერატურა

1. Гагошидзе М.С. Селевые явления и борьба с ними. Тбилиси. изд. «Сабчота Сакартвело», 1970, 385 с.
2. ნატიშვილი ო.გ., ტევზაძე ვ.ი. Основы динамики селей. Тбилиси, 2007, 213 с.
3. Уилкинсон У.А. Неньютоновскии жидкости. Пер. с англ. М.: изд-во «Мир», 1964, 216 с.



თიხოვანი გრუნტების გაჯირჯვების პარამეტრების რეალური სიდიდის  
ბანსაზღვრის მეთოდობა

თარხან თევზაძე, ინგა ირემაშვილი, შალვა ჭეიშვილი,  
ფერიდე ლორთქიფანიძე  
E-mail: [ingairema@yahoo.com](mailto:ingairema@yahoo.com)


საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი  
ი. ჭავჭავაძის პრ. 60, ქ. თბილისი, საქართველო

შეშავალი

თიხოვანი გრუნტების გაჯირჯვება უაღრესად ნეგატიურად აისახება მათი სიმტკიცის მაჩვენებლებსა (შეჭიდულობა, შინაგანი ხახუნის კუთხე) და დეფორმაციულ (ფარდობითი დეფორმაცია, დეფორმაციის მოდული, კონსოლიდაციის კოეფიციენტი) თვისებებზე. სამოქალაქო და სამრეწველო დანიშნულების საძირკვლებში, სასარგებლო წიაღისეულის დამუშავებისას წარმოქმნილ ფერდობებში, გვირაბებში, საავტომობილო და სარკინიგზო ტრასებზე, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ანძების საფუძვლებში, ენერგომატარებელი მილსადენებისა და მელიორაციული დანიშნულების წრფივ ნაგებობებზე და სხვა, გაჯირჯვებადი გრუნტები მოითხოვს დამატებითი დამცავი ღონისძიებების განხორციელებას, რაც მნიშვნელოვნად ზრდის მშენებლობის თვითღირებულებას.


აღნიშნული მოითხოვს გაჯირჯვებადი გრუნტების დეტალურ გეოტექნიკურ გამოკვლევას როგორც ლაბორატორიაში, ასევე სპეციალურ გამოკვლევებს (შტამპური გამოცდები) სავსე პირობებში.

ზოგადად, გაჯირჯვებადი გრუნტები განეკუთვნება ისეთ ბუნებრივ დისპერსიულ თიხოვან წარმონაქმნებს, რომლებიც დასველების დროს მნიშვნელოვნად მატულობენ მოცულობაში (იხ. ნახ.1).



ნახ.1. ბენტონიტი (პატარა კუბი - ბენტონიტი გამომშრალ მდგომარეობაში, დიდი კუბი - გატენიანებული)

გაჯირჯვება ახასიათებთ მინერალურ მონტმორილონიტის შემცველ თიხებს. გაჯირჯვების სიდიდე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული გრუნტების დისპერსიულობის ხარისხზე. მინერალ მონტმორილონიტის შემცველი თიხები კრისტალურ სტრუქტურებში ქმნიან სილიკატების  $SO_4$  ტეტრაედრების უწყვეტ ჯაჭვს. მათთვის დამახასიათებელია ჰიდრარგილიტის შრის განლაგება ორ კაუმუავას ტეტრაედრს შორის (ნახ. 2).



ნახ.2. მონტმორილონიტის კრისტალური სტრუქტურა

ამასთან ტეტრაედრის წვეროში განლაგებული ჟანგბადის ერთი იონი შედის ჰიდრარგილიტის შრის შემადგენლობაში, მეორე კი ჰიდროქსიდის იონებითაა დაკავებული. ამგვარად, თითოეული პაკეტი გამოყოფილია ჰიდროქსიდის (OH) იონებით, რომელთაც გააჩნიათ წყლის მოლეკულების ( $\text{H}_2\text{O}$ ) შეკავების უნარი.

პრაქტიკული თვალსაზრისით მონტმორილონიტის ჯგუფის მინერალებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია მათი გაწყლოვანების (მოცულობის გაზრდის) უნარი, ხოლო გამოშრობისას აღსორბირებული წყლის დაკარგვა და შესაბამისად მოცულობის შემცირება. ამასთან დაკავშირებით, კრისტალური მესერის სიდიდე იცვლება მნიშვნელოვან ფარგლებში 9.6 Å-დან 28.4 Å-მდე, იმისგან დამოკიდებულებით, თუ წყლის  $\text{H}_2\text{O}$  მოლეკულების რა რაოდენობა მონაწილეობს მინერალის სტრუქტურაში. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ  $\text{H}_2\text{O}$ -ს მოლეკულები განლაგებულია პაკეტთაშორის სივრცეში ანუ ვრცელდება კრისტალური სტრუქტურის შემომსაზღვრელ ბრტყელ პაკეტებს შორის შედწვევის გზით. თვითოეული პაკეტი ორივე მხრიდან შემოსაზღვრულია ჰიდროქსიდ იონის (OH) შემცველი სიბრტყეებით, რომელთაც ერთნაირი მუხტი გააჩნიათ, რაც გამსოლავი ზემოქმედების შედეგად განაპირობებს მათ შორის წყლის თავისუფალ შედწვევას, ეს კი, თავის მხრივ, მინერალ მონტმორილონიტის შემცველი თიხების გაჯირჯეების უნარიანობის გამოვლინებას [1].

### პირითაღი ნაწილი

გაჯირჯეების გეოტექნიკურ პარამეტრებს შორის გამოიყოფა [2]:

– გაჯირჯეების ტენიანობა  $W_g$  %, რომელიც განისაზღვრება გაჯირჯეების პროცესში გრუნტში მაქსიმალური რაოდენობის შეკავშირებული წყლის რაოდენობის მიხედვით;

– ჩონჩხის სიმკვრივე  $\rho_d^g$  გ/სმ<sup>3</sup>, წარმოადგენს სიმკვრივეს გაჯირჯეების პროცესის დამთავრების შემდეგ;

– თავისუფალი გაჯირჯეების დეფორმაცია  $\delta_0$ , წარმოადგენს სიმკვრივეს გაჯირჯეების პროცესის დამთავრების შემდეგ;

$$\delta_0 = \frac{h_k - h}{h} \cdot 100\% \quad (1)$$


სადაც:  $\delta_0$  – თავისუფალი გაჯირჯვების დეფორმაცია, %;

$h$  – ნიმუშის საწყისი სიმაღლე, სმ;

$h_k$  – ნიმუშის სიმაღლე გაჯირჯვების შემდეგ, სმ;

წარმოადგენს სიმკვრივეს გაჯირჯვების პროცესის დამთავრების შემდეგ;

2.0 სმ, ნიმუშის სიმაღლე 1.0 სმ, დიამეტრი  $d = 5.83$  სმ, მეტალის რგოლის ფართი  $F=26.5$  სმ<sup>2</sup>. ვერტიკალური დაწნევა, რომელსაც ხელსაწყოს შტამპი ახორციელებს  $P=0.006$  კგძ/სმ<sup>2</sup>. ვერტიკალური დაწნევა, რომელსაც ხელსაწყოს შტამპი ახორციელებს.



ნახ. 3. გრუნტის ნიმუშის თავისუფალი გაჯირჯვების გრაფიკი

გაჯირჯვების დაწნევა ხორციელდება  $K_p$ -ს ტიპის ჩვეულებრივ კომპრესიულ ხელსაწყოში, რომელზეც დამონტაჟებულია ორი საათის ტიპის ინდიკატორი დანაყოფის ფასით 0.01 მმ. თითბრის რგოლის ფართია  $F=6.0$  სმ<sup>2</sup>; დიამეტრი  $d=8.76$  სმ, სიმაღლე  $H=2.5$  სმ. საცდელი რგოლის დიამეტრი არანაკლებ 3.5-ჯერ უნდა აღემატებოდეს მის სიმაღლეს, რათა ექსპერიმენტის პროცესში მაქსიმალურად შევამციროთ კედლების გავლენა გრუნტზე.

ხელსაწყოში გრუნტის ნიმუშის წყალგაჯერების დაწნებისთანავე იწყება გაჯირჯვების პროცესი. მისი ჩაქრობა და ინდიკატორის ისრის საწყის ჩვენებამდე დაბრუნება ხორციელდება მცირე საწონების საშუალებით. გაჯირჯვების პროცესი მთავრდება მაშინ, როდესაც ინდიკატორი აღარ აფიქსირებს შემდგომ დეფორმაციას. საბოლოოდ გაჯირჯვების წნევა გაიანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\sigma = \frac{Q}{F} \text{ კგძ/სმ}^2$$

სადაც: Q – კომპრესიის ბერკეტზე არსებული საწონების საერთო წონაა, კგ;

F – ნიმუშის ფართი, სმ<sup>2</sup>.

თავისუფალი გაჯირჯვების დეფორმაცია და გაჯირჯვების წნევა წარმოადგენენ საკლასიფიკაციო პარამეტრებს. გაჯირჯვებადი გრუნტების კლასიფიკაცია მოყვანილია შესაბამისი პარამეტრების მიხედვით წარმოდგენილი ცხრილში №1 [2, 3, 4].

ცხრილი 1

გრუნტის სახეები	თავისუფალი გაჯირჯვების დეფორმაციის სიდიდე, δ%	გაჯირჯვების წნევის სიდიდე σ კგძ/სმ <sup>2</sup>
არაგაჯირჯვებადი	ნაკლები 4	ნაკლები 0.25
სუსტად გაჯირჯვებადი	4 – 10	0.25 – 1
საშუალოდ გაჯირჯვებადი	10 – 15	1 – 2.5
ძლიერ გაჯირჯვებადი	მეტი 15	მეტი 2.5

გაჯირჯვებადი გრუნტების ფარდობითი დეფორმაციის განსაზღვრის მეთოდიკა, რომელიც ფორმულა (1)-ის საშუალებით ხორციელდება და კლასიფიცირდება ცხრილი 1-ის მიხედვით, შედგენილია სახელმძღვანელოს [2] საფუძველზე, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს ნიმუშის საწყის  $h$  სიმაღლის ზრდას გაჯირჯვების შედეგად  $h_g$  სიმაღლემდე. ნიმუშის  $h$  საწყის სიმაღლეს თავის მხრივ შეესაბამება ნიმუშის საწყისი მოცულობითი წონის (სიმკვრივის,  $\rho$  გ/სმ<sup>3</sup>) მქონე გრუნტი. ეს უკანასკნელი კი წარმოადგენს სამფაზიან სისტემას: მინერალური ნაწილაკები, წყალი და ფორები მასში არსებული აირებით. აქედან, როგორც ზემოთ მოყვანილი მასალებიდან ჩანს, გაჯირჯვების პროცესის მაინციურებელი მინერალი მონტმორილონიტის ჩონჩხია, ანუ ფორმულა (1)-ში  $h_k$  და  $h$ -ის მაგივრად შეტანილი უნდა იქნას შესაბამისად მინერალური ნაწილაკების დაყვანილი სიმაღლე ჩონჩხის გაჯირჯვების შემდეგ  $h_k^b$  და  $h^b$  საწყის პერიოდში. ამგვარი ცვლილებების შემდეგ ფორმულა (1) მიიღებს სახეს (2):

$$\delta_0 = \frac{h_k^b - h^b}{h^b} \cdot 100\% \quad (2)$$

უფრო მოსახერხებელია გაჯირჯვების დეფორმაციის განსაზღვრა ჩონჩხის სიმკვრივების  $\rho_{d0}$  და  $\rho_d^b$  ან ფორიანობის კოეფიციენტების  $e_0$  და  $e^b$  საშუალებით, მაშინ ფორმულა (2) შესაბამისად მიიღებს სახეს:

$$\delta_0 = \frac{\rho_{d0} - \rho_d^b}{\rho_{d0}} \cdot 100\% \quad (3)$$

ან:

$$\delta_0 = \frac{e_0 - e^b}{e^b} \cdot 100\% \quad (4)$$

ჩვენს მიერ წარმოდგენილი მეთოდით თავისუფალი გაჯირჯვების დეფორმაცია უჩვენებს  $\delta_0$ -ის გაცილებით მაღალ სიდიდეებს, ვიდრე ეს №1 ცხრილშია მოცემული.

ჩონჩხის საწყისი სიმკვრივის  $\rho_{d0}$  და გაჯირჯვებული გრუნტის სიმკვრივის  $\rho_d^\beta$  განსაზღვრა

$$\rho_{d0} = \frac{\rho_0}{1 + W_0} \quad (5)$$

$$\rho_d^\beta = \frac{\rho^\beta}{1 + W_\beta} \quad (6)$$

სადაც:  $W_0$  და  $W_\beta$  საწყისი ტენიანობა და გაჯირჯვების ტენიანობაა %-ში;

$\rho_0$  და  $\rho^\beta$  - ტენიანი გრუნტის საწყისი სიმკვრივე და სიმკვრივე გაჯირჯვებულ მდგომარეობაში.

ფორიანობის კოეფიციენტი შესაძლებელია ვიანგარიშით შემდეგი ფორმულების საშუალებით:

$$e_0 = \frac{\rho_s - \rho_{d0}}{\rho_{d0}} \quad (7)$$

$$e^\beta = \frac{\rho_s - \rho_d^\beta}{\rho_d^\beta} \quad (8)$$

სადაც:  $e_0$  და  $e^\beta$  ფორიანობის კოეფიციენტის საწყისი მნიშვნელობა გაჯირჯვებამდე და გაჯირჯვების შემდეგ;

$\rho_s$  - მინერალური ნაწილაკების სიმკვრივე, გ/სმ<sup>3</sup>.

### დასკვნა

წარმოდგენილი მეთოდით თავისუფალი გაჯირჯვების დეფორმაციის სიდიდის განსაზღვრა ასახავს გრუნტის ჩონჩხის გაჯირჯვების რეალურ სურათს.

### ლიტერატურა

1. Бетехтин А.Г. Курс минералогии, Государственный научно-техническое издательство литературы по геологии и охране недр, Москва 1956 г. стр. 463.
2. Руководство по лабораторному изучению характеристик набухания и усадки глинистых грунтов. ПНИЦИС Госстроя СССР, Москва 1980 г. стр. 4.
3. ГОСТ 25100-82.
4. ГОСТ 24143-80.

**წყლის ხარისხის დინამიკა აღმოსავლეთ საქართველოს არიდული ზონის ხელოვნურ წყალსაცავებსა და მათ მიმდებარე ბიომეკოლოგიურ ტერიტორიებზე \*)**

**თარხან თევზაძე, ირინა იორდანიშვილი, დავით ფოცხვერია**  
**E-mail: irinaiord48@mail.ru**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი  
ი. ჭავჭავაძის პრ. 60, ქ. თბილისი, საქართველო

**შეჯამება**

წყალსაცავების შექმნა და ექსპლუატაცია დაკავშირებულია პოტენციური მომხმარებლის პრაქტიკულ ინტერესებთან, როგორცაა სასოფლო-სამეურნეო ურბანული ტერიტორიების სასმელი წყლით უზრუნველყოფა, სამრეწველო, თევზის მეურნეობის განვითარება, სანაპირო ზონის რეკრეაციული მიზნით ათვისება და ა.შ.

გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ნებისმიერი მომხმარებელი უპირველეს ყოვლისა დაინტერესებულია წყალსაცავის წყლის ხარისხით, ვინაიდან მხოლოდ წყლის დასაშვები ხარისხი საშუალებას გვაძლევს, რომ წყალსაცავების სწორად შერჩეული ადგილმდებარეობა და ექსპლუატაციის რეჟიმი არსებით ზეგავლენას ახდენს შიდა წყალსატევურ პროცესებზე და ქმნის მათი აქტიური მართვის შესაძლებლობას [1].

წყლის ხარისხის აქტიური მართვის პროცესი ბუნებრივ წყალსაცავებში შეუძლებელია. წყლის ხარისხი წყალსაცავებში დამოკიდებულია ბუნებრივ და სამეურნეო ჩანადენის ფორმირების პირობებზე, მათ რაოდენობასა და ხარისხზე. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ის განიხილება და ნორმირდება წყალმომარების კონკრეტული სახეობის მიხედვით. მაგალითად, წყლის სასმელ-სამეურნეო მოხმარებისათვის ნორმატივების მაღალიმტირებელს წარმოადგენს ეპიდემიური უსაფრთხოება, მაღალი ფიზიკური თვისებები (სუნი, გემო, მუავიანობა და ა.შ.), ქიმიური შემადგენლობის უვნებლობა. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება წყლის შემადგენლობას თევზის მეურნეობის დანიშნულებისათვის განკუთვნილ წყალსაცავებში. სამრეწველო მიზნებისათვის გამოყენებული წყლებისათვის წამყვანი მნიშვნელობა აქვს მინერალიზაციის ხარისხსა და ხასიათს, სიხისტესა და შეტივანარებული მასალის არსებობას. წყლის ხარისხს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ცელულოზა-ქადალდის წარმოებაში. ნაკლებად ხისტი მოთხოვნილებაა დაწესებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის განკუთვნილ წყლის ხარისხზე. მიუხედავად ამისა, მინერალიზაციის ფაქტორი აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობს, რაც გადამწყვეტია ნიადაგების ნაყოფიერების შენარჩუნებისათვის.

წყლის ხარისხი წყალსაცავებში უპირველეს ყოვლისა განისაზღვრება მდინარეული ჩამონადენის ჰიდროქიმიური თავისებურებებით.

წყლის შემადგენლობას წყალსაცავში მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მისი ქვაბულისა და გარემომცველი ტერიტორიის გეოლოგიური აგებულება. წყლის შეტბორვის

\*) ნაშრომი შესრულდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (სამეცნიერო გრანტი №GNSF/STO9.622-7-105).




შემდეგ წყალსაცავის გეოგარემოში ვითარდება მთელი რიგი პროცესებისა (დინამიური პროცესები წყალსაცავის ფერდობებზე, ნაპირგადამუშავება, ქვაბულში ჩამდინარე დროებით და მუდმივმოქმედი ნაკადების გააქტიურება, ნიადაგის დამარილიანება სანაპირო ზოლში კაპილარული აწვევის შედეგად და სხვ.), რომლებიც განაპირობებს მინერალიზაციის ზრდას. მაგალითად, მელიორაციული დანიშნულების წყალსაცავებში, ვეგეტაციის პერიოდში, წყლის ინტენსიური მოხმარებისა და მაღალი აერაციის პირობებში, შეტბორვის დონის დაწვევასთან ერთად ადგილი აქვს მინერალიზაციის მნიშვნელოვან ამაღლებას [2].

ამავე დროს უნდა აღინიშნოს წყლის შემადგენლობა წყალსაცავში მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული წყალსაცავის თვითგაწმენდის პროცესებზე.


ამგვარად, წყლის ხარისხი წყალსაცავებში მნიშვნელოვანწილად განისაზღვრება ჰიდროქიმიური და ბიოქიმიური თავისებურებებით, რომლებიც თავის მხრივ დამოკიდებულია შიდა და გარე წყალსატევური ფაქტორების ზემოქმედებაზე.

### პირითაღი ნაწილი

ქიმიური შემადგენლობის მიხედვით ბუნებრივი წყლები კლასიფიცირდება 3 კლასის მიხედვით: ჰიდროკარბონატული (კარბონატული), სულფატური და ქლორიდული. თითოეული კლასი თავის მხრივ იყოფა სამ ჯგუფად უპირატესი იონის მიხედვით – კალციუმი, მაგნიუმი, ნატრიუმი (კალიუმი), ხოლო თითოეული ჯგუფი თავის მხრივ იყოფა ტიპებად, რომელიც განისაზღვრება ანიონებისა და კათიონების შემდეგი ფარდობის მიხედვით [3]:



ბუნებრივი წყლების კლასიფიკაცია ო.ა. ალეკინის მიხედვით წარმოდგენილია სქემაზე:



საქართველოში უფრო მეტად გავრცელებულია მთისწინეთისა და მთის წყალსაცავები, რომლებიც არიდულ ზონაში განთავსებულია 500-1500 მ აბსოლუტურ ნიშნულებს შორის.

კვების წყაროს მიხედვით გამოიყოფა: მდინარეული წყალსაცავები, რომლებიც განლაგებულია მუდმივი ჩამონადენის მქონე ბუნებრივ წყალსადინარებზე; ჩასასხმელი წყალსაცავები, რომელთა შევსება ხორციელდება სატუმბო სადგურების საშუალებით დაბალ ჰიდრომეტრულ ნიშნულებზე განლაგებული წყალსაცავებიდან ან მდინარეებიდან და კომბინირებული წყალსაცავები, რომლებიც განთავსებულია მცირე დებიტის მქონე ხეობებში და მათი შევსება ხდება სატუმბო მოწყობილობების გზით.

წყალსაცავებში შეტბორილი წყლის ქიმიურ შემადგენლობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს რამდენიმე ფაქტორი, რომელთაგან აღსანიშნავია:

- მკვებავი წყლის ქიმიური შემადგენლობა, რომელიც თვითონ განიცდის შემადგენლობის ცვლილებას სეზონის მიხედვით. მაგალითად, გაზაფხულისა და შემოდგომის წყალდიდობების სეზონში კალაპოტის გარეცხვის პერიოდში შეტბორილი წყლის მინერალიზაცია მნიშვნელოვნად იცვლება. კიდევ უფრო დიდია წყლის შემადგენლობის ცვლილება, როგორც ჩასასხმელ, ისე კომბინირებული ფუნქციონირების წყალსაცავებში.

- ზაფხულის პერიოდში, ინტენსიური წყალმომარების პერიოდში აღინიშნება წყლის დონის მკვეთრი ცვლილება, ამავე დროს, ჰაერის ტემპერატურის გამო მაღლდება აორთქლება წყალსაცავის ზედაპირიდან, რაც განაპირობებს არა მარტო შეტბორილი წყლის მინერალიზაციის ამაღლებას, არამედ თვით წყლის ტიპის შეცვლას (იხ. ცხრ. 1). ამავე ცხრილში მოყვანილია წყლის მინერალიზაციის ხარისხის ცვლილება თბილისის წყალსაცავის სხვადასხვა უბანზე: მაგალითად ბეტონის კაშხლის უბანზე, იქ, სადაც მკვებავი წყაროა ჟინვალის წყალსაცავი, მკვრივი ნაშთი 0.231%-ს შეადგენს, ხოლო ვარკეთილის უბანზე, მდ. იორიდან შემომდინარე წყლის უპირატესი გავლენის პირობებში - 0.327% (იხ. ცხრ. 1).

შეტბორილი წყლების ქიმიური ანალიზის მიხედვით, განხილული წყალსაცავების მინერალიზაციის მონაცემების საფუძველზე, საქართველოს პირობებში შეიძლება გამოვყოთ მაღალი და დაბალი მინერალიზაციის წყალსაცავები (იხ. ცხრ. 2).

მაღალი მინერალიზაციის წყალსაცავებს შეიძლება მივაკუთვნოთ წყალსაცავები, რომელთა მინერალიზაცია 1%-ს აღემატება. ესენია კომბინირებული და ჩასასხმელი ტიპის მკვებავი წყაროს მქონე წყალსაცავები (არხაშენის, დვეისწყლის, კრანჭის ხევი, კრასნოგორკა).



წყლის ხარისხის დინამიკა აღმოსავლეთ საქართველოს არიდუმი ზონის ხელოვნურ  
წყალსაცავებსა და მათ მიმდებარე ბუნებრივ ტერიტორიებზე

ცხრილი 1

საქართველოს არიდული ზონის ზოგიერთ წყალსაცავში შეტბორილი წყლების, მკვებავი წყაროს და ფილტრატების ქიმიური  
შემადგენლობა და ტიპი კუროლვის ფორმულის მიხედვით

№	სინჯის აღების ადგილი		სინჯის გენტიკური სახეობა	სინჯის აღების ადგილი	გრამიონი მგ/კვებულგეტი							საერთო სიხისტე მგ/ლ	მკვებავი წყაროს ტიპი	pH	წყლის ტიპი კუროლვის ფორმულის მიხედვით
	წყალსაცავის დასახელება	ფილტრატის დასახელება			ანონები	კათიონები			ანონები						
					$HCO_3^-$	$Cl^-$	$SO_4^{2-}$	$Na^+ + K^+$ სხვაობა	$Ca^{2+}$	$Mg^{2+}$					
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	
1	არხაშენის ხევი	შემომავალი (მკვებავი)	1.524	0.127 2.08	0.035 0.99	0.933 19.43	0.133 5.09	0.2111 10.53	0.074 6.08	17.4	48.7	0.60	7.8	$M_{1.524}$ $Ca^{2+} 48.5 \cdot Mg^{2+} 28.0 \cdot Na^+ 23.4$ სულფატურ-კალციუმთან- მაგნიუმთან-ნატრიუმთან	
		შემომავალი (შეტბორილი)	4.868	0.395 6.470	0.4271 2.04	2.681 35.82	1.037 45.09	0.255 12.72	0.201 16.52	30.8	86.2	0.25	7.8	$M_{4.868}$ $Na^+ 78.6 \cdot Mg^{2+} 22.2 \cdot Ca^{2+} 170$ ნატრიუმთან-სულფატურ-მაგ- ნიუმთან-კალციუმთან-კალცი- უმთან-პიდროკარბონატული	
2	დევის წყალი	შემომავალი (მკვებავი)	2.888	0.122 1.90	0.224 6.32	1.6293 3.92	0.447 19.42	0.246 12.28	0.127 10.44	23.9	65.9	0.2	8.0	$M_{2.888}$ $Na^+ 46 \cdot Ca^{2+} 29.1 \cdot Mg^{2+} 24.7$ სულფატურ-ნატრიუმთან- კალციუმთან-მაგნიუმთან	
		შემომავალი (შეტბორილი)	3.008	0.268 4.39	0.273 7.68	1.690 35.19	0.741 32.20	0.185 9.23	0.070 5.75	16.6	46.4	0.22	7.8	$M_{3.008}$ $Na^+ 74.4 \cdot Ca^{2+} 16.2$ სულფატურ-ნატრიუმთან-კალცი- უმთან-კალციუმთან-მაგნიუმთან	
		ფილტრატი	5.350	0.146 2.39	0.490 13.82	2.814 58.59	1.197 52.06	0.273 13.62	0.111 9.12	23.9	66.9	0.2	8.0	$M_{5.35}$ $Na^+ 69.6 \cdot Ca^{2+} 18.2 \cdot Mg^{2+} 12.1$ სულფატურ-ნატრიუმთან- კალციუმთან-კალციუმთან- მაგნიუმთან	

თარხან თევზაძე, ირინა იორდანიშვილი, ღაბით ფოცხვერია

ცხრილი 1 (გაგრძელება)

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
3	უდაბნოს	წკაღსაცაგი (შეტბორილი)	0.540	0.122 1.90	0.035 0.990	0.283 5.89	0.040 3.09	0.062 3.95	0.048 1.74	7.4	20.7	0.2	8.0	$M_{0.540} \frac{SO_4^{*67} \cdot HCO_3^{*19.46}}{Ca^{*45.0} \cdot Na^{*34.6} \cdot Mg^{*19.8}}$ სულფატურ-პიდროკარბონატულ-კალციუმთან-ნატრიუმთან
4	თხილანის ხევი	წკაღსაცაგი (შეტბორილი)	0.332	0.210 3.44	0.034 2.37	0.148 0.90	0.014 2.64	0.053 3.48	0.042 0.62	6.4	17.9	0.2	8.0	$M_{0.332} \frac{HCO_3^{*53.9} \cdot Cl^{*36.8}}{Ca^{*54} \cdot Na^{*41}}$ პიდროკარბონატულ-კლორიდულ-კალციუმთან-ნატრიუმთან
5	ლაკე	წკაღსაცაგი (შეტბორილი)	0.508	0.273 4.47	0.126 3.55	0.091 1.89	0.036 1.57	0.088 4.39	0.048 3.95	8.7	24.3	0.2	8.0	$M_{0.503} \frac{HCO_3^{*45.1} \cdot Cl^{*35.8} \cdot SO_4^{*19.0}}{Ca^{*44.2} \cdot Mg^{*39.8} \cdot Na^{*15.8}}$ პიდროკარბონატულ-კლორიდულ-კალციუმთან-ნატრიუმთან
6	თელათ-წყალი	წკაღსაცაგი (შეტბორილი)	0.78	0.138 2.25	0.049 1.38	3.395 8.29	0.06 2.68	0.106 5.29	0.048 3.95	9.7	27.1	0.52	8.0	$M_{0.78} \frac{SO_4^{*69.5} \cdot HCO_3^{*18.8} \cdot Cl^{*11.5}}{Ca^{*44.2} \cdot Mg^{*33.1} \cdot Na^{*22.4}}$ სულფატურ-კალციუმთან-მაგნიუმთან-ნატრიუმთან-პიდროკარბონატულ-კლორიდული
7	კრანჭისხევი	წკაღსაცაგი (შეტბორილი)	1.470	0.117 1.92	0.168 4.74	0.737 15.34	0.294 12.78	0.152 6.59	0.038 2.63	9.7	27.1	0.4	8.0	$M_{1.470} \frac{SO_4^{*69.7} \cdot Cl^{*21.5}}{Na^{*58} \cdot Ca^{*29.9} \cdot Na^{*11.9}}$ სულფატურ-კლორიდულ-ნატრიუმთან-კალციუმთან
8	ღალის მთა	წკაღსაცაგი (შეტბორილი)	1.0	0.142 2.33	0.070 1.97	0.592 13.33	0.161 4.37	0.132 6.59	0.069 5.71	12.9	36.1	0.4	8.0	$M_{1.0} \frac{SO_4^{*75.9} \cdot HCO_3^{*14.0} \cdot Cl^{*11.8}}{Ca^{*39.8} \cdot Mg^{*34.4} \cdot Na^{*26.2}}$ სულფატურ-პიდროკარბონატულ-კალციუმთან-მაგნიუმთან-ნატრიუმთან
9	პაკე	წკაღსაცაგი (შეტბორილი)	0.904	0.137 2.25	0.055 1.58	0.485 10.0	0.065 2.04	0.141 7.04	0.048 3.95	11.5	32.2	0.40	7.6	$M_{0.904} \frac{SO_4^{*72.3} \cdot HCO_3^{*16.2} \cdot Cl^{*11.5}}{Ca^{*54.0} \cdot Mg^{*30.3} \cdot Na^{*15.7}}$ სულფატურ-კალციუმთან-მაგნიუმთან-ნატრიუმთან-პიდროკარბონატულ-კლორიდული

წყლის ხარისხის დინამიკა აღმოსავლეთ საქართველოს არტიფული ზონის ხელოვნურ  
წყალსაცავებსა და მათ მიმდებარე გემეპოლოგიურ ტერიტორიებზე

ცხრილი 1 (გაგრძელება)

1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15
		ფილტრატი	1.376	$\frac{0.283}{4.64}$	$\frac{0.077}{2.17}$	$\frac{0.946}{19.60}$	$\frac{0.154}{6.71}$	$\frac{0.273}{13.62}$	$\frac{0.074}{6.08}$	20.7	57.9	0.40	7.8	$\frac{M_{1.376}}{Ca^{vv} 51.6 \cdot Mg^{vv} 25.0 \cdot Na^{v} 25}$ სულფატურ-ჰიდროკარბონატულ-კალციუმის-ნატრიუმის-მაგნიუმის
10	ასურეთის ხევი	წილსაცავი (შებობრილი)	0.548	$\frac{0.190}{3.11}$	$\frac{0.084}{2.37}$	$\frac{0.189}{3.93}$	$\frac{0.055}{2.40}$	$\frac{0.114}{5.69}$	$\frac{0.016}{1.32}$	7.4	20.7	0.36	7.8	$\frac{M_{0.548}}{Ca^{vv} 60.4 \cdot Mg^{vv} 14.0 \cdot Na^{v} 25.6}$ კალციუმის-სულფატურ-ქლორიდულ-ნატრიუმის-მაგნიუმის
11	ალგეთის	წილსაცავი (შებობრილი)	0.496	$\frac{0.151}{2.47}$	$\frac{0.167}{4.74}$	$\frac{0.167}{2.23}$	$\frac{0.065}{2.90}$	$\frac{0.062}{3.09}$	$\frac{0.042}{3.45}$	6.9	19.3	0.34	8.0	$\frac{M_{0.497}}{Ca^{vv} 32.7 \cdot Mg^{vv} 36.5 \cdot Na^{v} 30.7}$ ქლორიდულ-მაგნიუმის-კალციუმის-ჰიდროკარბონატულ-სულფატურ-ნატრიუმის
12	ლიბი	წილსაცავი (შებობრილი)	0.292	$\frac{0.181}{2.97}$	$\frac{0.035}{0.99}$	$\frac{0.086}{1.79}$	$\frac{0.026}{0.89}$	$\frac{0.053}{2.54}$	$\frac{0.027}{2.22}$	5.1	14.2	0.40	7.6	$\frac{M_{0.296}}{Ca^{vv} 44.2 \cdot Mg^{vv} 38.6 \cdot Na^{v} 17.2}$ ჰიდროკარბონატულ-კალციუმის-მაგნიუმის-სულფატურ-ქლორიდულ-ნატრიუმის
წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების აგება მოითხოვს სამუშაოთა წარმომების ტექნოლოგიებისა და სამუშაოთა თანმიმდევრობის სწორ და ზუსტ დაცვას, რადგან ასეთი ნაგებობები უნდა პასუხობდეს ყველა ტექნიკურ-ნორმატიულ მოთხოვნებს, როგორცაა: ნაგებობების მდგრადობა, სეისმომდგრადობა, წყალშეუღწევადობა, ხანგამძლეობა. ამ შედეგების მისაღებად საჭიროა გამოყენებულ იქნეს თანამედროვე ეფექტური ბეტონები, საყალიბე სისტემები და სამუშაოთა წარმომების ტექნოლოგიები.

### ლიტერატურა

1. ეზუგბაია ზ., იოსებაშვილი გ., ირემაშვილი ი. შენობებისა და ნაგებობების აგების ტექნოლოგია. თბილისი, ტექნიკური უნივერსიტეტი. 2012წ.
2. Кирнев А. и др. Технология возведения зданий и сооружений гражданского и водохозяйственного назначения. Ростов-на дону: феникс, 2009.

**ბენტონიტის მოდიფიკაციით მრავალმიზნობრივი ბრუნტბამაშენი კომპოზიტის მიღების ტექნოლოგია**

**ლევან იტრიაშვილი, ხათუნა კიკნაძე**

**E-mail: khkiknadze@mail.ru**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი  
ი. ჭავჭავაძის პრ. 60, ქ. თბილისი, საქართველო

**შესავალი**

თიხოვან მინერალთა შორის ბენტონიტს ახასიათებს რიგი უნიკალური თვისებები, რომლებიც განპირობებულია მისი ძირითადი შემადგენელი ნაწილის მონტმორილონიტის კრისტალური აღნაგობის თავისებურებებით, რაც განაპირობებს ბენტონიტის მაღალი გაჯირჯეების უნარს და, რაც მთავარია, სუსპენზირებისას წყალში კოლოიდური ხსნარების შექმნას. ამ დროს ხდება ბენტონიტის ნაწილაკების დამატებითი დისპერგაცია (0.1 მიკრონამდე) და ხვედრითი ზედაპირის მკვეთრი გაზრდა. ასეთ კოლოიდურ მდგომარეობაში ბენტონიტი წარმოადგენს უმაღლესი ხარისხის ადსორბენტს და შეუძლია თავის ზედაპირზე დაიკავოს სხვადასხვა ნივთიერებები, მათ შორის მაღალმოლეკულური, რაც არსებითად მოქმედებს ბენტონიტის სუსპენზირების მდგრადობაზე და საშუალებას იძლევა მიზნობრივად ვარეგულიროთ ბენტონიტის თვისებები.

პოლიელექტროლიტების ადსორბციის შედეგად მკვეთრად იცვლება ბენტონიტის კოლოიდური ხსნარების თვისებები და წარმოიშობა საშუალება ხელოვნურად ვმართოთ ეს პროცესი, მითუმეტეს რომ, ხსნარის გაშრობის შემდეგ შეიძლება მიზნობრივად მიღებული იყოს სრულიად ახალი უნიკალური თვისებების მქონე პროდუქტები, რომლებიც შემდგომში შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვადასხვა მიზნებისათვის.

უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს მსგავსი პროდუქტების ბუნებრივი ანალოგები – გაღებულ მონტმორილონიტური თიხები (კერძოდ კოლხეთის დაბლობზე, გალის რაიონში), რომლებიც წარმოიქმნა ხანგრძლივი გეოლოგიური პროცესების განმავლობაში მონტმონორილონიტური თიხების ნაწილაკების ზედაპირზე სხვადასხვა ბუნებრივი ორგანული დაბალმოლეკულური პოლიმერების ადსორბციის შედეგად.

ზემოთ მოყვანილიდან გამომდინარე, პერსპექტიულად იყო მიჩნეული აღნიშნული თვისებებისა და პროცესების გამოყენებით შეიქმნას თვისებების ანალოგიური, მაგრამ ბევრად უფრო მაღალეფექტური მასალა, რომლის მცირე დანამატების გამოყენებით შეიძლება ნიადაგ-გრუნტებისა და სხვა დისპერსული მასალების მრავალი თვისების მიზნობრივი რეგულირება.

პოლიმერის სახით შერჩეულ იქნა მაღალმოლეკულური პოლიელექტროლიტი (პელ), რომლის მოლეკულაში კარბოქსილის ჯგუფების არსებობა განაპირობებს მისი წყალხსნარების პოლიელექტროლიტულ თვისებებს და, აქედან გამომდინარე, მაღალ აქტივობას კოლოიდურ სუსპენზიასთან ურთიერთობისას, კერძოდ, ბენტონიტის სუსპენზიასთან. ამასთან ერთად, მისი დაბალი კონცენტრაციის ( $10^{-3}$ -მდე) ხსნარები არაა ტოქსიკური და გამოიყენება ღვინის, სურსათისა და პარფიუმერიის წარმოებაში.

გამომდინარე ზემოთ მოყვანილიდან, ბენტონიტის და პელ-ის თვისებების გამოყენების გზით შეიძლება მიღებული იქნეს სრულიად ახალი კომპოზიტი, რომელიც გააერთიანებს მათ დადებით თვისებებს.

## ძირითადი ნაწილი

პელ-ისა და ბენტონიტის ურთიერთმოქმედების მექანიზმი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული პელ-ის კონცენტრაციაზე და ბენტონიტის და პელ-ის ურთიერთ-შეფარდებაზე.

ვინაიდან ახალი მასალის მიღებისას აუცილებელია მისი დისპერსული შემადგენლის ნაწილაკების მაქსიმალური ადსორბციული გაჯერება მოდიფიკატორის მოლეკულებით და თხევადი ფაზის (ჩვენ შემთხვევაში წყლის) შემდგომი მოცილება, დისპერსული სუსპენზიის და მოდიფიკატორის ხსნარის ნარევი (სუსპენზია) უნდა ინარჩუნებდეს მდგრადობას ტექნოლოგიური პროცესის სრულ დამთავრებამდე.

ყოველივე ზემოთ მოყვანილი მჭიდროდ არის დამოკიდებული როგორც დისპერსული შემადგენლის სუსპენზიის, ასევე მოდიფიკატორის ხსნარის სუსტ ოპტიმალურ კონცენტრაციების დადგენასთან, რამაც უნდა უზრუნველყოს:

მუშა სუსპენზიის მდგრადობა მთელი ტექნოლოგიური პროცესის განმავლობაში მისი შეუფერხებლად მიმდინარეობისათვის;

მოდიფიკატორის ისეთი შემცველობა ხსნარში, რომელიც საკმარისია ნაწილაკების მაქსიმალური ადსორბციული გაჯერებისათვის.

ოპტიმალური კონცენტრაციების დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო სრულყოფილი ტექნოლოგიური პროცესის მიმდინარეობისათვის, არამედ გააჩნია ეკოლოგიური და ეკონომიკური მხარე, ვინაიდან ოპტიმალური შემადგენლობის მუშა სუსპენზიის გამოყენება უზრუნველყოფს მიღებული მასალის მაღალ ხარისხსა და მაქსიმალურად შესაძლებელ გამოსავლიანობას. დისპერსული შემადგენლის და მოდიფიკატორის მთლიანად რეაქციაში შესვლა კი უზრუნველყოფს მოცილებული წყლის სისუფთავესა და მეორედ გამოყენების საშუალებას.

ზემოთ მოყვანილი პირობების სუფთა ემპირიული გზებით დადგენა მეტად რთული და ხანგრძლივი პროცესია, რომელიც მაინც არ იძლევა ზუსტ პასუხებს. ამიტომ ოპტიმალური კონცენტრაციების დადგენისათვის გამოყენებული იყო დისპერსული მასალების ფიზიკურ-ქიმიური, მექანიკის მეთოდები, რომელიც საშუალებას იძლევა სტრუქტურულ-მექანიკური კონსტანტების განსაზღვრის საშუალებით მოვახდინოთ სტრუქტურირებული სისტემების რაოდენობრივი შეფასება და დავადგინოთ მასალების შემადგენლობის ოპტიმალური ვარიანტები.

ამ კონსტანტების განსაზღვრისათვის გამოყენებული იქნა ველერებისდერის (განზავებული სუსპენზიებისათვის) მეთოდები.

მდგრადი თიხოვანი სუსპენზიების მიღებისათვის საჭიროა მათი სტრუქტურულ-მექანიკური მახასიათებლები აკმაყოფილებდეს მდგრადობის ძირითად კრიტერიუმებს: ელასტიურობა  $f < 0.5 - 0.6$ ; სტატისტიკური პლასტიურობა  $P_{K1}/h_1 < 60-80-10-6$ ; ჭეშმარიტი რელაქსაციის პერიოდი  $Q > 400-450$ წმ.

თიხოვანი სუსპენზიების მდგრადობა (K) გამოისახება, როგორც სწრაფი ელასტიური დეფორმაციის  $\theta$ (%) ფარდობა დისპერსული ფაზის კონცენტრაციასთან C%:  $K = \theta/C$ .

ჩვენს მიერ გამოყენებული ოზურგეთის ბენტონიტისათვის სტაბილური სუსპენზია მიიღება მისი 10-20% კონცენტრაციის ფარგლებში, რომლის დროსაც მდგრადობის მახასიათებლები აკმაყოფილებს შესაბამის კრიტერიუმებს. ამიტომ ტექნოლოგიურ პროცესში პროდუქტის მაქსიმალური გამოსავლიანობისთვის გამოყენებულ იქნა 20% სუსპენზია.

აღნიშნულ სუსპენზიაში პოლიაკილამიდის ხსნარის დამატებისას ის ინარჩუნებს მდგრადობას, მაგრამ წყლის აორთქლების შემდეგ მიღებული პროდუქტი ვერ პასუხობს

წაყენებულ მოთხოვნებს – აქვს დაბალი გაჯირჯევის, მაღალი დისპერგირების უნარი და ახასიათებს ტიქსიტროპიულობა. პაა ხსნარის კონცენტრაციის ზრდასთან ერთად უმჯობესდება საბოლოო პროდუქტის ხარისხი, რომელიც აღწევს მაქსიმუმს 0.4-0.5% კონცენტრაციის დიაპაზონში. ამავე ფარგლებში მუშა სუსპენზია (ბენტონიტის სუსპენზიის და პელ ხსნარის ნარევი) ინარჩუნებს თავის მდგრადობას (ცხრ. 1).

ცხრილი 1

**ბენტონიტის და ბენტონიტ-პელ სუსპენზიის მდგრადობის კრიტერიალური მახასიათებლები**

სუსპენზიის დასახელება	კონცენტრაცია ა %		PK/hl•10-6 წმ-1	I წმ	K
ბენტონიტის სუსპენზია	8.0	0.582	29.2	375	0.75
	10.0	0.486	26.0	525	1.46
	12.0	0.467	22.7	655	1.74
	14.0	0.380	21.6	985	1.95
	16.0	0.300	18.0	1460	2.03
	18.0	0.193	5.5	1740	2.04
	20.0	0.162	12.6	1240	2.06
	22.0	0.546	32.4	325	1.98
20% ბენტონიტის სუსპენზია პელ ხსნარი	0.1	0.174	13.6	1180	2.03
	0.2	0.423	20.5	644	1.64
	0.3	0.428	9.6	652	1.77
	0.4	0.418	20.0	623	1.80
	0.5	0.420	20.4	640	1.80
	0.6	0.493	28.0	531	1.44
	0.7	0.574	37.3	362	0.82

პელ კონცენტრაციის გაზრდისას მუშა სუსპენზია კარგავს მდგრადობას და მიმდინარეობს კოაგულაციური პროცესები, გამსხვილებული ნაწილაკების სწრაფი დალექვა და სისტემის გაყოფა მყარ კოლოიდურ და თხევად ფაზებად.

მაღალკონცენტრირებული სუსპენზიების შემთხვევაში პელ ასრულებს კოაგულანტის როლს და სუსპენზია იძლევა ფხვიერ ნალექს. დაბალი კონცენტრაციების შემთხვევაში პელ ახდენს კოლოიდების სტაბილიზაციას, ზრდის მათ მდგრადობას და იწვევს სტრუქტურულ ცვლილებებს. ამ დროს წარმოიშობა ახალი ტიპის კოლოიდური ხსნარები, და მიმდინარეობს პელ მოლეკულების ადსორბცია ბენტონიტის ნაწილაკების ზედაპირზე, რის შედეგადაც წარმოებს ნაწილაკების გამსხვილება ახალი ტიპის ზედაპირებით.

პელ-ის საკმარისად დიდი კონცენტრაციის შემთხვევაში ნალექს ახასიათებს ბლანტ-ლორწოვანი კონსისტენცია, კონცენტრაციის შემცირებისას ნალექი ხასიათდება ადვილი ამღვრევადობით და მოძრავობადობით.

0.063% კონცენტრაციის პელ ქმნის ბენტონიტთან წყალში მდგრად, მაღალი სიბლანტის მქონე კოლოიდურ სუსპენზიებს. 0.032 და 0.016% მონაკვეთში სისტემა ხასიათდება არამდგრადი კოლოიდური სტრუქტურით (ცხრილი 2).

როგორც ცხრილიდან ჩანს, ბენტონიტის 5% სუსპენზიაში 0.008%-ზე მცირე კონცენტრაციის პაა (ბენტონიტი-პელ თანაფარდობა =600:1) შეტანის შედეგად წარმოებს კოაგულაციის პროცესი, რომლის სიჩქარე იზრდება პელ კონცენტრაციის ზრდასთან ერთად და აღწევს მაქსიმუმს პაა 0.015% კონცენტრაციის დროს.



<b>№</b>	<b>პელ კონცენტრაცია %(გ/მლ)</b>	<b>კოაგულაციის არსებობა</b>	<b>კოაგულაციის საწყისი სიჩქარე (15 წთ განშრეების %)</b>	<b>ბენტონიტის და პელ-ის თანაფარდობა (წონით)</b>
1	0.5	-	0	10:1
2	0.25	-	0	20:1
3	0.125	-	0	40:1
4	0.063	-	0	80:1
5	0.032	-	0	160:1
6	0.016	-	0	310:1
7	0.008	-	1	620:1
8	0.004	-	2	1250:1
9	0.0015	-	3.5	3300:1
10	0.00015	-	4.5	33300:1
11	0.00008	-	2.5	62500:1
12	0.000015	-	0	333000:1

პოლიმერის მცირე (ბენტონიტის ნაწილაკების მიმართ) რაოდენობების შეყვანას შეაქვს არსებითი თავისებურებანი სუსპენზიის აღნაგობაში და არღვევს მის მდგრადობას. ამ დროს ბენტონიტის ნაწილაკების ზედაპირი მხოლოდ ნაწილობრივ იფარება ადსორბირებული პოლიმერით. მათი ზედაპირების მნიშვნელოვანი ნაწილი რჩება თავისუფალი, რის გამოც პოლიმერის მოლეკულები (მათი დიდი ზომებისა და სიგრძის გამო) უერთდება ერთდროულად თიხის რამდენიმე ნაწილაკს. თიხის ნაწილაკების გამსხვილების შედეგად წარმოებს კოლოიდის კოაგულაცია.

ბენტონიტ-პელ სისტემაში ყალიბდება მდგრადი კოლოიდური ხსნარი, რომლის ნაწილაკები წარმოქმნილია თიხის ნაწილაკებითა და მათ ზედაპირზე დამაგრებული პოლიმერის მოლეკულებით. ასეთი ნაწილაკები მოძრაობს ურთიერთმიმართ და ერთდროულად სხლტება უარყოფითად დამუხტული ზედაპირებით. ადსორბირებული პოლიმერის მოლეკულის ბოლოები ექსპოლირებულია წყლის არეში, რაც წარმოშობს სისტემის გადიდებულ სიბლანტეს. კოლოიდური სუსპენზია წარმოადგენს სტატიკურად მოწესრიგებულ სტრუქტურას ნაწილაკების ფარდობითი დამაგრების გარეშე. სუსპენზიის წყლით განზავებისას წარმოებს ნაწილაკების განაწილება დიდ მოცულობაში.

ამგვარად, საჭირო კონცენტრაციის პელ იწვევს სისტემის სტაბილიზაციას დისპერგირების წინააღმდეგ, რაც განპირობებულია მაღალი სიბლანტით. ბენტონიტის და პაა სუსპენზიაზე წყლის ზემოქმედების შედეგად წარმოიშობა ბიფაზური სისტემა, რომელიც გამოირჩევა დროში მაღალი მდგრადობით. თიხის ნაწილაკების, პელ მოლეკულების ან წყლის ტრანსპორტი ფაზების გაყოფის ზღვარზე არ წარმოებს.

ასეთი ხსნარების შრობის პროცესში წარმოებს სისტემიდან წყლის თანდათანობითი განდევნა და სრული გაუწყლოვანების შემთხვევაში ახალი ტიპის ორკომპონენტიანი სისტემის წარმოქმნა, რომლის თვისებები განსხვავდება საწყისი ბიფაზური სუსპენზიის თვისებებისაგან.

წყლის თანდათანობითი განდევნა კოლოიდური ნაწილაკების ფარდობითი მოწესრიგების შენარჩუნებისას იწვევს განსაზღვრული ატომების ჯგუფების მოწესრიგებულ დაახლოებას. მათ შორის წარმოიქმნება საკმაოდ ძლიერი არავალენტური

ურთიერთქმედებები, რომლებიც აფიქსირებს სტრუქტურებს. შედეგად მიიღება ახალი მასალა, რომელშიც ზემოთ აღწერილი სტრუქტურის კოლოიდური ნაწილაკები შეკრულია პოლიმერული ჯაჭვის კონტაქტური ურთიერთმოქმედებით. მიღებული მასალა ისრუტავს წყალს გაჯირჯვების კონტაქტების რღვევის გარეშე.

გამოშრობის შედეგად მიღებული მყარი პროდუქტი (მასალა) ხასიათდება ახალი და საინტერესო თვისებებით, რომლებიც მკვეთრად განსხვავდება საწყისი სუსპენზიის თვისებებისაგან. მიღებული პროდუქტი ხასიათდება მაღალი გაჯირჯვების უნარით (5000%-მდე), შესაბამისი წყლის რაოდენობის მობილიზაციით, მექანიკური სიმტკიცით მყარ მდგომარეობაში და ელასტიურობით გაჯირჯვებულ მდგომარეობაში. გაჯირჯვებისას ინარჩუნებს პირველად ფორმას, ინტენსიური მორევისას პოლიმერი არ გადადის თხევად ფაზაში, ვინაიდან მჭიდროდ არის შეკრული თიხასთან. ზემოთ მოყვანილის საფუძველზე ტექნოლოგიური პროცესებისათვის შერჩეული იყო პელ 0.5% კონცენტრაცია და მუშა სუსპენზიაში შემავალი ინგრედიენტების კონცენტრაციები და რაოდენობა:

- ბენტონიტი – 20% სუსპენზია, 200გრ/ლ;
- პოლიელექტროლიტი – 0.5% ხსნარი, 0.125% გრ/ლ.

**დასკვნა**

ჩატარებული კვლევების შედეგად, საქართველოს ბენტონიტური თიხების (ასკანგელი) ბაზაზე შექმნილია სრულიად ახალი პოლიმინერალური კომპოზიტი, რომელსაც მისი უნიკალური თვისებების გამო დიდი პერსპექტივები გააჩნია სხვადასხვა სფეროში მრავალი ამოცანის გადაწყვეტისათვის და მათ შორის, ნიადაგ-გრუნტების თვისებების გაუმჯობესებისათვის (ცხრ. 3).

ცხრილი 3

დასახელება	გაჯირჯვება,%	გაჯირჯვების დრო, სთ	გამოშრობის დრო (20°C) სთ	მდგომარეობა შრობის შემდეგ
ბენტონიტი	26.0-30.0	48.0	20.0	ბზარები, გაშრევა
გალელებული მონტმორილუზიტი	30.0-35.0	50.0	24.0	ბზარები, გაშრევა
კომპოზიტი	4000-5000	16.0	120.0	საწყისი მდგომარეობა

მიღებული კომპოზიტი მდგრადია ქიმიური, მიკრობიოლოგიური, რადიაციული და ტემპერატურული (-40°C + +100°C) ზეგავლენების მიმართ.

**ლიტერატურა**

1. იტრიაშვილი ლ. მრავალმიზნობრივი პოლიმინერალური კომპოზიტი (მიღების და გამოყენების ტექნოლოგიები), მეცნიერება, თბილისი, 2008, 85 გვ.
2. იტრიაშვილი ლ. ნიადაგგრუნტების თვისებების მიზნობრივი მართვა, მონოგრაფია, მეცნიერება, თბილისი, 2005, 323 გვ.

ნიადაგბრუნების თვისებების მართვა პოლიკომპლექსის გამოყენებით

ლევან იტრიაშვილი, ხათუნა კიკნაძე, ელენე ხოსროშვილი,  
მარინე შავლაყაძე, ქეთევან დადიანი  
E-mail: khkiknadze@mail.ru

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი  
ი. ჭავჭავაძის პრ. 60, ქ. თბილისი, საქართველო

**შუსაგალი**

ნიადაგ-გრუნტებში, როგორც ნებისმიერ დისპერსული კოლოიდურ სისტემებში, მიმდინარე პროცესები, მათ შორის პოლიკომპლექსებსა და გრუნტების ზედაპირებს შორის ურთიერთქმედება, მიმდინარეობს ფაზების გამყოფ ზედაპირზე. ამიტომ საკითხის განსაზღვრისათვის გამოყენებული იქნა ადსორბციული პროცესების შემსწავლელი მეთოდები, კერძოდ, წყლისა და წყლის ორთქლის ადსორბციის, ელექტროკინეტიკური პოტენციალის პლასტიკური სიმკვრივისა და წებოვნების შემსწავლელი მეთოდები [1]. პოლიკომპლექსის სახით გამოყენებული იყო ტექნიკური ლიგნინებისა და კარბამიდული ფისებისაგან ჩვენ მიერ მიღებული ახალი მრავალფუნქციური მელიორანტი სსბმ-ი [1, 2].

**პირითაღი ნაწილი**


დასველების სიბოლო რეალურად ასახავს მინერალური ნაწილაკების ზედაპირების მიერ წყლის შებმისა და შეკავების უნარს და, შესაბამისად, ჰიდროფილობის ხარისხს.

გამომდინარე იქიდან, რომ დასველების სიბოლოს მაქსიმალური რაოდენობა გამოიყოფა წყლის პირველი მონომოლეკულარული შრის მიერთების მომენტში, შეიძლება გაკეთდეს ლოგიკური დასკვნა, რომ მონომოლეკულარული ჰიდროფობული შრე სსბმ-ის ადსორბციის შედეგად წარმოიქმნება ქვიშნარებში – 0,03-0,04%, თიხნარებში – 0,04-0,05%, თიხებში – 0,06-0,07% დოზებისას (ნახ.1).

ამას ადასტურებს გრუნტების ელექტროკინეტიკური პოტენციალის კვლევის შედეგებიც.

ნახ. 1-ზე მოყვანილი მრუდები ნათლად მიუთითებს ელექტროკინეტიკური პოტენციალის მაქსიმალური მნიშვნელობებისა და დასველების სიბოლოს შედეგად მიღებული მონაცემების სრულ შესაბამისობას.

იდენტური სურათია მიღებული გრუნტებზე წყლის ორთქლის ადსორბციის კვლევების შედეგად (ცხრილი 1) ადსორბციულ იზოთერმებზე (ნახ. 2) მკვეთრად გამოხატული გისტერეზისი – იზოთერმების ადსორბციული ტოტები მთავრდება გისტერეზისის დასაწყისისათვის ( $P/P_s=0,5$ ), შემდგომ კი მიმდინარეობს კაპილარული კონდენსაციით გამოწვეული პოლისორბცია, რომელიც ასევე მთავრდება  $P/P_s=0,5$  დროს, ე.ი. წყლის ადსორბციული მონომოლეკულარული შრის მიღწევისას. ამიტომ წებოვნების მახასიათებლები ასახავს გრუნტების ჰიდროფილობის მდგომარეობას და, კერძოდ, მათზე პოლიკომპლექსის სსბმ-ის მოქმედების ხარისხს.




ნახ.1. გრუნტების ენერგეტიკული მახასიათებლების დამოკიდებულება სსბმ- დოზისაგან  
1 – თიხა, 2 – თიხნარი, 3 – ქვიშნარი.

ცხრილი 1

სსბმ-ით დამუშავებულ გრუნტებში ადსორბირებული წყლის რაოდენობა გაზომილი ორთქლის ფარდობითი წნევის P/Ps დროს და დასველების სიბოს განსაზღვრით


სსბმ-ის დოზა %	ადსორბ. წყლის რაოდენობა P/Ps = 0,5 დროს, მმ/გ					
	ქვიშნარი		თიხნარი		თიხა	
	ორთქლის ადს.	დასვ. სიბო	ორთქლის ადს.	დასვ. სიბო	ორთქლის ადს.	დასვ. სიბო
0.0	2.76	2.88	4.67	4.82	8.46	8.72
0.01	1.59	1.66	2.62	2.75	6.32	6.51
0.02	1.28	1.35	2.43	2.58	3.88	4.05
0.03	1.18	1.24	1.89	2.05	3.21	3.31
0.04	1.18	1.24	1.58	1.68	2.44	2.63
0.05	1.15	1.21	1.56	1.67	2.33	2.47
0.06	1.15	1.21	1.52	1.63	2.18	2.31
0.07	1.15	1.21	1.52	1.63	2.08	2.25
0.08	1.15	1.21	1.52	1.63	2.08	2.25
0.09	1.15	1.21	1.52	1.63	2.08	2.25



ნახ. 2. წყლის ორთქლის ადსორბციის იზოთერმები

წებოვნების მკვეთრი დაცემა მიმდინარეობს სსბმ-ის დოზის 0,1%-მდე, ანუ თავდება გრუნტის ზედაპირზე პოლიკომპლექსის მონომოლეკულარული შრის ფორმირებისთანავე.

ვინაიდან სსბმ-ის მოლეკულების ქემოსორბცია გრუნტების თიხოვან ნაწილაკების ზედაპირზე მკვეთრად ცვლის მათ ენერგეტიკულ სიმძლავრეს და ზრდის ჰიდროფობულობას, ცხადია რომ შესაბამისად იზრდება მათი პლასტიკური სიმკვრივე, რასაც ადასტურებს მოყვანილი პლასტიკური სიმკვრივის კვლევების შედეგები (ნახ. 3).



ნახ. 3 პლასტიკური სიმკვრივის დამოკიდებულება სსბმ-ის დოზებისაგან მაქსიმალური წყალშთანთქმის დროს.

1 – ჰიდროფობიზაცია, 2 – აგრეგირება, 3 – გამაგრება.

ჰიდროფობიზებული გრუნტების თვისებების კვლევების შედეგები მოყვანილია ცხრილში 2.

ჩატარებული კვლევების შედეგების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ სსბმ-ის გარკვეული დოზების ფარგლებში მიმდინარეობს გრუნტების ნაწილაკების ზედაპირების თანდათანობითი ადსორბციული გაჯერება პოლიკომპლექსის მოლეკულებით მთლიანი მონომოლეკულარული ჰიდროფობური შრის ჩამოყალიბებამდე. ეს პროცესი ქვიშნარებში მიმდინარეობს სსბმ-ის 0.03-0.04%, თიხნარებში 0.04-0.05%, თიხებში 0.07-0.08% დოზების ფარგლებში, რის შედეგადაც აღნიშნული გრუნტები იძენს მკვეთრად გამოხატულ



ჰიდროფობულ თვისებებს. ზემოთ მოყვანილი დოზები წარმოადგენს ერთგვარ ზღვარს, როდესაც გრუნტის ნაწილაკების ზედაპირებზე პრაქტიკულად მთავრდება მონომოლეკულარული ადსორბციის პროცესი.

ცხრილი 2

ჰიდროფობიზირებული გრუნტების თვისებები

სსბმ დოზა	ხანგრძლივ. დღე	მმწ %	წყალ შთანთქმა %	კაპილ. წვევა. მმ	პლასტ. სიმკვრ. Pm10 <sup>5</sup> დინ/სმ <sup>2</sup>	გაჯირჯევა %	Pn10 <sup>-n</sup> სმ/წმ			
							I =1.0	I=1.5	I=2.0	I=2.5
<b>ქვიშნარი</b>										
0.0	30	11.0	23.5	200.0	23.0	0.0	3.4 · 10 <sup>-3</sup>	-	-	-
0.03	1	6.5	14.2	0.0	10.1	0.0	0.0	0.0	0.0	4 · 10 <sup>-5</sup>
	30	6.3	15.0	0.0	10.1	0.0	0.0	0.0	7 · 10 <sup>-5</sup>	6 · 10 <sup>-5</sup>
	360	6.0	15.5	0.0	11.7	0.0	0.0	3 · 10 <sup>-5</sup>	6 · 10 <sup>-5</sup>	4 · 10 <sup>-5</sup>
<b>თიხნარი</b>										
0.0	30	20.0	35.3	200.0	31.0	6.6	4.2 · 10 <sup>-4</sup>	-	-	-
0.04	1	11.3	23.4	2.5	15.0	3.2	0.0	0.0	0.0	0.0
	30	11.8	24.0	2.5	15.2	3.2	0.0	0.0	7 · 10 <sup>-6</sup>	5 · 10 <sup>-5</sup>
	360	14.6	25.8	3.5	16.0	3.5	0.0	8 · 10 <sup>-7</sup>	5 · 10 <sup>-6</sup>	4 · 10 <sup>-5</sup>
<b>თიხა</b>										
0.0	30	28.0	54.2	200.0	45.0	26.0	2.5 · 10 <sup>-6</sup>	-	-	-
0.07	1	15.8	36.4	4.2	22.8	14.3	0.0	0.0	0.0	0.0
	30	16.2	36.2	4.8	23.0	14.8	0.0	0.0	8 · 10 <sup>-7</sup>	4 · 10 <sup>-6</sup>
	360	17.5	37.7	6.0	24.2	15.0	0.0	3.8 · 10 <sup>-8</sup>	4 · 10 <sup>-7</sup>	3 · 10 <sup>-6</sup>

სსბმ-ით ჰიდროფობიზირებულ გრუნტებში მკვეთრად მცირდება მაქსიმალური მოლეკულური წყალტევადობა, წყალშთანთქმის უნარი, პლასტიკური სიმკვრივე. პრაქტიკულად არ არის წყლის კაპილარული გადაადგილება და გაჯირჯევა, I=1.0 ტოლის გრადიენტის პირობებში მათ ახასიათებს აბსოლუტური წყალგაუმტარობა. შექმნილი ჰიდროფობული თვისებები გამოიწვევა ხანგამძლეობით და მდგრადია ტემპერატურული (+50°C – -30°C) ზეგავლენების მიმართ.

სსბმ-ის დოზის გაზრდისას გრუნტსა და პოლიკომპლექსს შორის ურთიერთქმედება გამოიხატება კოაგულაციური პროცესების განვითარებით, ნაწილაკების გამსხვილებითა და აგრეგატების ჩამოყალიბებით, მათ ზედაპირებზე ადსორბირებულ მოლეკულებს შორის პოლიკომპლექსის ე.წ. “ზედმეტი” მოლეკულებისაგან შემდგარი “ხიდების” საშუალებით. წარმოქმნილ აგრეგატებს აქვს მაღალი წყალმდგრადობა, რაც განპირობებულია პოლიკომპლექსის მოლეკულებს შორის არსებული მდგრადი ქიმიური კავშირებით. აგრეგირების პროცესი მიმდინარეობს ქვიშნარებში 0.06-0.6%, თიხნარებში 0.08-0.7% და თიხებში 0.1-1.0% დოზების ფარგლებში, თავის ოპტიმუმს კი აღწევს შესაბამისად 0.6, 0.7 და 1.0% დოზებისას.

ცხრილში 3 მოყვანილია გასტრუქტურებული გრუნტების მახასიათებლები და მათი ცვლილება დროში. მოყვანილი მონაცემებიდან ჩანს, რომ თიხნარებსა და თიხებში სსბმ-ის შეტანის შედეგად ყალიბდება მკვეთრად გამოხატული აგრეგატული სტრუქტურა: >2.0 მმ ზომის აგრეგატების შემცველობა იზრდება 4-6-ჯერ და 540 დღის შემდეგ შეადგენს თიხნარებში 67%, თიხებში კი – 76%.

ცხრილი 3

სსბმ-ით გასტრუქტურებული გრუნტების მახასიათებლები და მდგრადობა დროში

გრუნტი	სსბმ-ის ღოზა	1 დღე	30 დღე	90 დღე	180 დღე	360 დღე	540 დღე
1	2	3	4	5	6	7	8
<b>წებოვნება <math>\mu</math> <math>10^{-5}</math> გ/სმ<sup>2</sup></b>							
თიხნარი	0.0	27.8	27.8	27.8	27.8	27.8	27.8
	0.5	8.1	8.7	9.8	10.6	11.2	12.6
თიხა	0.0	35.2	35.2	35.2	35.2	35.2	35.2
	1.0	9.2	10.5	11.4	12.8	14.2	14.3
<b>გაჯირჯევა</b>							
თიხნარი	0.0	6.6	6.6	6.6	6.6	6.6	6.6
	0.5	3.2	3.2	3.4	3.4	3.5	3.5
თიხა	0.0	26.0	26.0	26.0	26.0	26.0	26.0
	1.0	14.3	14.8	14.8	15.0	15.0	15.2
<b>&gt;2.0მმ აგრეგატების შემცველობა, %</b>							
თიხნარი	0.0	32.2	27.7	25.1	23.4	20.3	16.8
	0.5	86.4	82.9	81.3	74.7	69.0	67.2
თიხა	0.0	36.5	32.0	26.0	22.0	16.0	14.0
	1.0	88.0	87.0	86.0	83.0	80.0	76.0
<b>მოცულობითი მასა, გ/სმ<sup>2</sup></b>							
თიხნარი	0.0	0.8	1.03	1.12	1.21	1.3	1.3
	0.5	0.8	0.9	0.95	0.99	1.04	1.06
თიხა	0.0	0.8	10.5	1.16	1.27	1.36	1.38
	1.0	0.8	0.86	0.97	1.05	1.07	1.10
<b>ფორიანობა, %</b>							
თიხნარი	0.0	70.0	61.4	58.0	54.6	51.3	51.3
	0.5	70.0	66.3	64.4	63.0	61.0	60.3
თიხა	0.0	70.0	61.5	57.5	53.4	50.0	49.4
	1.0	70.0	68.5	64.5	61.5	60.8	59.7
<b>ფილტრაციის კოეფიციენტი, <math>A \cdot 10^{-n}</math>, სმ/წმ</b>							
თიხნარი	0.0	$3 \cdot 10^{-2}$	$2 \cdot 10^{-3}$	$5 \cdot 10^{-4}$	$8 \cdot 10^{-4}$	$2 \cdot 10^{-5}$	$2 \cdot 10^{-5}$
	0.5	$3 \cdot 10^{-2}$	$4 \cdot 10^{-3}$	$4 \cdot 10^{-3}$	$2 \cdot 10^{-4}$	$5 \cdot 10^{-4}$	$6 \cdot 10^{-4}$
თიხა	0.0	$4 \cdot 10^{-3}$	$7 \cdot 10^{-5}$	$5 \cdot 10^{-6}$	$8 \cdot 10^{-6}$	$8 \cdot 10^{-6}$	$8 \cdot 10^{-6}$
	1.0	$3 \cdot 10^{-3}$	$6 \cdot 10^{-3}$	$6 \cdot 10^{-3}$	$2 \cdot 10^{-4}$	$6 \cdot 10^{-4}$	$6 \cdot 10^{-4}$
<b>მაქსიმალური მოლეკულური წყალტევადობა, %</b>							
თიხნარი	0.0	20.0	20.0	20.0	20.0	20.0	20.0
	0.5	11.3	11.8	12.1	12.6	13.7	14.6
თიხა	0.0	28.0	28.0	28.0	28.0	28.0	28.0
	1.0	15.8	16.2	16.5	16.8	7.2	17.5
<b>წყალშთანთქმა, %</b>							
თიხნარი	0.0	35.3	35.3	35.3	35.3	35.3	35.3
	0.5	23.4	24.0	24.5	25.0	26.2	26.8
თიხა	0.0	54.2	54.2	54.2	54.2	54.2	54.2
	1.0	36.4	36.2	36.8	37.0	37.7	38.1

ცხრილში 4. მოყვანილი გასტრუქტურებული თიხის აგრეგატული შემადგენლობის მონაცემები მეტყველებს სსბმ-ის მაღალ მასტრუქტურებელ უნარზე და მიღებული

ეფექტის მაღალ მდგრადობაზე.

სსბმ-ის დოზების შემდგომი გაზრდა იწვევს უკვე წარმოქმნილი აგრეგატების ერთმანეთთან შეკვრას გრუნტის მთელ მოცულობაში და მთლიანი მონოლითური, მაღალი მექანიკური სიმტკიცის მქონე წყალგამძლე და ხანგამძლე პოლიმერგრუნტის სისტემის ჩამოყალიბებისას (ცხრილი 5). უნდა აღინიშნოს, რომ გრუნტების მექანიკური სიმტკიცე მჭიდრო კავშირშია მათი სსბმ-ით დამუშავების შემდეგ დატკეპნის ხარისხთან.

**ცხრილი 4**

**სსბმ-ით გასტრუქტურებული თიხის აგრეგატული შემადგენლობა და მდგრადობა დროში**

სსბმ-ის დოზა %	ხანგრძლივობა, დღე	აგრეგატული შემადგენლობა, %		
		< 2.0მმ	2.0 – 5.0მმ	> 5.0მმ
0.0	საწყისი	0.0	81.5	18.5
	30	96.6	3.4	0.0
	360	97.0	3.0	0.0
1.0	საწყისი	0.0	57.9	42.1
	30	12.6	49.2	38.7
	90	13.2	51.6	35.2
	180	15.3	53.9	30.8
	240	18.6	56.3	25.1
	360	23.4	53.1	23.5
	540	24.2	53.5	22.3

მაქსიმალური მექანიკური სიმტკიცე მიიღწევა ქვიშებში 3.0%, ქვიშნარებში- 4.0% და თიხნარებში- 5.0% დოზირებისას. შემდგომი გაზრდა არ ახდენს სერიოზულ გავლენას გრუნტების სიმტკიცეზე.

**ცხრილი 5**

**გამაგრებული გრუნტების მექანიკური სიმტკიცე და მისი მდგრადობა დროში**

გრუნტი	სსბმ-ის დოზა %	ტენიანობა %	სიმტკიცე კუმშვის დროს, გ/სმ <sup>2</sup>			
			1 დღე	30 დღე	120 დღე	360 დღე
ქვიშა	3.0	მშრ.	84.0	83.0	83.0	82.0
		გაჯერებ.	62.0	60.0	58.0	57.0
ქვიშნარი	4.0	მშრ.	75.0	73.0	71.0	71.0
		გაჯერებ.	58.0	56.0	54.0	53.0
თიხნარი	5.0	მშრ.	62.0	60.0	58.0	57.0
		გაჯერებ.	40.0	38.0	36.0	36.0

პოლიკომპლექსის ნიადაგ-გრუნტებში თანაბარზომიერი განაწილებისათვის საჭირო მინიმალური რაოდენობა შეადგენს 10 ლიტრს ერთ კვადრატულ მეტრზე. ამიტომ იმ შემთხვევაში, როდესაც სსბმ-ის შესატანი დოზა 10 ლიტრზე მცირეა, საჭიროა მისი გაზრდა შესაბამისი რაოდენობის წყლის დამატებით. პოლიკომპლექსის ხსნარის კონცენტრაციის შემცირება არ ახდენს გავლენას მისი მოქმედების ეფექტიანობაზე.

ყოველივე ზემოთ მოყვანილის საფუძველზე დადგენილი იყო გამოყენების ყველა მიმართულებისა და გრუნტებისათვის ოპტიმალური შედეგის უზრუნველმყოფი დოზები (ცხრილი 6).



სსბმ-ის ოპტიმალური დოზები

სახე	სსბმ-ის შემცველობა	ქვიშა	ქვიშნარი	თიხნარი	თიხა
ჰიდროფობიზაცია	% გრუნტის წონიდან	-	0.03	0.04	0.07
	ხსნარი კგ/მ <sup>3</sup>	-	0.30	0.40	0.73
	მშრალი კგ/მ <sup>3</sup>	-	0.036	0.048	0.84
	დასამატებელი წყალი, ლ/მ <sup>3</sup>	-	9.70	9.60	9.30
	სსბმ-ის ხსნარის კონც., %	-	0.36	0.48	0.84
გასტრუქტურება	% გრუნტის წონიდან	-	0.30	0.50	1.00
	ხსნარი კგ/მ <sup>3</sup>	-	3.00	5.00	10.0
	მშრალი კგ/მ <sup>3</sup>	-	0.36	0.60	1.20
	დასამატებელი წყალი, ლ/მ <sup>3</sup>	-	7.00	5.00	-
	სსბმ-ის ხსნარის კონც., %	-	3.6	4.8	12
გამაგრება	% გრუნტის წონიდან	3.0	4.0	5.0	-
	ხსნარი კგ/მ <sup>3</sup>	30.0	40.0	50.0	-
	მშრალი კგ/მ <sup>3</sup>	3.6	4.8	6.0	-
	დასამატებელი წყალი, ლ/მ <sup>3</sup>	-	-	-	-
	სსბმ-ის ხსნარის კონც., %	12.0	12.0	12.0	-

დასკვნა

ზემოთ მოყვანილიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სსბმ-ის ნიადაგბრუნტებში შეტანის რაოდენობის რეგულირებით შესაძლებელია მათი თვისებების მიზნობრივი რეგულირება შემდეგი მიმართულებით: ჰიდროფობიზაცია, გასტრუქტურება და გამაგრება.

ლიტერატურა

1. იტრიაშვილი ლ. ნიადაგბრუნტების თვისებების მიზნობრივი მართვა. მონოგრაფია, მეცნიერება, თბილისი, 2005, გვ. 322.
2. იტრიაშვილი ლ. ნიადაგგამაუმჯობესებელი პოლიკომპლექსის მიღების ხერხი. პატენტი P3661, 2005.

**შორ მანძილზე ენერგიის გადაცემა წყალბადის გამოყენებით**

კონსტანტინე კამკამიძე, იულიონ გაბრიჩიძე, ეკატერინე გვარამია

1) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
მ. კოსტავას ქ. №77, ქ. თბილისი, საქართველო

**შესავალი**

ცნობილია წყალბადის მიღების თანამედროვე მეთოდები, წყალბადის შენახვისა და ტრანსპორტირების საშუალებანი. აგრეთვე მისი გამოყენების ძირითადი მიმართულებები, ასევე ენერგეტიკული და ტექნიკურ - ეკონომიკური პერსპექტივები წყალბადის ტექნოლოგიებზე გადასვლაზე [1]. შესწავლილია უსაფრთხოების ტექნიკის საკითხები წყალბადის საწარმოებში. ეს ეკოლოგიურად სუფთა ნედლეული უნდა იყოს სწორად გამოყენებული მიზნობრივი მიმართულებით, მაგ. ელექტრო-ენერგეტიკაში. დაფუძნებული ელექტრო-ენერგეტიკული სისტემით დანაკარგები 5-13 ჯერ მაღალია ვიდრე დანაკარგები, რომლებიც გამოწვეულია ბუნებრივი აირის ან წყალბადის სისტემის გამოყენების დროს. დატვირთვის ზრდის დროს ელექტროქსელების მოქნილი ცვლილება შეუძლებელია, ხოლო აირის ქსელში ეს არ იწვევს სერიოზულ გართულებას. ამავე დროს, აირმომარაგების სისტემების მართვა უფრო მარტივი და მსუბუქია ვიდრე ელექტრომომარაგების ქსელებისა.

ევროპის ქვეყნების პირობებისათვის აირმომარაგების ქსელები მუშაობენ დაბალ დაწნევაზე, რომელიც მართებულია ხაზობრივი დამოკიდებულებით წნევის დავარდნისა და მანძილის შორის. დაკვირვებებმა აჩვენა, რომ დაბალი წნევით წარმოშობული კუმშვადობა შეიძლება იყოს უგულვებელყოფილი და მიღებში გატარებული იქნება ერთნაირი რაოდენობის აირი და წყალბადი [2]. აქ მნიშვნელოვანია, რომ დანაკარგები, მაგალითად, წყალბადის ტრანსპორტირების დროს ენერგიის გადაცემის დროს კარგვებთან შედარებით ბევრად ნაკლებია.

**ძირითადი ნაწილი**

ელ. ენერგიის გადაცემის დროს კარგვები, როგორც ცნობილია, 6-8% წარმოადგენს. ამიტომ მიზანშეწონილია აირის გადაცემა მოხდეს შორ მანძილზე და შემდეგ, ამ აირის გარდაქმნა ელექტროენერგიად [3].

ცხრილი 1

**ხარჯები ენერგიის სხვადასხვა ფორმირებით ტრანსპორტირებაზე**

ტრანსპორტის სახეობა	სიმძლავრე $1,055 \cdot 10^{12}$ ჯ/დღ	ტრანსპორტირების ღირებულება, ცენტები $(1,055 \cdot 10^6$ ჯ/160 კმ)
მილსადენიანი:		
ბუნებრივი აირი	1,5	1,5 – 2,0
გათხევადებული აირი	0,5	1,5 – 3,0
ელექტრობა	0,1	7,0 – 14,0

წყალბადის სასარგებლო შესაძლებლობები უნდა იყოს გამოყენებული ელექტროენერგეტიკაში. წყალბადი არის ეკოლოგიურად სუფთა ნედლეული. ეს უპირატესობა ამჟამად ძალიან აქტუალურია, როდესაც ატომური ელექტროსადგურების მიერ შექმნილია დიდი საფრთხე: არასწორი ექსპლუატაციის დროს რადიოაქტიური გამოსხივება, აგრეთვე მიწისძვრების დროს სადგურის ნგრევის შესაძლებლობა და ა.შ. ამჟამად, სადაც წყლის რაოდენობა მცირეა, ინერგება აირტურბიანი მოწყობილობები.

მიწოდებული წყალბადის დაგროვების შესაძლებლობა ტოლფასია ელექტროენერჯის აკუმულირებისა, ამიტომ წყალბადის მიწოდება იქნება სასარგებლო სახელმწიფოს განვითარებისა და მისი მოსახლეობის კეთილდღეობის საქმეში ელექტროენერჯის დეფიციტით და პიკური სიმძლავრის პერიოდებში.



ნახ.1. მილსადენით წყალბადის გადაცემის ტრასა

წყალბადის მილსადენით ტრანსპორტს გააჩნია ელექტროენერჯის გადაცემასთან შედარებით კიდევ ის უპირატესობა, რომ ადვილია მისი დაგროვება და შენახვა მიწისქვეშა და მიწისზედა საცავებში წნევის ქვეშ და გადაცემა აირგამტარებით განსაზღვრულ დროსა და დოზირებული რაოდენობით [4].

**დასკვნა**

თხევადი წყალბადის გამოყენების მეშვეობით მიღებულ ელ-ენერჯიას აქვს უპირატესობები:

1. ელ-ენერჯიის მომხმარებელთან ადგილზე მიღების დროს 3-5-ჯერ იაფდება დანახარჯები იმასთან შედარებით, რამდენიც ესაჭიროება ელ-გადამცემი ხაზებით რამდენიმე ათას კმ-ზე მომხმარებელზე მიწოდებულ ენერჯიას.

2. რამდენიმე ათას კმ-ზე თხევადი წყალბადის მილსადენით მიყვანით (მაგ. აფრიკაში) გაზის ელ-სადგურების გამოყენებით თხევადი წყალბადის მთავარ მომხმარებელთან მიყვანის შედეგად უფრო რენტაბელური, ეფექტური და ეკონომიური იქნება იმათაც, რომ რამდენიმე ათას კმ-ზე ელ-გადამცემ ხაზებში დანაკარგებიც არ იქნება, გარდა ელ-ენერჯისა. ეს მოყვანილი წყალბადი შეიძლება გამოყენებული იქნეს სოფლის მეურნეობაში, მეტალურგიაში, კომუნალურ მეურნეობებში, ავტომანქანებში, თვითმფრინავებში, რაკეტულ და სხვა დარგებში, მიწისზედა ტრანსპორტში, როგორც სტრატეგიული ნედლეული.
3. მიწოდებული წყალბადის დაგროვება - ეს იგივე ელ-ენერჯის აკუმულირებაა, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფოს განვითარებისა და მისი მოსახლეობის კეთილდღეობის საქმეში - ელ-ენერჯის დეფიციტის და პიკური სიმძლავრეების მოთხოვნების პერიოდებში.
4. წყალბადის დაგროვებას თავისი საცავეებით იგივე მნიშვნელობა ექნება, როგორც წყალსაცავეებს.

### ლიტერატურა

1. **Гамбург Д.Ю., Дубовкина Н.Ф.** Справочник. Водород. Свойства, получение, хранение, транспортирование, применение. М. Химия 1989.
2. **Горшков В.Г., Дольник В.Р.** Успехи физических наук. 1980. Т 131, №3, стр 441-478.
3. **Черников А.С., Фазеев В.Н., Бабин В.И.** Атомно водородная энергетика и технология. М. 1980 стр 248-267.
4. **Коршан А.А., Нечваль А.М.** Трубопроводный транспорт нефти, нефтепродуктов и газа. Уфа. Дизайн полиграф Сервис, 2005.

**ხუდონის წყალსაცავში წყლის ხარისხისა და ევტროფიკაციული პროცესების პროგნოზირება**

**დავით კერესელიძე, ვაჟა ტრაპაიძე, გიორგი ბრეგვაძე**

**E-mail: [davitkereslidze@yahoo.com](mailto:davitkereslidze@yahoo.com); [v.trapaidze@yahoo.com](mailto:v.trapaidze@yahoo.com)**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ი. ჭავჭავაძის №1, ქ. თბილისი, საქართველო



**შეჯამება**

ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ძალზე აქტუალურია ქვეყნის ენერგოდამოუკიდებლობის მისაღწევად, მაგრამ მისი მშენებლობისა და ექსპლუატაციის დროს აუცილებლად გასათვალისწინებელია წყალსაცავის მრავალმხრივი ზეგავლენა ბუნებრივ გარემოზე, რომელთა შორის მნიშვნელოვანია წყლის ხარისხი და ევტროფიკაციული პროცესები. ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის კომპლექსის მშენებლობა დაგეგმილია მდ. ენგურზე სოფ. ხაიშის მიდამოებში. ჰესის კაშხალი აგებული იქნება სოფ. ხაიშის ქვემოთ მდინარის დინების მიმართულებით დაახლოებით 4 კმ-ში და მდ. ენგურის არსებული კაშხლიდან ზემოთ, მდინარის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით დაახლოებით 34 კმ-ში, ბეტონის თაღოვანი კაშხლის სიმაღლე 200,5 მ, წყალსაცავის მთლიანი მოცულობა ნორმალური შეტვირთვის დონეზე 64,5 მლნ მ<sup>3</sup>, მისი სარკის ფართობი 5.28 კმ<sup>2</sup>-ია.

ხუდონის წყალსაცავის ჰიდროქიმიური რეჟიმის პროგნოზირებას დიდი მნიშვნელობა აქვს წყალსაცავის ეფექტური ფუნქციონირებისათვის. წყალსაცავის ჰიდროქიმიური რეჟიმის ცვალებადობა დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე: ტემპერატურაზე, საზრდოობის წყაროებზე, აუზის ფიზიკურ-გეოგრაფიულ თავისებურებებზე, სამეურნეო გამოყენებაზე და სხვა.

**ძირითადი ნაწილი**

ხუდონის წყალსაცავის წყლის ხარისხის პროგნოზირებისათვის გამოვიყენეთ სეგმენტურ-შრეობრივი მეთოდი. ეს მოდელი დაფუძნებულია სისტემის მარტივ გეომეტრიულ წარმოსახვაზე. წყალსაცავის მთელი მოცულობა დაყოფილია სეგმენტებად (ნახ. 1), ასევე დანაწევრებულია ჰორიზონტალურ შრეებად და თითოეული შრისათვის სათანადო მათემატიკური მოდელის გამოყენებით გაანგარიშებულია წყლისა და ჰაერის ტემპერატურის, წყალში გახსნილი ჟანგბადის, ჟანგბადის ბიოქიმიური მოთხოვნის, ნიტრატის აზოტის, ნიტრიტის აზოტის, ამონიუმის აზოტის, ფოსფატის, ასევე ძირითადი იონების და მინერალიზაციის რაოდენობრივი მაჩვენებლები.



ნახ 1. ხუდონის წყალსაცავის გეომეტრიული წარმოსახვა

**წყალში გახსნილი ჟანგბადის პროგნოზირება:** წყალში გახსნილი ჟანგბადის შემცველობა დამოკიდებულია წყალსაცავში მიმდინარე იმ პროცესებზე, რომლებიც ამდირებენ წყალში ჟანგბადის შემცველობას.

წყალსაცავში ჟანგბადს წარმოქმნის წყალმცენარეების ფოტოსინთეზი, რომლის ინტენსიურობა დამოკიდებულია ტემპერატურასა და განათებაზე. ფოტოსინთეზი მიმდინარეობს შედარებით მცირე სიღრმეებზე, უმთავრესად წყლის ზედაპირზე, კარგად განვითარებულ და გამთბარ ფენაში. იგი წარმოადგენს წყალში გახსნილი ჟანგბადის მძლავრ წყაროს. ჟანგბადით წყლის გამდიდრების მეორე წყაროა ატმოსფერო, რომლიდანაც ჟანგბადი შეიძლება წყლის ზედა ფენებმა შთანთქოს. წყალში აირთა გავრცელების სინქარე გაცილებით ნაკლებია, ვიდრე ჰაერში, ამიტომ წყალსაცავში ეს პროცესი მეტისმეტად ნელა მიმდინარეობს. ძლიერი ქარის დროს წყლის ჟანგბადით გაჯერების პროცესი მნიშვნელოვნად ჩქარდება.

წყლის ჟანგბადით გამდიდრებას თან ერთვის მისი ხარჯვა ისეთ ჟანგვით პროცესებზე, როგორცაა ორგანიზმების სუნთქვა, წყალსაცავში სხვადასხვა ორგანული ნივთიერებების ღპობა, აგრეთვე არაორგანული და აზოტის ნაერთების ჟანგვა. ჟანგბადის

**ხულონის წყალსაცავში წყლის ხარისხისა და ეპიტროფიკაციული პროცესების პრობნოზირება**

მნიშვნელოვანი რაოდენობა იხარჯება წყალში ორგანიზმების (პლანქტონის, მაკროფიტების, ბენტოსის, თევზების) სუნთქვის პროცესებზე.

როგორც საპროგნოზო გათვლებმა გვაჩვენა, ხულონის წყალსაცავში წყლის ტემპერატურისა და განათებულობის ცვლის შედეგად ჟანგბადის რაოდენობა განიცდის პერიოდულ სეზონურ რყევას. ამავდროულად, იგი იკლებს წყალსაცავის სიგრძის მიხედვით. როგორც გათვლები გვიჩვენებს მისი მაქსიმალური მნიშვნელობა არის I სეგმენტში, ხოლო მინიმალური III სეგმენტის მეოთხე შრეში (№1).

**ცხრილი 1**

**წყალში გახსნილი ჟანგბადი მლგ/ლ**

	I სეგმენტი	II სეგმენტი	III სეგმენტი			
			I შრე	II შრე	III შრე	IV შრე
შემოდგომა	9.9	9.5	9.8	9.3	8.7	8.4
ზამთარი	11.2	11.0	10.9	9.6	9.2	8.1
გაზაფხული	10.1	9.8	9.7	9.4	8.9	8.2
ზაფხული	8.8	8.7	8.7	8.6	8.6	8.5

**ჟანგბადის ბიოქიმიური მოთხოვნილება (ჟბმ):** საპროგნოზო წლიური სვლის ანალიზმა ხულონის წყალსაცავში გვაჩვენა, რომ მას აქვს მაქსიმუმი წყალდიდობის პერიოდში, როცა წყალსაცავი ივსება. სწორედ ამ პერიოდში ხულონის წყალსაცავის წყალშემკრებ აუზში ადგილი ექნება ეროზიულ პროცესებს, რომლის შედეგადაც წყალსაცავში მოხვდება ბიოგენური ელემენტების მოჭარბებული რაოდენობა. ეს უკანასკნელი კი განსაზღვრავს ჟბმ-ს რეჟიმს წყალსაცავში, მისი სიდიდე მერყეობს 1,29-დან 1,86-ის ფარგლებში, 1,86-ს იგი აღწევს ხულონის წყალსაცავის III სეგმენტის მეოთხე შრეში (ცხრილი 2.)

**ცხრილი 2**

**ჟანგბადის ბიოქიმიური მოთხოვნა**

	I სეგმენტი	II სეგმენტი	III სეგმენტი			
			I შრე	II შრე	III შრე	IV შრე
შემოდგომა	1.45	1.32	1.41	1.46	1.54	1.57
ზამთარი	1.33	1.29	1.31	1.36	1.43	1.49
გაზაფხული	1.68	1.69	1.70	1.74	1.79	1.86
ზაფხული	1.53	1.51	1.51	1.56	1.63	1.68

**წყალსაცავში წყლის აქტიური რეაქცია (PH):** სუფთა წყალი ქიმიურად ნეიტრალური ნაერთია, მას თანაბრად ახასიათებს როგორც მჟაური, ისე ტუტე თვისებები. წყლის აქტიური რეაქცია (PH) დამოკიდებულია წყლის შემადგენლობაზე და მათ კონცენტრაციაზე, უმთავრესად კი წყალში გახსნილი ნახშირორჟანგის სხვადასხვა ფორმის თანაფარდობაზე. არსებითი გავლენა (PH)-ზე შეიძლება მოახდინოს იმ ფაქტორებმაც, რომლებიც წყალსაცავში ბიოლოგიური პროცესების ინტენსივობას განსაზღვრავს. თავის მხრივ წყალბადის იონების კონცენტრაცია დიდ გავლენას ახდენს წყალსაცავში მიმდინარე ბიოლოგიურ პროცესებზე, წყლის ფლორასა და ფაუნაზე. როგორც მცენარეულ, ისე ცხოველურ ორგანიზმებს შეუძლიათ წყალში იარსებონ (PH)-ის გარკვეული

მნიშვნელობების დროს. ხუდონის წყალსაცავში (PH)-ის ცვალებადობა სეზონური იქნება, იგი ცვალებადი იქნება შემდეგ დიაპაზონებში - მაქსიმალური იქნება შემოდგომაზე (8,3), ხოლო მინიმალური - ზამთარში (7.0).

**ბიოგენური ელემენტები:** ბიოგენური ელემენტებიდან ხუდონის წყალსაცავში აღსანიშნავია რკინა, ფოსფორი და აზოტის ნაერთები.

რკინა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბიოგენური ელემენტია, რომლის არსებობა წყალში აუცილებელია წყლის ცხოველების, ასევე მცენარეების ცხოველმოქმედებისათვის, რკინა ბუნებრივ წყლებში გვხვდება ქვეყანგისა და ჟანგის სახით. რკინის ქვეყანგი ჟანგში გადადის წყალში ჟანგბადის არსებობისას, ასევე (PH)-ის გაზრდის დროსაც, ხუდონის წყალსაცავში რკინის კონცენტრაციის საშუალო წლიური მნიშვნელობა დაახლოებით 1,15 მგ/ლ იქნება. წყალსაცავში რკინის კონცენტრაციის შედარებით მაღალი მაჩვენებელი განპირობებული იქნება მდინარე ენგურის წყალში რკინის მაღალი კონცენტრაციით.

ფოსფორი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბიოგენური ელემენტია. ხუდონის წყალსაცავში ზაფხულის პერიოდში ფოსფატების რაოდენობა ზედა ფენაში უფრო ნაკლებია, ვიდრე ქვედაში. ფოსფატების რაოდენობის ზრდა ერთ ლიტრზე რამოდენიმე მილიგრამამდე, როგორც წესი, წყალსაცავების დაბინძურებაზე მიუთითებს (ცხრილი 3).

ცხრილი 3

ფოსფორი მგ/ლ

	I სეგმენტი	II სეგმენტი	III სეგმენტი			
			I შრე	II შრე	III შრე	IV შრე
შემოდგომა	0.005 - 0.012	0.004 - 0.010	0.006 - 0.011	0.006-0.013	0.006-0.015	0.006-0.021
ზამთარი	0.006 - 0.028	0.005 - 0.022	0.007 - 0.024	0.007-0.028	0.007-0.031	0.007-0.034
გაზაფხული	0.010 - 0.012	0.009 - 0.010	0.010 - 0.041	0.010-0.043	0.010-0.042	0.010-0.047
ზაფხული	0 - 0.22	0 - 0.021	0-0.23	0-0.29	0-0.36	0-0.41

აზოტი ერთ-ერთი აუცილებელი და მნიშვნელოვანი ბიოგენური ელემენტია, მისი შემცველი ნივთიერებები ბუნებრივ წყალში სხვადასხვა ფორმით გვხვდება, ხუდონის წყალსაცავში ის წარმოდგენილია ამონიუმის აზოტად, ნიტრატად და ნიტრიტად.

გრუნტის წყლებში ამონიუმის იონები მიკროორგანიზმების ცხოველმოქმედების შედეგად წარმოიქმნება, ზედაპირულ წყლებში კი ჩნდება მცირე რაოდენობით. მათი მოჭარბებული რაოდენობა ძირითადად შეინიშნება ზამთრისა და გაზაფხულის პერიოდში, ხოლო ზაფხულში მცენარეების მიერ მათი გამოყენების შედეგად - მცირდება (ცხრილი 4,5,6).

ცხრილი 4

ამონიუმის აზოტი  $NH_4$

	I სეგმენტი	II სეგმენტი	III სეგმენტი			
			I შრე	II შრე	III შრე	IV შრე
შემოდგომა	0.034-0.095	0.032-0.091	0.035-0.096	0.034-0.095	0.033-0.094	0.032-0.093
ზამთარი	0.013-0.30	0.013-0.30	0.014-0.30	0.013-0.29	0.012-0.28	0.011-0.27
გაზაფხული	0.03-0.11	0.03-0.12	0.03-0.012	0.03-0.011	0.03-0.11	0.03-0.10
ზაფხული	0.05-0.18	0.05-0.19	0.06-0.021	0.06-0.020	0.06-0.020	0.06-0.019



**ცხრილი 5**

**ნიტრიტის აზოტი  $NO_2$**

	I სეგმენტი	II სეგმენტი	III სეგმენტი			
			I შრე	II შრე	III შრე	IV შრე
შემოდგომა	0-0.026	0-0.024	0-0.023	0-0.022	0-0.021	0-0.018
ზამთარი	0.014-0.031	0.013-0.030	0.014-0.031	0.012-0.028	0.011-0.026	0.011-0.024
გაზაფხული	0.028-0.073	0.026-0.063	0.028-0.073	0.027-0.072	0.026-0.074	0.024-0.073
ზაფხული	0-0.016	0-0.015	0-0.017	0-0.016	0-0.015	0-0.012

**ცხრილი 6**

**ნიტრატის აზოტი  $NO_3$**

	I სეგმენტი	II სეგმენტი	III სეგმენტი			
			I შრე	II შრე	III შრე	IV შრე
შემოდგომა	0.200-1.250	0.150-1.100	0.100-1.350	0.100-1.300	0.100-1.250	0.100-1.200
ზამთარი	0-1.350	0-1.250	0-1.300	0-1.250	0-1.200	0-1.150
გაზაფხული	0.650-1.500	0.450-1.300	0.500-1.400	0.400-1.300	0.300-1.200	0.200-1.100
ზაფხული	0-1.250	0-1.150	0-1.200	0-1.150	0-1.100	0-1.050

მეტად მნიშვნელოვანია ხულონის წყალსაცავში ძირითადი იონებისა და მინერალიზაციის პროგნოზირება. წყალსაცავების ჰიდროქიმიური რეჟიმისათვის დამახასიათებელია წყლის შემადგენლობის თავისებურება დატბორვის პირველ ფაზაში, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ მდინარის გადაკეტვის შემდეგ იტბორება ხმელეთის დიდი ფართობი, რის შედეგადაც ნიადაგის ზედაპირიდან გადაირეცხება გახსნილი ორგანული და არაორგანული პროდუქტების მნიშვნელოვანი რაოდენობა. ამასთან ერთად იცვლება ჰიდროლოგიური პირობებიც (აორთქლება, ტემპერატურა, გრუნტის წყლებით საზრდობის ინტენსივობა), ყოველივე ამის გამო პირველ პერიოდში ხდება მინერალიზაციის ერთგვარი გაზრდა ნიადაგის მიერ შთანთქმული იონების გამორეცხვის ხარჯზე, აორთქლების ზრდაც იწვევს მინერალიზაციის გადიდებას.

შემდგომში ჰიდროქიმიური პროცესების ინტენსივობა დამოკიდებულია წყალსაცავის წყალშემკრები აუზის ფიზიკურ-გეოგრაფიულ პირობებზე. წყლის ზედაპირის გადიდება და წყლის ტემპერატურის ზრდა განაპირობებს აორთქლების გაძლიერებას, რის გამოც წყალსაცავიდან წყლის გადენა იწვევს პერიოდულ ხასიათს, ან საერთოდ, წყდება, ამ შემთხვევაში იქმნება ქიმიური ელემენტების აკუმულაციისა და წყლის მინერალიზაციის ზრდის პირობები.

დიდ ფართობზე მცენარეული და ნიადაგური საფარის დატბორვას თან ახლავს, როგორც ორგანული ნივთიერებებით გამდიდრება, ასევე ბიოლოგიური პროცესების ინტენსიფიკაცია, რომელსაც ხელს უწყობს წყლის ზედა ფენების ტემპერატურის ზრდაც. ფოტოსინთეზის დროს, თუ ზედაპირულ ფენებში შეინიშნება ნახშირორჟანგის სრული გაქრობა და წყლის გამდიდრება ჟანგბადით, ღრმა ფენებში, პირიქით, ჟანგბადის შემცველობა შეიძლება მკვეთრად დაეცეს. ბიოგენური ელემენტების რაოდენობა იზრდება ბიოლოგიური პროცესების ინტენსივობასთან ერთად, ამასთან მათი შემცველობა მკვეთრად მერყეობს წლისა და დღე-ღამის განმავლობაში (ცხრილი 7).

ხულონის წყალსაცავის მინერალიზაციის და ძირითადი იონების მნიშვნელობები  
(მგ-ექვ/ლ)

	<i>Ca</i>	<i>Mg</i>	<i>Na + K</i>	<i>HCO<sub>3</sub></i>	<i>SO<sub>4</sub></i>	<i>Cl</i>	მინერალიზაცია
საშ	1.13	0.39	0.19	1.61	0.41	0.09	149.7
მაქს	1.77	0.61	0.71	2.23	0.59	0.23	198.9
მინ	1.04	0.17	0.06	0.99	0.12	0.05	101.2

**ეკტროფიკაციული პროცესები:** ავტორების მიერ შემუშავებული და წარმოდგენილია ეკტროფიკაციული პროცესების პროგნოზირების მათემატიკური მოდელი, მისი გაანგარიშება საკმაოდ რთულია, რადგან არ გვაქვს საკმარისი დაკვირვების მონაცემები. მაგრამ, ვინაიდან ხულონის წყალსაცავში სამრეწველო და საყოფაცხოვრებო მიზნით გამოყენებული წყლების ორგანიზებული ჩაშვება სავარაუდოდ არ მოხდება, ასევე ნაკლებად სავარაუდოა მიმდებარე აგროეკოსისტემიდან მოსალოდნელი ჩამონადენი და წყალსაცავიდან წყალგაცემა იქნება ინტენსიური, ამიტომ ხულონის წყალსაცავში ნაკლებად არის მოსალოდნელი ეკტროფიკაციული პროცესების განვითარება

**დასკვნა**

ხულონის წყალსაცავის წყლის ხარისხის პროგნოზირების ანალიზმა ცხადყო, რომ თუ მასში მიმდებარე მდინარეთა აუზებიდან სამრეწველო ან სასოფლო სამეურნეო საქმიანობის შედეგად არ ჩაიღვარა შედარებით დიდი რაოდენობის გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებები, წყალსაცავის წყლის ხარისხობრივი მდგომარეობა დააკმაყოფილებს წყალსაცავის რეგულირებისათვის საჭირო მოთხოვნებს.

**ლიტერატურა**

1. **კერესელიძე დ.** საქართველოს წყალსაცავების ჰიდროეკოლოგიური პრობლემები. თბილისი, 1994. 220 გვ.
2. ხულონის გარემოზე და სოციალური ზემოქმედების შეფასება. საბოლოო ანგარიში, მოკლე მიმოხილვა. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო, თბილისი, 2008; 36 გვ.
3. **Бородавченко Н.И. и др.** Охрана водных ресурсов. М., Колос, 1979; 248 стр.
4. **Вельнер Х.А.** Некоторые вопросы современной научной и практической гидрологии. Ч.1. Водные ресурсы, гидрологические расчеты и прогнозы, изд. МГУ, 1981, 198 стр.
5. **Караушев А.В. и др.** Изучение и количественная оценка антропогенного влияния на качество поверхностных вод суши. МГУ, 1987. 244 стр.

**ДИССИПАЦИЯ ПЛАСТИЧЕСКОЙ ЭНЕРГИИ И  
КОЭФФИЦИЕНТ ПОГЛОЩЕНИЯ ПРИ ЦИКЛИЧЕСКОМ  
ЗАГРУЖЕНИИ-РАЗГРУЖЕНИИ ГИДРОТЕХНИЧЕСКОГО БЕТОНА**

**Клекчян Д. Г.**

**E-mail: klekchyan@mail.ru**

Ереванский Государственный Университет Архитектуры и Строительства  
Республика Армения, г. Ереван 375009, ул Теряна 105

Гидротехнический бетон рассматривается как упругопластический материал. При повторных испытаниях сжимающими напряжениями по программе загрузка до точки  $M$  – полная разгрузка до  $M_1$ , загрузка до  $M$  – полная разгрузка до  $M_2$ , загрузка до  $M$  – полная разгрузка до  $M_3$  и т. д. характерные графики зависимости деформация-напряжение ( $\varepsilon - \sigma$ ) для упругопластического (УП) материала показаны на рис.1. При каждом цикле остаточная деформация постепенно уменьшается:

$$OM_1 > M_1M_2 > M_2M_3 > \dots$$

Если через  $k$  обозначить количество циклов:  $k=1,2,3,\dots$ , то при достаточно больших значениях  $k$   $MM_k$  стремится к  $MM_0$  ( $MM_0$  параллельна касательной в точке  $O$ , проведенной к базовой кривой  $\varepsilon = F(\sigma)$ ):

$MM_0 \parallel ON \parallel M_1N_1$ ) и материал становится псевдоупругим. Такая закономерность поведения упругопластических материалов при циклических нагружениях согласуется с многочисленными экспериментами [1].

Если нисходящую кривую  $MM_k$  обозначить через  $f_k$ , а восходящую -  $M_kM$  через  $\bar{f}_k$ , то петля гистерезиса, заключенная между этими кривыми и отражающая количество израсходованной безвозвратно диссипированной пластической энергии при каждом цикле, при увеличении  $k$  монотонно уменьшается и стремится к нулю, когда  $MM_k$  совпадает с  $MM_0$ . Для вычисления количества диссипированной энергии  $\dot{Y}_i$  при каждом цикле  $k$ :  $\dot{Y}_{ik}$  необходимо иметь аналитическую функцию кривых  $f_k$  и  $\bar{f}_k$ . Эта весьма важная проблема решена в [2]: реологическим моделированием упругопластических процессов и для первой разгрузочной кривой  $f_M$  выведено уравнение

$$f_M = F(\sigma_M) - 2F[0,5(\sigma_M - \sigma)]. \tag{1}$$

На основе (1) можно получить аналитическую функцию разгрузочных кривых  $f_k$  и загрузочных кривых  $\bar{f}_k$ :

$$f_k(\sigma) = \bar{f}_{k-1}(R) - 2\{\bar{f}_{k-1}[0,5(R - \sigma)] - \bar{f}_{k-1}(0)\}, \tag{2}$$

$$\bar{f}_k(\sigma) = \bar{f}_{k-1}(R) - 2[\bar{f}_{k-1}(0,5R) - \bar{f}_{k-1}(0,5\sigma)], \tag{3}$$




Рис. 1. Деформационные следы

где  $k = 1, 2, 3, \dots$ ,  $\bar{f}_0 = F(\sigma)$ ,  $R = \sigma_M$ .

При растяжении (сжатии) элемента из упругопластического материала до состояния  $M[\varepsilon_M, \sigma_M]$  по кривой функции  $\varepsilon = F(\sigma)$  затрачивается работа, величина которой равняется площади, заключенной между кривой функции  $F(\sigma)$  в промежутке  $OM$  и прямыми  $\sigma = 0$  и  $\varepsilon = \varepsilon_M = F(\sigma_M)$  (рис.2):

$$\mathcal{E}_0 = OLxML - \int_0^{\sigma_M} F(\sigma) d\sigma = \sigma_M F(\sigma_M) - \int_0^{\sigma_M} F(\sigma) d\sigma. \quad (4)$$

Затраченная работа  $\mathcal{E}_0 = \Omega_0$  (индекс при  $\mathcal{E}$  означает процесс из исходной позиции  $O$ ) состоит из двух составляющих: линейно-упругой –  $\mathcal{E}_L$  и нелинейно - диссипированной –  $\mathcal{E}_H$ :  $\mathcal{E}_0 = \mathcal{E}_{L0} + \mathcal{E}_{H0}$  (рис.2). При разгрузке упруго-линейная - составляющая израсходованной энергии  $\Omega_E$  возвращается полностью, а нелинейная часть безвозвратно затрачивается на преодоление внутренних неупругих сопротивлений, обусловленных пластической структурой УП материала.

Площадь  $\Omega(M_0ML)$ , заключенная между кривой  $f_M$  и прямыми  $\sigma = 0$  и  $\varepsilon = \varepsilon_M$ , равняется упруго-линейной энергии, которая возвращается при разгрузке:

$$\mathcal{E}_{L0} = \Omega(M_0ML) = OLxML - \int_0^R f_M(\sigma) d\sigma. \quad (5)$$

Количество нелинейно - диссипированной энергии равно:

$$\mathcal{E}_{H0} = \mathcal{E} - \mathcal{E}_{L0} = \int_0^R [f_M(\sigma) - F(\sigma)] d\sigma. \quad (6)$$

При разгрузке  $M$  с позиции до  $M_0$  и вторым нагружением с  $M_0$  до  $M$  петля гистерезиса будет ограничена кривыми  $f_M - \bar{f}_{M_0}$  (рис.3). Имея аналитическую функцию уравнений деформационных кривых  $F(\sigma)$ ,  $f_M$  и  $\bar{f}_{M_0}$  получится количество безвозвратно израсходованной пластической энергии при первом цикле разгрузка-нагрузка по  $M - M_0 - M$ :

$$\Omega_f = \int_0^R [f_M(\sigma) - \bar{f}_{M_0}(\sigma)] d\sigma. \quad (7)$$

В этом случае приложенная упругопластическая энергия равняется площади фигуры, заключенной между кривой  $\bar{f}_{M_0}$  и прямыми  $\sigma = 0$  и  $\varepsilon = \varepsilon_M$ :

$$\mathcal{E}_{M_0} = \Omega(M_0ML) = OLxML - \int_0^R \bar{f}_{M_0}(\sigma) d\sigma, \quad (8)$$

что значительно меньше, чем изначально затраченная работа  $\mathcal{E}_0$ , израсходованная для того, чтобы достичь точки  $M$ , только с начала координат  $O$ :




Рис.2. Потенциальная энергия УП деформирования:  $\Omega_E$  - упругая энергия,  $\Omega_H$  - диссипированная энергия




Рис. 3. Величины упругой и пластической энергий

**ДИССИПАЦИЯ ПЛАСТИЧЕСКОЙ ЭНЕРГИИ И КОЭФФИЦИЕНТ ПОГЛОЩЕНИЯ ПРИ ЦИКЛИЧЕСКОМ ЗАГРУЖЕНИИ-РАЗГРУЖЕНИИ ГИДРОТЕХНИЧЕСКОГО БЕТОНА**

$$\Delta \mathcal{E} = \mathcal{E}_O - \mathcal{E}_{M_0} = \int_0^{\sigma_M} [f_{M_0}(\sigma) - F(\sigma)] d\sigma. \quad (9)$$

Это объясняется тем, что упругая составляющая деформирования по  $\bar{f}_{M_0}$  с точки  $M_0$  до  $M$  в процентном отношении (по сравнению с пластической составляющей от общей израсходованной энергии) гораздо больше, чем от точки  $O$  до  $M$  по  $F(\sigma)$ .

Таким образом, для любой петли гистерезиса под номером  $k$ :

$$\Omega_{ik} = \int_0^R [f_k(\sigma) - \bar{f}_k(\sigma)] d\sigma. \quad (10)$$

Имея уравнения загрузочных и разгрузочных кривых  $f_k$  и  $\bar{f}_k$ , можно определить величины коэффициентов поглощений  $\psi_k$  для каждого отдельного полного цикла загрузки - разгрузки. Для первого цикла, произведенного по  $OMM_1$  по следам  $F(\sigma) - f_1$  (рис.1), коэффициентом поглощения является отношение диссипированной энергии (площадь  $OMM_1O$ ) к израсходованной общей энергии (площадь  $OMLO$ ). Для второго цикла по  $\bar{f}_1 - f_2$ :  $\psi_2$  определяется как отношение количества диссипированной энергии к израсходованной общей энергии. При этом ее величина равна отношению площади, заключенной между  $\bar{f}_1$  и  $f_2$  к затраченной энергии (площадь между  $\bar{f}_1$ ,  $ML$  и  $M_1L$ ). Коэффициент поглощения при реализации цикла под номером  $k$  ( $\psi_k$ ) есть отношение площади между кривыми  $\bar{f}_{k-1}$  и  $f_k$  к площади между кривой  $\bar{f}_{k-1}$  и прямыми  $OL$  и  $M_kL$ :

$$\begin{aligned} \psi_1 &= \left[ \int_0^R [f_1(\sigma) - \bar{f}_0(\sigma)] d\sigma \right] / \left[ \Omega - \int_0^R \bar{f}_0(\sigma) d\sigma \right]; \\ \psi_2 &= \left[ \int_0^R [f_2(\sigma) - \bar{f}_1(\sigma)] d\sigma \right] / \left[ \Omega - \int_0^R \bar{f}_1(\sigma) d\sigma \right]; \dots; \\ \psi_k &= \left[ \int_0^R [f_k(\sigma) - \bar{f}_{k-1}(\sigma)] d\sigma \right] / \left[ \Omega - \int_0^R \bar{f}_{k-1}(\sigma) d\sigma \right], \end{aligned} \quad (11)$$

где  $\Omega = R \times OL$ .

Для примера рассмотрим функцию напряжения:

$$F(\sigma) = [a\sigma + (b\sigma)^{n+1}] / E_0, \quad (12)$$

где  $n$  - степень нелинейности,  $a, b$  - опытные параметры, притом:

$$a + b = 1, \quad E_0 = tg\alpha_0.$$

Уравнения разгрузочных и загрузочных кривых имеют вид:

$$f_k(\sigma) = \left\{ (bR)^{n+1} + a\sigma - 2^{-kn} [b(R - \sigma)]^{n+1} \right\} / E_0, \quad (13)$$

$$\bar{f}_k(\sigma) = \left\{ (1 - 2^{-kn})(bR)^{n+1} + a\sigma - 2^{-kn} (b\sigma)^{n+1} \right\} / E_0. \quad (14)$$

Величина остаточных деформаций при каждом цикле равна:

$$\varepsilon_k(0) = f_k(0) = \bar{f}_k(0) = (1 - 2^{-kn})(bR)^{n+1} / E_0. \quad (15)$$

Величины коэффициентов поглощения определяются рекуррентной формулой:

$$\psi_k = \frac{n+1 - 2^{-n}}{n+1 + \frac{(n+2)a}{2b^{n+1}R^n} 2^{(k-1)n}}. \quad (16)$$

В настоящее время орошаемое земледелие республики базируется в основном на поверхностных водных источниках. Подземными водами орошается незначительная часть земель, а именно: в бассейне р. Куры – 8,7% земель, в бассейне Самур-Апшеронского канала – 2,96%, в бассейне Ленкоранских рек – 4,48%. В среднем по республике подземными водами орошается 8,2% земель от общей площади орошения [3].

Существующие оросительные системы в республике в основном неинженерные и полунинженерные и характеризуются следующими главными недостатками:

- недостаточная водообеспеченность орошаемых земель, вследствие недостаточной зарегулированности стока источников орошения и оснащенности водозаборными сооружениями;
- недостаточная развитость (по протяженности) межхозяйственных элементов оросительной сети: слабая армировка сети и недостаточная оснащенность водомерными устройствами;
- отсутствие противофильтрационной одежды на большей части магистральных и межхозяйственных каналов и почти на всей внутрихозяйственной оросительной сети, приводящее к значительной непроизводительной потере оросительной воды на фильтрацию и ухудшению мелиоративного состояния орошаемых земель;
- недостаточная мощность и техническая оснащенность коллекторно-дренажной сети, не обеспечивающая полное дренирование мелиоративно-устроенных земель, приема и отвода дренажного стока в водоприемник и запросов охраны природы;
- некачественная спланированность (по конфигурации и рельефу) поливных участков на массивах орошения, чем создает неравномерность полива, промывки, сокращает возможности внедрения совершенной техники полива и механизации сельскохозяйственных работ;
- КПД оросительных систем имеет невысокий показатель и составляет порядка 0,60, что приводит к нерациональному использованию имеющихся водных ресурсов.

Интенсивное использование земельного фонда привело к исключительной малоконтурности участков, которая, в свою очередь, создала специфическую схему ирригационной сети: многоголовье и параллелизм каналов, мелкие делянки, к ландшафту обычно несвойственному орошаемым территориям.

Таким образом, в условиях одного и того же природного ландшафта при изменении

экономико-географических условий резко изменялся характер работы ирригационных систем и состав ирригационных мероприятий. Районирование орошаемых территорий по физико-географическим признакам сохраняет свое значение, как при современном, так и при новом уровне техники, на которую ирригационные системы нашей страны, по-видимому, будут переводиться в ближайшее время. Следует, однако, иметь в виду, что ирригационные системы районов старого орошения, видимо, надолго сохранят специфические особенности, определяемые историческими условиями их формирования как культурного ландшафта.

До сих пор является господствующим представление, согласно которому ирригационная система рассматривается лишь как механизм для подачи воды на поля. В соответствии с этим существующие классификации ирригационных систем основываются главным образом на технических характеристиках отдельных элементов (водозабор, оборудованность и пр.).

При районировании орошаемых территорий в целях изучения вопросов, связанных с проектированием и эксплуатацией оросительных систем, как правило, учитываются лишь отдельные составляющие ландшафта (рельеф, климат, почвы, подземные воды), но не весь ландшафт в целом.

В результате такого подхода к вопросам классификации и районирования орошаемой территории упускается из виду, что характеризующие их элементы обусловлены всей природной обстановкой в целом и что состав и характер работы оросительных систем зависят от физико-географических условий. Недоучитывается также и то, что под влиянием орошения изменяется природный ландшафт.

Несмотря на существенные достижения в изучении отдельных элементов ирригационных систем, в настоящее время ощущается известное отставание ирригационной науки от практики, так как ирригационные системы не рассматриваются в неразрывной связи с географической средой, как важнейшего элемента созданного на его основе культурного ландшафта.

Поскольку ирригационные системы являются средством искусственного изменения ландшафта и характер работы отдельных элементов системы непосредственно связан с элементами ландшафта, проектирование оросительных систем должно быть основано на всестороннем изучении природного ландшафта орошаемых территорий.

### ВЫВОДЫ

В основу классификации и районирования орошаемых территорий должны быть положены физико-географические условия – ландшафт. Классификация и схема районирования орошаемых территорий, основанные на ландшафтных признаках, позволяют типизировать ирригационные системы, что имеет большое практическое значение для проектирования и изысканий. В частности, подобная классификация и схема районирования позволяют широко использовать опыт проектирования, изысканий и исследований, выполняемых в аналогичных условиях при проектировании и изысканиях в новых районах орошения.

### Литература

1. **Ковда В.А.** Происхождение и режим засоленных почв, т.2., Л., изд. Акад. Наук СССР, 1947.
2. **Мамедов Г.Ш.** Научные основы, результаты и пути перспективного развития Аграрной реформы. Научные основы Аграрной реформы в Азербайджане. Материалы Республиканской конференции (на азерб. языке). Баку, 29-30 октября, 2002 г., стр. 3-13.
3. Материалы Мелиоративного Кадастра на 2011 г. г. Баку (на азерб. языке).

**წყალსამეურნეო ობიექტების მდგრადი და უსაფრთხო ფუნქციონირების  
პირობების გამოკვლევა ენტროპიის გამოყენებით**

**ლიანა ფურცელაძე**  
E-mail: [L.furceladze@mail.ru](mailto:L.furceladze@mail.ru)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი  
ი. ჭავჭავაძის პრ. 60, ქ. თბილისი, საქართველო

**შესავალი**

ბუნებათსარგებლობის მეცნიერებაში არსებულ პრობლემებს შორის განსაკუთრებით მწვავედ დგას წყალსამეურნეო ობიექტების უსაფრთხო ფუნქციონირების საკითხი. ბუნებრივი გარემოს საფრთხის პროგნოზირებაში წყალსამეურნეო ობიექტების მდგრადი და უსაფრთხო ფუნქციონირების პირობების გამოსაკვლევად გამოყენებულია ენტროპიის ცნება. მოცემულია სისტემის ენტროპიის განმარტება და მისი თვისებები, რომლებიც ამართლებენ მის არჩევას განუსაზღვრელობის ხარისხის მახასიათებლად.

**ძირითადი ნაწილი**

ფიზიკური სისტემის განუსაზღვრელობის ხარისხი განისაზღვრება არა მარტო მისი შესაძლო მდგომარეობათა რიცხვით, არამედ მდგომარეობის ალბათობითაც. სისტემის (ან წყვეტილი შემთხვევითი სიდიდის) აპრიორული განუსაზღვრელობის ზომად ინფორმაციის თეორიაში გამოიყენება სპეციალური მახასიათებელი, რომელსაც ეწოდება ენტროპია. ინფორმაციის თეორიაში ენტროპიის ცნება ძირითადია. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბუნებრივი გარემოს საფრთხის პროგნოზირებაშიც წყალსამეურნეო ობიექტების მდგრადი და უსაფრთხო ფუნქციონირების პირობების გამოსარკვევად.

სისტემის ენტროპია ეწოდება სისტემის სხვადასხვა მდგომარეობათა ალბათობების მათ ლოგარითმზე ნამრავლების ჯამს შებრუნებული ნიშნით.

$$H(x) = - \sum_{i=1}^n p_i \log p_i \tag{1}$$

ნიშანი მინუსში ჯამის წინ დასმულია იმისათვის, რომ ენტროპია იყოს დადებითი ( $p_i$  რიცხვები ნაკლებია ერთზე და მისი ლოგარითმები უარყოფითია).

ენტროპიას  $H(x)$  გააჩნია მთელი რიგი თვისებებისა, რომლებიც ამართლებენ მის არჩევას განუსაზღვრელობის ხარისხის მახასიათებლად. ჯერ ერთი, ის იქცევა ნულად, როცა სისტემის ერთ-ერთი მდგომარეობათაგანი უტყუარია (უეჭველია), ხოლო სხვა – შეუძლებელი; მეორე – მდგომარეობათა მოცემული რიცხვისას იგი იქცევა მაქსიმუმად, როცა ეს მდგომარეობანი თანაბრად სააღბათოა, ხოლო მდგომარეობათა რიცხვის გაზრდისას იზრდება და ბოლოს, რაც ყველაზე მთავარია – მას გააჩნია ადიტიურობის თვისება, ესე იგი, როცა რამდენიმე დამოუკიდებელი სისტემა გაერთიანდება ერთში, მათი ენტროპიები იკრიბება.

ლოგარითმი (1) ფორმულაში შეიძლება აღებული იქნეს ნებისმიერ  $a > 1$  ფუძით, ფუძის შეცვლა ტოლფასია ენტროპიის უბრალოდ მუდმივ რიცხვზე გადამრავლებისა,

ხოლო ფუძის შერჩევა ტოლფასია ენტროპიის გარკვეული საზომი ერთეულის არჩევის. თუ ფუძედ არჩეულია 10, მაშინ ამბობენ ენტროპია „ათობით ერთეულებზე“, თუკი 2-„ორობით ერთეულზე“. პრაქტიკაში მოხერხებულია ლოგარითმებით სარგებლობა 2-ის ფუძით და ენტროპიის გაზომვა ორობით ერთეულში, ეს კარგად უთანხმდება ელექტრონულ-ციფრულ გამომთვლელ მანქანებში გამოყენებულ თვლის ორობით სისტემას. მთელი რიცხვების ორობითი ლოგარითმები მოცემულია ცხრილებში [1, 2].

ადვილია დაერწმუნდეთ, რომ ლოგარითმების ფუძედ 2-ის არჩევისას, ენტროპიის საზომ ერთეულად მიიღება მარტივი X სისტემის ენტროპია რომელსაც აქვს ორი თანაბრად შესაძლო მდგომარეობა:

$$\frac{x_1}{p_1} \parallel \frac{x_2}{p_2} \parallel \frac{x_3}{p_3}$$

მართლაც (1) ფორმულით გვაქვს

$$H(x) = -\left(\frac{1}{2} \log \frac{1}{2} + \frac{1}{2} \log \frac{1}{2}\right) = 1$$

ენტროპიის ასე განსაზღვრულ ერთეულს ეწოდება „ორობითი ერთეული“ და ზოგჯერ აღინიშნება bit (ინგლისურიდან - „binary digit“ – ორობითი ნიშანი). ეს ენტროპია ერთი თანრიგისაა ორობითი რიცხვისა, თუკი მას ერთნაირი ალბათობით შეუძლია იყოს ნული ან ერთი. [1,2,4]

გავზომოთ X სისტემის ენტროპია ორობითი ერთეულით, რომელსაც აქვს n თანაბრად ალბათური მდგომარეობანი:

$$\frac{x_1}{p_1} \parallel \frac{x_2}{p_2} \parallel \frac{x_3}{p_3} \parallel \dots \parallel \frac{x_n}{p_n}$$

$$H(x) = -n \frac{1}{n} \log \frac{1}{n} = -\log 1 + \log n$$

გვაქვს

$$H(x) = \log n \tag{2}$$

ე.ი. თანაბრად შესაძლო მდგომარეობებიანი სისტემის ენტროპია ტოლია მდგომარეობათა რიცხვის ლოგარითმისა.

მაგალითად, რვამდგომარეობიანი წყალსამეურნეო ობიექტის სისტემისათვის  $H(x) = \log 8 = 3$ . დავამტკიცოთ, რომ იმ შემთხვევაში, როცა სისტემის მდგომარეობა წინასწარ ზუსტად ცნობილია, მისი ენტროპია ნულის ტოლია. მართლაც, ამ შემთხვევაში, ყველა ალბათობანი  $p_1, p_2, \dots, p_n$  ფორმულაში (1) გადაიქცევა ნულად, გარდა ერთისა, მაგალითად  $p_k$ , რომელიც ტოლია ერთის. წევრი  $p_k \log p_k$  იქცევა ნულად, რადგან  $\log 1 = 0$ , დანარჩენი წევრებიც ხდებიან ნული, რადგან

$$\lim_{p \rightarrow 0} p \log p = 0$$

დავამტკიცოთ, რომ წყალსამეურნეო ობიექტების სასრულო სიმრავლის მქონე სისტემის ენტროპია აღწევს მაქსიმუმს, როცა ყველა მდგომარეობანი თანაბრად ალბათურია, ამისათვის განვიხილოთ (1) სისტემის ენტროპია, როგორც  $p_1, p_2, \dots, p_n$  ალბათობათა ფუნქციას და მოვნახოთ ამ ფუნქციის პირობითი ექსტრემუმი შემდეგი პირობით:



$$\sum_{i=1}^n p_i = 1 \tag{3}$$

ლაგრანჟის განუსაზღვრელ თანამამრავლთა მეთოდის გამოყენებით ვეძებთ ფუნქციის ექსტრემუმი:

$$F = - \sum_{i=1}^n p_i \log p_i + \lambda \sum_{i=1}^n p_i \tag{4}$$

(4)-ის  $p_1, p_2, \dots, p_n$ -ით გაწარმოებით და წარმოებულის ნულთან გატოლებით მივიღებთ განტოლებათა სისტემას:

$$\log p_i + \log i + \lambda = 0 \quad i = 1, 2, \dots, n$$

ან

$$\log p_i = -\lambda - \log i \quad i = 1, 2, \dots, n \tag{5}$$

საიდანაც ჩანს, რომ ექსტრემუმი (მოცემულ შემთხვევაში - მაქსიმუმი) მიიღწევა, როცა ურთიერთშორის  $p_i$  მნიშვნელობები ტოლია. (3) პირობიდან ჩანს, რომ ამ დროს

$$p_1 = p_2 = \dots = p_n = \frac{1}{n} \tag{6}$$

ხოლო წყალსამეურნეო ობიექტების მდგრადი და უსაფრთხო ფუნქციონირების მაქსიმალური ენტროპია ტოლია

$$H_{\max}(X) = \log n \tag{7}$$

ე.ი. მდგომარეობათა სასრულო რიცხვიანი სისტემის ენტროპია ტოლია მდგომარეობათა რიცხვის ლოგარითმისა და მიიღწევა მაშინ, როცა ყველა მდგომარეობანი თანაბრად სააღბათია.

ენტროპიის გამოთვლა (1) ფორმულით შეიძლება რამდენადმე გავამარტივოთ, თუ განვიხილავთ სპეციალურ ფუნქციას

$$\eta(P) = -P \log p \tag{8}$$

სადაც ლოგარითმი აიღება 2-ის ფუძით.

ფორმულა (1) დებულობს სახეს:

$$H(x) = \sum_{i=1}^n \eta(p_i) \tag{9}$$

ფუნქცია  $\eta(P)$  ცხრილშია მოცემული; [1:2]-ში მოყვანილია მისი მნიშვნელობანი  $p$ -სათვის 0-დან 1-მდე ყოველ 0.01-ს შემდეგ.

ფორმულა (1) ან მისი ტოლფასი (9) გამოიყენება ენტროპიის უშუალო გამოსათვლელად, ოღონდ გარდაქმნათა შესრულებისას ხშირად უფრო მოხერხებული აღმოჩნდება ენტროპიის ჩაწერის სხვა ფორმა, სახელდობრ კი, მისი წარმოდგენა მათემატიკური ლოდინის სახით:

$$H(X) = M[-\log P(X)] \tag{10}$$

სადაც  $\log P(X)$ - სისტემის ნებისმიერი (შემთხვევითი) მდგომარეობის ლოგარითმია, რომელიც განიხილება, როგორც შემთხვევითი სიდიდე.

როდესაც წყალსამეურნეო ობიექტების  $X$  სისტემა მიიღებს  $x_1, x_2, \dots, x_n$  მდგომარეობებს, შემთხვევითი სიდიდე  $\log P(X)$  მიიღებს მნიშვნელობებს:

$$\log p_1, \log p_2, \dots, \log p_n \tag{11}$$

შემთხვევითი სიდიდის საშუალო მნიშვნელობა (მათემატიკური ლოდინი) –  $\log P(X)$



სწორედ ეს არის სისტემის ენტროპია. მის მისაღებად (11) მნიშვნელობები საშუალებებიან „წონებით“, რომლებიც შესაბამის  $P_1, P_2, \dots, P_n$  ალბათობათა ტოლნი არიან.

(10)-ის მსგავსი ფორმულები, სადაც ენტროპია წარმოდგინება მათემატიკური ლოდინის სახით, საშუალებას იძლევიან, ენტროპიასთან დაკავშირებული გარდაქმნები გამარტივებულ იქნან მათ მათემატიკურ ლოდინზე ცნობილი თეორემების გამოყენებაზე მიყვანიტ.

პრაქტიკაში ხშირად გვიხდება განვსაზღვროტ ენტროპია რთული სისტემისათვის, რომელიც მიღებულია ორი ან უფრო მეტი მარტივ სისტემატა გაერთიანებით.

ორი X და Y სისტემის  $x_1, x_2, \dots, x_n, y_1, y_2, \dots, y_m$  შესაძლო მდგომარეობებით გაერთიანების ქვეშ ვგულისხმობტ რთულ (X,Y) სისტემას, რომელტა  $(x_i, y_j)$  მდგომარეობანი წარმოადგენენ X და Y სისტემის  $x_i, y_j$  მდგომარეობათა ყველა შესაძლო კომბინაციას.

ცხადია (X,Y) სისტემის შესაძლო მდგომარეობათა რიცხვი ტოლია  $n \times m$ . ავღნიშნოტ  $P_{ij}$  ალბათობა იმისა, რომ სისტემა (X,Y) იქნება  $(x_i, y_j)$  მდგომარეობაში:

$$P_{ij} = P[(X \sim x_i)(Y \sim y_j)] \tag{12}$$

ალბათობანი  $P_{ij}$  მოხერხებულია განვალაგოტ ცხრილის (მატრიცის) სახით:

ცხრილი 1

$x_i$ $y_j$		$x_1$	$x_2$	...	$x_n$
$y_1$		$P_{11}$	$P_{21}$	...	$P_{n1}$
$y_2$		$P_{12}$	$P_{22}$	...	$P_{n2}$
⋮		⋮	⋮	...	⋮
$y_m$		$P_{1m}$	$P_{2m}$	...	$P_{nm}$

მოვნახოტ რთული სისტემის ენტროპია. განსაზღვრის მიხედვით იგი ტოლია ყველა შესაძლო მდგომარეობათა ალბათობების მათ ლოგარითმებზე ნამრავლების ჯამისა შებრუნებული ნიშნით:

$$H(X,Y) = - \sum_{i=1}^n \sum_{j=1}^m P_{ij} \log P_{ij} \tag{13}$$

ან სხვა აღნიშვნებით:

$$H(X,Y) = \sum_{i=1}^n \sum_{j=1}^m \eta(P_{ij}) \tag{14}$$

რთული სისტემის ენტროპია, ისევე როგორც მარტივის, აგრეთვე შეიძლება ჩაიწეროს მათემატიკური ლოდინის ფორმით:

$$H(X,Y) = M[-\log P(X,Y)], \tag{15}$$

სადაც  $\log p(X,Y)$  - სისტემის მდგომარეობის ლოგარითმია, რომელიც განიხილება როგორც შემთხვევითი სიდიდე წყალსამეურნეო ობიექტების (მდგომარეობის ფუნქცია).

არსებობს ენტროპიატა შეკრების თეორემა: დამოუკიდებელ სისტემატა შეერთებისას

მათი ენტროპიები იკრიბებიან.

$$H(X_1, X_2, \dots, X_n) = \sum_{k=1}^n H(X_k) \quad (16)$$

თუ გასაერთიანებელი სისტემები დამოკიდებულია, ენტროპიათა მარტივი შეკრება უკვე არ არის მისაღები. ამ შემთხვევაში, რთული სისტემის ენტროპია ნაკლებია, ვიდრე მათი შემადგენელი ნაწილების ენტროპიათა ჯამი, მის გამოსათვლელად საჭიროა პირობითი ენტროპია.

დავუშვათ წყალსამეურნეო ობიექტების X და Y ორი სისტემიდან, დაქვემდებარებულს წარმოადგენს X, მაშინ  $H(X/Y)=0$  და

$$I_y \leftrightarrow x = H(x) \quad (17)$$

ე.ი. სრული ურთიერთინფორმაცია, რომლებსაც შეიცავენ სისტემები, რომელთაგან ერთი წარმოადგენს დაქვემდებარებულს, ტოლია დაქვემდებარებული სისტემის ენტროპიისა.

გამოვიყვანოთ  $I_y \leftrightarrow x$  ინფორმაციისათვის გამოსახულება არა პირობითი ენტროპიის საშუალებით, არამედ უშუალოდ გაერთიანებული სისტემის ენტროპიისა და მისი შემადგენელი  $H(X)$  და  $H(Y)$  ნაწილების მეშვეობით.

გსარგებლობთ რა გაერთიანებული სისტემის ენტროპიის შესახებ თეორემით, ვღებულობთ:

$$H(X/Y) = H(X, Y) - H(Y) \quad (18)$$

ამ გამოსახულების (17) ფორმულაში ჩასმით მივიღებთ:

$$I_y \leftrightarrow x = H(X) + H(Y) - H(X, Y) \quad (19)$$

ე. ი. სრული ურთიერთინფორმაცია, რომელსაც მოიცავს ორი სისტემა, ტოლია სისტემის შემადგენელ ენტროპიათა ჯამს მინუს გაერთიანებული სისტემის ენტროპია.

მიღებულ დამოკიდებულებათა საფუძველზე ადვილია გამოვიყვანოთ საერთო გამოსახულება სრული ურთიერთინფორმაციისათვის მათემატიკური ლოდინის სახით, (19)-ში ენტროპიის გამოსახულებათა ჩასმით

$$H(X) = M[-\log P(X)], \quad H(Y) = M[-\log P(Y)]$$

$$H(X, Y) = M[-\log P(X, Y)]$$

მივიღებთ:

$$I_y \leftrightarrow x = M[-\log P(X) - \log P(Y) + \log P(X, Y)]$$

ან

$$I_y \leftrightarrow x = M\left[-\log \frac{P(X, Y)}{P(X) \cdot P(Y)}\right] \quad (20)$$

სრული ურთიერთინფორმაციის უშუალო გამოთვლისათვის ფორმულა (20) მოხერხებულია დავწეროთ შემდეგი სახით:

$$I_y \leftrightarrow x = \sum_{i=1}^n \sum_{j=1}^m P_{ij} \log \frac{P_{ij}}{P_i P_j} \quad (21)$$

სადაც,

$$P_{ij} = P((X \sim x_i)(Y \sim y_j))$$

$$P_i = P(X \sim x_i); \quad r_j = P(Y \sim y_j)$$

მაგალითი: წყალსამეურნეო ობიექტის X სისტემა შეიძლება იმყოფებოდეს ოთხიდან რომელიმე ერთ-ერთ მდგომარეობაში  $x_1, x_2, x_3, x_4$ ; შესაბამისი ალბათობები მოცემულია ცხრილში

$x_i$	$x_1$	$x_2$	$x_3$	$x_4$
$P_i$	0.1	0.2	0.4	0.3

X წყალსამეურნეო ობიექტის სისტემაზე დაკვირვებისას  $x_1$  და  $x_2$  მდგომარეობანი ძნელად გასარჩევია, მდგომარეობანი  $x_3$  და  $x_4$  აგრეთვე განურჩეველი არიან. X სისტემაზე შეტყობინება აჩვენებს, იმყოფება თუ არა იგი  $x_1, x_2$  მდგომარეობიდან ერთ-ერთში. ან კიდევ,  $x_3, x_4$  მდგომარეობებიდან ერთ-ერთში. მიღებული შეტყობინება, აჩვენებს თუ  $x_1, x_2, x_3, x_4$  მდგომარეობებიდან რომელში იმყოფება X სისტემა.

ამოსხნა: მოცემულ მაგალითში ჩვენ ვაკვირდებით არა თვით X წყალსამეურნეო ობიექტის სისტემას, არამედ მის დაქვემდებარებულ სისტემას, რომელიც დებულობს  $Y_i$  მდგომარეობას, როცა სისტემა X აღმოჩნდება  $x_1, x_2$  მდგომარეობიდან ერთ-ერთში და მდგომარეობას  $Y_2$  როცა აღმოჩნდება  $x_3, x_4$  მდგომარეობიდან ერთ-ერთში. გვაქვს:

$$r_1 = P(Y \sim y_1) = 0.1 + 0.2 = 0.3$$

$$r_2 = P(Y \sim y_2) = 0.3 + 0.4 = 0.4$$

ვპოულობთ ურთიერთინფორმაციას ე.ი. დაქვემდებარებული სისტემის ენტროპიას:

$$I_y \leftrightarrow x = -r_1 \log r_1 - r_2 \log r_2 = \eta(0.3) + \eta(0.7) \approx 0.88 \text{ (ორ.ერთ).}$$

## დასკვნა

სტატიაში განსაზღვრულია ენტროპია, როგორც რაღაც ფიზიკური სისტემის მდგომარეობის განუზღვრელობის ზომა. ცხადია, რომ ცნობათა მიღების საფუძველზე სისტემის განუზღვრელობა შესაძლებელია შემცირებულ იქნეს. რაც მეტია ინფორმაცია სისტემის შესახებ, მით უფრო ნაკლებად იქნება განუზღვრელი მისი მდგომარეობა. ბუნებრივია, ამიტომ ინფორმაციის რაოდენობა გაიზომოს იმ სისტემის, ჩვენს შემთხვევაში წყალსამეურნეო ობიექტების ენტროპიის შემცირებით, რომლის მდგომარეობის დასაზუსტებლადაც განკუთვნილია ცნობები; ე.ი. ინფორმაციის რაოდენობა, მოპოვებული წყალსამეურნეო ობიექტების სისტემის მდგომარეობის სრულად გარკვევისას, ტოლია ამ სისტემის ენტროპიისა.

## ლიტერატურა

1. Яглом А.М. и Яглом И.М. – Вероятность и информация, Гостехиздат, 1960
2. Свешников А.А. – Прикладные методы теории случайных функции. Судпромиздат, 1961.
3. Большев Л.Н., Смирнов Н.В. – Таблицы математической статистики. Москва «Наука» 1983 г.
4. ვენტცელი ე. – ალბათობათა თეორია. გამომცემლობა განათლება, თბილისი, 1980.

**მდგრადი ინტეგრირის დიზაინი –  
როგორც ეკოლოგიური მდგრადობის შენარჩუნების ფაქტორი**

**ნათია ქოჩლაძე**

**E-mail: natiakochladze@yahoo.com**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
მ. კოსტავას ქ. 68, 0175, ქ. თბილისი, საქართველო

**შესავალი**

მდგრადი დიზაინი – ეს არის ცალკეული ობიექტების შექმნის, ან გარემოს კომპლექსური აგების ფილოსოფია, რომელიც ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური მდგრადობის პრინციპებზეა დაფუძნებული. მდგრადი განვითარების მანიფესტი მოიცავს აღუდგენელი ბუნებრივი რესურსების გამოყენების აკრძალვას, წარმოებისას გარემოზე მინიმალურ ზეგავლენას, ხაზს უსვამს ადამიანის და ბუნების უწყვეტ კავშირს. ეს ფილოსოფია ესადაგება როგორც “მიკროკოსმ”-ს – საყოფაცხოვრებო მცირე საგნების პროექტირებას, ასევე “მაკროკოსმ”-ს – მთელი ქალაქების პროექტირებას, ადამიანის საცხოვრებელი გარემოს ფორმირებას, რაც, ასე თუ ისე, დედამიწის ბუნებრივ ლანდშაფტს ცვლის. მდგრადი განვითარების საფუძვლები გამოიყენება დიზაინის ისეთ სფეროში, როგორცაა არქიტექტურა, ლანდშაფტური დაგეგმარება, ქალაქგეგმარება, ინტერიერის დიზაინი, გრაფიკული დიზაინი, ასევე ტანსაცმლის დიზაინი.

ხშირად მონაცვლეობით ორ ტერმინს ხმარობენ, მდგრადი დიზაინი და მწვანე დიზაინი. თუმცა მათ შორის მცირე განსხვავება მაინც არსებობს. მწვანე დიზაინი გულისხმობს დიზაინს, რომელიც ადამიანების ჯანმრთელობას და კეთილდღეობას იცავს, ხოლო მდგრადი დიზაინი ასევე გარემოსა და მსოფლიო ეკოსისტემებს იცავს მომავალი თაობებისთვის. ამ ორი ასპექტის გამაერთიანებელია “გარემოსადმი პასუხისმგებელი დიზაინი”.

**კირითაღი ნაწილი**

მდგრადი განვითარება – ეს არის საპასუხო რეაქცია მსოფლიო ეკოლოგიურ კრიზისზე, წარმოების საშიშ ზრდაზე და მოსახლეობის კოლოსალურ მატებაზე – ყოველივე ამას საბოლოოდ ბუნებრივი რესურსების გაჩანაგებამდე მიყვავართ და სრულყოფილ ეკოსისტემებს გამოუსწორებელ ზიანს აყენებს.

ინტერიერის დიზაინერების ამერიკულ საზოგადოებას (ASID) სჯერა, რომ მდგრადობა ყოველი დიზაინერის მიდგომის მნიშვნელოვანი ნაწილია, ენერგო ეფექტურობიდან დაწყებული გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის შემცირებით დასრულებული.

მდგრადი დიზაინის განსახორციელებლად რამდენიმე პირობის გათვალისწინებაა საჭირო:

1. **სივრცის მაქსიმალურად ეფექტურად გამოყენება.** ინტერიერის სივრცის ეფექტური გამოყენება ამცირებს შენობის ზომას და აქედან გამომდინარე, კონსტრუქციული მასალების და სხვა რესურსების გამოყენება მინიმუმამდე დაჰყავს.
2. **ენერჯის დამზოგველი კონსტრუქციების და მასალების გამოყენება.** ინტერიერის დიზაინერებს შეუძლიათ გამოიყენონ ფანჯრები და კარები, რომლებიც ზრდის ენერგო-ეფექტურობას, ხის იატაკი, რომელიც სწრაფად განახლებადი მასალისგან მზადდება, როგორცაა ბამბუკი, წყლის დამზოგი ტუალეტები და სხვა მასალები,

რომლებიც გარემოს ნაკლებად აზიანებენ.

3. **გამოიყენეთ პროდუქცია, რომელიც საზოგადოებრივი ნორმების დაცვითაა დამზადებული.** შეიძინეთ ავეჯი და პროდუქცია იმ მწარმოებლებისგან, რომელნიც უსაფრთხო წარმოების პროცესს აღიარებენ და სოციალურად გამართლებულ ბიზნესს აწარმოებენ. როცა არის საშუალება, გამოიყენეთ ადგილობრივი წყაროები.
4. **ხარჯის შემცირება რეგენერირებადი ან გადამუშავებული მასალის გამოყენების გზით.** საბედნიეროდ ვინტაჟის სტილი ინტერიერის დიზაინის კიდევ ერთი თანამედროვე მიმდინარეობაა. ავეჯს და დეკორაციას შეიძლება ახალი გამოყენება მოეძებნოს, რესტავრაცია გაუკეთდეს ან სხვაგვარად განახლდეს, რათა ახალი სიცოცხლე მიეცეს. ჭეშმარიტი ეკოლოგიური უსაფრთხოების მისაღწევად კაფელი, ხალიჩები, ქსოვილი და ნიჟარაც კი შესაძლოა გადამუშავებული მასალისგან იყოს დამზადებული.
5. **ენერგო-ეფექტური განათების გეგმა.** გონივრულად მოფიქრებულმა ინტერიერის დიზაინმა შეიძლება ისე გამოიყენოს ფანჯრები და ზედა განათება, რომ შემცირდეს ხელოვნური განათების გამოყენების საჭიროება. როდესაც ხელოვნური განათებაა აუცილებელი, სჯობს გამოვიყენოთ LED და კომპაქტური ფლუორესცენტული ნათურები, რომლებიც ცოტა ენერგიას ხარჯავენ და დიდხანს სძლებს.
6. **შესაძლებლობის ფარგლებში გამოიყენეთ არატოქსიკური და გარემოს დაბინძურებისათვის არასაშიში პროდუქცია.** იზრდება უსაფრთხო და ქიმიკატებისაგან თავისუფალი პროდუქციის რიცხვი ორგანული, არააღებელი საღებავებიდან დაწყებული, პესტიციდების გარეშე გაზრდილი ხის მასალით დასრულებული.

გარემოზე პასუხისმგებელი ინტერიერის დიზაინი უცხოურ ლიტერატურაში ხასიათდება, როგორც პროფესიული პრაქტიკა, რომელიც ცდილობს გარემოსადმი მდგრადი და იქ მცხოვრებთათვის ჯანმრთელი შიდა სივრცე შექმნას, ანუ შენობის გარემოზე უარყოფითი ზეგავლენის მაქსიმალურად შემცირებასთან ერთად დიზაინერმა ფიზიოლოგიურად და ფსიქოლოგიურად ჯანმრთელი საცხოვრებელი გარემო უნდა შექმნას. ამას კი შიდა სივრცეში სუფთა ჰაერის, მასალების და დღის განათების არსებობა უზრუნველყოფს.



სურ. 1. პედაგოგიური ასოციაციის შენობა დაჯილდოებული LEED- ის სერტიფიკატით



ინტერიერში ჰაერის კარგი მდგომარეობა განისაზღვრება ვენტილაციის არსებობით, ჰაერში გავრცელებული ბაქტერიების კონტროლით, მისაღები ტემპერატურის და სინოტივის შენარჩუნებით. ინტერიერის ჰაერის დაბინძურებას იწვევს მასალები, მოპირკეთება, ავეჯი, ალტურვილობა, ადამიანთა საქმიანობა და ბიოლოგიური პროცესები. ინტერიერის დიზაინერი ჰაერის მდგომარეობაზე ზრუნავს საჭირო კონსტრუქციების განსაზღვრით. მაგალითად, შესაძლოა ტიხრის იატაკიდან 2,5 5 სმ-ით აწევა, რათა უზრუნველყოთ ჰაერის მოძრაობა საოფისე სივრცეში, გამწოვი ვენტილატორების დაყენება დახურულ სივრცეში ან იქ, სადაც ჰაერის დაბინძურება ხდება (მაგ.: სამზარეულო, მოსაწევი ოთახი, აბაზანა), აგრეთვე მცენარეების გამოყენება, თუკი ეს არსებულ ინტერიერში დასაშვებია. მფლობელებმა სასურველია გადასდონ ახალ ინტერიერში გადასვლა, რათა ახალი მასალების მანე ქიმიკატები გააუვნებელყოს და არ მიაყენოს ზიანი მაცხოვრებლებს. გაუმჯობესებული ვენტილაცია ავადმყოფობის შემთხვევებს ამცირებს და პროდუქტიულობას ზრდის. საკითხის საერთაშორისო შესწავლამ დაადგინა, რომ კარგი ვენტილაციის პირობებში რესპირატორული ავადმყოფობები 9-20%-ით შემცირდა, ხოლო პროდუქტიულობა 11%-ით გაიზარდა.

ამერიკის შეერთებული შტატების გარემოს დაცვის სააგენტო საოფისე ავეჯს, იატაკის მოსაპირკეთებელ მასალას, საღებავებს და მოპირკეთებას, ხის პროდუქციას, ქსოვილებს, საიზოლაციო მასალას და გამწმენდ საშუალებებს მოიხსენიებს, როგორც ინტერიერის ჰაერის დაბინძურების წყაროს. დიზაინერის მიერ ინტერიერის მასალის, ვენტილაციის, ავეჯის და ალტურვილობის, ფანჯრის მასალის არჩევა მნიშვნელოვანია ინტერიერში ჰაერის დაბინძურების შესამცირებლად.

ორგანიზაცია LEED-ის (*Leadership in Energy and Environmental Design*) მოთხოვნების მიხედვით, მდგრადი მასალები, ეს არის მასალები, რომლებიც სწრაფად განახლებადი რესურსებიდან მზადდება, არის ძალზე გამძლე, გადამუშავებას ექვემდებარება და მცირე რაოდენობით მანე ნივთიერებებს გამოყოფს. განახლებადი რესურსები და პროდუქცია ან ხელოვნურადაა გამოზრდილი ან ბუნებრივ პირობებში იმდენი იზრდება, რომ მისი განადგურების საშიშროება არ არსებობს. მასალის არჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს როგორც გარემოსადმი მდგრადობა, ასევე ეკონომიკური (ფასი, ხელმისაწვდომობა) და სოციალური (თერმული კომფორტი, სიმყარე, გამძლეობა) ასპექტები.



სურ. 2. გადამუშავებული მასალისგან დამზადებული სავარძელი

მდგრადი ინტერიერის დიზაინის ერთ-ერთი ფაქტორია დღის განათების გამოყენება და ბუნებრივ გარემოსთან კონტაქტი. შესწავლილ იქნა რა მუშაობის პროდუქტიულობა სხვადასხვა სამსახურებში, დადგინდა, რომ ოფისებში, საიდანაც კარგი ხედები იშლებოდა ფანჯრიდან, შრომის ნაყოფიერება უფრო მაღალი იყო, ვიდრე ოფისებში, სადაც ამგვარი ხედები არ იყო. საცალო ვაჭრობაზე დღის განათების ეფექტი ისეთივე მნიშვნელობისაა, როგორც მანქანების გასაჩერებელი ადგილი, ადგილობრივი კონკურენტები და უბნის დემოგრაფიული მდგომარეობა.

გარემოზე პასუხისმგებელი დიზაინის ასევე მნიშვნელოვანი ნაწილია ალტერნატიული ენერჯის სისტემების დამატება ინტერიერის

სივრცეში, რამაც შესაძლოა ინტერიერის მოდიფიცირების აუცილებლობა წარმოშვას, აგრეთვე მნიშვნელოვანია გადამუშავებული მასალების, როგორცაა პლასტმასა, ქაღალდი და მატერია გამოყენება. ეს მასალა ინტერიერის თითქმის ნებისმიერ საგნად შეიძლება იქცეს, დაწყებული სუფრიდან და კარების წინ დასაფენი ხალიჩიდან, საწერი მაგიდითა და იზოლაციით დამთავრებული.

### დასკვნა

მდგრადი ინტერიერის დიზაინს ადამიანისა და ბუნების ურთიერთობა ჰარმონიაში მოჰყავს, ამ ურთიერთობაში ადამიანის პასუხისმგებლობის დონეს უფრო მაღლა წევს და ეკოლოგიური მდგრადობის შენარჩუნების აუცილებელი ფაქტორია. მე-20 ს. მეორე ნახევარში გაჩენილი მიმდინარეობა სულ უფრო ძლიერდება და პოპულარული ხდება.

### ლიტერატურა

1. **Bacon Leigh** – Interior Designer's Attitudes Toward Sustainable Interior Design Practices and Barriers Encountered when Using Sustainable Interior Design Practices. University of Nebraska-Lincoln, 05.01.2011. <http://digitalcommons.unl.edu>
2. What are the Different Types of Sustainable Interior Design? <http://www.wisegeek.com/what-are-the-different-types-of-sustainable-interior-design.htm>
3. Sustainable design. [http://lowfatwear.com/?page\\_id=81](http://lowfatwear.com/?page_id=81)
4. **Смирнова Александра** – Аналитическая записка по философии дизайна на примере направления Sustainable Design (экологический дизайн). [http://www.taby27.ru/sdachi-rabot/philos\\_design2008/analiticheskaya-zapiska-po-filosofii-dizajna-na-primere-napravleniya-sustainable-design-ekologicheskij-dizajn.html](http://www.taby27.ru/sdachi-rabot/philos_design2008/analiticheskaya-zapiska-po-filosofii-dizajna-na-primere-napravleniya-sustainable-design-ekologicheskij-dizajn.html)
5. **Jones Louise** – Defining Sustainable Design. Eastern Michigan University. [http://www.informedesign.org/\\_news/Sustain01\\_06.pdf](http://www.informedesign.org/_news/Sustain01_06.pdf)

## ПУТИ СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ СТРУКТУРЫ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННЫХ УГОДИЙ НА ПЕРЕУВЛАЖНЕННЫХ ЗЕМЛЯХ КОЛХИДСКОЙ НИЗМЕННОСТИ

Шургая В.Ш., Закаидзе И.Г., Кекелишвили Л.Г.

E-mail: [vshurgaia@mail.ru](mailto:vshurgaia@mail.ru)

Институт водного хозяйства Грузинского технического университета  
пр. И. Чавчавадзе, 60, г. Тбилиси, Грузия

### ВВЕДЕНИЕ

Разрешение проблемы обеспечения населения основными продовольственными продуктами требует изучения и всемерного использования земельных ресурсов Грузии. Колхидская низменность является одним из регионов страны, представляющим значительный потенциал для развития сельскохозяйственного производства и, соответственно, улучшения её продовольственного обеспечения.

### ОСНОВНАЯ ЧАСТЬ

В системе народного хозяйства Грузии роль и место Колхиды определяются её уникальными агроклиматическими ресурсами, которые в сочетании со значительными трудовыми ресурсами и благоприятным географическим положением создают основу для формирования современного, высокоэффективного сельскохозяйственного производства. С другой стороны, наличие значительных по площади заболоченных массивов является фактором, снижающим общий экономический потенциал Колхиды, однако, мелиорация земель может в значительной степени снизить негативное влияние этого фактора и во многом определить уровень развития экономики региона. Как известно, для Грузии характерно малоземелье. Особенно серьёзно эта проблема стоит в Колхиде, где каждый гектар земли потенциально представляет собой огромную ценность.

Освоение территории Колхиды характеризуется малоконтурностью площадей сельскохозяйственных угодий. Одной из причин сложившегося положения является наличие широкой сети осушительных каналов, очень густой и разветвленной гидрографической сети, вклинивание в обрабатываемые участки неудобных земель и небольших лесных массивов [1]

Следует отметить, что осушенные земли использовались, главным образом, под сельскохозяйственное производство. В основном, они находились под пашней и многолетними культурами. По мере освоения Колхидской низменности в структуре сельскохозяйственных земель формировалась тенденция уменьшения доли пашни и увеличения доли многолетних насаждений, что отражало усиление интенсификации сельскохозяйственного производства и углубление специализации Колхиды на субтропических культурах. В этом отношении особенно выделялись северная и южная части низменности, где давно и успешно функционировали агропромышленные комплексы: чайный (особенно северная часть) и цитрусовый (в большей степени южная часть). Вместе с этим субтропический тип хозяйства был менее выражен в центральной части низменности, где на современной стадии мелиоративных преобразований преобладали хозяйства полеводческо-животноводческого профиля. Высокодоходность и трудоёмкость возделывания многолетних культур (чай, цитрусы) способствовали полной занятости трудовых ресурсов.

В сельскохозяйственном комплексе Колхиды животноводство занимало сравнительно небольшое место и по уровню развития отставало от высокоинтенсивного субтропического растениеводства. В суммарной валовой продукции сельского хозяйства региона на животноводство приходилось лишь 18 %.



## ПУТИ СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ СТРУКТУРЫ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННЫХ УГОДИЙ НА ПЕРЕУВЛАЖНЕННЫХ ЗЕМЛЯХ КОЛХИДСКОЙ НИЗМЕННОСТИ

Продукция животноводства не удовлетворяла потребности причерноморских курортов и местного населения, возникала постоянная необходимость её завоза извне. Отставание животноводства объяснялось, в первую очередь, слабостью кормовой базы, которая не соответствовала имеющимся возможностям и не удовлетворяла потребности отрасли.

Полеводство в регионе по сравнению с производством многолетних культур было развито значительно слабее. В агропромышленном комплексе Колхиды оно играло вспомогательную роль и не выступало в качестве специализированной отрасли. Удельный вес использования пашни под посевы составлял около 75 %. В структуре посевных площадей доминирующее положение занимали зерновые и кормовые культуры. Резко преобладала в посевных площадях главная зерновая культура Западной Грузии - кукуруза.

Из всего вышеизложенного можно сделать вывод, что в общественных хозяйствах Колхиды в структуре товарной продукции доминировали чай и цитрусы (до 75-80%). Такая однобокая специализация не способствовала гармоничному развитию хозяйств и шла в ущерб развитию других отраслей. Так, суммарный удельный вес зерновых, овоще-бахчевых культур и плодоводства составлял всего 3%. Себестоимость реализованной продукции всех отраслей, кроме чаеводства и цитрусоводства, превосходила сумму закупочных цен [2].

Рост сельскохозяйственной продукции в Колхиде в значительной степени зависит от расширения земельной площади путем её мелиоративного преобразования, а также дальнейшего совершенствования структуры сельскохозяйственных угодий. Согласно проекту осушения Колхидской низменности, к 1990 г. было предусмотрено завершение её освоения на площади 225 тыс га. Из этой площади под сельскохозяйственное освоение предусматривалось до 60 % (135 тыс га), из которой почти 2/3 предназначалось под многолетние насаждения, в основном, чай (38 тыс га). Увеличение площади многолетних насаждений предполагалось осуществить как за счет полного освоения залежи, так и за счет уменьшения площади пашни, сенокосов и пастбищ [3].

С распадом Советского Союза кардинально стал вопрос об обеспечении населения страны продовольствием. Соответственно, возникла необходимость внести существенную корректировку в части структуры сельскохозяйственных угодий центральной зоны региона (Хобского, Сенакского и отчасти Зугдидского районов).

Как известно, в мелиоративном отношении отдельные территории Колхидской низменности из-за неодинакового гипсометрического положения, различных уклонов поверхности, разных почвенных, гидрогеологических и климатических условий находятся в неодинаковых условиях. Наиболее неблагоприятные условия складываются в её центральной части, которая отличается исключительно равнинным рельефом, низким и почти безуклонным гипсометрическим положением, неблагоприятными почвенными условиями и обилием атмосферных осадков (1700 - 2000мм). На массиве около 75 % всей площади занято тяжелыми по гранулометрическому составу почвами элювиально-гидроморфного и гидроморфного рядов, которые требуют капитального осушения. Земли под многолетние культуры (в основном чай, цитрусы) осушались закрытым дренажем в сочетании с приподнято-выпуклыми грядами - «Квали». До применения этого мелиоративного приема один закрытый дренаж без дополнительных мероприятий, обеспечивающих поверхностный сток, недостаточно регулировал гидрологический режим почвы. Подавляющее большинство растений погибало, оставшиеся растения были значительно угнетены, вследствие чего сбор и учет урожая не проводился. Несколько лучше сложилась ситуация с «Квали» (шириной 5-10 м), где с увеличением поверхностного стока в верхнем слое почвы (0-30 см), создается улучшенный водно-воздушный режим, в то время как в нижних почвенных горизонтах, без обеспечения внутреннего стока остаются намного худшие водно-воздушные условия. Урожайность чая при этом варианте была низкой (1,5 т/га) и лишь в отдельные годы достигала 4 т/га. Следует отметить, что климатические условия Колхидской низменности вполне удовлетворительны для чайного куста. Однако культура чая лимитируется также почвенными условиями, в частности, реакцией почвы. Чай требует кислую и слабокислую реакцию и предпочитает хорошо дренируемые, легкие и средние по гранулометрическому составу богатые питательными веществами почвы. Оптимальной реакцией почвы для чайного куста принято рН

водной вытяжки от 4 до 6. Эти почвенные условия не обеспечиваются в центральной части низменности, вследствие чего ожидаемая экономическая эффективность мелиоративного приема - сочетание закрытого дренажа с «Квали» не была достигнута. Чайные плантации на Колхиде, в основном, размещались на желтоземных, красноземных и подзолистых почвах; ареал их распространения не поднимался выше 500-550 м над уровнем моря. Чайные кусты, размещенные на среднесуглинистых почвах в условиях естественного возвышения, обеспечивающих поверхностный сток и хорошие фильтрационные свойства, имели благоприятные условия для высокой биопродуктивности (6,5-7,5 т/га). Особенно плотно чайные плантации были расположены в северной части Колхиды (более половины их площади), но по урожайности их значительно превосходили плантации южной части. Центральная часть Колхиды самая большая по территории, отличалась наименьшей плотностью чайных плантаций и самой низкой по региону урожайностью. [2,3]

Как видно из приведенной выше характеристики существовавшего сельского хозяйства центральной части Колхидской низменности, состояние его было весьма экстенсивное. Высокий удельный вес многолетних насаждений, низкий доход с одного га, экстенсивная структура посевных площадей и, наконец, низкий удельный вес животноводства указывали на нерентабельную хозяйственную деятельность подавляющего большинства хозяйств. Причиной таких низких показателей хозяйственной деятельности, главным образом, было неудовлетворительное мелиоративное состояние земель этих хозяйств из-за некачественного проведения осушения и эксплуатации мелиоративных систем. Кроме того, будучи подчиненными плановой дисциплине, работники сельского хозяйства нередко вынуждены были без полного проведения агро-мелиорации осваивать земли под многолетние культуры, что не могло не сказаться отрицательно на показателях урожайности.

Выход из сложившегося положения, с учетом увеличения спроса и цен на зерно в мире, видится не только в росте площадей под зерновые и бобовые культуры, но и в интенсификации сельского хозяйства. В настоящее время хотя в посевах и преобладают площади под кукурузой, но ни масштабы её распространения, ни урожайность не удовлетворяют потребности населения в зерне (в регионе широко используют кукурузу вместо пшеницы) и животноводства в кормах.

Изменение структуры сельскохозяйственных земель потребует реконструкции существующих осушительных систем, устроенных под многолетние насаждения. Требуется применять способы осушения, предназначенные для возделывания однолетних культур.

Как было сказано выше, центральная часть Колхидской низменности сложена тяжелыми набухающими почвогрунтами - глинами и тяжелыми суглинками, обладающими незначительной фильтрационной способностью, не превышающей

$2 \cdot 10^{-6}$  см/с с признаками оглеения почти с поверхности, с глубиной степень оглеения возрастает и доходит до полного оглеения на глубине 0,5-0,6 м. Это территории с избыточным увлажнением, образованным за счет верховодок, составляющих около 92 тыс га. Исходя из этого, первоочередному окультуриванию необходимо подвергнуть верхний покровный слой почвы мощностью до 0,5 м, с последующим углублением его в процессе освоения [4]. С этой целью в течение ряда лет Институтом водного хозяйства (бывший ГрузНИИГиМ) изучалась эффективность глубокой вспашки - плантажа. Было установлено, что плантаж положительно влияет на изменение активной пористости почвы. После него увеличивается объем крупных пор (макро и мезопоры диаметром  $> 0,01$  мм) за счет ультрамикропор (диаметром  $< 0,01$  мм). Увеличение крупных пор в результате плантажа положительно сказывается на водно-воздушном режиме почвы, резко повышается её фильтрационная способность.

Указанные изменения на плантажированных участках отразились соответственно и на повышении урожайности сельхозкультур: при урожае кукурузы (зерно) на контрольных участках в 18-23 ц/га на плантажированных площадях было получено в 1,5-2,0 раза больше. Кроме того, наблюдения показали, что корневая система кукурузы углубилась на плантажированных почвах до 60 см от поверхности с увеличением массы корней на 11 %, при лучшем распределении их по профилю почвы. Наибольший эффект от плантажа зафиксирован в первый год, в последующие годы достигнутые благоприятные изменения снижаются, однако остаются все же значительными по истечении трех лет после их осуществления.

## ПУТИ СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ СТРУКТУРЫ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННЫХ УГОДИЙ НА ПЕРЕУВЛАЖНЕННЫХ ЗЕМЛЯХ КОЛХИДСКОЙ НИЗМЕННОСТИ

Необходимо отметить, что приведенные выше показатели улучшения мелиоративного состояния почв в слое 0-60 см были достигнуты плантажированием на фоне кротовых дрен или щелей и временной открытой регулирующей сети, устроенной катковым бороздоделом [5]. Без указанного фона плантаж является неприемлемым мероприятием и приводит к ещё более сильному заболачиванию почв.

После плантажа следует устройство овально-профилированных полос-«Квали», ширина и поперечный уклон которых, назначается согласно почвенно-топографическим условиям и требованиям культурных растений. Многочисленные опыты и практика возделывания сельскохозяйственных растений показали, что «Квали» в условиях Колхиды является эффективным агро-мелиоративным мероприятием, с помощью которого усиливается поверхностный сток и обеспечивается необходимый водно-воздушный режим почв для культивируемых однолетних растений.

В структуре посевных площадей под «Квали» доминирующее положение должны занимать зерновые и кормовые культуры. Кукуруза - исключительно ценная для Колхидских условий зерновая культура, поскольку дает не только зерно, но и прекрасный силосный материал и концентрированные корма. Почвенно-климатические условия Колхиды позволяют получать на «Квали» один урожай кукурузы на зерно, а второй в молочно-восковой стадии на силос. Аналогичная ситуация и с соей, которая исключительно богата легкоперевариваемыми белками и удачно дополняет кукурузные корма. Кроме того, корневая система сои распространяется до глубины 0,5-0,6 м, тем самым улучшает дифференцированную скважность почвы, а также обогащает почву азотом.

Исходя из опыта многих зарубежных стран, а также на основании материалов исследований, проведенных на Колхидской низменности Институтом водного хозяйства, в качестве перспективного внутриучасткового мероприятия для осушения земель под однолетние культуры можно применить комбинированный дренаж. При таком способе осушения после плантажа участка в направлении ската местности прокладываются трубчатые дрены ( $B = 20$  м), а поперек ската нарезается густая сеть кротовых дрен ( $B = 3$  м). Особенно рационально применение этого способа при осушении безуклонных равнин и территорий с малым уклоном, где необходимо помимо отвода поверхностных вод отводить из почвы просочившуюся в нее поверхностную воду. Трубчатый дренаж выполняет роль коллектора, а кротовые дрены - собирателей. Но в условиях тяжелых почв Колхиды, к тому же сильно набухающих, нельзя ожидать сколь-нибудь существенного поступления внутреннего стока в дрены, тем более, что условия этого поступления значительно ухудшаются вследствие уплотнения стенок кротовин плугом при нарезке дрен, к тому же щели кротовин смыкаются со временем. Предложено вместо кротовых дрен устраивать щели траншейными фрезами (такие механизмы выпускаются за рубежом) шириной 0,1 м, глубиной 0,6 м, с одновременной засыпкой их фильтрующим материалом до пахотного горизонта [6,7]. Такой комбинированный дренаж способствует более равномерному распределению влаги на осушаемой площади и в её почвенном профиле. В отличие от «Квали» площадь земли полностью используется и облегчается механизация трудовых процессов. Это мероприятие при гораздо высоких капитальных вложениях, значительно снижает трудовые и денежные затраты, требуемые на эксплуатационное содержание «Квали» (периодические работы по восстановлению их выпуклого профиля и ежегодное очищение межквальных канав от заиления и растительности).

Так как применение закрытого трубчатого дренажа лимитируется водопроницаемостью почвогрунтов ( $K_f > 0,01$  м/сут), то область его применения следует ограничить небольшими массивами дельтовых участков относительно крупных рек и их приречной полосы, сложенной из песчаных почвогрунтов, и территорий низменности, сложенных из легких и средних суглинков, характеризующихся удовлетворительными водно-физическими свойствами.

Следует иметь в виду и то обстоятельство, что Колхидская низменность - это зона работ гусеничных механизмов (болотного типа); здесь почти непригодны колесные механизмы для выполнения как гидротехнических, так и сельскохозяйственных работ.

---

## ВЫВОДЫ

- В общественных хозяйствах Колхиды в структуре товарной продукции доминировали чай и цитрусы (до 75-80%). Такая однобокая специализация не способствовала гармоническому развитию хозяйств и шла в ущерб развитию других отраслей. Так, суммарный удельный вес зерновых, овоще-бахчевых культур и плодоводства составлял всего 3%. Себестоимость реализованной продукции всех отраслей, кроме чаеводства и цитрусоводства, превосходила сумму закупочных цен.
- В мелиоративном отношении отдельные территории Колхидской низменности из-за неодинакового гипсометрического положения, различных уклонов поверхности, разных почвенных, гидрогеологических и климатических условий находятся в неодинаковых условиях. Наиболее неблагоприятные условия складываются в её центральной части, которая отличается исключительно равнинным рельефом, низким и почти безуклонным гипсометрическим положением, неблагоприятными почвенными условиями и обилием атмосферных осадков (1700 - 2000мм). На массиве около 75 % всей площади занято тяжелыми по гранулометрическому составу почвами элювиально-гидроморфного и гидроморфного рядов, которые требуют капитального осушения.
- Первоочередному окультуриванию необходимо подвергнуть верхний покровный слой почвы мощностью до 0,5 м, с последующим углублением его в процессе освоения.
- Было установлено, что плантаж положительно влияет на изменение активной пористости в верхнем слое почвы. Происходят благоприятные изменения дифференциальной скважности, динамики почвенной влажности и водно-воздушного режима плантажированного участка.
- Многочисленные опыты и практика возделывания сельскохозяйственных растений показали, что «Квали» в условиях Колхиды является эффективным агро-мелиоративным мероприятием, с помощью которого усиливается поверхностный сток и обеспечивается необходимый водно-воздушный режим почв для культивируемых однолетних растений.

## Литература

1. ვართახოვი მ., იორდანიშვილი ი. კოლხეთის მიწების დაშრობის პრობლემის გადაწყვეტა. (ისტორიული მიმოხილვა). «მეცნიერება და ტექნოლოგიები» № 4-6, თბილისი, 2006, გვ. 143-145
2. Кикнадзе Т.З. Колхидская низменность. Научные предпосылки освоения. «Наука», Москва, 1990, 243 с.
3. Сванидзе Г.Г. Колхидская низменность. Природные условия и социально-экономические аспекты. «Гидрометеоздат», Ленинград, 1989, 374 с.

ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო გეოხალიჩა “ნესფილე”-ს და “ნესგეო”-ს  
ლაბორატორიული კვლევა

გოგა ჩახაია, შალვა ბოსიკაშვილი, ზურაბ ვარაზაშვილი, რობერტ დიაკონიძე,  
ირინა ხუბულავა, ლევან წულუკიძე, თამრიკო სუპატაშვილი, მარინე შავლაყაძე,  
ფერიდე ლორთქიფანიძე, გიორგი ომსარაშვილი

Email: [gogachaxaia@mail.ru](mailto:gogachaxaia@mail.ru)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი  
ი. ჭავჭავაძის პრ. 60, ქ. თბილისი, საქართველო

**შესავალი**

უკანასკნელ პერიოდში დედამიწაზე მიმდინარე კლიმატის გლობალური ცვლილებების გამო გაიზარდა ნალექების მოსვლის სისწორე და ინტენსიობა, რამაც კიდევ უფრო გაააქტიურა ისეთი სტიქიური მოვლენები, როგორცაა წყალდიდობები, ეროზიულ-ღვარცოფული და მეწყერული მოვლენები და სხვ.

ზემოაღნიშნული სტიქიური მოვლენები მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს ადამიანების სიცოცხლისათვის, ისინი ანადგურებენ საყოფაცხოვრებო შენობა-ნაგებობებსა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სავარგულებს, აზიანებენ როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი დანიშნულების სარკინიგზო და საავტომობილო დერეფნებს.

**პირითაღი ნაწილი**

აღნიშნული პრობლემები დღემდე მოუგვარებელია საქართველოშიც, სადაც ზიანდება ქვეყნის ეკოსისტემა და ეკონომიკა (საქართველომ 1995 წლიდან დღემდე 2 მილიარდი ლარის ოდენობის ზარალი განიცადა), რაც განაპირობებს უპირველეს ყოვლისა ნიადაგის დეგრადაციის საწინააღმდეგო ეფექტური პრევენციული ღონისძიებების შემუშავების აუცილებლობას [1, 2].

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ჩვენ მიერ შემოთავაზებული იქნა ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო 2 გეოხალიჩა “ნესფილე” და “ნესგეო”, რომელთა ეფექტურობის დადგენისათვის განხორციელდა ლაბორატორიული კვლევები, კერძოდ: 1 მ<sup>2</sup> ფართობის მქონე ხის ყუთში ჩაყრილი იქნა ნიადაგ-გრუნტი, რომლის ქიმიური შემადგენლობა მოცემულია ცხრილი 1-ში:

ხის ყუთში ჩაყრილი ნიადაგ-გრუნტის დატკეპნის და მოსწორების შემდეგ მასზე დაფენილი იქნა 0,5 მ<sup>2</sup> ფართობზე გეოხალიჩა “ნესფილე”, რომელიც შედგება ბამბის 2 შრისაგან, ხოლო დარჩენილ 0,5მ<sup>2</sup> ფართობზე დაფენილი იქნა გეოხალიჩა “ნესგეო”, რომელიც შედგება ბამბისა და მარლის შრეებისაგან. აღნიშნული გეოხალიჩები ნიადაგ-გრუნტის ზედაპირზე დამაგრებულია ლითონის ანკერებით, ხოლო გეოხალიჩების შრეებს შორის მოთავსებულია მცენარეთა თესვები (სურ. 1).

ნიადაგ-გრუნტის ქიმიური ანალიზის შედეგები

ანიონი	შემცველობა 100გ ნიადაგში		
	გრამი	მგ/ეკვ	მგ/ეკვ %
Cl <sup>-</sup>	0.013	0.374	55.24
SO <sub>4</sub> <sup>2-</sup>	0.007	0.221	32.64
HCO <sub>3</sub> <sup>-</sup>	0.005	0.082	12.11
ჯამი	0.025	0.677	100
კათიონი	შემცველობა 100გ ნიადაგში		
	გრამი	მგ/ეკვ	მგ/ეკვ %
Na <sup>+</sup> +K <sup>+</sup>	0.009	0.294	43.43
Ca <sup>2+</sup>	0.006	0.290	42.84
Mg <sup>2+</sup>	0.001	0.093	13.74
ჯამი	0.016	0.677	100
მინერალურ ნივთიერებათა რაოდენობა %	97.77		
წყალში ხსნადი ჰუმუსის რაოდენობა 100გ ნიადაგზე	192		
მშრალი ნაშთი t105 <sup>0</sup> C-ზე, %	0.0526		
ჰიგროსკოპიული წყალი %	2.26		
pH წყლით	7.0		

ლაბორატორიულ პირობებში გეოსალიჩებზე დაკვირვებები წარმოებდა 5.05.2012-დან 23.05.2012-მდე, ამ პერიოდში ფიქსირდებოდა ლაბორატორიაში ჰაერის ტემპერატურა და ტენიანობა, აგრეთვე მცენარე კონდარის თესლების გაღვივების შემდეგ მათი ზრდის დინამიკა.



სურ. 1. გეოსალიჩა “ნესფილე“-ს და “ნესგეო“-ს საერთო ხედი






სურ. 2 გეოხალიჩა “ნესგეო” (ზედხედი, 17.05.2012)

ლაბორატორიაში კვლევების დაწყებიდან (5.05.2012) 12 დღის შემდეგ გეოხალიჩა “ნესგეო“-ზე გაღვივდა მცენარე კონდარის თესვები და ამონაყარის სიმაღლემ შეადგინა 1-2 სმ, ხოლო დათესვიდან 18 დღის შემდეგ 9-11 სმ (იხ. სურ. 2, 3), ხოლო გეოხალიჩა “ნესფილე“-ზე შეიმჩნეოდა სუსტად გაღვივებული მცენარის თესლის მცირე რაოდენობა (იხ. სურ. 4).




სურ. 3 გეოხალიჩა “ნესგეო“-ზე ამოსული მცენარე კონდარის  
ამონაყარის სიმაღლე 8-10 სმ, (23.05.2012)




სურ. 4 გეოსალიჩა “ნესგეო”-ს და “ნესფიდე”-ს საერთო ხედი  
(22.05.2012)

კვლევის პერიოდში, ლაბორატორიაში დღის განმავლობაში ერთი საათის ინტერვალით იზომებოდა ჰაერის ტემპერატურისა და ტენიანობის მაჩვენებლები, რომელთა საშუალო მნიშვნელობებისა და მცენარეთა ამონაყარის საშუალო სიმაღლის დროსთან დამოკიდებულების გრაფიკები მოცემულია სურ. 5, 6, 7-ის სახით.




მაისი, 2012 წელი  
სურ. 5 მცენარეთა ამონაყარის საშუალო სიმაღლის დროსთან  
დამოკიდებულების გრაფიკი





მაისი, 2012 წელი  
სურ. 6 ჰაერის საშუალო ტემპერატურის დროსთან  
დამოკიდებულების გრაფიკი



სურ. 7 ჰაერის საშუალო ტენიანობის დროსთან  
დამოკიდებულების გრაფიკი

კვლევის დაწყებიდან 18 დღის შემდეგ მცენარე კონინდარის მიწისზედა და მიწისქვეშა ბიოლოგიური მასის დინამიკის შესასწავლად ყუთიდან ამოღებული იქნა მცენარე კონინდარი (იხ. სურ.8) და დადგინდა მისი ფესვთა სისტემისა და ამონაყარის სიგრძეები, რამაც დაგვანახა, რომ იგი მოცემული დროის პერიოდში საკმარისად არის განვითარებული და შეგუებულია მისთვის შექმნილ მიკროკლიმატთან, რაც იძლევა საფუძველს მისი, როგორც ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგოდ, გამოყენების პერსპექტიულობის და დამატებითი საველე კვლევების განხორციელების შემდეგ მისი ფართომასშტაბიანი დანერგვის.



სურ. 8. მცენარე კონდარის ფესვთა სისტემისა და ამონაყარის სიგრძეები  
(23.05.2012)

### დასკვნა

ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო გეოხალიჩა “ნესფილე“-ზე და “ნესგეო“-ზე განხორციელებული მცირემასშტაბიანი ლაბორატორიული კვლევის შედეგად დადგინდა:

1. გეოხალიჩა “ნესფილე“-ზე ამოსული მცენარე კონდარის ამონაყარის რაოდენობა და სიმაღლის დინამიკა არადამაკმაყოფილებელია, რისი მიზეზიც შეიძლება იყოს გეოხალიჩის ზედა ბამბის შრის დახშულობა და წყლის ინფილტრაციის უნარის ნაკლებობა;
2. გეოხალიჩა “ნესგეო“-ზე ამოსული მცენარე კონდარის ამონაყარის რაოდენობა და სიმაღლის დინამიკა დამაკმაყოფილებელია, რაც იძლევა საფუძველს განხორციელდეს მასზე დიდი მასშტაბის საველე კვლევები ბუნებრივ პირობებში ნიადაგის ეროზიის საწინააღმდეგო ეფექტურობის დასადგენად.

### ლიტერატურა

1. ჩახაია გ.გ., ვარაზაშვილი ზ.ნ., დიაკონიძე რ.ვ., წულუკიძე ლ.ნ., ხუბულავა ი.ვ., სუპატაშვილი თ.ლ. – მთის ფერდობებზე მიმდინარე ნიადაგის დეგრადაციის პროცესების საწინააღმდეგო თანამედროვე ღონისძიებები. წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო შრომათა კრებული №66, თბილისი 2011, გვ. 204-208.
2. Чахая Г.Г., Варазашвили З.Н., Диаконидзе Р.В., Цулукидзе Л.Н., Хубулава И.В. – Современные мероприятия по борьбе с эрозионными процессами, протекающими на горных склонах. Институт водного хозяйства, сборник научных трудов № 65, Тбилиси 2010, ст. 244-248.

ოქროს კვეთი და მშენებლობა

რევაზ ცხვედაძე, გელა ყიფიანი, დემურ ტაბატაძე  
Email: demuribatadze@yahoo.com

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
მ. კოსტავას ქ. №77, ქ. თბილისი, საქართველო

შესავალი

ოქროს კვეთი ანუ ოქროს პროპორცია კაცობრიობისათვის უხსოვარი დროიდან არის ცნობილი და გადმოცემულია ევკლიდეს ცნობილ „საწყისებში“. იოვან კეპლერი ამბობდა, რომ: „გეომეტრია ფლობს ორ საუნჯეს, პითაგორას თეორემას და „ოქროს კვეთას“, თუ პირველი მათგანი შეგვიძლია შევადაროთ ოქროს, მაშინ მეორე იქნება ძვირფას ქვათა სადარი“. მე-15 საუკუნის იტალიელმა მათემატიკოსმა ლუკა პაჩოლიმ ოქროს კვეთას მიუძღვნა სპეციალური წიგნი სათაურით „ღვთაებრივი პროპორცია“, რომელშიც აღწერილია მის მიერ აღმოჩენილი რამოდენიმე ახალი საკითხი, რომლებსაც უწოდა „ზეზუნებრივი“, „უბრწყინვალესი“ და ა.შ. ამ წიგნის დაწერის ერთ-ერთი სულის ჩამდგმელი და მისი გამფორმებელი ლეონარდო და ვინჩი იყო. ტერმინი „ოქროს კვეთა“ ლეონარდო და ვინჩის მიერაა დამკვიდრებული. ის თვლიდა, რომ ოქროს კვეთის პროპორციის მიხედვით ფერწერის, ქანდაკების, პოეზიის, მუსიკის, არქიტექტურის შემადგენელი ელემენტების განლაგება ქმნის ყველაზე უფრო სრულყოფილ ფორმებს და უმაღლეს ჰარმონიას აღწევს. დღეისათვის არ არის დარჩენილი ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი სფერო, სადაც არ იყოს გამოყენებული „ოქროს კვეთის“ პროპორციები.

ბუნებაში მრავალი მაგალითია იმისა, თუ როგორ ქმნის თაღურ კონსტრუქციებს ქარი და წყალი გამოქვაბულებისა და მთების სახით. ამის ნათელი მაგალითებია ბუნებრივი ხიდი „owachomo“ იუტას შტატში, რომლის მალის სიგრძე 55მ-ია, სიმაღლე კი 32მ და ქ. კისლაგოდსკის ახალი მთა „КОЛЬЦО“.


პირითაღი ნაწილი

ადამიანი, როგორც ყოველი ცოცხალი არსება, განუყოფელია ძალოვანი კონსტრუქციებისაგან ზომების უნიფიცირების დადგენის გამო და ბუნებისაგან დაყვანილია გარკვეული სახის სრულყოფილებამდე. ადამიანის აღნაგობა და ბუნებაში არსებული კონსტრუქციების უმრავლესობა ემორჩილება სიმეტრიისა და „ოქროს კვეთის“ კანონებს.

ადამიანმა ბუნების მიბაძვით მრავალი განსაცვიფრებელი კონსტრუქცია შექმნა. სამასშტაბო ეფექტის მოხერხებულად გამოყენებით ეიფელმა შექმნა უნივერსალური ნაგებობა ეიფელის კოშკის სახელწოდებით, რომელიც წარმოადგენს ადამიანის ფეხის წვივის ძვლის 1000-ჯერ გადიდებულ ნიმუშს.

ბუნებაში არსებული ფორმებიდან, რომლებიც ცდილობენ დაიმკვიდრონ სივრცეში თავისი ადგილი, ძირითადად ხორციელდება ორ ვარიანტში: სიმაღლის ზრდა ან დედამიწის ზედაპირზე განშლა და ხეიის სახით წარმოდგენა. მაგალითად 10 სმ სიგრძის

ზღვის ლოკოკინის ნიჟარას გააჩნია 35 სმ სიგრძის ხვია. ხვიის სახით არის წარმოდგენილი მხესუმზირის ნაყოფის განლაგება.



ნახ. 1

განვიხილოთ რიამე  $a$  მონაკვეთი. ეს მონაკვეთი შეგვიძლიან გავყოთ ორ ტოლ ნაწილად ან ორ არა ტოლ  $x$  და  $a-x$  ნაწილად (ნახ. 1.) ამასთან იგულისხმება, რომ  $x$  დიდი ნაწილია. ამბობენ, რომ  $a$  მონაკვეთი გაყოფილია ოქროს პროპორციებად ისეთ ორ  $x$  და  $a-x$  ნაწილებად. თუ ისინი აკმაყოფილებენ შემდეგ პირობას: დიდი ნაწილის სიგრძე ისე შეეფარდება გასაყოფი მონაკვეთის სიგრძეს, როგორც მცირე ნაწილი დიდ ნაწილს ანუ ადგილი აქვს ტოლობას:

$$\frac{x}{a} = \frac{a-x}{x} \quad (1)$$

(1) ტოლობიდან ვღებულობთ კვადრატულ განტოლებას

$$x^2 + ax - a^2 = 0 \quad (2)$$

რომლის დადებითი ფესვი  $x = \frac{\sqrt{5}-1}{2}a = 0,618a$ , მცირე მონაკვეთის სიგრძე იქნება  $a-x = a - 0,618a = 0,382a$ . თუ შემოვიღებთ აღნიშვნას  $x = at$ , მაშინ უგანზომილებო  $\tau$  სიდიდის რიცხვითი მნიშვნელობა იქნება  $\tau = 0,618$ . ადვილი შესამოწმებელია, რომ  $\frac{1}{\tau} = 1 + \tau$

ანუ  $\tau = \frac{1}{1+\tau}$ .  $\tau$  რიცხვის მიახლოებითი სიდიდეების მოსაძებნად ფიბონაჩიმ გამოიყენა შემდეგი მიმდევრობა

1; 1; 2; 3; 5; 8; 13; 21; 34; 55; ...

ამ მიმდევრობის პირველი ორი წევრი 1-ის ტოლია, ხოლო მომდევნო კი მის წინ მდგომი ორი წევრის ჯამი. თუ ამ მიმდევრობის წინა წევრს გავყოფთ მომდევნო წევრზე მივიღებთ  $\tau$  რიცხვის მიახლოებითი მნიშვნელობების მიმდევრობას


$$\frac{3}{5}, \frac{5}{8}, \frac{8}{13}, \frac{13}{21}, \frac{21}{34}, \dots \quad (3)$$

ამ მიმდევრობის ზღვარი  $\tau$  რიცხვის ტოლია.

განვიხილოთ ზოგიერთი სამშენებლო კონსტრუქცია და ოპტიმალურობის დადგენის მიზნით მათ გასაანგარიშებლად გამოვიყენოთ ოქროს კვეთის მეთოდი.

დავიწყოთ უმარტივესი სახის კონსტრუქციის კოჭის განხილვით. ძირითადად კოჭებს მართკუთხედის ფორმა გააჩნიათ და მათი სიმტკიცე დამოკიდებულია განიკვეთის მოხაზულობაზე. განიკვეთის ზომები ავლნიშნოთ  $b$  და  $h$ -ით - კოჭის სიმაღლე და სიგანე, ხოლო დიაგონალი -  $d$ -ით (ნახ. 2)  $b = d \cos \alpha$ ,  $h = d \sin \alpha$ . წინააღობის მომენტი, რომელიც განსაზღვრავს კოჭის სიმტკიცეს, გამოითვლება ფორმულით:

$$W = \frac{bh^2}{6} = \frac{d^3}{6} \sin^2 \alpha \cos \alpha$$



ნახ. 2

ვიპოვოთ \$W\$ ფუნქციის მაქსიმუმი \$\alpha\$ კოორდინატით:

$$\frac{dW}{d\alpha} = \frac{d^3}{6} (2 \sin \alpha \cos^2 \alpha - \sin^3 \alpha)$$

ამ უკანასკნელის ნულთან გატოლება და ფესვების მოძებნა მოგვცემს:

$$\sin \alpha (2 \cos^2 \alpha - \sin^2 \alpha) = 0 \quad \sin \alpha \neq 0$$

$$2 \cos^2 \alpha - \sin^2 \alpha = 0 \quad \text{tg}^2 \alpha = 2 \quad \text{tg} \alpha = \sqrt{2} \Rightarrow \text{tg} \alpha = 1,4 \quad \frac{h}{b} = 1,4$$


რაც ოქროს კვეთას წარმოადგენს. ე.ი. მაქსიმალური სიმტკიცის კოჭის კვეთის ზომები უნდა შეირჩეს ფიბონახის (3) მიმდევრობის წევრებისაგან.

განვიხილოთ სახლთმშენებლობაში მეტად გავრცელებული გადახურვის კონსტრუქცია - სამკუთხა ნივნივა (ნახ. 3), რომელიც განიცდის გარკვეულ ძალთა სისტემის ქმედებას.

ზომების შეუზღუდავად ვიგულისხმობთ, რომ \$\angle BAC = \alpha\$, ხოლო \$\angle DAC = \varphi\$. \$\varphi\$ კუთხე ჩავთვალოთ ცვლად სიდიდედ იმისდა მიხედვით, თუ სად იმყოფება \$D\$ კვანძში \$AB\$ ჰიპოთენუზაზე.

დატვირთვისა და წამწის აღნაგობის პირობებში წამწის ღეროებში აღძრულ ძალვათა სიდიდეები შესაბამისად იქნება: (ნახ. 3)

$$AB=c, AC=b, BC=a, \angle ACD=\varphi$$



ნახ. 3

$$T_{AD} = -\frac{3P}{2\sin\alpha}, \quad T_{AC} = -\frac{3P}{2\sin\alpha}\cos\alpha, \quad T_{DB} = -\frac{P}{2\sin\alpha} \frac{1+3\operatorname{tg}\varphi\operatorname{ctg}\alpha}{1+\operatorname{tg}\varphi\operatorname{ctg}\alpha}$$

$$T_{DC} = -\frac{P\sqrt{1+\operatorname{tg}^2\varphi}}{\operatorname{tg}\alpha+\operatorname{tg}\varphi}, \quad T_{BC} = 2P \frac{\operatorname{tg}\varphi\operatorname{ctg}\alpha}{1+\operatorname{tg}\varphi\operatorname{ctg}\alpha}$$

D კვანძში შემავალ დეროებში აღძრული ძაღვათა სიდიდეები დამოკიდებულია არიან  $\varphi$  კუთხის სიდიდეზე.

განვიხილოთ შემთხვევები, როცა D კვანძი მოთავსებულია AB ჰიპოთენუზის სხვადასვა წერტილში.

I შემთხვევა როცა  $DC \perp AB$ ; ასეთ შემთხვევაში  $\varphi = 90^\circ - \alpha$  შესაბამისად გვექნება:

$$T_{DB} = -\frac{P}{2\sin\alpha}(1+2\cos^2\alpha), \quad T_{DC} = -P\cos\alpha, \quad T_{BC} = 2P\cos^2\alpha$$

$$T_{DB} = -\tau\sqrt{\tau^2\operatorname{ctg}^2\alpha+1}, \quad T_{DC} = -\frac{P}{2\sin\alpha}(1+2c), \quad T_{BC} = \varepsilon r p$$

წამწის დეროებში აღძრული ძაღვათა სიდიდეები, ოთხივე განხილული შემთხვევისათვის,  $\alpha$  კუთხის სიდიდეზეა დამოკიდებული, რომელთა ანალიზიდან დგინდება, რომ ძაღვათა განაწილების რაციონალური სურათი გვაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც D კვანძი ემთხვევა ოქროს კვეთის წერტილს.

### დასკვნა

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნაგებობის გაანგარიშება (დაპროექტება) ოქროს კვეთის გამოყენებით გვაძლევს ოპტიმალურად განაწილებულ დაძაბულობის სურათს.

### ლიტერატურა

1. Гордон Дж. – Конструкций, или почему не ломаются вещи. Из. «Мир», Москва, 1960, с.240;
2. Тимердин Г.Е. – Золотое Сечение. Москва 1924. ст. 85.

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მაგისტრალური ნავთობსადენის  
ანგარიშულ შემთხვევებში მდინარეებზე ცხრაწყაროსა და  
კუმისკაზე დამცავი საგუბრების მუშაობის ჰიდროავლიკური  
ბაზნაბარიშების ექსპერტიზის შედეგები**

**გიორგი ყირმელაშვილი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
მ. კოსტავას ქ. №77, ქ. თბილისი, საქართველო

**შესავალი**

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მაგისტრალური ნავთობსადენის პროექტისათვის ჯონ ბარტლემის (ინგლისი) მიერ 2011 წლის აგვისტოში შედგენილ იქნა ანგარიში „ნავთობის შემაკავებელი სისტემა – მეორადი შემაკავებელი ობიექტების საკეტებთან წარმოქმნილი მორევეების მიმოხილვა“. ანგარიში მომზადებულია სხვების მიერ მიწოდებულ ინფორმაციებზე დაყრდნობით და ავტორი არ იძლევა გარანტიას ამ ინფორმაციის სისრულესა და სიზუსტეზე.

ანგარიშში აღნიშნულია ის ობიექტები (ცხრაწყარო და კუმისკა), სადაც საკეტების სიახლოვეს დრო და დრო წყლის ზედაპირზე შეიმჩნეოდა მორევეები. ეს აჩვენა 2010 და 2011 წლის დაკვირვებებმა.

დაისვა კითხვა, ანგარიშულ შემთხვევებში წყლის ზედაპირზე მოხვედრილი ნავთობი გაიწოვება თუ არა ქვედა ბიეფში საკეტების სიახლოვეს წარმოქმნილი მორევეების გამო (მორევეებთან ერთად).

ანგარიშში არაა მოყვანილი მთავარი საკითხის მორევეების დიობში გასვლის დამადასტურებელი მონაცემები და პირობები. აღნიშნულია მხოლოდ ის, რომ შემაკავებელი აუზიდან „გარკვეული“ პირობების დაცვის შემთხვევაში მორევეებით წყლის ზედაპირიდან გასავალში ჰაერი, ნაგავი და წყლის ნაწილაკები არ გაიწოვება. წინააღმდეგ შემთხვევაში წყლის ზედაპირზე მოხვედრილი ნავთობიც გაყვება წყალს გასავალში. ამ პირობების დასადტურებლად, სათანადო მტკიცებულების უქონლობის გამო, საჭირო გახდა საკონტროლო ანგარიშების შესრულება.

**ძირითადი ნაწილი**


მდინარე ბორჯომულას შენაკადებისათვის (ცხრაწყარო, კუმისკა 1, კუმისკა 2, ოშორა 1, ოშორა 2 და თორი) აგებულია საგუბრები, რომლებიც ერთად ქმნიან ბორჯომულას აუზს. თითოეული საგუბრის დაკეტვა-გაღება ხორციელდება ავტომატურად მართკუთხა ფორმის საკეტებით (ფარებით). საგუბრებში ნახვრეტების წინ წარმოიშობა გარკვეული სიდიდის მორევეები. ისინი ხშირად შეიმჩნევა ფსკერთან ახლო დიდი ნახვრეტებიდან მცირე დაწნევით სითხის გამოდინების დროს და წარმოიშობიან საგუბრების დაცლის შემთხვევაში. მორევეების ინტენსივობა შეიძლება იყოს იმდენად დიდი, რომ წყლის ზედაპირიდან გარკვეულ სიღრმეზე შიგნით გადის ჰაერის ნაკადი (ბუშტულები), ნაგავი და წყლის ნაწილაკები, რაც ამცირებს წყლის ნაკადის ნახვრეტში გადინების კვეთს და გამტარუნარიანობას.

მორევების წარმოქმნისა და მათ მიერ შექმნილი არასასურველი შედეგების შესახებ კვლევითი მასალები დღეისათვის არაა საკმარისი. ჩვენ ვისარგებლეთ გარკვეული ლიტერატურით [1-7] მდინარე ბორჯომულას შენაკადების: ცხრაწყაროსა და კუმისკას საგუბრების მუშაობისა და გამოყენების შესახებ ანგარიშის ჩასატარებლად. მკვლევარებს მიღებული აქვთ გარკვეული საანგარიშო გრაფიკები და ფორმულები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ვიანგარიშოთ კრიტიკული წნევები, როცა სითხე გამოედინება ფსკერში (ზემოდან ქვემოთ) და ფსკერთან (გვერდიდან). კრიტიკული კი ის წნევაა, როცა მორევი დაიწყებს ნახვრეტში გახვლას. მაშასადამე, კრიტიკულ და კრიტიკულზე ნაკლები წნევის შემთხვევაში მორევი ყოველთვის გავა ნახვრეტში.

ჩვენს წინაშე დასმულია მეორე ამოცანა—როცა სითხე გაედინება წყალშემკრები საგუბრის გვერდიდან ფსკერთან ახლოს, უნდა დავადგინოთ კრიტიკული წნევის რიცხვითი მნიშვნელობები ცხრაწყაროსა და კუმისკას საგუბრებისათვის, როცა შერჩეულია წყლის ხარჯი, წყლის სვეტის (დონის) სიმაღლე, წყლის გამშვები მოწყობილობის სიმაღლე და სიგანე, თუ საგუბარში წყლის დონე მუდმივია.

დადგენილია, რომ როცა კრიტიკული წნევა ნაკლებია საგუბარში წყლის სვეტის სიმაღლეზე, მაშინ მორევი ვერ მიაღწევს ნახვრეტამდე, ხოლო მორევი ნახვრეტში აუცილებლად გავა, თუ საგუბარში წყლის სვეტის წნევა არ აღემატება კრიტიკულ წნევას [1; 2; 3; 7]. ამ შემთხვევების საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ამოცანები.

**ამოცანა 1.** ცხრაწყაროს საგუბარიდან დაეუშვათ, რომ ნახვრეტში (სურ. 1) გამავალი სითხის ხარჯია  $Q = 16,85$  მ<sup>3</sup>/წმ და ნახვრეტის სიმაღლეა  $D = 0,69$  მ (ნახვრეტი მართკუთხაა). განვსაზღვროთ, გააღწევს თუ არა მორევი ნახვრეტში, თუ ნახვრეტის სიგანეა  $b = 3$  მ.



სურ. 1

**ამოხსნა:** ნახვრეტში ნაკადის სიჩქარე

ქნება  $V = \frac{Q}{\omega} = \frac{16,85}{2,07} = 8,14$  მ/წმ, სადაც  $\omega = b \cdot D$  — ნახვრეტის განივკვეთის ფართობია.

მოვძებნოთ შეფარდება  $\frac{V}{\sqrt{D}} = \frac{8,14}{\sqrt{0,69}} = \frac{8,14}{0,83} \approx 9,81$ .

ამ სიდიდის შესაბამისად მოვძებნოთ კრიტიკული დაწნევა  $H_{კრ}$ .

სურათების 3, ა და 3, ბ-ს მიხედვით გვექნება:



$$\frac{H_{კრ.}}{D} = 3,7; H_{კრ.} = 3,7 \cdot 0,69 = 2,55 \text{ მ.}$$

გამოვთვალეთ წყლის სვეტის წნევა  $H$  საგუბარში, როცა სითხე გამოედინება ატმოსფეროში.

რადგან  $V = \mu\sqrt{2gH}$ , საიდანაც  $H = \frac{V^2}{\mu^2 2g}$  ( $\mu = 0,85$  - ხარჯის კოეფიციენტი და

$g = 9,81 \text{ მ/წმ}^2$  - სიმძიმის ძალის აჩქარება), ცხადია, გვექნება:

$$H = \frac{8,14^2}{0,85^2 \cdot 2 \cdot 9,81} = \frac{66,2596}{14,17545} = 4,7 \text{ მ.}$$

მაშასადამე, საგუბარში წყლის სვეტის წნევა მეტია კრიტიკულ ანუ მინიმალურ წნევაზე.

სურათი 1-ის მიხედვით საგუბარში სრული დაწნევა  $H_0 = 5,5$  მ-ს,  $H = 5,5 - 0,345 = 5,155$  მ, რაც  $H_{კრ.} = 2,55$  მ-ზე მეტია და მორევი საკეტის დიობში არ გაიწოვება.


**ამოცანა 2.** დავეუშვათ, რომ წყლის სიღრმე საგუბარში არის  $H = 4$  მ. სითხის გამოდინება პირდაპირ ატმოსფეროში არ ხდება (სურ. 2) და გამოყენებულია დამატებითი წყალგამტარი  $z = 10$  მ დაქანებით. გამოვთვალეთ წყლის კრიტიკული დაწნევა (წყალგამტარი მილსადენია დიამეტრით  $D = 1$  მ).

**ამოხსნა:** პროცესის დამახასიათებელი პარამეტრები იქნება

$$Q = \mu\omega\sqrt{2gz} = 0,85 \cdot \frac{\pi \cdot 1^2}{4} \sqrt{2 \cdot 9,81 \cdot 10} = 0,85 \cdot 0,785 \cdot 14 \approx 9,35 \text{ მ}^3/\text{წმ};$$

$$V = \frac{Q}{\omega} = \frac{9,35}{0,85 \cdot 0,785} = 14,01 \text{ მ/წმ}; \frac{V}{\sqrt{D}} = \frac{14,01}{1} = 14,01; \frac{H_{კრ.}}{D} = \frac{4,7}{1} = 4,7; H_{კრ.} = 4,7 \text{ მ.}$$

მაშასადამე, წყლის კრიტიკული დაწნევა საგუბარში მეტია წყლის სიღრმეზე. ცხადია, ამ შემთხვევაში მორევის გასვლა ნახვრეტში გარდაუვალია.



სურ. 2

ჩვენს შემთხვევაში, მართკუთხა ფორმის ნახვრეტიდან (ფარიდან) წყლის გამოდინების სიჩქარეს ვანგარიშობთ ფორმულით:

$$V = \mu\sqrt{2gH}, \tag{1}$$

სადაც,  $\mu = 0,85$  არის ხარჯის კოეფიციენტი და სიმძიმის ძალის აჩქარება  $g = 9,81 \text{ მ/წმ}^2$ .

**გიორგი ყირმელაშვილი**

შემაკავებელი ობიექტებისათვის საგუბრებიდან წყლის გამოდინების სიჩქარეები მიღებული (1) ფორმულის მიხედვით წარმოდგენილია ცხრილი -1-ში.

ნაკადის სიჩქარე საკეტში შეიძლება განისაზღვროს, აგრეთვე, ტოლობით,

$$V = \frac{Q}{\omega}, \tag{2}$$

სადაც  $\omega = b \cdot D$ ,  $b$  – მართკუთხა ფორმის საკეტის სიგანეა, ხოლო  $D$  – სიმაღლეა (ანგარიშის შედეგები, აგრეთვე, 1-ელ ცხრილშია შეტანილი).

**ცხრილი 1**

შემაკავებელი ობიექტები	საკეტების (ფარების) გაღების სიმაღლე $D$ , მ	წყლის სვეტის სიმაღლე $H$ , მ	საკეტებში (ფარებში) გამავალი წყლის სიჩქარე $V$ , მ/წმ	
			განსაზღვრული (1) ფორმულით	განსაზღვრული (2) ფორმულით
ცხრაწყარო	0,67	5,165	8,56	9,49
	0,69	5,155	8,55	8,14
კუმისკა	0,93	5,035	8,71	8,44
	0,64	5,180	8,57	8,42

ახლა უკვე შესაძლებელია შევასრულოთ სათანადო გაანგარიშებები ნავთობის შემაკავებელი საგუბრებიდან მორეგების გასვლისათვის საჭირო კრიტიკული წნევების დასადგენად მდინარე ბორჯომულას შენაკადების ცხრაწყაროსა და კუმისკას საგუბრებისათვის. ამ შენაკადების საგუბრების საკეტები და მათი ზომები შესაბამისად არის:

1. ცხრაწყაროსი – ზუსტი რეგულირების საკეტია 1 ცალი, ზომით 0,5 მ × 0,5 მ; ნავთობის შემაკავებელი 1 ცალი, 3 მ × 1,5 მ; წყალმოვარდნის საკეტებია 2 ცალი, 3 მ × 1,5 მ (თითო ცალი).

2. კუმისკასი (კუმისკა 1 + კუმისკა 2) – ზუსტი რეგულირების 1 ცალი საკეტი 1,5 მ × 1,5 მ ზომით; ნავთობის შემაკავებელი 4 ცალი თითო 3 მ × 1,5 მ ზომით; წყალმოვარდნის ორი საკეტი თითო 4 მ × 2 მ ზომით.

საგუბრებში წყლის დონის მუდმივ სიმაღლედ ფსკერიდან ზედაპირამდე ვიღებთ  $H_0 = 5,5$  მ-ს, ხოლო წყლის მოძრაობის დროს საკეტებთან წარმოშობილი მორეგებისათვის მინიმალურ ანუ კრიტიკულ წნევებს ვანგარიშობთ ფორმულით

$$H_{კრ.} = D \left[ 1 + 1,5 \left( \frac{V}{\sqrt{gD}} \right)^{0,75} \right], \tag{3}$$

სადაც  $D$  საკეტების გაღების სიმაღლე ათვლება ფსკერიდან და  $F_r = \frac{V}{\sqrt{gD}}$  -ფრუდის რიცხვია.

ცხრაწყაროსა და კუმისკას ხარჯების განმეორებადობის პერიოდები, წყლის ხარჯები ავარიულ ან წყალდიდობის პირობებში, საგუბრების ძირითადი საკეტების გაღების სიმაღლეები მოცემულია მე-2 და მე-3 ცხრილში. მათზე დამოკიდებულებით, (1), (2), (3) ფორმულების და 3,ა და 3,ბ საანგარიშო გრაფიკების გამოყენებით შესრულებულია გათვლები თითოეული საკეტის დიობის ფართობის, თითოეულ საგუბარში ერთი ზომის საკეტების გაღებული საშუალო ფართობთა ჯამების, თითოეულ საკეტში გასული წყლის ხარჯების, სიჩქარეებისა და ფრუდის რიცხვების რიცხვითი მნიშვნელობების მისაღებად.

ცხრილი 2



შემაკავე- ბელი ობიექტები	სარჯის განყოფი- ბალების პერიოდი (წელი)	სარჯი მპ/წმ	ძირითადი საკეტუ- ბის გაღების სიმაღლე D მ	გაღებული საკეტების რაოდენო- ბები და მათი ზომები, მ <sup>2</sup>	ერთი საკეტის სამუშაო ფართო- ბი, მ <sup>2</sup>	ყველა საკეტის სამუშაო ფართო- ბი, მ <sup>2</sup>	სარჯი ერთ საკეტში, Q მპ/წმ	საკე- ტებში (ფარე- ბში) გამავალი წყლის სიჩქარე, $V = \frac{Q}{\omega}$ მ/წმ	ფრუდის რიცხვი, $F_r = \frac{v}{\sqrt{gD}}$
ცხრაწყარო	100	57,2	0,67	სამი საკეტი თითო 3 მ × 1,5მ	3მ×0,67მ = =2,01 მ <sup>2</sup>	3მ×2,01მ <sup>2</sup> = =6,03 მ <sup>2</sup>	$\frac{57,2}{3} \approx 19,07$	9,49	3,28
	30	33,7	0,69	ორი საკეტი თითო 3 მ × 1,5მ	3მ×0,69მ = =2,07 მ <sup>2</sup>	2მ×2,07მ <sup>2</sup> = =4,14 მ <sup>2</sup>	$\frac{33,7}{2} = 16,85$	8,14	3,24
კუმისკა	100	133,4	0,93	სამი საკეტი თითო 3 მ × 1,5მ	1) 0,93მ×3მ= =2,79 მ <sup>2</sup>	3მ×2,79მ <sup>2</sup> = =8,37 მ <sup>2</sup>	$\frac{70,6}{3} \approx 23,53$	8,43	2,79
				და ორი საკეტი თითო 4 მ × 1,5მ	2) 4მ×0,93მ = =3,72 მ <sup>2</sup>	2მ×3,72მ <sup>2</sup> = =7,44 მ <sup>2</sup>	$\frac{62,8}{2} \approx 31,4$	8,44	
	6	43,1	0,64	ორი საკეტი თითო 4 მ × 1,5მ	4მ×0,64მ = =2,56 მ <sup>2</sup>	2მ×2,56მ <sup>2</sup> = =5,12 მ <sup>2</sup>	$\frac{43,1}{2} = 21,55$	8,42	3,35

ცხრილი 3

შემაკავებელი ობიექტები	ძირითადი საკეტების გაღების სიმაღლე D, მ	საანგარიშო სიდიდეები			საკეტებში მორეგების გასვლის მინიმალური კრიტიკული სიმაღლე	
		$\frac{v}{\sqrt{D}}$ (2) ფორმუ- ლით	$\frac{H_{მონ}}{D} = a$ გრაფიკით	$H_{მონ} = aD,$ მ	მიღებული გრაფიკით $H_{მონ}, (მ)$	მიღებული ფორმულით (3) $H_{მონ}, (მ)$
ცხრაწყარო	0,67	11,6	3,86	3,86×0,67=2,59	2,59	3,12
	0,69	9,8	3,79	3,79×0,69=2,62	2,62	3,18
კუმისკა	0,93	8,8	3,30	3,3×0,93=3,07	3,07	2,94
	0,64	10,5	3,94	3,94×0,64=2,52	2,52	3,02

გიორგი ყირმელაშვილი

გარდა გაანგარიშებით მიღებული აღნიშნული სიდიდეების რიცხვითი მნიშვნელობებისა, მე-3 ცხრილში წარმოდგენილია საკეტებში მორევის გასვლის მინიმალური (კრიტიკული) სიმაღლე, რომელიც ნაკლებია წყლის სვეტის სიმაღლეზე. წყლის სვეტის და კრიტიკული სიმაღლეები ყველა შემთხვევაში ათვლილია საგუბრის დიობის სიმეტრიის ღერძიდან. გამოანგარიშებულია მათ შორის სხვაობები. შედეგები შეტანილია მე-4 ცხრილში. კრიტიკული დაწნევების რიცხვითი მნიშვნელობების მისაღებად გამოყენებულია როგორც (3) ფორმულა, ისე 3,ა და 3,ბ სურათებზე წარმოდგენილი გრაფიკები.




ნახ. 3

ცხრილი 4

$D = 0,69 \text{ მ}$

წყლის სვეტის სიმაღლე საგუბარში, $H$ მ	$V$ მ/წმ	$\frac{V}{\sqrt{D}}$	$F_r = \frac{V}{\sqrt{gD}}$	$a = \frac{H_{კრ.}}{D}$ გრაფიკით	$H_{კრ.} = aD$	$H_{კრ.}$ ფორმულით	წყლის სვეტის (დონის) სიმაღლე და გრაფიკით მიღებულ კრიტიკულ (მინიმალურ) სიმაღლეს შორის სხვაობები
1,0	3,77	4,5	1,45	2,0	1,38	1,74	$H_{კრ.} - H = 0,38 \text{ მ}$
1,5	4,6	5,5	1,80	2,5	1,72	1,77	$H_{კრ.} - H = 0,22 \text{ მ}$
2,0	5,3	6,4	2,04	3,3	2,30	2,30	$H_{კრ.} - H = 0,30 \text{ მ}$
3,0	6,5	7,8	2,50	3,5	2,42	2,75	$H - H_{კრ.} = 0,58 \text{ მ}$
4,0	7,8	9,8	3,00	3,6	2,48	2,97	$H - H_{კრ.} = 1,58 \text{ მ}$
5,0	8,4	10,1	3,20	3,7	2,55	3,20	$H - H_{კრ.} = 2,45$
5,155	8,5	10,2	3,40	3,8	2,62	3,28	$H - H_{კრ.} = 2,535 \text{ მ}$

ნაკადის ფარებში გასვლის სიჩქარეზე დამოკიდებულებით აგებულია წყლის სვეტის სიმაღლის, კრიტიკული წნევისა და ფრუდის რიცხვის ცვლილების გრაფიკები, რომლებიც მე-4 სურათზეა წარმოდგენილი. სურათი 4 იმითაა მნიშვნელოვანი, რომ როცა გასავალში წყლის სიჩქარე  $V = 5,7$  მ/წმ, მაშინ ფრუდის



**სურ. 4**

რიცხვი  $Fr = 2,2$  და წყლის სვეტის სიმაღლე და მორევის საგუბრიდან გასვლის კრიტიკული წნევა ერთმანეთის ტოლია –  $H = H_{кр} \approx 2,3$  მ-ზე როცა  $H \leq 2,3$ , მაშინ მორევი ყოველთვის გავა საკეტებში. საგუბარში წყლის სვეტის სიმაღლე უნდა იყოს შესაძლებლობის მიხედვით, რაც შეიძლება მეტი (5 მ და მეტი), რომ მორევეების ფარებში გატაცება საიმედოდ იქნეს აცილებული.

თუ ავაგებთ მე-4 სურათზე წარმოდგენილი ნახაზის მსგავს ნახაზს, განხილული ყველა დანარჩენი შემთხვევებისათვის დავადგენთ იმ კრიტიკული წნევის რიცხვით მნიშვნელობებს, რომლებისთვისაც მორევი შეიძლება გაწოვილ იქნას დიობში. ეს პროცესი რომ აცილებულ იქნას, რა თქმა უნდა, საგუბრებში წყლის სვეტის სიმაღლე შესაძლებლობის მიხედვით უნდა იყოს კრიტიკულ სიმაღლეზე რაც შეიძლება მეტი.

### დასკვნა

ანგარიშებით მიღებულმა შედეგებმა აჩვენა, რომ: საკეტების სათანადო სიდიდეებზე გაღების დროს და საგუბარში საკეტებთან წყლის სვეტის დონის მუდმივი სიმაღლის დაცვის შემთხვევაში წყლის ზედაპირიდან საკეტებთან წარმოშობილი მორევეების გამო სითხის ნაწილაკები, ნაგავი და ჰაერი გასავალში არ მოხვდება. ამ პირობის დასაცავად აუცილებელია საგუბარში იყოს სითხის დაბალი სიჩქარე და დამყარებული რეჟიმი, ხოლო საკეტებთან დაცული უნდა იქნეს წყლის სვეტის სიმაღლესა და მორევის გასვლის მინიმალურ (კრიტიკულ) სიმაღლეს შორის სხვაობა, რაც 2 მ-ზე მეტია (იხ. ცხრილი 4)

ლიტერატურა

1. **Поликовский В.И., Перельман Р.Г.** Воронкообразование в жидкости с открытой поверхностью. М.-Л.: Госэнергоиздат, 1959, стр. 3-190.
2. **Альтшуль А.Д. и др.** Примеры расчетов по гидравлике. М.: Стройиздат, 1977, стр. 147-165.
3. **Киселев П.Г.** Справочник по гидравлическим расчетам. М.-Л.: Госэнергоиздат, 1961, стр. 75-89.
4. **Угинчус А.А., Чугаева Е.А.** Гидравлика. Л.: Стройиздат, Ленинградское отделение, 1971, стр. 126-132.
5. **Гришанин К.В.** Гидравлика. Л.: Речной транспорт, 1962, стр. 169-179.
6. **Михалев М.А.** Гидравлический расчет потоков с водоворотом. Л.: Энергия, Ленинградское отделение, 1971, стр. 3-184.
7. **Курганов А.М., Феодоров Н.Ф.** Справочник по гидравлическим расчетам систем водоснабжения и канализации. Л.: Стройиздат, Ленинградское отделение, 1978, стр. 164-171.

**დაზიანებული დრეკადი ბარსული ტიპის კონსტრუქციების  
აღდგენა დისკრეტულად მიერთებული წიბოებით**

**გელა ყიფიანი, გიორგი ახალაია, ვიქტორია ბერიძე, გიორგი გეგენავა**  
**Email: gelakip@yahoo.com**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
მ. კოსტავას ქ. №77, ქ. თბილისი, საქართველო

**შეჯამება**

თანამედროვე დიდმალიანი ნაგებობების მშენებლობაში მაღალი სიმტკიცის მახასიათებლების მქონე მცირემოდულიანი მასალების პრაქტიკაში დანერგვას მივყავართ თხელკედლიანი კონსტრუქციების გაანგარიშების დაზუსტებული საინჟინრო მეთოდების შემოღების აუცილებლობამდე.

მრეწველობისა და მშენებლობის სხვადასხვა სფეროს განვითარება დაკავშირებულია არსებულის დახვეწასა და ისეთი ახალი კონსტრუქციების შექმნასთან, რომლებიც შეიცავენ: გარსებს, ფირფიტებსა და ღეროებს, შემაგრებით, ტევებით, ხვრეტებით, ჭრილებით, წერტილოვანი საყრდენებით. აღნიშნული არარეგულარობის ჯგუფებს მიღებულია ეუწოდოთ წყვეტილი პარამეტრები.

გარსთა სიმტკიცის ამაღლება ყველაზე ბუნებრივად ხორციელდება წიბოების ჩადგმით. ხვრეტის კიდების გასწვრივ ადგილობრივი დატვირთვების მოქმედების დროს მიზანშეწონილია სივრცითი კონსტრუქციების გამაგრება შესაბამისი სიგრძის წიბოების საშუალებით. ამ წიბოების განლაგება და ჩამაგრების სახე გავლენას ახდენს კონსტრუქციის დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობაზე.

თხელკედლიან კონსტრუქციებში გეომეტრიული და ფიზიკური პარამეტრების არარეგულარობა იწვევს ძაბვების მნიშვნელოვან კონცენტრაციას და ქმნის ბზარების ან პლასტიკური დეფორმაციების გავრცელების საშიშ ზონებს. უმეტეს შემთხვევაში მათი მზიდუნარიანობა განისაზღვრება სიმტკიცის პირობებით ან ძაბვების კონცენტრაციის ზონაში მდგრადობის დაკარგვით. რეგულარობის დარღვევის ერთ-ერთ სახეს მიეკუთვნება ზედაპირის ტევება, რქასაც ადგილი აქვს ნაოჭოვან და მრავალტალღოვან გადახურვებში. დაძაბულ მდგომარეობაზე გავლენით ისინი წიბოების ანალოგიური არიან.

განსაკუთრებით ძლიერ არღვევენ რეგულარობას არმატურული ტიპის ღეროების სხვადასხვა ხისტი ჩართვები, სახსრული შეერთებები, სისქის ნახტომისებური ცვლილებები.

რეგულარობის დარღვევის ადგილებში (წიბოს ბოლო, ხვრეტების კონტური, დისკრეტული ბმები) ძაბვათა კონცენტრაციის ზონები არსებით გავლენას ახდენენ თხელკედლიანი კონსტრუქციების ზიდვის უნარზე და მდგრადობაზე. ამ დროს ცნობილი ტრადიციული ანალიზური და რიცხვითი მეთოდები წყვეტილ პარამეტრებიანი თხელკედლიანი კონსტრუქციების დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის გამოსაკვლევეად ნაკლებად ეფექტურია. ამიტომ საჭირო ხდება აღნიშნული კლასის ამოცანების ამოხსნის ახალი ეფექტური მეთოდების შემუშავება. ბოლო პერიოდში ინტენსიურად განვითარებულ პროცესში მყოფი განზოგადოებულ, კერძოდ წყვეტილ-იმპულსურ ფუნქციათა თეორია მნიშვნელოვნად აფართოებს რეგულარობის სხვადასხვა

დარღვევების მქონე თხელკედლიანი კონსტრუქციების გაანგარიშების შესაძლებლობას.

ამასთან დაკავშირებით დაზიანებული დრეკადი გარსული ტიპის კონსტრუქციების აღდგენა დისკრეტულად მიერთებული წიბოებით საკმაოდ რთულია, აქტუალურია და მოითხოვს გაანგარიშების განსაკუთრებული მეთოდების შემუშავებას. პრობლემასთან დაკავშირებით დისკრეტულად მიერთებული წიბოებით გამაგრების საკითხებს ეძღვნება ე.ს. გრენის [1], ა.ნ. გუზის და ი.ა. ბაბიჩის [2], მარლენა რაიჩიკის [3], ა.ა. ნაზაროვის [4] და სხვათა შრომები.

### ძირითადი ნაწილი

წიბოებიან გარსისებრ კონსტრუქციებში გარსისა და წიბოს შემონაკერის ხერხები სხვადასხვაა: მოქლონებით, შურუპებით, წვრტილოვანი ელექტროშედულებით.

ასეთი კონსტრუქციების მზიდუნარიანობა დაკავშირებული დისკრეტული თავსებადობის პირობებში მხოლოდ წვრტილებისათვის არუდღებს. კონტაქტის წვრტილებზე გავლისას დეფორმაცია ცვლილებას განიცდის. რადგან წიბოების სიხისტის მახასიათებლებს გრესასა და ძვრაზე, როგორც მცირე სიდიდეებს, უგულებელყოფთ, ამიტომ თავმოყრილი ძალვა და მომენტები წიბოს პერპენდიკულარულია მიმართულებით.

რადგან დეფორმაციის წყვეტა არ არის, ამიტომ დეფორმაციის და სიმრუდის პარამეტრების ცვლილება შეიძლება ავწეროთ ერთეულოვანი ფუნქციის საშუალებით შემდგენიარად (ნახ. 1) [5]

$$\begin{aligned} \varepsilon_{11} &= \sum_{l=1}^{C1} \varepsilon_{1l} H_{1l} = \sum_{l=1}^{C1} \varepsilon_{1l} H_{11l}; \\ \chi_{11} &= \sum_{l=1}^{C1} \chi_{1l} H_{1l} = \sum_{l=1}^{C1} \chi_{1l} H_{11l}, \end{aligned} \quad (1 \rightarrow 2, l \rightarrow t) \quad (1)$$

სადაც  $\varepsilon_{11}$  და  $\chi_{11}$  არის გარსის წრფივი დეფორმაცია და სიმრუდე, წიბოს და გარსის კონტაქტის ადგილზე;  $C1$  - დისკრეტული კავშირების რაოდენობა  $Ox_1$  ღერძის მიმართულებით;  $H_{1lk} = H(x_1 - x_{1lk})$  - ხევისაიდის ერთეულოვანი ფუნქცია;  $H_{11l} = H(x_1 - x_{11l}) - H(x_1 - x_{112})$  - სვეტოვანი ფუნქცია.

განზოგადებული ძალები და მომენტები წიბოებთან გასში შემდეგი სახით შეგვიძლია წარმოვადგინოთ


$$\begin{aligned} T_{11}^* &= T_{11} + \sum_{i=1}^{N1} \sum_{l=1}^{C1} E_{i1} (F_{i1} \varepsilon_{1l} + S_{i1} \chi_{1l}) H_{11l} \delta_{2i}; \\ M_{11}^* &= M_{11} + \sum_{i=1}^{N1} \sum_{l=1}^{C1} E_{i1} (J_{i1} \chi_{1l} + S_{i1} \varepsilon_{1l}) H_{11l} \delta_{2i}. \end{aligned} \quad (1 \leftrightarrow 2, i \rightarrow j, l \rightarrow t) \quad (2)$$

ძირითადი ამოხსნადი განტოლების დრეკადი დამრეცი გარსისთვის, დისკრეტულად მიერთებული წიბოებით, შემდეგი სახე აქვს:

$$\begin{aligned} L\varphi_m &= P_m / D + L^{(m-1)} \varphi_m + \sum_{i=1}^{N1} \sum_{l=1}^{C1} (L_{1i} \varphi_m \delta_{2i} H_{11l} + L_{4i} \varphi_m \delta_{2i}'' H_{11l} + \\ &+ L_{2i} \varphi_m \delta_{2i} \delta_{2i}' \delta_{11l} + L_{3i} \varphi_m \delta_{2i} \delta_{11l}') + \sum_{j=1}^{N2} \sum_{l=1}^{C2} (L_{1j} \varphi_m \delta_{1j} H_{22l} + L_{4j} \varphi_m \delta_{2j}'' H_{22l} + \\ &+ L_{2j} \varphi_m \delta_{1j} \delta_{22l} + L_{3j} \varphi_m \delta_{1j} \delta_{22l}') \end{aligned} \quad (3)$$

სადაც  $L_{1i}, L_{2i}, L_{3i}, L_{4i}, (i \rightarrow j)$  ოპერატორები განისაზღვრება ფორმულებით.





ნახ. 1. დრეკადი გარსი დისკრეტულად მიერთებული წიბოებით

(3) განტოლების ამოხსნის ასაგებად საწყისი  $\varphi_m$  ფუნქციის განსაზღვრის არე დაეყოთ M1 ნაწილებად  $x_1$  კოორდინატებზე და M2 ნაწილებად  $x_2$  კოორდინატებზე. გამოთვლების გასამარტივებლად დაეყოფის რაოდენობა არაწრფივობის გასათვალისწინებლად მიზანშეწონილია მივიღოთ დისკრეტული კავშირების რაოდენობის ტოლად, ე.ი. M1=C1 და M2=C2. მაშინ (3) განტოლებს შემდეგ სახეს მიიღებს:

$$\begin{aligned}
 L\varphi_m = & P_m/D + \sum_{\alpha=1}^{C1} \sum_{\beta=1}^{C2} \varphi_m(x_{1\alpha}, x_{2\beta}) H_{11\alpha} H_{22\beta} + \\
 & + \sum_{i=1}^{M1} \sum_{l=1}^{C2} (L_{1i} \varphi_m(x_{1l}, x_{2i}) \delta_{2i} H_{11l} + L_{4i} \varphi_m(x_{1l}, x_{2i}) \delta_{2i}'' H_{11l} + \\
 & + L_{2i} \varphi_m(x_{1l}, x_{2i}) \delta_{2i} \delta_{11l} + L_{3i} \varphi_m(x_{1l}, x_{2i}) \delta_{2i} \delta_{11l}') + \\
 & + \sum_{j=1}^{M1} \sum_{t=1}^{C2} (L_{1j} \varphi_m(x_{1j}, x_{2t}) \delta_{1j} H_{22t} + L_{4j} \varphi_m(x_{1j}, x_{2t}) \delta_{2j}'' H_{22t} + \\
 & + L_{2j} \varphi_m(x_{1j}, x_{2t}) \delta_{1j} \delta_{22t} + L_{3j} \varphi_m(x_{1j}, x_{2t}) \delta_{2j} \delta_{22t}').
 \end{aligned} \tag{4}$$


სუპერპოზიციის პრინციპის თანახმად (4) განტოლების ამოხსნა შემდეგი სახით წარმოვადგინოთ:

$$\begin{aligned}
 \varphi_m = & U_0 + \sum_{\alpha=1}^{C1} \sum_{\beta=1}^{C2} L_{\alpha\beta}^{(m-1)} \varphi_m(x_{1\alpha}, x_{2\beta}) U_{1\alpha\beta} + \\
 & + \sum_{i=1}^{N1} \sum_{l=1}^{C2} [L_{1i} \varphi_m(x_{1l}, x_{2i}) U_{2li}^1 + L_{4i} \varphi_m(x_{1l}, x_{2i}) U_{3li}^1 + \\
 & + L_{2i} \varphi_m(x_{1l}, x_{2i}) U_{4li}^1 + L_{3i} \varphi_m(x_{1l}, x_{2i}) U_{3li}^1] + \\
 & + \sum_{j=1}^{N1} \sum_{t=1}^{C2} [L_{1j} \varphi_m(x_{1j}, x_{2t}) U_{2jt}^2 + L_{4j} \varphi_m(x_{1j}, x_{2t}) U_{3jt}^2 + \\
 & + L_{3j} \varphi_m(x_{1j}, x_{2t}) U_{3jt}^2 + L_{2j} \varphi_m(x_{1j}, x_{2t}) U_{4jt}^2].
 \end{aligned} \tag{5}$$

მაგალითის სახით გაანგარიშებულია ორმაგი სიმრუდის სახსრულად-დაყრდნობილი ალუმინის პანელი. პანელის ზომებია პლანში  $a \times b = 0.5 \times 0.25$  მ, სიმრუდე  $K_1 = 0.033$  მ<sup>-1</sup> და  $K_1 = 0.128$  მ<sup>-1</sup>, სისქე  $h = 0.6$  მ. დიდი მალის შუაში არის საქუდე გრეხილი პროფილის სიხისტის წიბო (წიბოს გეომეტრიული მახასიათებლები: კვეთის ფართობია  $F_f = 0.75$  სმ<sup>2</sup>, სტატიკური მომენტი  $S_f = 9$  სმ<sup>3</sup>). წიბო დამაგრებულია გარსზე წერტილოვანი შედუღების ორი მწკრივით. სტანდარტით 2.03.06-85 “ალუმინის კონსტრუქციების” თანახმად, ყველაზე თხელ დეტალის 0.8 მმ სისქისას წერტილებს შორის ბიჯი უნდა იყოს 13 მმ. რადგან წიბოს ორ მწკრივად დამაგრებისას აუცილებელია იყოს ჭადრაკული წესით, ამიტომ ბიჯი აიღება ორჯერ მეტი, ე.ი. 25 მმ [6].

ნახ. 2-ზე ნაჩვენებია ტანგენციური ძაღვის განაწილების ხასიათი წიბოს სიგრძეზე. გარსზე თანაბრად განაწილებული დატვირთვის – 1281 კგ/მ<sup>2</sup> მოქმედებისას, პუნქტორით წარმოდგენილია დამოკიდებულება წერტილოვანი ელექტროშედუღების ბიჯისათვის 25 მმ. შედარებისთვის მოყვანილია ტანგენციური ძაღვის გრაფიკი წიბოს და გარსის უწყვეტი კონტაქტისთვის (მთლიანი ხაზი). დისკრეტული ტეხილები წიბოს და გარსის კონტაქტის წერტილებში.

კონტაქტური წერტილოვანი ელექტროშედუღების უფრო დიდი ბიჯის გამოყენების შესაძლებლობის შესწავლის მიზნით ჩატარდა მოცემული კონსტრუქციის განმეორებითი გაანგარიშება დისკრეტული კავშირის ბიჯით 25 მმ. წერტილოვანი შედუღების ბიჯით 50 მმ (ნახ. 2 – შტრის-პუნქტირული ხაზი), რადგან მოცემული ბიჯის შემთხვევაში გარსი არ კარგავს მდგრადობას კავშირებს შორის, ამიტომ შეიძლება რეკომენდირებული იყოს წერტილოვანი შედუღების უფრო დიდი ბიჯი, ვიდრე სტანდარტით არის გათვალისწინებით. ამის შედეგად მცირდება ასეთი კონსტრუქციების დამზადების შრომატევადობა.



ნახ. 2. ტანგენციალური ძალების განაწილების ხასიათი წიბოს სიგრძეზე გარსის თანაბრად განაწილებული დატვირთვის – 1282 კნ/მ მოქმედებისას

### დასკვნა

წიბოების და ტეხვების მწონე გარსების გაანგარიშებისათვის მიღებული საანგარიშო ფორმულები საშუალებას იძლევა აღიწეროს დაძაბულ-დეფორმირებული მდგომარეობის კომპონენტების ცვლადების ყველა განსაკუთრებულობა რეგულარობის დარღვევის მასლობლობაში, აისახოს დატვირთვის პროცესში ძალებისა და მომენტების ცვლილებები და გადანაწილებები.

### ლიტერატურა

1. Гребень В.С. Метод расчёта прямоугольных в плане пологих оболочек, подкреплённых рёбрами в двух направлениях//Расчёт пространственных конструкций. Москва. 1969.
2. Гузь А.Н., Бабич И.Ю. Трёхмерная теория устойчивости стержней, пластин и оболочек, Киев: Виша школа, 1980, 168 с.
3. Rajczyk Marlana. Zagrozenia mykologizne w budownictwie. Wydawnictwo Politechniki Czestochowskiej. Czestochowa 2009. -169p.
4. Назаров А.А. Основы теории и методы расчёта пологих оболочек, Строительство, Ленинград, 1966, -303 с.
5. Михайлов Б.К., Кипиани Г.О. Пластины и оболочки с разрывными параметрами. Ленинград: ЛГУ, 1980 г. -196 с.
6. ფაშიაშვილი მ., ყიფიანი გ. გარსული საძირკვლები მშენებლობაში და მათი გაანგარიშების ზოგიერთი საკითხი. თბილისი: გამომცემლობა “ტექნიკური უნივერსიტეტი”, 2006. 166 გვ.

ფილტრაციის თავისებურებანი ნიადაგ-ბრუნტებში

ირაკლი ყრუაშვილი <sup>1</sup>, ედუარდ კუხალაშვილი <sup>1</sup>, ირმა ინაშვილი <sup>1</sup>,  
კონსტანტინე ბზიავა <sup>2</sup>, გიორგი ნატროშვილი <sup>1</sup>

Email: irakliuashvili@yahoo.com, e.kukhalashvili@agruni.edu.ge,  
irmainashvili@yahoo.com, k\_bziava@yahoo.co.uk

- 1) საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი  
დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., დიღომი, თბილისი 0131
- 2) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი  
ი. ჭავჭავაძის პრ. 60, ქ. თბილისი, საქართველო

შესავალი

დინამიკურ ურთიერთკავშირში მყოფი ფაქტორების გათვალისწინებით ფილტრაციის პროცესის კანონზომიერების აღწერა წყლის რესურსების მართვის ინფორმაციული უზრუნველყოფისა და მათი ოპტიმალურად გამოყენების განმსაზღვრელი მახვენებელია. ამ თვალსაზრისით ირიგაციაში მცენარის წყალმოთხოვნილების ოპტიმალური პროდუქტიული წყლით უზრუნველყოფა და საგეგმაციაო პერიოდში წყლის აუცილებელი ნორმით დაკმაყოფილება უამრავ ურთიერთ მართვად ფაქტორთან არის დაკავშირებული და ნიადაგ-გრუნტებში წყლის მიგრაციისა და გადაადგილების თავისებურებათა გათვალისწინებას საჭიროებს.

პირითაღი ნაწილი

კვლევის ობიექტი და მეთოდოლოგია

თვითფორმირებად ბუნებრივ კალაპოტებში გამავალი წყალგამტარი არხებიდან ფილტრაციაზე დანაკარგების კანონზომიერების შესწავლის საკითხებმა, მიუხედავად პრაქტიკისათვის მიღებული შედეგებისა, ვერ მიიღო დასრულებული სახე და მოვლენის არსზე ნიადაგ-გრუნტების სტრუქტურულ-ფუნქციონალური ჰიდროფიზიკის მახასიათებლების კომპლექსის გავლენის კანონზომიერების შესწავლას საჭიროებს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შემოთავაზებულია მოდელი, რომლის საფუძველზე ნიადაგ-გრუნტის რეალური მოდელი წარმოდგენილია იდეალურით, რომლის ყველა ფორი ერთმანეთის პარალელურ ცილინდრულ მილსადენთა სისტემას შეიცავს. ასეთი მილოვანი სისტემით შედგენილი ნიადაგის ცალკეული მილისათვის ნაკადის დინების საშუალო სიჩქარის საანგარიშოდ მიღებულია საანგარიშო დამოკიდებულება [5]

$$V = \frac{\gamma R^2}{2\mu} \left(1 - \frac{r_0}{R}\right)^2 \left(\frac{2}{3} + \frac{1}{3} \frac{r_0}{R}\right) \tag{1}$$

სადაც,  $V$  – იდეალურ ნიადაგ-გრუნტებში წყლის ფილტრაციის სიჩქარეა (მ/წმ);

$\frac{\gamma R^2}{2\mu}$  – ფოროვანი მილში წყლის მოძრაობის საშუალო სიჩქარე (მ/წმ);

$R$  – ფოროვანი მილსადენის რადიუსია (მ);

$r_0$  – ფოროვანი მილსადენში ძერის საწყისი წინაღობის ექვივალენტური რადიუსია (მ).

შემოთავაზებული მოდელის შესაბამისად, ფილტრაციის მიმართულებით  $\Omega$  ცოცხალი კვეთის ფართობისა და  $x$  მილსადენის შემთხვევაში, ცალკეული მილის  $\omega_x$  ცოცხალი

კვეთის ფართობი იქნება

$$\omega_x = \frac{\Omega}{x}. \quad (2)$$

შესაბამისად, ცალკეული მილსადენის წყლის ხარჯი ტოლია:

$$Q_{\text{მილ}} = \frac{\gamma R^2}{2\mu} m \frac{\Omega}{x}. \quad (3)$$

წარმოდგენილ (3)-ე დამოკიდებულებაში  $m = f\left(\frac{r_0}{R}\right)$ , რომლის განსაზღვრა ძალზე რთულია და სპეციალურ კვლევებს საჭიროებს.

რადგან  $U = \frac{\gamma R^2}{2\mu}$  წარმოადგენს წყლის მოძრაობის საშუალო სიჩქარეს ფოროვან მილსადენში, მისი ცოცხალი კვეთის ფართობი  $\omega_x$  შეიძლება განისაზღვროს დამოკიდებულებით

$$\omega_x = m \frac{\Omega}{x}. \quad (4)$$

მე-(4) დამოკიდებულების მიხედვით  $\frac{\omega_x x}{\omega}$ , წარმოადგენს გრუნტის  $n$  ფორიანობას და შესაბამისად


$$n = m = \left(1 - \frac{r_0}{R}\right)^2 \left(\frac{2}{3} + \frac{1}{3} \frac{r_0}{R}\right). \quad (5)$$

თუ მე-(5)-ეს გავითვალისწინებთ (1)-ში, მაშინ ფოროვანი მილის საშუალო სიჩქარე ტოლი იქნება

$$V = mU. \quad (6)$$

ე.ი. ფილტრაციის საშუალო სიჩქარე ცალკეულ ფოროვან მილში წყლის მოძრაობის საშუალო სიჩქარისა და ნიადაგ-გრუნტის ფორიანობის კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

მე-(5) საანგარიშო დამოკიდებულებიდან  $m$ -ის განსაზღვრა ძალზე რთულია და სპეციალურ კვლევებს საჭიროებს. აქედან გამომდინარე, შემოთავაზებულია გრაფიკული დამოკიდებულება  $m = f\left(\frac{r_0}{R}\right)$ , ნახ. 1.



ნახ. 1.  $m = n = f\left(\frac{r_0}{R}\right)$  დამოკიდებულების გრაფიკი

მიღებული მე-(6)-ე საანგარიშო დამოკიდებულება ამყარებს კავშირს ფიქტიურ და იდეალურ ნიადაგ-გრუნტში წყლის  $V$  ფიქტიურ სიჩქარესა და ფოროვან მილში  $U$  საშუალო სიჩქარეს შორის.

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ენერჯის დანაკარგი ფოროვან მილში  $h_{ღან}$ -ის ტოლია, მაშინ შეიძლება დავწეროთ [1]:

$$h_{ღან} = \lambda \frac{\ell}{4R} \frac{U^2}{2g}. \quad (7)$$

სადაც,  $\lambda$  – ჰიდრაულიკური წინაღობის კოეფიციენტი;  $g$  – სიმძიმის ძალის აჩქარება ( $მ/წმ^2$ );  $\ell$  – ფოროვანი მილის სიგრძე ( $მ$ ).

მე-(7) საანგარიშო დამოკიდებულებიდან ჰიდრაულიკური ქანობი  $I$  რეინოლდსის  $Re$  რიცხვისა და სიბლანტის  $\nu$  კინემატიკური კოეფიციენტის გათვალისწინებით შეიძლება განისაზღვროს დამოკიდებულებით:

$$I = \frac{\lambda}{8} \frac{Re^2 \nu^2}{R^3 g}. \quad (8)$$

მე-(8) დამოკიდებულების გარდაქმნისა და უგანზომილებო კომპლექსის  $\Pi$ -თი აღნიშვნის საფუძველზე, რომელიც ფილტრაციაში ფილტრაციის რიცხვით არის ცნობილი, მივიღებთ:

$$\Pi = \frac{gR^3 I}{\nu^2}. \quad (9)$$

$$\Pi = \frac{\lambda}{8} Re_R^2. \quad (10)$$

შესაბამისად, ჩატარებული გარდაქმნების საფუძველზე ჰიდრაულიკური წინაღობის კოეფიციენტი  $\lambda$  რეინოლდსის რიცხვთან კავშირში მიიღებს სახეს:

$$\lambda = \frac{8\Pi}{Re_R^2}. \quad (11)$$

თუ შემოვიღებთ აღნიშვნას  $A = \lambda Re_R^{2-n}$ , მაშინ

$$\lambda = \frac{A}{Re_R^{2-n}}. \quad (12)$$

მე-(12) დამოკიდებულების გატოლებით (11)-სთან მივიღებთ

$$\Pi = \frac{A}{8} Re_R^n. \quad (13)$$

$\Pi$ -ს მნიშვნელობის გათვალისწინებით (13)-ში, მივიღებთ

$$\frac{gR^3 I}{\nu^2} = \frac{A}{8} \left( \frac{UR}{\nu} \right)^n. \quad (14)$$

მე-(14) დამოკიდებულებიდან შეიძლება განისაზღვროს ფოროვან მილში წყლის მოძრაობის საშუალო სიჩქარე

$$U = \left( \frac{8gI}{A} \right)^{\frac{1}{n}} \frac{R^{\frac{3-n}{n}}}{\nu^{\frac{2-n}{n}}}. \quad (15)$$

ლამინარული ფილტრაციის შემთხვევაში ფილტრაციის სიჩქარე, როცა  $n=1$ , არის

$$U = \frac{8gI}{A} \frac{R^2}{\nu}. \quad (16)$$

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ  $v = \frac{\mu}{\rho}$ ,  $\gamma = \rho g$ , (16)-ე საანგარიშო დამოკიდებულება მიიღებს სახეს

$$U = \frac{8\gamma R^2}{\mu} \frac{I}{A}. \quad (17)$$

მე-(17) დამოკიდებულებაში თუ შემოვიღებთ აღნიშვნას  $K' = \frac{8R^2}{A}$

$$U = \frac{\gamma K'}{\mu} I, \quad (18)$$

მე-(18) დამოკიდებულების გათვალისწინებით (16)-ში, გვექნება

$$V = \frac{n\gamma K' I}{\mu}. \quad (19)$$

მე-(19) საანგარიშო დამოკიდებულება წარმოადგენს წყლის ფილტრაციის საანგარიშო დამოკიდებულებას იდეალურ ნიადაგ-ბრუნტებში. წყლის ფილტრაციის შესწავლისას მაღალდისპერსიულ ბრუნტებში (თიხა, ტორფი) დადგენილ იქნა, რომ ფილტრაცია იწყება მას შემდეგ, როდესაც დაწნევის გრადიენტი გადააჭარბებს გარკვეულ სიდიდეს, ე.ი., კრიტიკული დაწნევის მნიშვნელობის შესაბამისი წერტილის შესატყვის გრადიენტს [2, 3, 4]. პირობითად ეს გრადიენტი შესაძლებელია მიჩნეულ იქნას საწყის გრადიენტად. ფუნქციონალური კავშირის ზოგადი ხასიათი ფილტრაციის სიჩქარესა და გრადიენტს შორის სხვადასხვა ნიადაგ-ბრუნტისათვის შეიძლება ჩაწერილ იქნას დამოკიდებულებით

$$V_{რეალ} = KI \left(1 - \frac{I_0}{I}\right). \quad (20)$$

სადაც,  $K$  – ფილტრაციის კოეფიციენტი;  $I$  – სრული გრადიენტი;  $I_0$  – საწყისი გრადიენტი.

მე-(20) დამოკიდებულების შეფარდებით (19)-სთან, როცა ფილტრაციის კოეფიციენტი  $K_1 = n \frac{\gamma K'}{\mu}$  ტოლია, რეალური გრუნტისათვის ფილტრაციის სიჩქარის საანგარიშო დამოკიდებულებას ექნება სახე

$$V_{რეალ} = K_1 K' I \left(1 - \frac{I_0}{I}\right). \quad (21)$$

თუ შემოვიღებთ აღნიშვნას  $K_0 = nK' \left(1 - \frac{I_0}{I}\right)$  და  $K = \gamma \frac{K_0}{\mu}$ , მაშინ მივიღებთ

$$V_{რეალ} = KI. \quad (22)$$

(21)-ე დამოკიდებულებაში  $K_0 = n \left(1 - \frac{I_0}{I}\right) K'$  წარმოადგენს წყალგამტარობის კოეფიციენტს და აქვს ფართობის განზომილება, ხოლო  $K$  რეალური გრუნტის ფილტრაციის კოეფიციენტს წარმოადგენს. კვადრატული ტურბულენტური ფილტრაციის შემთხვევაში, როცა  $n=2$ , გვექნება

$$U = \sqrt{\frac{8gR}{A}} \sqrt{I}. \quad (23)$$

ზოგიერთი გარდაქმნისა და გამარტივების საფუძველზე ფილტრაციის სიჩქარე რეალური გრუნტისათვის შეიძლება გამოვსახოთ შემდეგნაირად

$$V = m \sqrt{\frac{8gR}{A}} \sqrt{1 - \frac{I_0}{I}} \sqrt{I}. \quad (24)$$

თუ შემოვიღებთ აღნიშვნას  $B = \left(1 - \frac{I_0}{I}\right) \sqrt{\frac{8gR}{A}}$ , მივიღებთ

$$V = Bm\sqrt{I}, \quad (25)$$

სადაც:

$B$  - ემპირიული კოეფიციენტი;

$m$  - ფორიანობის კოეფიციენტი.

### დასკვნა

ზემოთ განხილული ამოცანები წარმოადგენს წყლის მოძრაობის კერძო შემთხვევას ფოროვან გარემოში და მას, გარდა წყლის რესურსების მართვის ოპტიმიზაციისა, განსაკუთრებული როლი ენიჭება როგორც სხვადასხვა საინჟინრო საკითხების გადაწყვეტის, ისე ირიგაციაში მორწყვის ნორმის, სარწყავი ნორმისა და სხვა მახასიათებლების დადგენის დროს.

### ლიტერატურა

1. **Агроскин И.И., Дмитриев Г.Г., Пиколев Ф.И.** Гидравлика, Госэнергоиздат, М. 1954 г., 484 стр.;
2. **Кацарава Т.Е.** – К вопросу установления некоторых гидрогеологических характеристик почво-грунтов. Труды ГрузНИИГим, Тбилиси, стр. 213-216;
3. **Купреишвили Ш.З., Мебония Н.Г., Кавтуашвили Д.С.** Экспериментальные исследования начального градиента фильтрации в высокодисперсных элитных сорбентах. Проблемы аграрных наук, сб. научных трудов, ГГАУ, т. XXXII Тбилиси, 2005 г., стр. 161-164;
4. **Одилавадзе Т.В.** Об инфильтрационной обеспеченности управления водными ресурсами сложной оросительной системы. Доклады ВАСХНИЛ, №5, 1968 г., стр. 15-26;
5. **Kruashvili I., Kukhalashvili E., Inashvili I., Bziava K.** Hydroecological aspects of migration and movement of water in the soils. Proceedings of the International Conference on “Protection of Agrobiodiversity and Sustainable Development of Agriculture”, November 24-25, 2010, Tbilisi, Georgia, p. 282-286.



**ნიადაგ-გრუნტში წყლის ფილტრაციის ანომალიებთან დაკავშირებული  
საკითხების შესწავლა**

ირაკლი ყრუაშვილი <sup>1</sup>, ედუარდ კუხალაშვილი <sup>1</sup>, ირმა ინაშვილი <sup>1</sup>,  
კონსტანტინე ბზიავა <sup>2</sup>, გიორგი ნატროშვილი <sup>1</sup>

**Email:** iraklikruashvili@yahoo.com, e.kukhalashvili@agruni.edu.ge, irmainashvili@yahoo.com,  
k\_bziava@yahoo.co.uk

- 1) საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი  
დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-13 კმ., დილომი, თბილისი 0131
- 2) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი  
ი. ჭავჭავაძის პრ. 60, ქ. თბილისი, საქართველო

**შესავალი**

ნიადაგ-გრუნტი, რომელიც სხვადასხვა რიგის მიკრო და მაკრო ზომის ნაწილაკებით არის წარმოდგენილი თანამედროვე შეხედულებით დისპერსიულ-ჰიდრაულიკურ ფოროვან სისტემას წარმოადგენს და იგი მარცვლოვან ფოროვან სისტემას განეკუთვნება. მის მყარ ნაწილაკებს შორის წყლის განსხვავებული კატეგორიების მოხვედრა და ფორმირება სხვადასხვა გზით ხდება. ვინაიდან, ნიადაგის ფორები მიკროკაპილარული ზომებით არის წარმოდგენილი, მის ტანში მიგრირებული წყალი სხვადასხვა თვისებებს იძენს და ამის გამო მისი შეფასება საერთო ფორიანობის მიხედვითაა შესაძლებელი.

**ძირითადი ნაწილი**


**კვლევის ობიექტი და მეთოდика**

წყალგამტარი ფორების ფორმის, ხვედრითი ზედაპირისა და სხვა მაჩვენებლების შეფასების სირთულე გარკვეულ გავლენას ახდენს ნიადაგ-გრუნტის ფილტრაციული მახასიათებლების დადგენაზე. მიუხედავად იმისა, რომ საერთოდ ფორიანობა არ შეიძლება იყოს ნიადაგ-გრუნტში მიმდინარე მაკრო პროცესების განმსაზღვრელი პოსტულიტი, ფილტრაციის ხარისხობრივი მხარის შეფასებისას ყურადღება ფორების ზომას, ფორმას, ურთიერთკავშირს, დანაწევრების ხასიათს, ჩაკეტილობას და სხვა მახასიათებლებს უნდა დაეთმოს. გამომდინარე აქედან, ნიადაგ-გრუნტის მრავალმხრივი კვლევების საფუძველზე შემოტანილი იქნა ფორიანობის შეფასების დიფერენცირებული, კაპილარული და სხვა სახის მცნებები. რაც შეეხება ფორიანობას, იგი ნიადაგ-გრუნტის ტანში წყლის ამა თუ იმ კატეგორიის ფორმირების განმსაზღვრელია.

გამომდინარე აქედან, ნიადაგ-გრუნტის ტანში წყლის მოძრაობის განმსაზღვრელი ამ თუ იმ ჰიდროდინამიკური პარამეტრის დადგენისა და ჰიდრაულიკური კვლევების მიზნით შემოთავაზებულია მოდელი, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება წყლის ფილტრაციის არსებულ ანომალიებთან დაკავშირებული საკითხების შესწავლა.

როგორც ცნობილია, ნიადაგ-გრუნტის ფორიანობა მილსადენტა სისტემით არის წარმოდგენილი. მილსადენტა სისტემის ცალკეული მილის შიდა პერიმეტრზე სხვადასხვა ბუნების ენერგეტიკული ველების მეშვეობით ადგილი აქვს თავისუფალისაგან

განსხვავებული თვისებების მქონე ადსორბციული ბმული წყლის აფსკების ფორმირებას.



ნახ.1. მილსადენში წყლის მოძრაობის საანგარიშო სქემა

აფსკის კონსტრუქცია მილსადენის შიდა ზედაპირზე მას ანიჭებს კვაზი მყარი სხეულის თვისებებს, რომლის მოძრაობაში მოყვანა შესაბამისი საგრადიენტო  $r_{გრ}$  შრის არსებობას საჭიროებს. გამომდინარე აქედან, წყლის მოძრაობა შეიძლება წარმოდგენილი იყოს რიგი თავისებურებებით და შესაბამისად, მილსადენის განივი ცოცხალი კვეთი დაიყოს ორ ზონად. ასეთ შემთხვევაში წყლის მოძრაობის ანალოგად შესაძლებელია გამოყენებული იყოს კვაზი-მყარი სხეულის მოძრაობა – შვედოვ-ბინგამის განზოგადებული მოდელის სახით [1, 2, 3].

თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ  $r_0$  არის  $R$  რადიუსიანი მილსადენის ბმული წყლით შევსების განივი კვეთის რადიუსი, ბმული წყლის თვისებებიდან გამომდინარე, როცა  $r_0=R$  წყლის მოძრაობას მილსადენში ადგილი არ აქვს და იგი მყარად არის მიმაგრებული მილსადენის პერიმეტრზე. მილსადენში წყლის ასეთი განივი კვეთით არსებობა შეიძლება ჩაითვალოს პასიურ სიცარიელედ, რომელიც ფილტრაციის პროცესში არ მონაწილეობს, ხოლო როდესაც  $r_0=0$ , მაშინ ნაკადის კვეთში მთლიანი საგრადიენტო შრით მოძრაობას ექნება ადგილი. ე. ი. მილსადენის ცოცხალი კვეთი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ორი ზონით: აქტიური სიცოცხლის ზონა, რომელშიც ნაკადის საგრადიენტო შრის გავრცელებას აქვს ადგილი და მეორე ზონა (ნაკადის გული), რომელზედაც ხდება საგრადიენტო შრის მიერთება.

გამომდინარე აქედან, აქტიური სიბრტყითი ფორიანობა შეიძლება წარმოდგენილი იყოს ფორმულით

$$n_{აქტ} = \frac{\pi R^2 - \pi(R - r_{გრ})^2}{\pi R^2} = 2 \left( \frac{r_{გრ}}{R} \right) - \left( \frac{r_{გრ}}{R} \right)^2. \quad (1)$$

პირველი განტოლების  $\left( \frac{r_{გრ}}{R} \right)$  ფარდობის მიმართ ამოხსნის შედეგად გვექნება

$$\left( \frac{r_{გრ}}{R} \right) = 1 - \sqrt{1 - n_{აქტ}} \quad (2)$$

მე(2) ფორმულის ანალიზი გვიჩვენებს: როცა  $n_{აქტ} = 0, r_{გრ}/R = 0$  ხოლო, როცა  $n_{აქტ} = 1, r_{გრ}/R = 1$ , საანგარიშო სქემის მიხედვით,  $r_{გრ} = R - r_0$  და შესაბამისად, მე(2) დამოკიდებულებას ექნება სახე

$$\left( \frac{r_0}{R} \right) = \sqrt{1 - n_{აქტ}} \quad (3)$$

ზოგადად, როცა მილსადენის შიდა კვეთი აქტიურ და პასიურ სიცარიელეთა ჯამით არის წარმოდგენილი, მაშინ მილსადენის სრული სიცარიელის,  $n$ -ის საანგარიშოდ

გვექნება

$$n = n_{\text{სს}} + n_{\text{აქტ}} \quad (4)$$

მე(4)-ის გათვალისწინებით მე(2)-ში მივიღებთ


$$\left(\frac{r_{20}}{R}\right) = \sqrt{1 - \frac{n_{\text{სს}}}{R}} \quad (5)$$

რადგან პასიური სიცარიელის ფართობი  $\pi r_0^2$ -ის ტოლია, სრული სიცარიელის ფართობი  $\pi R^2$ , მაშინ პასიური ფორიანობის სიდიდე იქნება  $n_{\text{სს}} = \left(\frac{r_0}{R}\right)^2$ . შესაბამისად, მე(5) დამოკიდებულება მიიღებს სახეს

$$\left(\frac{r_{20}}{R}\right) = 1 - \sqrt{1 - n + \left(\frac{r_0}{R}\right)^2} \quad (6)$$

მილსადენის განივი კვეთის სიცარიელის ის ნაწილი, სადაც წყლის შეუფერხებელ მოძრაობას აქვს ადგილი, შეიძლება ჩაითვალოს აქტიურ ფორიანობად. აქტიური ფორიანობის ოპტიმალური მნიშვნელობის დადგენა შეიძლება განხორციელდეს როგორც გრაფიკული მეთოდით, ისე მე(2) და მე(3) განტოლებების გატოლების საფუძველზე.

გრაფიკული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში ვაგებთ  $\frac{r_0}{R} = f(n_{\text{აქტ}})$  და  $\frac{r_{20}}{R} = f(n_{\text{აქტ}})$  დამოკიდებულების გრაფიკებს



ნახ 2. გრაფიკი დამოკიდებულება  $\frac{r_0}{R} = f(n_{\text{აქტ}})$  და  $\frac{r_{20}}{R} = f(n_{\text{აქტ}})$

თუ აქტიური ფორიანობის მნიშვნელობას  $n_{\text{აქტ}} = 0.75$  შევიტანთ მე(3) დამოკიდებულებაში მივიღებთ, რომ  $\frac{r_{20}}{R} = 0.5$ , ანუ, პასიური სიცარიელის რადიუსის ფარდობა სრული სიცარიელის რადიუსთან 0.5-ის ტოლია.

როცა ნაკადის საფილტრაციო მოედნის ფართობი  $X$  მილოვანი სისტემით არის

წარმოდგენილი, მისი სიდიდე შეიძლება განისაზღვროს ფორმულით

$$\omega = X\omega_{\text{ძალ.}} \quad (7)$$

მე-(7) დამოკიდებულების მიხედვით ცალკეული მილის ცოცხალი კვეთის ფართობია

$$\omega_{\text{ძალ.}} = \frac{\omega}{X} \quad (8)$$


ნაშრომში [4] მიღებული საშუალო სიჩქარის მიხედვით, ნაკადის ხარჯი ცალკეული მილისათვის შეიძლება გაანგარიშებული იყოს ფორმულით

$$Q_{\text{ძალ.}} = \frac{\gamma l R^2}{2\mu} \left(1 - \frac{r_0}{R}\right)^2 \left(\frac{2}{3} - \frac{1 r_0}{3 R}\right) \frac{\omega}{X} \quad (9)$$

თუ შემოვიღებთ აღნიშვნას  $m = \left(1 - \frac{r_0}{R}\right)^2 \left(\frac{2}{3} - \frac{1 r_0}{3 R}\right)$ , ცალკეული მილსადენისთვის წყლის საანგარიშო ხარჯი იქნება

$$Q_{\text{ძალ.}} = \frac{\gamma l R^2 \omega}{2\mu X} m. \quad (10)$$

მე-(10) საანგარიშო დამოკიდებულებაში  $m$ -ის განსაზღვრის მიზნით ვაგებთ გრაფიკულ დამოკიდებულებას  $m = f\left(\frac{r_0}{R}\right)$  (ნახ 3).



ნახ 3. გრაფიკული დამოკიდებულება  $m = f\left(\frac{r_0}{R}\right)$

მე-(10) დამოკიდებულებაში, რადგან  $\frac{\gamma l R^2}{2\mu}$  მილში წყლის მოძრაობის საშუალო სიჩქარეს წარმოადგენს

$$\frac{Q_{\text{ძალ.}}}{V_{\text{ძალ.}}} = \frac{\omega}{X} m. \quad (11)$$

ე. ი.  $\omega_{\text{ძალ.}} X = \omega m$ .

რადგან,  $\omega$  ფართობი წყლის გასატარებელი მოედნის ფართობია,

$$\omega_{\text{გულ}} X = m \frac{Q}{V_{\text{ლფ}}}. \quad (12)$$

მე-(12) დამოკიდებულებაში წყლის ხარჯის სიდიდე ფილტრაციის ხარჯის ტოლია და შესაბამისად

$$\omega_{\text{გულ}} X = m \frac{\omega V_{\text{გ}}}{V_{\text{ლფ}}}. \quad (13)$$

რადგან  $\omega_{\text{გულ}} X / \omega$  წარმოადგენს გასატარებელი წყლის ფართობის ფორიანობას მე-(13) დამოკიდებულებით, შეიძლება განისაზღვროს ნაკადის ფილტრაციის სიჩქარე

$$V_{\text{გ}} = \frac{n}{m}; \quad V_{\text{ლფ}} = \frac{n}{m} \frac{Q_{\text{გ}}}{\omega}. \quad (14)$$

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, როცა აქტიური ფორიანობა  $n=0.75$  და  $3/4$ -ის ტოლია, მაშინ პასიური ფორიანობა  $n_{\text{პა}}=1-3/4=1/4$  ე.ი. მიღებული შედეგების საფუძველზე შეგვიძლია დავადგინოთ  $m$ -ის მნიშვნელობა:  $m = \frac{5}{24}$ .

$m$ -ის მნიშვნელობას თუ შევიტანთ მე-(14) დამოკიდებულებაში, გვქვია

$$V_{\text{გ}} = \frac{24}{5} n \frac{Q_{\text{გ}}}{\omega}. \quad (15)$$

მე-15 დამოკიდებულების მიხედვით ფილტრაციის ხარჯები იქნება

$$Q_{\text{გ}} = \frac{5}{24} \frac{\omega}{n} V_{\text{გ}}. \quad (16)$$

არასწორხაზოვანი ფილტრაციის შემთხვევაში,

$$Q_{\text{გ}} = V_{\text{გ}} \left(1 - \frac{I_0}{I}\right) \omega. \quad (17)$$

თუ მე-(17)-ს გაუტოლებთ მე-(16)-ს, გვქვია

$$\frac{I_0}{I} = 1 - \frac{5}{24n}. \quad (18)$$

სარწყავ  $t$  პერიოდში, წყლის საჭირო ხარჯი შეიძლება განსაზღვრულ იყოს ფორმულით

$$Q = \frac{\alpha \omega m}{t}. \quad (19)$$

მე-(19) დამოკიდებულების მიხედვით განისაზღვრება

$$\begin{aligned} m &= \frac{Q t}{\alpha \omega} = \frac{V_{\text{გ}} \left(1 - \frac{I_0}{I}\right) \omega t}{\alpha \omega} = V_{\text{გ}} \left(1 - \frac{I_0}{I}\right) \frac{t}{\alpha} = \\ &= KI \left(1 - \frac{I_0}{I}\right) \frac{t}{\alpha} = KI \frac{5}{24n} \frac{t}{\alpha} = \frac{5}{24} \frac{KI t}{n \alpha}, \end{aligned} \quad (20)$$

სადაც:  $K$  არის ფილტრაციის კოეფიციენტი;  
 $n$  – ფორიანობა;  
 $I$  – დაწნევის გრადიენტი;  
 $t$  – მორწყვის ხანგრძლივობა;  
 $\alpha$  – კულტურის მიერ დაკავებული ფართობი.

მორწყვის ნორმა ნიდაგის გარკვეულ  $A$  წყალტევადობიდან, მაქსიმალური  $\beta$ , მინიმალური  $\beta_0$  ტენტევალობასთან და მცენარის განვითარების აქტიურ  $H$  ფენის სიღრმესთან კავშირში გამოისახება ფორმულით:

$$m = AH(\beta_{\max} - \beta_0) \quad (21)$$

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება განისაზღვროს აქტიური ფენის სიღრმე

$$H = \frac{5}{24} \frac{KH}{\alpha A(\beta_{\max} - \beta_0)} t \quad (22)$$

### დასკვნა

როგორც 22-ე დამოკიდებულებიდან ჩანს, აქტიური ფენის სიღრმე ამ შრის ფილტრაციის კოეფიციენტის, მოქმედი გრუნტის, ფორიანობის, წყალტევადობის, მორწყვის ხანგრძლივობის, ნიადაგის მაქსიმალური წყალტევადობისა და მცენარის მიერ დაკავებული ფართობის ფუნქციას წარმოადგენს.

### ლიტერატურა

1. **Абелишвили Г.В., Кереселидзе Д.А.** – Некоторые результаты исследований набухаемости глинистых почво-грунтов. Труды ГрузНИИГиМ, вып. 28, Тбилиси, 1971.
2. **Кацарава Т.Е.** - Теоретические и практические аспекты количественного определения капиллярного потенциала. Труды ГрузНИИГиМ, вып. 28, Тбилиси, 1969., стр., 376-386.
3. **Рейнер М.** – Реология. М., «Наука», 1965 г., 223 стр.
4. **ყრუაშვილი ი.გ., კუხალაშვილი ე.გ., ინაშვილი ი.დ., ბზიავა კ.ნ.** – ნიადაგ-გრუნტში წყლის მოძრაობის და მიგრაციის ჰიდრაულიკური ასპექტები (ინგლისურ ენაზე). საქართველოს კონფერენცია “აგრობიომრავალფეროვნების დაცვა და სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარება”, თბილისი 2010 წ. გვ 282-286.

დამაბინძურებელი მინარევების არასტაციონარული გადატანის  
პროცესები ბაზლინარ საწყლოსნო სისტემებში

ელიზბარ ხატიაშვილი, ლალი ღოდელიანი, ნოდარ კავთუაშვილი  
Email: lali\_gtu@gtu.ge

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
მ. კოსტავას ქ. №77, ქ. თბილისი, საქართველო

შესავალი

ტურბულენტური დიფუზიის კოეფიციენტის ცვლილებას განაპირობებს წყალსატევის ზედაპირზე ზედღებული მცირე ამპლიტუდის ტალღური მოძრაობა.

არაკონსერვატიული და კონსერვატიული დამაბინძურებელი მინარევების არასტაციონალური დინებებით გადატანის პროცესები განიხილება მცირე სიღრმის მქონე საწყლოსნო სისტემებში, სადაც ძირითადი ძრაობის ნაკადები ლამინარული და ბრტყელპარალელურია.

ძირითადი ნაწილი

წყლის ნაკადებით დამაბინძურებელი კონსერვატიული და არაკონსერვატიული მინარევების კონვექციური და მოლეკულურ-ტურბულენტური დიფუზიის მექანიზმებით გადატანის ზოგად განტოლებას აქვს შემდეგი სახე

$$\frac{\partial \bar{c}}{\partial t} + \bar{u} \frac{\partial \bar{c}}{\partial x} + \bar{v} \frac{\partial \bar{c}}{\partial y} + \bar{w} \frac{\partial \bar{c}}{\partial z} + \frac{\partial}{\partial x}(\overline{u'c'}) + \frac{\partial}{\partial y}(\overline{v'c'}) + \frac{\partial}{\partial z}(\overline{w'c'}) = 0 \quad (1)$$

სადაც,  $\bar{u}, \bar{v}, \bar{w}$  - წარმოადგენენ დროის მიხედვით გასაშუალოებული სიჩქარის მდგენელებს  $Ox, Oy$  და  $Oz$  ღერძის მიმართულებით;  $\bar{c}$  - მინარევის გასაშუალოებულ კონცენტრაციას;  $\overline{u'c'}, \overline{v'c'}, \overline{w'c'}$  - სიჩქარისა და კონცენტრაციების პულსაციების ნამრავლის გასაშუალოებულ სიდიდეებს, რომლებიც წარმოადგენენ მასის ტურბულენტურ ნაკადებს.

დასახული ამოცანების შემთხვევაში უგულებელყოფილია მასის მოლეკულური დიფუზიით გადატანის პროცესები, რადგან ისინი 1-2 რიგით მცირეა ტურბულენტური დიფუზიის ნაკადებთან შედარებით. მოლეკულური დიფუზიისათვის ფიკის კანონის ანალოგიურად ვთვლით, რომ მასის ტურბულენტური გადატანის ნაკადები პროპორციულია საშუალო კონცენტრაციების გრადიენტისა და მიმართულია კონცენტრაციების შემცირების მხარეს, ე.ი.

$$\overline{u'c'} = -D_x \frac{\partial \bar{c}}{\partial x}; \quad \overline{v'c'} = -D_y \frac{\partial \bar{c}}{\partial y}; \quad \overline{w'c'} = -D_x \frac{\partial \bar{c}}{\partial x} \quad (2)$$

განტოლება (1)-ის ზუსტი ამონახსნების მიღება ანალიზური მეთოდებით პრაქტიკულად შეუძლებელია, ამიტომ განვიხილავთ კონსერვატიული და არაკონსერვატიული დამაბინძურებელი მინარევების გადატანის პროცესებს, რომლის დროს ვთვლით:

1) მინარევების გადატანის პროცესი აიწერება ერთგანზომილებიანი განტოლებებით, რომელიც რეალიზდება მცირე სიღრმის მქონე წყალსატევებში და საწყლოსნო სისტემებში, სადაც ძირითადი ძრავის ნაკადები ლამინარულია და ბრტყელპარალელური (მაგალითად პალიასტომის, ფარავანის და მსგავს ტბებში, ჭაობთა სისტემებში და სხვ.);

2) ტურბულენტური მოძრაობა გამოწვეულია სიჩქარისა და კონცენტრაციების პულსაციებით და ეს მოძრაობა პროვოცირებულია ტალღების ზედდებით წყალსატევის ზედაპირზე. ამრიგად, ტალღები ზედაპირულია და წრფივი, მცირე ამპლიტუდის;

3) გადატანის პროცესები არასტაციონალურია და ხდება კონვექციური და ტურბულენტური დიფუზიის მექანიზმით;

4) უგულვებელყოფილია მინარევების გადატანა (შერევა) მოლეკულური დიფუზიით, რომელიც 1-2 რიგით და მეტით მცირეა ტურბულენტური დიფუზიისა და დისპერსიულ პროცესებზე;

5) ძირითადი დინების სიჩქარე  $u = U = const$  (ვერტიკალური განაწილების გარეშე);

6) წყალსატევის სიღრმე  $H$  მიღებულია მუდმივად (ძალზე მცირე ცვლადად);

7) ვიხილავთ მაქსიმალურ ტურბულენტურ დიფუზიას, რომელსაც ადგილი აქვს, როდესაც  $z=0$ , ე.ი. თავისუფალ ზედაპირზე.

მიღებული დაშვების შემდგომ ვღებულობთ კონსერვატიული და არაკონსერვატიული მინარევების გადატანის არასტაციონარულ კერძოწარმოებლიან დიფერენციალურ განტოლებას

$$\frac{\partial \bar{c}}{\partial t} + \bar{U} \frac{\partial \bar{c}}{\partial x} = \frac{\partial}{\partial x} \left( D_x \frac{\partial \bar{c}}{\partial x} \right) - k \bar{c} \quad (3)$$

სადაც  $k$  – დესტრუქციის კოეფიციენტი. შემდგომში გასაშუალების აღნიშვნას აღარ გამოვიყენებთ.

მე-(3) განტოლებაში ტურბულენტური დიფუზიის კოეფიციენტი ცვლადია, ამიტომ (3) ჩაიწერება ასეთი სახით:

$$\frac{\partial c}{\partial t} + U \frac{\partial c}{\partial x} = \frac{\partial D}{\partial x} \frac{\partial c}{\partial x} + D \frac{\partial^2 c}{\partial x^2} - kc \quad (4)$$

განვიხილავთ ისეთი სახის საწყლოსნო სისტემებს, რომლებშიც დიფუზიის კოეფიციენტის ცვლილება მცირე სიდიდეა. ასევე მცირეა (უფრო სწორედ კონცენტრაციის ცვლილება  $x$  კოორდინატის მიმართ ხდება პარაბოლურთან მიახლოებული კანონით, ე.ი.  $c = c_0 \cdot x^n$ , სადაც  $1 < n < 2$ ). ასეთ შემთხვევაში

შესაძლებელია  $D \frac{\partial^2 c}{\partial x^2}$  წევრის უგულვებელყოფა და (4) ჩაიწერება ასე:

$$\frac{\partial c}{\partial t} + U \frac{\partial c}{\partial x} = \frac{\partial D}{\partial x} \frac{\partial c}{\partial x} - kc \quad (5)$$

მე-(5) განტოლებაში ტურბულენტური დიფუზიის ფენომენოლოგიური კოეფიციენტი აუცილებელია გამოისახოს იმ ძირითადი მახასიათებლების მეშვეობით, რომლებიც განსაზღვრავენ დიფუზიის პროცესების მასშტაბს და ინტენსივობას. ტურბულენტურობის მასშტაბად ვიღებთ სიდიდეს  $l = \chi H$ , სადაც  $\chi = 0,4$ ,  $H$  – წყალსატევის სიღრმეა. მახასიათებელ სიჩქარედ, რომელიც განსაზღვრავს სიჩქარის მასშტაბს, ვიღებთ ტალღების მაქსიმალურ ჰორიზონტალურ ორბიტალურ სიჩქარეს წყალსატევის ზედაპირზე ( $z=0$ ), რომელიც მიღებულია სრეტენსკის თეორიის მიხედვით შექმნილ დამოკიდებულებით [1]



$$V_{\text{ბაღ.}} = \frac{\sigma h^2}{16kH^2} \quad (6)$$

სადაც  $h$  ტალღების სიმაღლეა;  $k = \frac{2\pi}{\lambda}$  - ტალღური რიცხვი.

ამრიგად  $D$  კოეფიციენტისათვის ვიღებთ ტურბულენტური დიფუზიის ფენომენოლოგიური თეორიის ტრადიციული სახის დამოკიდებულებას

$$D = a \cdot H \cdot V_{\text{ბაღ.}}$$

აქ  $a = 0,0025$ .

თუ ჩავთვლით, რომ დიფუზიის კოეფიციენტის ცვლილება წრფივია ნაპირის მიმართულებით, მაშინ მისი აპროქსიმაცია ასეთი სახისაა  $D = D_0 x$ , სადაც

$$D_0 = \frac{\sigma h^2}{16kH^2} \quad (7)$$

ზემოთქმულის გათვალისწინებით (5) მიიღებს სახეს

$$\frac{\partial c}{\partial t} + (U - D_0) \frac{\partial c}{\partial x} + kc = 0 \quad (8)$$

საწყისი და სასაზღვრო პირობები შემდეგია:

$$\left. \begin{array}{l} \text{საწყისი პირობა} \quad C(x,0) = C_0 = \text{const, როცა } t=0; x > 0 \\ \text{სასაზღვრო პირობა} \quad C(0,t) = C_0 + C'_0 = \text{const, როცა } x=0; t > 0 \end{array} \right\} \quad (9)$$

მე(8) განტოლების ამოხსნა წარმოებს ოპერაციული აღრიცხვის მეთოდებით, კერძოდ ლაპლასის გარდაქმნით, რაც აიოლებს ამოხსნის პროცედურას:

გავამრავლოთ (8)  $e^{-pt}$ -ზე, სადაც  $p = m + in$  არის ლაპლასის გარდაქმნის კომპლექსური პარამეტრი და ვაინტეგრირებთ  $t$ -თი 0-დან  $\infty$ -მდე საზღვრებში. თუ გავითვალისწინებთ, რომ

$$\int_0^{\infty} e^{-pt} \frac{\partial c(x,t)}{\partial t} dt = e^{-pt} c(x,t) \Big|_{t=0}^{\infty} + p \int_0^{\infty} c(x,t) e^{-pt} dt = -c(x,0) + p\bar{c}(x,p)$$

ანუ

$$\frac{\partial c(x,t)}{\partial t} \leftarrow p\bar{c}(x,p) - c(x,0) \quad (10)$$

სადაც  $\bar{c}(x,p)$ -თი აღნიშნულია  $c(x,t)$  ორიგინალის გამოსახულება; განტოლება (8) გამოსახულებებში ჩაიწერება შემდეგი სახით:

$$\frac{d\bar{c}(x,p)}{dx} + \frac{(p+k)}{A} \bar{c}(x,p) = \frac{c(x,0)}{A} \quad (11)$$

სადაც  $A = U - D$ .

გამოვიყენოთ ლაპლასის გარდაქმნა სასაზღვრო პირობისათვის

$$c(0,t) = c_0 + c'_0, \text{ როცა } x=0 \text{ გვექნება}$$

$$c(0,t) = c_0 + c'_0 \leftarrow \frac{c_0 + c'_0}{p} \quad (12)$$

მე(11)-ს ინტეგრება გვაძლევს

$$\ln[c_0 - (p+k)\bar{c}] = -\frac{p+k}{A}x + M \quad (13)$$

ინტეგრების მუდმივის  $M$ -ის დასადგენად გამოვიყენოთ სასაზღვრო პირობა, რომელსაც გამოსახულებებში აქვს სახე (12)

$$\bar{c}|_{x=0} = \frac{c_0 + c'_0}{p} \quad (14)$$

(14)-ის გათვალისწინებით მივიღებთ მე-(11) განტოლების ამონახსნს გამოსახულებებში

$$\frac{\bar{c}(p+k) - c_0}{\frac{c_0 + c'_0}{p}(p+k) - c_0} = e^{-\frac{p+k}{A}x} \quad (15)$$

მე-(15) ამონახსნი გამარტივების შემდგომ ჩაიწერება შემდეგნაირად

$$\bar{c} = \frac{c_0}{p+k} - \frac{mc_0 e^{-p\alpha}}{p+k} + (c_0 + c'_0)m \frac{e^{-p\alpha}}{p} \quad (16)$$

სადაც  $m = e^{-\alpha k}$  და  $\alpha = \frac{x}{A}$ ;

გამოსახულებების შექცევის ფორმულების გამოყენებით გვექნება

$$\frac{1}{p+k} \rightarrow e^{-kt} = e^{-k\frac{x}{v}}; \quad \frac{e^{-\alpha p}}{p} \rightarrow \begin{cases} 0 & \text{როცა } t < \alpha \\ 1 & \text{როცა } t > \alpha \end{cases}$$

$$\frac{e^{-\alpha p}}{p+k} \rightarrow \begin{cases} 0 & \text{როცა } t < \alpha \\ e^{-k(t-\alpha)} & \text{როცა } t > \alpha \end{cases} \quad \alpha > 0 \quad (17)$$

მინარევების გადატანის პროცესებისათვის, როგორც ეს გათვლებმა ცხადყო, მნიშვნელოვანია შემთხვევა, როდესაც  $t > \alpha = \frac{x}{U-D_0}$ . ამრიგად, (17)-ის გათვალისწინებით მინარევების კონვექციური და ტურბულენტური დიფუზიის მექანიზმებით გადატანის განტოლების (8)-ის ამონახსნი ჩაიწერება შემდეგი სახით:

$$c = c_0 e^{-kt} - c_0 e^{-\frac{kx}{U-D_0}} e^{-k\left(t - \frac{x}{U-D_0}\right)} + (c_0 + c'_0) e^{-\frac{kx}{U-D_0}} \quad (18)$$

### დასკვნა

ამრიგად მე-(18) ამონახსნით აიწერება არაკონსერვატიული და კონსერვატიული ( $k=0$ ) დამახინძურებელი მინარევების არასტაციონალური დინებებით გადატანის პროცესები მცირე სიღრმის მქონე წყალსატევებსა და საწყლოსნო სისტემებში, სადაც ძირითადი ძრავის ნაკადები ლამინარულია და ბრტყელპარალელური.

### ლიტერატურა

1. **Войнич-Сяноженцкий Т.Г.** Гидродинамика устьевых участков рек и взморий бесприливных морей. Л.: Гидрометеиздат, 1972.
2. Гидродинамика береговой зоны и эстуариев. Л.: Гидрометеиздат, 1972.
3. **Лурье А.И.** Операционное исчисление. М.-Л.-д.: Государственное издательство технико-теоретической литературы, 1950.
4. **Сретенский Л.Н.** Теория волновых движений жидкости. М.: изд-во «Наука», 1977.

**РАСЧЕТ ТРАНСФОРМАЦИИ ПАВОДОЧНОЙ ВОЛНЫ НА РЕКЕ АРАЗ**

**Гасанова Н.И.**

E-mail: *naila.hasanova@mail.ru*

Бакинский Государственный Университет  
ул. Халилова, 23, Аз1148, Баку, Азербайджан

**ВВЕДЕНИЕ**

Прогнозирование стока на ближайшее будущее имеет большое значения для управления водными ресурсами и планирования защиты от паводков при проектировании различных гидротехнических сооружений. Экономике в первую очередь нужны прогнозы по более и менее крупным рекам. В бассейнах таких рек именно на стадии формирования паводка в русловой сети заложены самые большие возможности прогноза стока. С каждым годом становится все больше рек с нарушенным водным режимом. На реках с нарушенным режимом трудно предсказать сток, опираясь на эмпирические зависимости, полученные по материалам наблюдений за период с естественным режимом.

**ОСНОВНАЯ ЧАСТЬ**

**Объект исследований и методика**

Методы, которые используются в практике прогнозов стока, в основном, те же, что и в гидрологических расчетах. Это - построение зависимостей между гидрологическими и метеорологическими элементами, способ единичного гидрографа, моделирование, расчет трансформации паводочной волны в речных руслах (распространение волн попусков, паводков и половодья) [1,2].

Для прогноза стока, главным образом, используются данные об объемах и распределении воды в русловой сети бассейна, а также данные о притоке воды в русловую сеть.

Краткосрочные прогнозы стока базируются на нескольких основных принципах, а именно: соответственных расходов, русловых запасов, кривой времени добегания.

При прогнозе движения паводков, анализе их формирования на водосборе, проектировании водохранилищ и использовании водных ресурсов на основе методов речной гидравлики ведутся расчеты неустановившегося движения воды в реках. Задачей расчета чаще всего является оценка трансформации паводочной волны при её движении по руслам речной системы и предсказание гидрографа стока. Для расчетов неустановившегося движения в реках разработано большое количество методов. Все их можно разделить условно на две группы [1, 2]:

- гидродинамические методы или так называемые «строгие» методы. Эти методы основаны на решении системы уравнений Сен-Венана (1848 г) – уравнения динамического равновесия и уравнения неразрывности;

- упрощенные, или «инженерные» методы, основанные на допущениях (обычно заменяющих уравнения динамического равновесия).

К числу наиболее известных упрощенных методов относятся:

- а) метод Маскингам;
- б) метод Калинина-Милюкова;
- в) метод кривых добегания;
- г) метод соответственных уровней и расходов.

В данной работе для расчета трансформации паводочной волны применен метод Маскингам.

Исходными данными являлись расходы воды на реке Араз во время прохождения паводков за различные годы (табл. 1).

Метод Максингам предложен Мак-Карти и впервые был применен на р. Максингам (США). Этот метод широко используется в службе гидрологических прогнозов США и ряда других стран [1, 3]. Он основан на определении скорости перемещения паводочной волны от одного створа к другому.

Таблица 1

Дата прохождения пиков максимальных расходов воды

Река-пункт	1963	1969	1976	1978	1987	1988	1991	1993
Кызыл-Банк	13.05	05.05	24.05	22.05	15.05	29.04	14.04	07.05
Саатлы	14.05	07.05	26.05	23.05	17.05	03.05	16.04	10.05
Время добегания	1	2	2	1	2	4	2	3

Сущность этого метода заключается в совместном решении уравнений водного баланса участка в конечных разностях:

$$\left(\frac{I_1 + I_2}{2}\right)\Delta t - \left(\frac{Q_1 + Q_2}{2}\right)\Delta t = \Delta V_{кон} - \Delta V_{нач}, \quad (1)$$

где:  $\Delta t$  - расчетный интервал времени;

1,2 – индексы, обозначающие начало и конец интервала времени на верхнем и нижнем створах (I, Q).

Изменение аккумуляции воды на участке реки за расчетный интервал времени имеет вид:

$$\Delta V = K [x(I_2 - I_1) + (1 - x)(Q_2 - Q_1)] \quad , \quad (2)$$

здесь: **K** – постоянная, представляющая отношение объема воды к ее среднему расходу на участке; **x** – весовой коэффициент, величина которого лежит в пределах  $0 < x < 0,5$ .

В результате объединения этих двух уравнений, получается:

$$Q_2 = C_0 I_2 + C_1 I_1 + C_2 Q_1, \quad (3)$$

где **C** – параметр, отражающий влияние расходов  $Q_v$  и  $Q_n$  на объем  $\Delta V$ , причем  $C_0 + C_1 + C_2 = 1$ .

Для рассматриваемой методики характерным является допущение линейности водной поверхности между верхним и нижним створом. При практическом использовании метода значение коэффициента **K** принимается постоянным для данного участка и определяется эмпирическим путем. Параметр **K** близок по своему значению ко времени добеганию максимальных расходов воды от верхнего до нижнего створа участка. Величина **x** в среднем принимается равным 0,2.

Основной задачей при использовании метода является определение параметров **K** и **x**.

Выбор расчетного интервала времени  $\Delta t$  производится в зависимости от характера колебания притока воды на участке.

Время добегания максимальных расходов воды от верхнего створа до нижнего определено по разнице дат прохождения пика паводков и принято равным в среднем 2 суткам,  $\Delta t$  – 1 суткам.

Коэффициенты **C<sub>0</sub>**, **C<sub>1</sub>** и **C<sub>2</sub>** определены по следующим формулам:

$$C_0 = \frac{\Delta t - 2Kx}{2K(1 - x) + \Delta t} \quad (4)$$

$$C_1 = \frac{\Delta t + 2Kx}{2K(1 - x) + \Delta t} \quad (5)$$

$$C_2 = \frac{2K(1 - x) - \Delta t}{2K(1 - x) + \Delta t} \quad (6)$$

## РАСЧЕТ ТРАНСФОРМАЦИИ ПАВОДОЧНОЙ ВОЛНЫ НА РЕКЕ АРАЗ

и получены следующие значения  $C_0=0,0476$ ,  $C_1=0,428$  и  $C_2=0,524$ . Сумма этих коэффициентов равна единице.




Рис. 1. Гидрографы наблюдаемого и трансформированного стока на р.Араз

### ВЫВОДЫ

Сравнение гидрографов притока  $I$  относительно гидрографов оттока  $Q$  показывает, что почти во всех случаях пик оттока меньше и запаздывает во времени по сравнению с пиком притока (рис.1). Это обстоятельство служит основной предпосылкой сооружения водохранилищ для защиты от паводков.

Средняя относительная ошибка определения расходов трансформированного стока по отношению к наблюдаемому для 1978 года составила 14%. Относительная ошибка его максимального расхода составила 9%. Для 1987 года средняя относительная ошибка определения расходов трансформированного стока составила приблизительно 25%, а максимального расхода пика паводка-18%. Пик паводочной волны в обоих случаях запаздывает на два дня.

### Литература

1. Висмен У.мл., Харбаф.Т.И., Кнепп Д.У. Введение в гидрологию. Л: Гидрометеиздат, 1979, 470 с.
2. Нежиховский Р.А. Русловая сеть бассейна и процесс формирования стока воды. Л.: Гидрометеиздат, 1971, 476 с.
3. David A. Chin. Water-resources Engineering (Second edition). Pearson Education International, USA, New Jersey, 2006, 962 p.

**ს ნ ო ტ ა ც ი ე ბ ი**

**წყალთა მეურნეობა**

**ბეტონის სამუშაოებისა და მუშა ნაკერების ორბანიზაციის  
მონოლითური ნაგებობების აბეზისას**

**გ. ატანესიანი, გ. გალსტიანი, ლ. ტოკმაჯიანი**

ერევნის არქიტექტურისა და მშენებლობის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქ. ერევანი, სომხეთის რესპუბლიკა

აღწერილია სამუშაოთა ორგანიზების ოთხი მეთოდი მონოლითური სამოქალაქო და ჰიდროტექნიკური ნაგებობების აგების დროს ფარიანი შეფიცვრის გამოყენებით. აღნიშნულია კომპლექსური მეთოდების ნაკლებობა და სამუშაოთა ორგანიზების განცალკევებული მეთოდის უპირატესობა, რომლის დროს ყოველ მონაზომზე აბეტონებენ გრძივ კედლებს, შემდეგ ყველა განივს. მუშა ნაკერების ორგანიზება კედლების სხვადასხვა გადაკვეთის შემთხვევაში შესაძლებელია მოხდეს სამი ხერხით: ტრაპეციული ჩადგმის, რკინაბეტონის ჩადგმის ან გადასაადგილებელი გვერდის მეშვეობით. ბოლო უნივერსალურია და კედლის ნებისმიერ ადგილზე შეიძლება იყოს გამოყენებული. ამის შედეგად იქმნება ნაკერის წახნაგი სოგმანებით და არმატურის გამონაშვებებით.

**საკვანძო სიტყვები:** მუშა ნაკერები, ტრაპეციული და რკინაბეტონის ჩადგმები, გადასაადგილებელი გვერდი, შეფიცვრა.

**მშენებლობა**

**ზღვრული დატვირთვების მეთოდის გამოყენება  
ღერძსიმეტრიული დატვირთვების შემთხვევაში**

**თ. ბაციკაძე, ნ. მურღულია, ჯ. ნიჟარაძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ქ. თბილისი, საქართველო

ღერძსიმეტრიული დატვირთვების მოქმედებისას სხეულის დაძაბული მდგომარეობის აღწერისათვის გამოიყენება ზღვრულ დატვირთვათა მეთოდი. ზედა შეფასების თეორემის შესაბამისი ანალიზური გამოსახულებები ამ დროს საკმარისად რთული სახისაა, რაც ქმნის გარკვეულ სიძნელეებს ამოცანის გადაწყვეტისას. ნაშრომში წარმოდგენილია გადაწყვეტის შედარებით მარტივი გზა, დაფუძნებული დეფორმირების ანალიზსა და მის საფუძველზე შედგენილი სქემების გამოყენებაზე.

**საკვანძო სიტყვები:** პლასტიკური დეფორმაცია, ზედა შეფასების თეორემა, პლასტიკურობის პირობა, სინქარეთა ჰოდოგრაფი, ენერჯის დისიპაცია.

**გარემოს დაცვა**

**შავი ზღვის ეკოლოგიური პრობლემების შეფასება კომპიუტერული  
პროგრამებისა და მონაცემთა ბაზის გამოყენებით**

**ა. გავარდაშვილი**

გარემოს დაცვის ეკოცენტრი  
ქ. თბილისი, საქართველო

შავი ზღვის ეკოლოგიური პრობლემების შეფასების მიზნით განხილულია სავსე კვლევების სტატისტიკური რიგისა და კომპიუტერული თანამედროვე პროგრამების ერთობლივი

გამოყენების შედეგი. წარმოდგენილია თანამედროვე კომპიუტერული პროგრამების (MIKADO, NEMO, ODV და DIVA) მოკლე მიმოხილვა და მათი გამოყენების შესაძლებლობები.

**საკვანძო სიტყვები:** შავი ზღვა, ეკოლოგიური მდგომარეობა, კომპიუტერული პროგრამები.

გარემოს დაცვა

**ქალაქ ყვარლის მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით მდინარე დურუჯის კალაპოტში 2012 წლის მაისის თვეში განხორციელებული სავალე კვლევის შედეგები**

**გ. გავარდაშვილი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი,  
გარემოს დაცვის ეკოცენტრი  
ქ. თბილისი, საქართველო

მდინარე დურუჯის წყალშემკრებ აუზში 1982-2012 წწ. განხორციელებული სავალე-ექსპედიციური სამეცნიერო კვლევებისა და არსებული სამეცნიერო ლიტერატურის გამოყენებით შეფასებულია მდინარე დურუჯის თანამედროვე ეკოლოგიური მდგომარეობა მის აუზში მიმდინარე ეროზიული პროცესების ინტენსივობისა და ღვარცოფის ძირითადი ჰიდროლოგიური მახასიათებლების გათვალისწინებით.

ქალაქ ყვარლის მოსახლეობის ღვარცოფებისაგან უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით წარმოდგენილია მდ. დურუჯის ღვარცოფებისაგან დაცვის ღონისძიებათა კომპლექსური სქემა.

შეფასებულია ღვარცოფთან ბრძოლის მეთოდები ორგანიზაციულ-სამეურნეო ხასიათის ღონისძიებების მხედველობაში მიღებით. განხილულია წინადადებები მდინარე დურუჯის ღვარცოფული გამონატანის სახალხო მეურნეობაში შესაძლო გამოყენებისა (უტილიზაცია) შესაბამისი საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვის გათვალისწინებით.

**საკვანძო სიტყვები:** ღვარცოფი, წყალშემკრები აუზი, მდინარე დურუჯი, ეროზია, მოსახლეობის უსაფრთხოება.

მშენებლობა

**ცხრილით მოცემული მრავალცვლადიანი ფუნქციის ანალიზური სახით ჩაწერის და ექსპერიმენტის დაბეზმვისა და ჩატარების მათემატიკური მოდელების მეთოდი**

**ი. გორჯოლაძე <sup>1</sup>, ნ. გორჯოლაძე <sup>2</sup>, ხ. გორჯოლაძე <sup>1</sup>**

<sup>1</sup>) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
<sup>2</sup>) შპს “იუ-ჯი-თი”

ქ. თბილისი, საქართველო

ნაშრომში განხილულია შემდეგი საკითხები: ორცვლადიანი ფუნქციის რაციონალურ მაჩვენებლიანი ხარისხის შემცველი და კომბინირებული მათემატიკური მოდელები; მრავალცვლადიანი ფუნქციის არგუმენტების ერთცვლადიან ფუნქციათა ჯამისა და ნამრავლის სახის მათემატიკური მოდელები; ცხრილით მოცემული ორრანგიანი ოთხი ცვლადის ფუნქციის ანალიზური სახის დამდგენი ფორმულები; ორ- და სამფაქტორიანი ექსპერიმენტის დაგეგმვისა და ჩატარების მათემატიკური მოდელების მეთოდი.

**საკვანძო სიტყვები:** ფუნქცია, მოდელი, ანალიზური სახე, კრიტერიუმი, რანგი, ექსპერიმენტი.

**წყალდიდობების ანთროპოგენური მიზეზები**

**ქ. დადიანი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი  
ქ. თბილისი, საქართველო

მოყვანილია სულ უფრო გახშირებული წყალდიდობებისა და მიღებული ზარალის ამსახველი სტატისტიკური მონაცემები. განხილულია წყალდიდობებთან ბრძოლის მეთოდების დადებითი და უარყოფითი მხარეები. განხილულია ადამიანების სამეურნეო მოღვაწეობის ზემოქმედებით წყალდიდობების სიხშირისა და სიმძლავრის ზეგავლენა ზარალის გაზრდაზე. მოყვანილია საქართველოში წყალდიდობების მიზეზები. შემოთავაზებულია წყალდიდობებთან ბრძოლის არასაინჟინრო მიდგომები.

**საკვანძო სიტყვები:** წყალდიდობა, დამცავი ნაგებობა, საიმედოობა.

**ზღვის ტალღური ზემოქმედებისაგან საქართველოს შავიზღვისპირეთის ეკოლოგიური უსაფრთხოების რეკომენდაციები**

**რ. დიაკონიძე, გ. ჩახაია, ლ. წულუკიძე, ზ. ვარაზაშვილი,  
პ. სიჭინავა, ი. ხუბულავა, გ. ომსარაშვილი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი  
ქ. თბილისი, საქართველო

ნაშრომში მოცემულია შავი ზღვის საზღვრების ცვლილებების პრეისტორიული მიმოხილვა და შეფასებულია სანაპირო ზოლის ეკოლოგიური მდგომარეობა.

შეფასებულია მდინარეთა მიერ შავ ზღვაში შეტანილი მყარი ნატანის რაოდენობრივი სიდიდეები და დადგენილია მყარი ნატანის დეფიციტის ის რაოდენობა, რომლითაც შესაძლებელი იქნება სანაპირო ზოლის დაცვა აბრაზიული პროცესებისაგან.

წარმოდგენილია შავი ზღვის სანაპირო ზოლის აბრაზიული პროცესებისაგან დაცვის ღონისძიებები შესაბამისი დასკვნებითა და რეკომენდაციებით.

**საკვანძო სიტყვები:** აბრაზია, მყარი ნატანი, ეკოლოგიური პრობლემები.

**საიმელოზის თეორიის გამოყენება გეობრაზიულ კვლევებში  
(ეროზიული პროცესების შესწავლის მაგალითზე)**

**გ. დონნაძე<sup>1</sup>, ნ. ელიზბარაშვილი<sup>2</sup>, შ. კუპრეიშვილი<sup>1</sup>**

<sup>1</sup>) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი

<sup>2</sup>) ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქ. თბილისი, საქართველო

ნაშრომში განხილულია ფერდობების რაციონალური გამოყენების საკითხი ნიადაგის ჩამორეცხვის გათვალისწინებით.

შემოთავაზებულია დამოკიდებულება ნიადაგის ჩამორეცხვის დასაშვები მნიშვნელობის განსაზღვრისათვის.

ფერდობების მდგრადობის შესაფასებლად გამოყენებულია ფრაგმენტები სამელოზის თეორიიდან. მოყვანილია კონკრეტული მაგალითი.

**საკვანძო სიტყვები:** ფერდობული მიწები, ნიადაგის ჩამორეცხვა, ჩამორეცხვის დასაშვები ფენა, მდგრადობა, საიმედოობა



**ნიადაგის ეროზიის კონტროლი ვეტივერის ვიწრო ზოლებით – ისრაელი საქართველოს პროექტის მიხედვით**

**ნ. დუდაი, გ. გავარდაშვილი, ც. მირცხულავა, მ. ბენ ჰური**

- 1) ნივე-იარის აგრარული კვლევის ცენტრი, ვოლკან ცენტრი, ისრაელი
- 2) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი, ქ. თბილისი, საქართველო

სტატიაში ნიადაგის ეროზიის კონტროლის მიზნით შემოთავაზებულია საქართველოსა და ისრაელში განხორციელებული სამეცნიერო კვლევითი სამუშაოების შედეგები მცენარე ვეტივერია ზიზანიოდესის მაგალითზე, ვიწრო ზოლების გამოყენებით. ისრაელისა და საქართველოს კლიმატური და ნიადაგის პირობების გათვალისწინებით დადგენილია მცენარე ვეტივერია ზიზანიოდეს ზრდის დინამიკის საკითხები ნიადაგის ეროზიის შესაბამისი მახასიათებლების მხედველობაში მიღებით. შეფასებულია პროექტის განხორციელების დროს სამუშაო შეხვედრების, სტაჟირებისა და პროექტში მონაწილე მეცნიერ თანამშრომლების მივლინებებისა და მათ მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები. პროექტი განხორციელებულია ამერიკის ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის დაფინანსებით.

**საკვანძო სიტყვები:** ვეტივერი ზიზანიოდეს, ნიადაგის ეროზია, პროექტი.

**სამელიორაციო სამსახურატაციო ორგანიზაციების ეფექტური და მდგრადი უზენაესი და მდგრადი უზენაესი ორგანიზაციების საკითხები**

**მ. ვართანოვი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი  
ქ. თბილისი, საქართველო

სტატიაში განხილულია სამელიორაციო საექსპლუატაციო ორგანიზაციების ეფექტური და მდგრადი ფუნქციონირების ძირითადი პირობები. გაკეთებულია დასკვნა: საექსპლუატაციო სამუშაოების დაფინანსების ორგანიზაციის არასრულყოფილი სისტემის შედეგად მრავალი სარწყავი სისტემა, მათ შორის ბოლო წლებში რეაბილიტირებული, ინგრევა, რაც იწვევს სარწყავი წყლის დიდ დანაკარგებსა და მოსარწყავი სავარგულების დაბალ პროდუქტიულობას; შექმნილი ტენდენციის გარდატეხის მიზნით აუცილებელია ფასიანი წყალსარგებლობის სისტემის სრულყოფა და განვითარება.

მოყვანილია მონაცემები საქართველოს ტიპური მელიორაციული (თვითღინების) სისტემის წლიური დანახარჯებისა და სარწყავ სისტემაზე საექსპლუატაციო სამუშაოების თვითღირებულების სტრუქტურის შესახებ.

**საკვანძო სიტყვები:** სარწყავი სისტემა, მდგრადი ფუნქციონირება, ფასიანი წყალსარგებლობა, ექსპლუატაცია, საექსპლუატაციო დანახარჯები.

**მთის წყალსაღინარის ბასწვივრივ ბმული ღვარცოფული ნაკადის ძირითადი პარამეტრების შეფასება**

**ვ. თევზაძე, ზ. ჭარბაძე, ნ. ნიბლაძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი  
ქ. თბილისი, საქართველო

ნატანებით ჰიპერკონცენტრირებული ღვარცოფული ნაკადებისათვის შემოთავაზებულია

თავისუფალი ზედაპირის მრუდის აგების მეთოდის მუდმივი ხარჯის დროს ბუნებრივი არაპრიზმატული კალაპოტის პირობებში.

**საკვანძო სიტყვები:** ღვარცოფი, ნაკადის ფორმირება, თანაბარი მოძრაობა, არათანაბარი მოძრაობა.

**დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები**

**თიხოვანი გრუნტების გაჯირჯვების პარამეტრების რეალური სიდიდის განსაზღვრის მეთოდობა**

**თ. თევზაძე, ი. ირემაშვილი, შ. ჭეიშვილი, ფ. ლორთქიფანიძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი  
ქ. თბილისი, საქართველო

სტატიაში წარმოდგენილია თიხოვანი გრუნტების გაჯირჯვების პარამეტრების რეალური სიდიდის ანგარიშის მეთოდობა, რომელიც არსებული სტანდარტებისაგან განსხვავებით ეფუძნება მინერალური ნაწილაკების ჩონჩხის დეფორმაციის გამოთვლებს.

**საკვანძო სიტყვები:** თიხოვანი გრუნტი, გაჯირჯვება, მინერალი მონტმორინოლიტი, კლასიფიკაცია.

**ჰიდროტექნიკური ნაგებობების საიმედოობა და რისკი**

**წყლის ხარისხის დინამიკა აღმოსავლეთ საქართველოს არიდული ზონის ხელოვნურ წყალსაცავებსა და მათ მიმდებარე ბიომეორბიურ ტერიტორიებზე**

**თ. თევზაძე, ი. იორდანიშვილი, დ. ფოცხვერია**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი  
ქ. თბილისი, საქართველო

სტატიაში განხილულია აღმოსავლეთ საქართველოს არიდული ზონაში განთავსებული წყალსაცავების მკვებავი, შეტბორილი და ფილტრაციული წყლების მინერალიზაციის ხარისხისა და მისი დინამიკის საკითხები ექსპლუატაციის პირობების გათვალისწინებით.

**საკვანძო სიტყვები:** წყალსაცავები, მინერალიზაცია, გეოგარემოზე ზემოქმედება.

**ჰიდროლოგია და მეტეოროლოგია**

**შირვანის მდინარეების ხეობების ანალიზი კალაპოტური პროცესების შესწავლის მიზნით**

**ფ. იმანოვი, ა. ნურიევი**

ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქ. ბაქო, ზერბაიჯანი

ლიტერატურული მონაცემების საფუძველზე სტატიაში მოცემულია მდინარეების ხეობების ფორმებისა და მორფოლოგიური ელემენტების აღწერა შირვანის ძირითადი მდინარეების სიგრძის შესაბამისად. აგრეთვე წარმოდგენილია მდინარეების ხეობებისა და კალაპოტების შესწავლისას სავსე კვლევების შედეგები. მდინარეების ხეობების განივი პროფილები აგებულია მორფომეტრული გაზომვების მონაცემებით.

**საკვანძო სიტყვები:** კალაპოტური პროცესები, შირვანის მდინარეები, განივი პროფილი, ხეობა.

**დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები**

**შავი ზღვის სახიფათო მდგომარეობის რაოდენობრივი შეფასება**

**ი. იორდანიშვილი, კ. იორდანიშვილი, ე. ხოსროშვილი, ნ. კანდელაკი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი  
ქ. თბილისი, საქართველო

საიმედოობის თეორიის ალბათობის მეთოდების გამოყენებით ჩატარებულია შავი ზღვის სახიფათო მდგომარეობის რაოდენობრივი შეფასება დატვირთვის სხვადასხვა სახეობთან დამოკიდებულებაში: მყარი ნატანის საერთო მოცულობა, ფოსფატები და ნიტრიტები.

**საკვანძო სიტყვები:** შავი ზღვა, დაბინძურება, ეკოლოგია.

**წყალთა მეურნეობა  
მშენებლობა**

**წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების აბეზის ტექნოლოგია  
მონოლითური რკინაბეტონისაგან**

**ი. ირემაშვილი <sup>1</sup>, ზ. ეზუგბაია <sup>2</sup>, გ. იოსებაშვილი <sup>2</sup>, ნ. მსხილაძე <sup>2</sup>, ლ. ჩალაძე <sup>2</sup>**

<sup>1</sup>) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი

<sup>2</sup>) საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, საქართველო

თანამედროვე მშენებლობაში ჩვენი ქვეყნისათვის სერიოზული საკითხია წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემებისა და ნაგებობების აგება, რათა ქვეყანაში გადაჭრილ იქნეს პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ასეთ მნიშვნელოვან საკითხებთან.

ნაშრომში განხილულია სხვადასხვა სახისა და დანიშნულების ტევადობების ნაგებობების აგების ტექნოლოგია მონოლითური ბეტონისაგან, წარმოდგენილია ყველა ის ძირითადი პროცესები, რომლებიც დაკავშირებულია ამ ნაგებობების აგებასთან.

**საკვანძო სიტყვები:** წყალმომარაგება, წყალარინება, ტევადობითი ნაგებობები, მონოლითური ბეტონი, ყალიბები.

**გარემოს დაცვა**

**ბენტონიტის მოდიფიკაციით მრავალმიზნობრივი ბრუნტამაშობის უზრუნველყოფის  
კომპოზიტის მიღების ტექნოლოგია**

**ლ. იტრიაშვილი, ს. კიკნაძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი  
ქ. თბილისი, საქართველო

განხილულია ბენტონიტის პოლიელექტროლიტებით მოდიფიკაციის ფიზიკურ-ქიმიური მექანიზმი, ბენტონიტის სუსპენზიებისა და პოლიელექტროლიტების ხსნარების ურთიერთმოქმედება, მათი ხარისხობრივი და რაოდენობრივი შემაღეწელობები.

მოყვანილია ახალი მრავალმიზნობრივი პოლომინერალური კომპოზიტის მიღების ტექნოლოგიური პირობები და მისი ძირითადი მახასიათებლები.

**საკვანძო სიტყვები:** ბენტონიტი, მოდიფიკაცია, კომპოზიტი, ნიადაგგრუნტები, თვისებები, მართვა.

**ნიადაგბრუნთვის თვისებების მართვა პოლიკომპლექსის გამოყენებით**

**ლ. იტრიაშვილი, ხ. კიკნაძე, ე. ხოსროშვილი, მ. შავლაყაძე, ქ. დადიანი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი  
ქ. თბილისი, საქართველო

განხილულია პოლიკომპლექსის ნიადაგბრუნტებზე ზემოქმედების მექანიზმი და ამის შედეგად ძირითადი მახასიათებლების ცვლილებები. მოყვანილია პოლიკომპლექსის ხარისხობრივი და რაოდენობრივი დოზები, რომლებიც უზრუნველყოფს ნიადაგბრუნტების მახასიათებლების მიზნობრივ მართვას.

**საკვანძო სიტყვები:** პოლიკომპლექსი, ნიადაგბრუნტები, მახასიათებლები, მართვა, დოზები.

**დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებები**

**შორ მანძილზე ენერჯის გადაცემა წყალბადის გამოყენებით**

**კ. კამკამიძე, ი. გაბრიჩიძე, ე. გვარამია**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ქ. თბილისი, საქართველო

განხილულია წყალბადის ტექნოლოგიაზე გადასვლის პერსპექტივები. ნაჩვენებია, რომ ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი სწორად უნდა იყოს გამოყენებული ელექტროენერგეტიკაში. აღნიშნულია, რომ ელექტროენერგეტიკული სისტემით ენერჯის გადაცემის დროს დანაკარგები ბევრად მეტია, ვიდრე ბუნებრივი აირის ან წყალბადის სისტემის გამოყენების დროს. აგრეთვე ნაჩვენებია აირის ქსელში ცვლილებების დროს მოქნილობის უპირატესობა ელექტრულ ქსელში ცვლილების განხორციელების შესაძლებლობასთან. მიწოდებული წყალბადის დაგროვება გაიგივდება ელექტროენერჯის აკუმულირებასა და წყალსაცავის არსებობასთან.

**საკვანძო სიტყვები:** ენერჯია, წყალბადი, დანაკარგები, ეკოლოგიურად სუფთა, აკუმულირება, მილსადენი.

**ჰიდროლოგია და მეტეოროლოგია**

**ხუდონის წყალსაცავში წყლის ხარისხისა და ევტროფიკაციული პროცესების პროგნოზირება**

**დ. კერესელიძე, ვ. ტრაპაძე, გ. ბრეგვაძე**

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქ. თბილისი, საქართველო

ხუდონის წყალსაცავის ჰიდროქიმიური რეჟიმის პროგნოზირებას დიდი მნიშვნელობა აქვს წყალსაცავის ეფექტური ფუნქციონირებისათვის. წყალსაცავის ჰიდროქიმიური რეჟიმის ცვალებადობა დაკავშირებულია მრავალ ფაქტორზე: ტემპერატურაზე, საზრდოობის წყაროებზე, აუზის ფიზიკურ-გეოგრაფიულ თავისებურებებზე, სამეურნეო გამოყენებაზე და სხვ.

ხუდონის წყალსაცავის წყლის ხარისხის პროგნოზირებისათვის გამოყენებულ იქნა სეგმენტურ-შრეობრივი მეთოდი. ეს მოდელი დაფუძნებულია სისტემის მარტივ გეომეტრიულ წარმოსახვაზე. წყალსაცავის მთელი მოცულობა დაყოფილია სეგმენტებად, რომელიც ასევე დანაწევრებულია ჰორიზონტალურ შრეებად და თითოეული შრისათვის სათანადო მათემატიკური მოდელის გამოყენებით გაანგარიშებულია წყალში გახსნილი ჟანგბადის, ჟანგბადის ბიოქიმიური მოთხოვნის, ნიტრატის, ნიტრიტის და ამონიუმის აზოტის, ფოსფატის, ასევე ძირითადი იონებისა და მინერალიზაციის რაოდენობრივი მახასიათებლები.

ზემოაღნიშნული მეთოდით მიღებული გაანგარიშება საშუალებას იძლევა შეიქმნას პროგნოზირების რეალურთან მიახლოებული მაქსიმალურად ეფექტური სურათი.

**საკვანძო სიტყვები:** წყლის ხარისხი, პროგნოზირება, ევტროპიკაცია.

**წყალთა მეურნეობა**

**პლასტიკური ენერჯის დისიპაცია და შთანთქმის კოეფიციენტი ჰიდროტექნიკური ბეტონის ციკლური ჩატვირთვა-განტვირთვის დროს**

**დ. კლეჭიანი**

ერევნის არქიტექტურისა და მშენებლობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. ერევანი, სომხეთის რესპუბლიკა

მიღებულია დეფორმირების ანალიტიკური ფუნქციის განტოლებები (კავშირის „დაბვა-დეფორმაცია“) ციკლური ძალის გარეშე ზემოქმედების დროს დრეკად-პლასტიკური (დპ) გარემოს პროგრამით „ჩატვირთვა-განტვირთვა-ჩატვირთვა“... დპ მასალის ყოველი ციკლის „ჩატვირთვა-განტვირთვის“ დროს გამოდის გისტეპეზისის მარყუვი, რომლის ფართი გამოხატავს დაუბრუნებელი დახარჯული (დისიპირებული) პლასტიკური ენერჯის მოცულობას. მტკიცდება, რომ დისიპირებული ენერჯის სიდიდე მონოტონურად კლებულობს განმეორებითი ციკლების დროს, რაც ნიშნავს, რომ ამ დროს იზრდება დპ გარემოს დრეკადი თვისებები და შესაბამისად კლებულობს პლასტიკური ბუნება.

წარმოდგენილია ჩატვირთვისა და განტვირთვის დეფორმაციული მრუდების ანალიტიკური ფუნქციები, რაც გვაძლევს შესაძლებლობას განვსაზღვროთ გისტეპეზისული ელიფსების ფართობი, რაც გამოხატავს პლასტიკური ენერჯის მოცულობას ყოველი ციკლის დროს. როდესაც გვაქვს ჩატვირთვის და განტვირთვის მრუდების განტოლებები, შეგვიძლია განვსაზღვროთ შთანთქმის კოეფიციენტების სიდიდეები ყოველი ცალკე „ჩატვირთვა-განტვირთვის“ სრული ციკლისათვის. ყოველი ციკლისათვის შთანთქმის კოეფიციენტი გამოსახავს რეალიზებული დისიპირებული ენერჯის შეფარდებას საერთო დახარჯულ ენერჯიასთან. მტკიცდება, რომ  $\Psi_k$  დამოკიდებულია ციკლების რაოდენობასთან: ე.ი. მცირდება k-ს ზრდასთან ერთად, რადგან ამ დროს პროცესი მეტად და მეტად ლინეარიზდება. რაც უფრო დიდია დპ პროცესის არაწრფივობის ხარისხი, მით უფრო აქტიურად ხდება დეფორმაციული მრუდების ლინეარიზაცია ციკლების „ჩატვირთვა-განტვირთვის“ ზრდასთან ერთად. ეს აიხსნება იმით, რომ რაც უფრო დიდია შინაგანი ხახუნი, მით უფრო აქტიურია ენერჯის არაწრფივი შემდგენის დისიპაცია და დრეკადი შემდგენის პლასტიკურთან დამოკიდებულების ზრდა.

**საკვანძო სიტყვები:** დრეკად-პლასტიკური დეფორმაცია, ენერჯის დისიპაცია, შთანთქმის კოეფიციენტი, განმეორებითი ციკლური პროცესი, ძაბვის ფუნქცია, დეფორმაცია, რეოლოგიური მოდელირება.

**ჰიდროტექნიკა და მელიორაცია**

**დახურული შემპრებების მუშაობის თავისებურებების დადგენა**

**შ. კუპრეიშვილი, პ. სიჭინავა, ლ. მაისაია, მ. კიკაბიძე, ზ. ლობჯანიძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი

ქ. თბილისი, საქართველო

სტატიაში შემოთავაზებულია დახურული შემკრებების მუშაობის პრინციპი მათი ჩაწყობის ოპტიმალურ სიღრმეები; მძიმე ნიადაგებზე დახურული შემკრებების მუშაობის ანალიზისას ფილტრაციის თეორიაში ორშრიან გარემოში წყლის გადაადგილების მიახლოებითი საანგარიშო სქემის მიხედვით დადგენილია, რომ დახურულმა შემკრებებმა უნდა უზრუნველყოს გრავიტაციული წყლის გაყვანა როგორც სახნავ, ასევე სახნავქვეშა შრეებიდან, რის

საფუძველზეც მოცემულია სახნავე შრის გრავიტაციული წყლებისაგან გათავისუფლების საშუალო ინტენსივობისა და დახურულ შემკრებში სახნავქვეშა ფენიდან წყლის შესვლის ინტენსივობის საანგარიშო ფორმულები.

**საკვანძო სიტყვები:** დრენაჟი, ფილტრაციული ნაყარი, გრავიტაციული წყალი.

გარემოს დაცვა

**ზოგიერთი დაავადებასა და აზერბაიჯანის ქალაქების ატმოსფეროს დაბინძურების ხარისხს შორის ურთიერთკავშირის შესწავლა**

**შ. მამედოვა**

ბაქოს სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქ. ბაქო, ზერბაიჯანი

სტატიაში მოყვანილია ატმოსფეროს დაბინძურების კომპლექსური კვლევების შედეგები და მათთან დაკავშირებული დაავადებები აზერბაიჯანში. დადგენილია კავშირი ატმოსფეროს დაბინძურებასა და დაავადებებს შორის ბაქოში, სუმგაიტში, განჯაში და აგებულია ამ ურთიერთკავშირის გრაფიკები.

**საკვანძო სიტყვები:** ატმოსფეროს დაბინძურება, დაავადებები, კომპლექსური გამოკვლევები.

წყალთა მეურნეობა

**ბუნებრივი მონოპოლიების არსებობის თეორიული წინაპირობები (წყლისა და ბაზის მარბალითზე)**

ა. მარკოსიანი, მ. მკრტუმიანი, ტ. მარტიროსიანი, ვ. არუტინიანი

ერევნის არქიტექტურისა და მშენებლობის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქ. ერევანი, სომხეთის რესპუბლიკა

ეკონომიკურ ლიტერატურაში ხშირად იხმარება ცნებების განსაზღვრა: კონკურენცია, მონოპოლია, მონოპოლისტური გაერთიანება, მათ შორის – ბუნებრივი მონოპოლია. უკანასკნელს ეკუთვნის, კერძოდ, მომსახურება გაზისა და წყლის მომარაგებაში. მონოპოლიების ამ სახეობისთვის დამახასიათებელია გაცილებით ბევრი პრობლემატიკა, კერძოდ, მოიცავს ყველაზე მნიშვნელოვან ეკონომიკის სექტორებს და მათ მონაწილეობას მონოპოლისტური გარემოს ფორმირებაში, ამ დროს ბუნებრივი მონოპოლია თხოულობს უდიდეს სახელმწიფო რეგულირებას და არის ყველაზე ნაკლებ გამოკვლეული დარგი. სტატიაში წარმოდგენილია მონოპოლიების არსებობის თეორიული წინაპირობები, მათი წარმოქმნა, პრივილეგიები და დანიშნულება.

სახელმწიფო კონტროლის დაწესება სომხეთში ანტიკონკურენტული პოლიტიკის მოსაპოვების სფეროში დაიწყო ფაქტობრივად ნულიდან, რადგან ახლო წარსულში ეკონომიკით მართვა ხორციელდებოდა ადმინისტრაციულ-ბრძანებითი წესით, რომელიც თავისუფალი ეკონომიკური კონკურენციის განვითარებას აფერხებდა. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მიღწევები ეკონომიკურ რეფორმებში (განსაკუთრებით გარდამავალ ეკონომიკაში) ბევრად დამოკიდებულია სახელმწიფო სისტემაზე, რომელიც აწონასწორებს მონოპოლისტურ პროცესებს და არეგულირებს კონკურენტულ დამოკიდებულებებს. ამ სფეროში აუცილებელია ღონისძიებების კომპლექსის დამუშავება, რომლებიც მიმართულია მონოპოლიების საქმიანობის შეზღუდვაზე, ანტიკონკურენტული შეთანხმებების მოსაპოვებაზე, აგრეთვე კონკურენტული გარემოს ფორმირებისათვის პირობების შექმნაზე.

**საკვანძო სიტყვები:** ბუნებრივი მონოპოლია, კონკურენცია, წყალმომარაგება.

**არარატის ვაკის ეკოლოგიური პრობლემების შესახებ**

**ნ. მელიქიანი, ტ. მარტიროსიანი**

ერევნის არქიტექტურისა და მშენებლობის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქ. ერევანი, სომხეთის რესპუბლიკა

სამუშაო მიძღვნილია არარატის ვაკის ეკოლოგიურ და მელიორაციულ პრობლემებზე, ერთ-ერთ ზემოხსენებულ პრობლემაზე – მიწისქვეშა წყლების მაღალ დონეზე. მიწისქვეშა წყლების დონის დაკლების მიზნით არარატის ვაკეზე მოწყობილია დახურული და ღია ტიპის ჰორიზონტალური დრენები საერთო ფართობით 20.5 ათ. ჰა. თუ ჰორიზონტალური დრენები მეტნაკლებად აშრობს მიწებს, დახურული ჰორიზონტალური დრენების მუშაობა – 90%-ით პარალიზებულია. ამის მთავარი მიზეზია დიდი შენატბორის შექმნა, რადგან წყალსაწვეი სატუმბი სადგურები არ ფუნქციონირებს. ჩვენ ვთვლით, რომ უფრო სწორი იქნებოდა ჰორიზონტალური დრენების დამშრობი თვისებების გამოყოფა შეტბორვის გათვალისწინების გარეშე. ამისათვის შემოთავაზებულია დრენების დაშრობის ინტენსივობის ორი ტიპის განსაზღვრა: ფაქტიურის – ბუნებრივი დაკვირვებების მონაცემების მიხედვით და საანგარიშო – პროექტის მონაცემების მიხედვით. საპროექტო-საძიებო სამუშაოებში დაშვებული შეცდომების გამოვლინებისათვის ჩვენ გამოვიყენეთ მათემატიკური მოდელების მეთოდი.

**საკვანძო სიტყვები:** ღია და დახურული ჰორიზონტალური დრენები, მიწისქვეშა წყლები, დაშრობა.

**გარემოს დაცვა**

**ნატანებით ჰიპერკონცენტრირებული ღვარცოვის არათანაბარი მოძრაობა არაპრიმატულ კალაპოტში**

**ო. ნათიშვილი, ვ. თევზაძე, ზ. ჭარბაძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი  
ქ. თბილისი, საქართველო

შემოთავაზებულია ნატანებით მაღალკონცენტრირებული მუდმივი ხარჯის მქონე ბმული ღვარცოფული ნაკადის თავისუფალი ზედაპირის მრუდის აგების მეთოდიკა ბუნებრივი არაპრიმატული კალაპოტებისათვის.

**ძირითადი ტერმინები:** ჰიპერკონცენტრაცია, ნატანები, ღვარცოფი, არაპრიმატული კალაპოტი.

**ჰიდროტექნიკა და მელიორაცია**

**ფერღოზზე ეროზიის დამცავი არხისმჭრელის თეორიული კვლევა**

**ვ. სამხარაძე <sup>1</sup>, თ. ჯანელიძე <sup>2</sup>**

<sup>1</sup>საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი

<sup>2</sup>საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ქ. თბილისი, საქართველო

განხილულია საგორავი არხისმჭრელის სრიალისა და გორვის თეორიული კვლევის საკითხები, ცნობილი მეცნიერების: ვ. ი. გორიაჩინისა და ვ. ა. ჟელიგოვსკის მგორავი დისკის პარამეტრების შერჩევის თეორიული საფუძვლები, წარმოდგენილია ახალი არხისმჭრელის ჭრისა და ტკეპნის პრინციპები, მოცემულია სრიალის კოეფიციენტები და ოპტიმალური პარამეტრების განმსაზღვრელი ფორმულა.

**საკვანძო სიტყვები:** საგორი არხისმჭრელი, ინტენსიური წვიმა, ფერდობი, ეროზია, გორვა, სრიალი, ჭრა, ტკეპნა.

**წყალთა მეურნეობა**

**ჰიდრაავლიკური დარტყმის მილსადენში წრფივად ცვალებადი დინამიკით  
სიგრძის მიხედვით გაანგარიშება**

**ტ. სარუსანიანი**

ასს „აკადემიკოს ი. ვ. ეგიაზაროვის სახელობის წყლის პრობლემებისა და  
ჰიდროტექნიკის ინსტიტუტი“  
ერევანი, სომხეთის რესპუბლიკა

დაწვევიან მილსადენებში ხშირად ხვდება მონაკვეთები, სადაც მათი დიამეტრი იცვლება წრფივად, სიგრძის მიხედვით. სამუშაოების რეჟიმის ცვლილებების მიხედვით სითხის მოძრაობა ამ მილსადენებში ხშირად არის დაუმყარებელი. უმრავლეს შემთხვევაში, დაუმყარებელი პროცესი გამოწვეულია სითხის სინქარის ცვლილებით. ამ შემთხვევაში აქვს ადგილი ჰიდრაავლიკურ დარტყმას, რომლის დროს იცვლება (აწვევა და დაწვევა) წნევა. ამიტომ აუცილებელია ჰიდრაავლიკური დარტყმის მილში წრფივად ცვალებადი დიამეტრით სიგრძის მიხედვით ამოცანის თეორიული განზოგადოება. ჰიდრაავლიკური დარტყმის შესწავლა ამ მილსადენებში გამოწვეულია პრაქტიკული აუცილებლობით. საინჟინრო გაანგარიშებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს წნევის აწვევის და დარტყმითი ტალღის გავრცელების სინქარის სიდიდების განსაზღვრას ჰიდრაავლიკური დარტყმის დროს. სტატიაში განხილულია დარტყმითი ტალღის გავრცელების სინქარის განსაზღვრის მეთოდი წნევის აწვევის ენერჯის შენახვის კანონის მიხედვით. მიღებულია დარტყმითი ტალღის გავრცელების სინქარისა და წნევის აწვევის სიდიდების საანგარიშო ფორმულები, რაც აუცილებელია მსგავსი სისტემების დაპროექტების დროს.

**საკვანძო სიტყვები:** მილსადენი, ჰიდრაავლიკური დარტყმა, სინქარე, წნევის აწვევა.

**მშენებლობა**

**ეკონომიკის მართვის თანამედროვე პრობლემები**

**კ. სოსხაძე**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი  
ქ. თბილისი, საქართველო

როგორც ცივილიზებული ქვეყნების განვითარების პრაქტიკამ გვიჩვენა მოსახლეობის ცხოვრების დონე და მისი კეთილდღეობა დამოკიდებულია არა იმდენად ბუნებრივი რესურსებით ქვეყნის სიმდიდრეზე, არამედ უპირატესად ქვეყნის ხელისუფლების ნებაზე ეფექტურად მართოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესები და გააცნობიეროს მართვის პროცესებისადმი სისტემური მიდგომის არსი და მისი გამოყენების აუცილებლობა. ბოლო ათი წლის განმავლობაში, საქართველოში სახელმწიფოსა და ეროვნული მეურნეობის მართვის მთავარი ნაკლია მართვის პროცესებისადმი სისტემური მიდგომის უარყოფა და იმის აუღიარებლობა, რომ არ არსებობს სახელმწიფოს ნება ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური კრიზისის დასაძლევად. ჩვენ თავს ვიწონებთ გატარებული ეკონომიკური რეფორმებით და ხმას არ ვიღებთ იმასთან დაკავშირებით თუ როგორ შეეხო ეს რეფორმები ქვეყნის განვითარების ისეთ მაჩვენებლებს, როგორცაა მოსახლეობის დასაქმება, მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება, რეალური სოციალური დაცვის სისტემის შექმნა და ა.შ. ეს ის მაჩვენებლებია რომლებიც ნაკლებად ექვემდებარება ციფრებითა და სტატისტიკური მაჩვენებლებით მანიპულირებას და რეალურად ასახავს საზოგადოების განვითარების დონეს.

**საკვანძო სიტყვები:** ეკონომიკა, ბუნებრივი რესურსები, ეფექტური მართვა.



**სამრეწველო ნარჩენების როლი გარემოს დაბინძურებაში**

**თ. სუპატაშვილი, ლ. მაისაია, ო. ოქრიაშვილი**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი  
ქ. თბილისი, საქართველო

სტატიაში განხილულია გარემოს დაბინძურების ერთ-ერთი მძლავრი წყარო – მრეწველობა. განსაკუთრებით საყურადღებოა დაკონსერვებული სამრეწველო ნარჩენები, რომლებიც არ კონტროლდება და მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მიმდებარე ტერიტორიის ნიადაგებსა და ზედაპირულ წყლებზე.

**საკვანძო სიტყვები:** დაბინძურება, სამრეწველო ნარჩენები, ზედაპირული წყლები.

**გამონატანის დაჭერის სისტემა წყალგადამღობ ნაგებობებში**

**ვ. ტოკმაჯიანი, ვ. ათანესიანი**

ერევნის არქიტექტურისა და მშენებლობის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ქ. ერევანი, სომხეთის რესპუბლიკა

შეთავაზებულია გამონატანის დაჭერის სისტემა წყალგადამღობ ნაგებობებში არსებულის ნაცვლად ბადური კონტეინერის გამოყენებით, რომელშიც გროვდება სხვადასხვა ხარისხის გამონატანი. კონტეინერები ამძრავთან გადადის წყალგადამღობის განაპირა მონაკვეთზე, განიტვირთება, იწმინდება, ბრუნდება და თავსდება წყალგადამღობ ნაგებობებში. დადგმულია ორი კონტეინერი. ერთ-ერთს იღებენ წყალგადამღობიდან და იგზავნიან განტვირთვაზე, მეორე იდგმება იგივე ადგილას და პირიქით.

დაპროექტებულია სისტემის სამი ვარიანტი. შედარებითი ანალიზის შესრულების მიზნით მითითებულია მათი უპირატესობა და ნაკლი, ასეთი მოწყობილობების სარგებლიანობა დამტკიცებულია პატენტებით. დაგეგმილია საცდელი გამოკვლევების ჩატარება და დანერგვა.

**საკვანძო სიტყვები:** გამონატანი, კონტეინერი, წყალგადამღობი ნაგებობა, ხელსაწყოები.

**სამეურნეო პირობების გავლენა მორწყვის სისტემაზე**

**ე. ფაშაევი**

„აზწყალპროექტის“ ინსტიტუტი  
ქ. ბაქო, აზერბაიჯანი

სტატიაში განხილულია წყალსამეურნეო ღონისძიებებისა და დაპროექტების მეთოდების საკითხები – სარწყავი ტერიტორიების დარაიონება ანალიზის საფუძველზე.

**საკვანძო სიტყვები:** მორწყვა, ლანდშაფტი, სარწყავი სისტემები, ირიგაცია.

**წყალსამეურნეო ობიექტების მდგრადი და უსაფრთხო ფუნქციონირების პირობების გამომკვლევა ენტროპიის გამოყენებით**

**ლ. ფურცელაძე**

